

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი  
პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ირინა კიკვაძე

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების  
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება  
(შეფასების როლი და დანიშნულება პიროვნების განვითარების პროცესში)

(განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

*სამეცნიერო ხელმძღვანელები:*

*იური ბიბილეიშვილი,  
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სრული პროფესორი*

*ნოდარ ბარამიძე,  
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სრული პროფესორი*

ბათუმი

2013 წელი

## სარჩევი

შესავალი .....	3
<b>I თავი: მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ისტორიისათვის</b>	
1.1. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების საკითხი ევროპისა და ამერიკის სკოლებში .....	21
1.2. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების საკითხი საქართველოს სკოლებში .....	29
<b>II თავი: მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების დიდაქტიკური საფუძვლები</b>	
2.1 მოსწავლეთა ცოდნის განმავითარებელი შეფასების პრინციპები .....	45
2.2 მოსწავლეთა ცოდნის განმავითარებელი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები .....	102
2.3 მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების დაგეგმვა .....	139
2.4 მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ზოგიერთი ფსიქოლოგიური ასპექტი.....	153
<b>III თავი: მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასების დიდაქტიკური საფუძვლები</b>	
3.1 მოსწავლეთა ცოდნის განმსაზღვრელი შეფასების პრინციპები .....	162
3.2 მოსწავლეთა ცოდნის განმსაზღვრელი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები .....	187
<b>დასკვნები .....</b>	<b>192</b>
გამოყენებული ლიტერატურა .....	196
დანართები .....	201

## შესავალი

### *თემის აქტუალობა*

შეფასება ნებისმიერი ადამიანისათვის პიროვნებად ფორმირების ფაქტორია. ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტური შეფასება ხელს უწყობს დასახული მიზნისკენ სწრაფვას, აძლიერებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად თვითრეალიზების სურვილს და ქმნის საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობას. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი.

განათლების რეფორმის საფუძველზე სკოლაში 2007 წლიდან იწარმოება მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ახალი სისტემა. რამდენადაც პროგრესულია იგი, იმდენად რთულად განსახორციელებელი და გასააზრებელი აღმოჩნდა პედაგოგთა დიდი უმრავლესობისათვის. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მასწავლებლებს ბოლომდე არ აქვთ გაცნობიერებული მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ეფექტური პარადიგმები. მათი უმრავლესობა მექანიკურად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს:

**შემეცნებითი (კოგნიტური) სფერო** – მოიცავს ცოდნის შეძენასთან დაკავშირებულ მიზნებს. მისი დახმარებით მიმდინარეობს შესასწავლი მასალის გააზრება, პიროვნული ცოდნის მიღებულ ინფორმაციასთან შეჯერება და ახალი იდეების ტრანსფორმირება, კონსტრუირება სხვადასხვა მეთოდისა და პროცედურების გამოყენებით. შემეცნების სფეროს უმეტესად მიეკუთვნება სწავლების მიზნები, რომლებიც საგნობრივი პროგრამების შინაარსშია წარმოდგენილი.

**აფექტური (ემოციურ - ნებელობით) სფეროს** – მიეკუთვნება ისეთი მიზნების ფორმირება, რომლებიც გარემომცველ სამყაროში მიმდინარე მოვლენების მიმართ ემოციურ-პიროვნულ დამოკიდებულებებს ასახავენ, რაც მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ამ სფეროში თავსდება ისეთი მიზნები, როგორცაა: ინტერესთა და მიდრეკილებათა ჩამოყალიბება, ამა თუ იმ

გრძნობათა განცდა, ურთიერთობებისა და საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებების ჩამოყალიბება, გაზიარება და მისი საქმიანობაში გამოვლენა.

**ფსიქომოტორულ სფეროს** – განეკუთვნება მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია მოძრავ (მოტორულ) საქმიანობებთან, ნერვული სისტემისა და კუნთების კოორდინაციასთან. როგორცაა, წერის და მეტყველების, ფიზიკური აღზრდის, შრომითი სწავლების შედეგად ჩამოყალიბებული მიზნები და უნარები.


ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეებში კოგნიტური, აფექტური და ფსიქომოტორული სფეროების შესაბამისი ცოდნის შექმნასა და უნარ-ჩვევების განვითარებას მოიაზრებს. ამ მიზნების შესრულება მასწავლებლისგან სასწავლო პროცესის დაგეგმვას მოითხოვს. როგორც ვიცით, სასწავლო პროგრამა თემატური ერთეულებისაგან შედგება. თემატური გეგმების შედგენის მექანიზმი შემდეგნაირია: მასწავლებლები წლის განმავლობაში შესასწავლ საკითხებს თემატად აერთიანებენ, რომელთა მიზანია არა მხოლოდ გარკვეული საკითხის ირგვლივ ლოკალური ცოდნის მიღება, არამედ საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვა და მოსწავლეებში სამოქალაქო და საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება, მაგრამ დღეს ძირითადად ფასდება კოგნიტური სფერო, ჩრდილში რჩება აფექტური და ფსიქომოტორული სფეროები. ერთ-ერთ განმაპირობებელ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ პედაგოგთა უმრავლესობა ნაკლებად იცნობს და შესაბამისად ვერ იყენებს შეფასების დაგეგმვისა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ეფექტურ მეთოდებსა და სტრატეგიებს. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი დაინტერესება ამ საკითხით.

კვლევის ლოგიკით, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, რა არის ცოდნა. მასწავლებელთა უმრავლესობისათვის ცოდნა გაიგივებულია ინფორმაციის დაგროვებასთან, შესაბამისად, ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებაც ხორციელდება მეხსიერების დონეზე. ბევრი პედაგოგისთვის მოსწავლე წარმატებულია, თუ ბევრი ლექსი, განმარტება, თეორემა, კანონი ახსოვს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შეიძლება მოსწავლეს მართლაც ბევრი ახსოვდეს, მაგრამ ვერ შეძლოს მიღებული ცოდნის შესაბამის სიტუაციაში გამოყენება. 2011-2016 წლის ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ცოდნის სამი კატეგორია: დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული. ზემოაღნიშნული

მდგომარეობა შეესაბამება ცოდნის პირველ კატეგორიას და თითქმის არ მოიაზრებს მიღებული ცოდნის ადეკვატურად გამოყენების პროცესს ანუ დინამიკურ-ფუნქციურს. მიუხედავად ამ მოთხოვნებისა, დღესაც სწავლება-სწავლა და მოსწავლეთა შეფასება მხოლოდ სტატიკურ დონეზე მიმდინარეობს და არ ითვალისწინებს ცოდნის ცნების ადეკვატურ გაგებას. ცოდნის პროცედურული და პირობისეული გაგება მთელი სიცხადითა და პრინციპულობით დასვა იან ამოს კომენსკიმ ნაშრომში „კარგად მოწყობილი სკოლის კანონები“. იგი აღნიშნავს, რომ ცოდნა არის ის, რისი გამოყენებაც შეუძლია ადამიანს: „მხოლოდ ლაპარაკი რომ ვასწავლოთ და ამასთან ერთად არ ვასწავლოთ გაგება (ე.ი ვასწავლოთ ენა საგნების გაგების გარეშე) – ეს იმას ნიშნავს, რომ არ სრულვყოთ ადამიანის ბუნება, არამედ მივცეთ მას გარეგნული, ზერელე მორთულობა. ვასწავლოთ საგნების გაგება, მაგრამ ამავე დროს არ ვასწავლოთ მოქმედება - ფარისევლობის ერთ-ერთი სახეა: თქმით ვთქვათ, მაგრამ არ გავაკეთოთ... ბოლოს გვესმოდეს და ვაკეთებდეთ საგნებს, ნახევრად უვიცობაა... სკოლამ უნდა წარმართოს გონება საგნების შესწავლით იმგვარად, რომ ყველგან დაცული იყოს სარგებლობა...“ (ი.ა კომენსკი – რჩეული პედ. თხზულებები, ტ II თბ. 1958 წ. გვ. 273.)

ამის საუკეთესო მაგალითებს – „ახსოვს, მაგრამ არ იცის“ – ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით სკოლის ცხოვრებაში. მაგალითად, მოსწავლეს ახსოვს, რომ სამკუთხედის შიდა კუთხეების ჯამი უდრის 2d-ს, (დეკლარატიული), მაგრამ თუ ის ამ თეორემას ვერ დაამტკიცებს, ვერ განმარტავს, რას ნიშნავს ერთი d, ჩათვალეთ, რომ მან საკითხი არ იცის (პროცედურული და პირობისეული). ამ ვითარების მიზეზს კარგად ხსნის პროფ. ი. ბიბილეიშვილის მიერ შემუშავებული სქემა არაყალბი და ნამდვილი სწავლის (ცოდნის) გარჩევისათვის:



სქემა 1.

სქემა 1 შედგენილია კლასიკური დიდაქტიკის ტრადიციებზე დაყრდნობით, რომელიც პრინციპულად მოითხოვს სწავლებაში მოსწავლეთა აქტიურობისა და შეგნებულობის დიდაქტიკური მოთხოვნების დაცვას და გამორიცხავს მექანიკური დაზეპირებით ინფორმაციის დამახსოვრებას. მიგვაჩნია, რომ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ჩვენეული ხედვა სრულიად განსხვავებულია დღევანდელ საგანმანათლებლო სივრცეში დანერგილი შეფასების სისტემისაგან. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ჩვენ მიერ შემუშავებული შეფასება არა მარტო გააუმჯობესებს სასწავლო გარემოს, არამედ ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ქ. თბილისის წმ. გიორგის საერო სკოლაში ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე დავადგინეთ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების როლი სასწავლო პროცესში, გამოვკვეთეთ მისი განმავითარებელი, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქცია. ასევე, შევიმუშავეთ და გავმიჯნეთ ერთმანეთისგან მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მახასიათებლები, მისი ეფექტური მეთოდები. გავანალიზეთ მათი დიდაქტიკური საფუძვლები და გამოვკვეთეთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ძირითადი პრინციპები.

ჩვენი თვალსაზრისით, სადისერტაციო ნაშრომი – „**მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება**”, დაეხმარება მასწავლებლებს სპეციალური დღიურების, დაკვირვების ჟურნალების გამოყენებით, მოსწავლეთა განვითარების დონის დადგენაში, ამავდროულად, შედეგებზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ეფექტური მეთოდების, პრინციპების, კომპონენტების, კრიტერიუმების შემუშავება-დაგეგმვაში და არა მექანიკურად, არამედ გააზრებულად დანერგვაში.

მასწავლებელთა უმრავლესობას დღემდე ვერ გაურკვევია, რომელი სწავლებაა უპირატესი – „ნიშნებით“ თუ „უნიშნო“. პედაგოგებისა და მშობლების დიდ ნაწილს არ ესმის, რომ ნიშნების/ქულების არ გამოყენება სასწავლო პროცესში „შეფასების გარეშე“ სწავლებას არ გულისხმობს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებულ

ცნებებს: „აღრიცხვა“, „შემოწმება“, „მონიტორინგი“, „კონტროლი“, „შეფასება“, „ნიშანი“ ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენებს. მათი არსი და დანიშნულება დღემდე გაურკვეველია, ცნებები: „შეფასება“ და „ნიშანი“ კი საერთოდ სინონიმებად არის მიჩნეული. პედაგოგებს არ აქვთ გააზრებული, რომ თითოეული მათგანი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ჩვენ ეს ცნებები ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ და სრულვყავით.

მოსწავლეთა შეფასების სისტემის შემუშავება დღესაც ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება მთელ მსოფლიოში და ეს ლოგიკურია, ვინაიდან ბოლომდე არ არის განსაზღვრული შეფასების როლი, დანიშნულება სასწავლო პროცესში და ძირითადი პარადიგმები. ასევე გაურკვეველია პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე.

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების დანიშნულების უკეთ გასააზრებლად საჭიროდ ჩავთვალეთ სანიშნოდ მოგვეყვანა შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული სკოლის სახელმწიფო საატესტატო გამოცდების შედეგები. არსებული ვითარების ნათელ, მაგრამ სამწუხარო სურათს გვაძლევს 2010-2011 წლის ეროვნული გამოცდების პროცესში გამოვლენილი მასობრივი ხასიათის ხარვეზები. გამოცდების მინიმალური მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა 11 ათასზე მეტმა აბიტურიენტმა და ჩაიჭრა. განმეორებითი გამოცდების ჩატარებას კიდევ უფრო სავალალო შედეგები მოჰყვა. 11 ათასიდან 9 ათასმა აბიტურიენტმა საკმაოდ დაბალი შედეგები აჩვენა და მხოლოდ 2 ათასი აბიტურიენტი ჩაირიცხა ([www.naec.ge](http://www.naec.ge)). 2010-2011 წლის ეროვნულმა გამოცდებმა 9 000 უცოდინარი აბიტურიენტი გამოავლინა, რაც თანამედროვე სკოლაში სასწავლო პროცესისა და განსაკუთრებით მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების სისტემის კრიტიკულად შეფასების საშუალებას გვაძლევს როგორც თეორიული ისე პრაქტიკულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით

დასაფიქრებელია 2010-2011 სასწავლო წელს ჩატარებული საატესტატო გამოცდების შედეგებიც. 3000-მდე მოსწავლე საატესტატო გამოცდაზე არ გავიდა (სკოლა ვერ დაამთავრა), მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი პედაგოგთა მიერ დადებითად იყო შეფასებული. 2000-მდე მოსწავლე ჩაიჭრა

თითო ან ორ საგანში (ვერ გადალახა 5,5 ბარიერი), ასევე ჩაიჭრა ოქროსა და ვერცხლის მედლის 72 კანდიდატი, ხოლო მოსწავლეთა ძალიან დიდმა ნაწილმა მასწავლებლების მიერ დაწერილი ნიშნები ვერ გაამართლა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა საჭიროებს მოსწავლეთა რეალური ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მეცნიერულად დამუშავებულ რეკომენდაციებს, რომელთა დახმარებითაც მოხდება ცოდნისა და უნარ-ჩვევების მონიტორინგი-შეფასება იმ დონეზე, რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს საკუთარ მომავალზე ([www.naec.ge](http://www.naec.ge)).

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა მობილობის დროს სხვადასხვა სკოლიდან საკმაოდ მაღალი ქულებით (7-10) შემოსული მოსწავლეების ნიშნები არ შეესაბამება მათ რეალურ აკადემიურ მოსწრებას. მოსწავლეთა ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (გადასაყვანი კოეფიციენტი მერყეობს 1,2-1,4 –მდე შუალედში, ის დამოკიდებულია სკოლაზე) ე.ი. მასწავლებლები ნიშნებს სუბიექტურად წერენ და ხშირ შემთხვევაში მათი დაწერილი ნიშანი რეალობას არ შეესაბამება.

მაგალითისათვის წარმოგიდგინო ქ. თბილისის წმ. გიორგის საერო სკოლის კურსდამთავრებულთა სტატისტიკას. 2010-2012 წლის განმავლობაში ჩატარებული ექსპერიმენტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო საატესტატო გამოცდებზე რვა საგანში (ქართული, მათემატიკა, უცხოური ენა, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია) მოსწავლეებმა აჩვენეს საკმაოდ მაღალი შედეგები, რაც პედაგოგების მიერ იმავე საგნებში დაწერილ ნიშნებს შეესაბამებოდა. მაგ. მოსწავლე „თ.ხ" - ვერცხლის მედლის კანდიდატი: მას მხოლოდ ერთ საგანში ჰქონდა 9.5 (დამრგვალებელი 10) და გამოცდაზე 7 საგანში მიიღო (დაუმრგვალებელი 10). განვიხილოთ რამდენიმე საჯარო სკოლის მაგალითი.

2011-2012 სასწავლო წელს თბილისის №X საჯარო სკოლის ოქროს მედალოსანს არცერთ საგანში არ მიუღია უმაღლესი შეფასება 10, მისი საშუალო საგამოცდო ქულა 7,5 იყო, ასევე ქ.თბილისის №Y საჯარო სკოლის 15 მედალოსნიდან მხოლოდ ორმა მიიღო შეფასება 10, ისიც ორ და სამ საგანში.



მათი საშუალო საგამოცდო ქულა იყო „8“. აშკარაა განსხვავება რეალურ ცოდნასა და შეფასებას შორის, რის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორიცაა მასწავლებელთა სუბიექტურობა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მასწავლებლები სამინისტროს მიერ შეთავაზებულ შეფასების სქემებს ტრაფარეტულად იყენებენ და ამ საკითხს შემოქმედებითად არ უდგებიან. ასევე შეფასების დროს საერთოდ არაა გათვალისწინებული კლასის ინდივიდუალური საჭიროება.

ექსპერიმენტში (წმ. გიორგის სახელობის საერო სკოლა) მონაწილე დამამთავრებელი კლასის 50 მოსწავლიდან ორი (სსსმ) განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლე იყო. მათი საშუალო ქულა საგნის მიხედვით დამრგვალებულ „8“-ს შეადგენდა. დანარჩენი 19 მოსწავლის ქულა „9“ იყო, ხოლო სკოლის საერთო მაჩვენებელი „9.5“ ქულას შეადგენდა. წინა წლებში კურსდამთავრებული 29 მოსწავლიდან ოთხს მიღებული აქვს 100%-იანი დაფინანსება, ცხრას - 70%-იანი, ოთხს - 50%-იანი, ხოლო ხუთს - 30%-იანი. დანარჩენი მოსწავლეები საკმაოდ მაღალი ქულებით (პირველივე პოზიციით) ჩაირიცხნენ, დაფინანსება ვერ მოიპოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო აღნიშნულ ფაკულტეტებს არ აფინანსებდა.

ექსპერიმენტის ფარგლებში დანერგილმა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემამ სკოლაში არსებული რეალური ხარვეზების (ნიშანსა და რეალურ ცოდნას შორის შეუსაბამობა, მასწავლებლის სუბიექტურობა, ინფორმაციის დამახსოვრებაზე ორიენტაცია, ტერმინოლოგიის აღრევა და სხვა) აღმოფხვრის საშუალება მოგვცა.

მასწავლებელთა მხრიდან მხოლოდ განსაზღვრული ცოდნის გადაცემა არ არის მთავარი. აუცილებელია თითოეული მათგანის შეიარაღება მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასების მეცნიერული მეთოდებით. საყურადღებოა, რომ იან ამოს კომენსკის ნაშრომი „დიდი დიდაქტიკა“ იწყება სიტყვებით: „ჩვენი დიდაქტიკის თავი და ბოლო, დე იყოს გამოკვლევა და გამონახვა ისეთი წესისა, რომ მასწავლებლებმა ცოტა ასწავლონ, მოწაფეებმა კი ბევრი ისწავლონ, სკოლებში იყოს ნაკლები ხმაური, მოდუნება, უნაყოფო შრომა, სამაგიეროდ, მეტი იყოს თავისუფალი დრო, სიხარული და მტკიცე წარმატება; ქრისტიანულ სახელმწიფოში იყოს ნაკლები სიბნელე და არა არევ-დარევა, უთანხმოება, მეტი

სინათლე, წესრიგი, მშვიდობიანობა და სიწყნარე“. (ი.ა. კომენსკი. ”დიდი დიდაქტიკა“, ნაშრომის შესავალი ფურცელი, თბილისი 1949წ.) სკოლას, რომელიც ამ მისიას ვერ ასრულებს და მოსწავლეს ვერ აიარალებს რეალური ცოდნით, უნარ-ჩვევებით, კომენსკი უწოდებს უწყლო წისქვილს.

ჯონ დიუის აზრით, განათლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იდეებისა და გამოცდილების გაზიარებაა. იგი დემოკრატიის მთავარი ინსტრუმენტი, საზოგადოების ზრუნვის უმთავრესი საგანი და სოციალური პროგრესის მთავარი მექანიზმია. ინდივიდუალური და სოციალური მიზნები ერთია, ისევე როგორც განათლების მიზანი და მისი პროცესი. ინდივიდუალური გამოცდილების რეკონსტრუირება მხოლოდ სოციალური შეგნების ფარგლებშია შესაძლებელი. ჯონ დიუის მიხედვით, ამ ორი შემადგენლის ორგანიზებული ურთიერთობაა პიროვნების ფორმირებისათვის აუცილებელი („ჩემი პედაგოგიური კრედო“ (1897), „დემოკრატია და განათლება“ (1916). მისი აზრით, საზოგადოებრივი საქმიანობიდან უმნიშვნელოვანესია აკადემიური თავისუფლების დაცვისთვის ბრძოლა. სწორედ ამ მიზნით, 1915 წელს მისი თაოსნობით დაარსდა უნივერსიტეტის პროფესორთა ამერიკული ასოციაცია. ჯ. დიუი აქტიურად იცავდა ფილოსოფოს ბერტრან რასელს, რომელიც ამორალური აზროვნებისთვის 1940 წელს ნიუ იორკის ქალაქის კოლეჯის პროფესორობიდან დაითხოვეს. მისი თაოსნობით ქვეყნდება რასელის საქმის მასალები. ჯ. დიუის პრაგმატიზმის ფილოსოფიის გავლენა ყველაზე მეტად თანამედროვე ამერიკელ ფილოსოფოს რიჩარდ რორტის ემჩნევა, რომელმაც თითქოსდა მივიწყებული პრაგმატიზმის იდეები კვლავ გააცოცხლა. განათლებაში მისმა გავლენამ პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა „გამოცდილებით სწავლების“ კონცეფციაში და ე.წ. **Outward Bound** („გარეგანად მიმართული“) სკოლების გაერთიანებაში ფართოდ დაინერგა. ასევე „გამოცდილებით სწავლების“ პრინციპებია გატარებული დღეს ამერიკის საგანმანათლებლო სისტემაში. მაგალითად, პროგრამები: სწავლა თავგადასავლებით, სწავლა სერვისით და სხვა. პროგრესივისტული განათლების ერთ-ერთი უმთავრესი გაერთიანებაა ამერიკაში ტ. საიზერის თაოსნობით დაარსებული ძირეული სკოლების კოალიცია,

რომელიც ხელს უწყობს ჯ. დიუის სწავლების პრინციპების გატარებას ამერიკულ სკოლებში (Coalition of Essential Schools).

საინტერესოა დ. უზნაძის, როგორც სკოლის დირექტორის, უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული გამოცდილება. მან, თავისი მუშაობის ადრეულ ეტაპზე, შემოგვთავაზა მოსაზრება სასწავლო პროცესიდან ციფრებით შეფასების განდევნის შესახებ. მას მიაჩნდა, რომ ასეთი შეფასება, როგორც წესი, სუბიექტურ ხასიათს ატარებს და ხელს უშლის მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნას. სწორედ ნდობისა და სიყვარულის ატმოსფეროა აუცილებელი, რათა ბავშვის გულიც და ცნობიერებაც ღია იყოს იმისთვის, რაც ბავშვს მიეწოდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დ. უზნაძე ამ მოსაზრებას ბოლომდე არ გაჰყოლია. ფაქტი ერთია, ნიშანთან დაკავშირებული საკითხები დღესაც ძალზედ აქტუაა ლური და, ამავე დროს, საკამათოა.

შ. ამონაშვილი მიიჩნევს, რომ შეფასების სისტემა, რომელსაც საკლასო ოთახში გამოიყენებს მასწავლებელი, აუცილებელია ხელს უწყობდეს მოსწავლეებში დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების განვითარებას, უნდა ეხმარებოდეს და ზრდიდეს მოსწავლეთა სწავლის პროცესში ჩართულობის ხარისხს, მაგრამ ტოტალიტარულ სახელმწიფოში ძალიან ბევრი ადამიანი მიიჩნევდა, რომ უნიშნო შეფასება უაზრობაა, მის გარეშე სკოლა უმართავი გახდება. ამ შეხედულებების მიუხედავად, შ. ამონაშვილმა დაამტკიცა საწინააღმდეგო აზრი. «Баллы не только бесполезны для учителя, но и прямо вредны. без баллов учитель чувствует себя гораздо увереннее и спокойнее. Постановка баллов отвлекает преподавателя от самого важного, превращая живой урок в скучное, сухое и никому не нужное «выспрашивание»». (Амонашвили.Ш. «Воспитательная и образовательная функция оценки учения школьников». педагогика. Москва. 1984 г. ст. 81). სასწავლო პროცესში უნიშნო სწავლებით მან მიაღწია მოსწავლეებში სწავლის მოტივაციისა და აკადემიური დონის ზრდას, მაგრამ მისი შედეგები ეხებოდა მხოლოდ დაწყებით საფეხურს. მისი იდეები დღეს წარმატებით არის დანერგილი საქართველოს სკოლების I-IV კლასებში.

დ. უზნაძის, შ. ამონაშვილის, ვ. სუხომლინსკის, გ. ვიგინსის, ფ. ნიუმენის, ა. კროუფორდის, პ. ოპოლოვის და სხვათა მოსაზრებების გაანალიზებისა და

დამუშავების საფუძველზეა წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ექსპერიმენტული ნაწილი. შეიძლება, დავასკვნათ, რომ დღის წესრიგში დგას მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების არა მექანიკური, არამედ ინდივიდის საჭიროებაზე მორგებული მრავალასპექტიანი, ეფექტური სისტემის შემუშავება და დანერგვა სკოლებში.

ჩვენი აზრით, „სკოლა ცხოვრებისათვის უნდა ამზადებდეს ახალგაზრდობას.“ უმეტეს შემთხვევაში ეს შეხედულება გაიგივებულია იმ აზრთან, რომ სკოლამ მოსწავლე უმაღლესისთვის უნდა მოამზადოს. ამ მცდარი აზრის ჩამოყალიბებაში ბრალს ვერ დავდებთ მხოლოდ ოჯახს, რადგან მას ხელი არ მიუწვდება მოსწავლის ინტელექტუალური უნარის, ნიჭიერების მეცნიერულ შეფასებამდე. მეცნიერებაში, განსაკუთრებით კი პედაგოგიკურ მეცნიერებაში, თითქმის არაფერს ვლავარაკობთ მოსწავლის ნიჭიერების გამოკვლევა-დადგენაზე. ადამიანები ნიჭიერების მიხედვით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რომ დავუშვათ სასწაული და ჩამოყალიბდეს ადამიანთა საზოგადოება, რომელშიც ყველა ყველასთან იქნება გათანაბრებული შექმნილი სიკეთის განაწილება-მოხმარებაში, მათ შორის ნიჭიერების მიხედვით, განსხვავება მაინც იქნება.

ნიჭიერების დადგენისა და სწავლებაში მისი გათვალისწინებისათვის ი.ა. კომენსკი წერდა: „თითოეულს თავისებურად უნდა მოექცე და არ შეძლება ერთნაირად გამოიყენო რაიმე მიზნისთვის, ასეა ადამიანის ნიჭიც. მოიპოვებიან ისეთი ბედნიერებიც, რომლებიც ყველაფერს ჩაწვდებიან, მაგრამ არანაკლებად გვეჩვენებიან ისეთებიც, რომლებიც რიგ საგნებში საკვირველ გონებაჩლუნგობას იჩენენ, ზოგი განყენებულ მეცნიერებაში ნამდვილი არწივია, ხოლო პრაქტიკული სიბრძნის თვალსაზრისით ისეთია, როგორც ვირი ჩანგის დაკვრაში. მეორეს ყველაფრის ნიჭი აქვს, მაგრამ მუსიკაში უჭირს, ასევე ემართება ზოგს მათემატიკაში, ზოგს პოეზიაში, ზოგს ლოგიკაში და როგორ უნდა მოვიქცეთ აქ? არ უნდა ვუბიძგოთ მოსწავლეს იმისკენ, რაც მის ნიჭს არ შეეფერება, რადგან ეს ბუნებასთან ბრძოლა იქნებოდა, ხოლო ბუნებასთან ბრძოლა ფუჭი საქმეა“. (ი.ა. კომენსკი, „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“ ტომი I, „დიდი დიდაქტიკა“, თავი XIX, თბილისი 1949წ. გვ.215). იან ამოს კომენსკი ამ შემთხვევაში ორიენტირად

იღებს იმას, რომ „არაფერი არ უნდა ვასწავლოთ მხოლოდ სკოლისათვის, არამედ ცხოვრებისათვის“ (იქვე, თავი XIX, გვ.215), ამიტომ სკოლა უნდა დაეუფლოს ისეთ მეთოდოლოგიას, რომელიც მას მისცემს შესაძლებლობას და უფლებას, განსაზღვროს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობათა პოტენციალი და საუნივერსიტეტო განათლებისათვის დასაბუთებული რეკომენდაცია მისცეს სათანადო ნიჭის ახალგაზრდებს. სკოლის იმიჯი ამ პირობების გათვალისწინების გარეშე, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხანაში, ვერ დააკმაყოფილებს მოსწავლეთა მოთხოვნებს. სკოლამ მოსწავლეთა ინტელექტუალურ მომზადებას სწორი შეფასება უნდა მისცეს, მათი სურვილები და შესაძლებლობები სწორი გზით მიმართოს და დააკვალიანოს. ბუნებრივია, ეს პრობლემაც მოსწავლეთა რეალური ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტური შეფასების არეალში შედის.

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებაში წარმოქმნილი პრობლემა გამოწვეულია მასწავლებლის მწირი ფსიქოლოგიური განათლებით. სამწუხაროდ, მომავალი მასწავლებელი ფსიქოლოგიური განათლების მიღებაზე ფიქრს და ზრუნვას უნივერსიტეტშივე ამთავრებს ზოგად ფსიქოლოგიაში გამოცდების ჩაბარებისთანავე. ვინც კარგად იცნობს კლასიკურ პედაგოგიკას, მისთვის ნათელია, რომ სკოლის მასწავლებელი კარგად უნდა ეუფლებოდეს ფსიქოლოგიურ განათლებას, რათა მან შეძლოს მოსწავლეთა აზროვნების, ინტერესების, მიდრეკილებების, შესაძლებლობების მიხედვით მათი მომზადება ცხოვრებისათვის. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ადეკვატური შეფასების სისტემის შემუშავების საფუძველი უნდა იყოს არა ცოდნის დაგროვება, არამედ ცოდნის შეძენის უნარის განვითარება. მოსწავლისათვის ფასეულია ისეთი ცოდნა, რომელიც მას განაწყობს ფიქრისა და აზროვნებისათვის. ი.ა. კომენსკი მოსწავლეთა წესიერად აღზრდილობის კრიტერიუმად მათში გაგების უნარის განვითარება-ჩამოყალიბებას თვლის: „ახალგაზრდობის წესიერად აღზრდა არ ნიშნავს იმას, რომ თავში ჩავუტენოთ ავტორებისაგან ამოკრეფილი სიტყვების, ფრაზების, გამონათქვამების, აზრების ნარევი, არამედ ნიშნავს იმას, რომ განვუვითაროთ მას საგანთა გაგების უნარი, რათა სწორედ ეს უნარი გახდეს იმ ცხოველწყაროდ, საიდანაც ცოდნის

ნაკადულები გადმოინდობა“ (ი.ა. კომენსკი, ”რჩეული პედაგოგიური თხზულებანი” ტომი I, „დიდი დიდაქტიკა“, თავი XVIII, თბილისი 1949წ. გვ.215).

საბჭოთა პედაგოგიკა ეფუძნებოდა ავტორიტარულ სასწავლო პროცესს და ითვალისწინებდა მხოლოდ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების „გაზომვის“ პარადიგმას. დღეს კი, მოსწავლეზე ორიენტირებულ სკოლაში, შეფასების დემოკრატიული პრინციპები და მეთოდები ინერგება, თუმცა ეს საკითხი, როგორც სასწავლო პროცესთან, ასევე შეფასებასთან დაკავშირებით, ბოლომდე არ არის გათვითცნობიერებული საგანმანათლებლო სისტემაში მოღვაწე სტრუქტურული რგოლების მიერ.

საქართველოში გასული საუკუნის 20-იან წლებში დ. უზნაძეს, შემდეგ კი 70-იან წლებში შ. ამონაშვილს ჰქონდათ შეფასების ზუსტი პარადიგმების განსაზღვრის მცდელობა, თუმცა იმ პერიოდის ავტორიტარული რეჟიმისა და სისტემაში არსებული ბიუროკრატიის ფონზე პროგრესულ აზრს არ მიეცა განვითარების საშუალება და არც მათ მცდელობებს მოჰყოლია გამოხმაურება. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების პარადიგმების შემუშავება და შესწავლა-გაანალიზება სრულყოფილად ვერ მოხერხდა. შესაბამისად, ამ საკითხს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს და შეიძლება ითქვას, რომ ის საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

შეფასების როლი და დანიშნულება, მისი გავლენა მოზარდის პიროვნებად ფორმირების პროცესზე მასწავლებლების მნიშვნელოვან ნაწილს გააზრებული არ აქვს. მათი უმრავლესობა ძირითადად, შეფასების მხოლოდ ერთ (გაზომვა) და იშვიათად ორ (გაზომვა, განვითარება) პარადიგმაზე ამახვილებს ყურადღებას. შეფასების აღმზრდელობითი ფუნქცია თითქმის იგნორირებულია. ამ უკანასკნელის წინსვლის ხელისშემშლელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეფასების მიდგომებს, პრინციპებსა და ნიშნის გამოყვანის სისტემას შორის შეუსაბამობა.

მას შემდეგ, რაც გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა იმ მიზეზებსა და მიზნებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო ჩვენს კვლევას, მასწავლებლებს ვთავაზობთ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ტიპებსა და მათ შესაბამის ფუნქციებს, შეფასების

მეთოდებს, სტრატეგიებს, საშუალებებს, ეფექტური შეფასების მახასიათებლებს, მოსწავლეთა მრავალმხრივი შეფასების თანმიმდევრულ სისტემას, ასევე შეფასების პედაგოგიურსა და ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, რაც მათ დაეხმარება, შეფასების არსისა და დანიშნულების გააზრებასა და გაცნობიერებაში, რის შედეგადაც პედაგოგები შეძლებენ, დანერგონ მოსწავლეთა აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემა.

ჩვენი თემის ამ ცალკეული ასპექტების კვლევის გარდა დისერტაცია მიზნად ისახავს საერთაშორისო მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნის შეფასების სისტემების, მეთოდების, პარადიგმების საფუძვლების აღწერას და ამ საკითხებთან შინაარსობრივად დაკავშირებული დიდაქტიკური და ფსიქოლოგიური ცნებების დადგენას.

ყველასათვის ცნობილია, რომ „ნიშანი“ არის სწავლის პროცესის შედეგის ფორმალური ასახვა. ის მხოლოდ ცოდნის ოდენობის საზომია და არა უნარ-ჩვევების, ან დამოკიდებულებებისა. ყოველი ცუდი ნიშნის მიღება მოსწავლისათვის სასტიკ სასჯელს წარმოადგენს. პედაგოგი ვ. სელენსკი ილაშქრებდა ნიშნით ცოდნის შეფასების წინააღმდეგ, ნიშნებს თვლიდა მასწავლებელსა და მოსწავლეს, მშობელსა და ბავშვს, თანაკლასელებს შორის დაძაბული დამოკიდებულების მიზეზად. იგი წერდა: „ეს დაძაბულობა ვლინდება ხან აღმაცერი გამოხედვით, ხმამაღალი ტონით, ხან მხრების აჩეჩვით, ხან დუმილით-ბავშვთან გაბუტვით, ხან კიდევ უფრო მკაცრი ფორმებით: ბავშვს ტოვებენ უსადილოდ სკოლაში... არ უშვებენ სასეირნოდ, სტუმრად, თეატრში, ართმევენ საინტერესო წიგნებს, საყვარელ სათამაშოებს, უკრძალავენ, მოიწვიოს თავისთან ამხანაგები და, ბოლოს, სცემენ...“ გადის საუკუნეები, მაგრამ აღნიშნული პრობლემა დღესაც აწუხებს მოსწავლეს და თანამედროვე სკოლის პრობლემად რჩება. თითქოსდა შეიცვალა შეფასება, შემოვიდა „ხუთბალიანის“ ნაცვლად „ათბალიანი“ სისტემა, მაგრამ პრინციპები, მეთოდები, საზოგადოების დამოკიდებულება, ნიშნის გამოყვანის სისტემა (საშუალო არითმეტიკულით) უცვლელია. სწორედ ამიტომ, რომ პიროვნების ფორმირებაზე საბჭოთა სკოლაში შეფასებას საზიანო გავლენა ჰქონდა, აქვს დღეს და ექნება მომავალშიც, თუ ამ კუთხით ფუნდამენტური ცვლილებები არ

განხორციელდა. არსებული შეფასების სისტემა მოსწავლეში სწავლისადმი დადებით ემოციებსა და დამოკიდებულებებს ვერ აღძრავს.

### **კვლევის მიზანი:**

დავასაბუთოთ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფუნქცია (აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და განმავითარებელი, დიაგნოსტიკური, შემაჯამელი), განვსაზღვროთ მათი ძირითადი პარადიგმები, ვაჩვენოთ შეფასების დაგეგმვის მნიშვნელობა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში და ეფექტური შეფასების სისტემის დანერგვის პროცესში.

### **კვლევის ამოცანები:**

ნაშრომში ჩვენი საკვლევი პრობლემა სამ თემატურ შრედ გვაქვს წარმოდგენილი:

- 1) მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემის შესახებ საქართველოს სკოლებში არსებული სიტუაციის შესწავლა, ახალი შეფასების პარადიგმების განსაზღვრა.
- 2) მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების საკანონმდებლო ბაზის (ეროვნული სასწავლო გეგმა), საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემის დანერგვის გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება.
- 3) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემის სრულფასოვანი მექანიზმების შემუშავება და პიროვნების ფორმირების პროცესში მათი პრაქტიკული ღირებულებების განსაზღვრა.

შესაბამისად, ნაშრომში ვრცლად გვექნება საუბარი ჯერ თანამედროვე სკოლებში არსებული ვითარების შესახებ, გამოვყოფთ იმ მახასიათებლებსა და პრინციპებს, რომლებსაც ეყრდნობა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ეფექტური სისტემა და ვიმსჯელებთ, რა გავლენას ახდენს ის მოზარდის პიროვნებად ფორმირებასა და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე. ხოლო ნაშრომის მეორე ნაწილში ვისაუბრებთ სახელმწიფო დონეზე სკოლის საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებებზე.



### კვლევის ჰიპოთეზა:

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემის სწორად შერჩევა მოსწავლეებში გაზრდის შემეცნებით აქტიურობას, დამოუკიდებლად სწავლის მოტივაციას, პასუხისმგებლობას და ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელ შეფასებას აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო, განმავითარებელი, ხოლო განმსაზღვრელ შეფასებას შემაჯამებელი ფუნქცია აქვს.

ამ მიზნით განისაზღვრა მოსწავლეთა აკადემიური ზრდის მაჩვენებლები სემესტრების მიხედვით; გავანალიზეთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების როლი, მასზე მოქმედი ფაქტორები. ჩამოყალიბდა მასწავლებელთა კომპეტენციები, რათა მათ შეძლონ მოსწავლეთა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ეფექტურად შეფასება. ექსპერიმენტის შედეგად გაკეთდა დასკვნები:

ჩვენი შეხედულებით უნდა დამუშავდეს ახალი კონცეფცია „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების“ შესახებ და წარედგინოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეკომენდაციოდ სკოლის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით. კონცეფცია „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების“ შესახებ ემყარება მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ახალი სისტემის მომზადებას და საქართველოს სკოლებში დანერგვას. ამისათვის კი საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების“ დემოკრატიული და ჰუმანური სისტემის საკანონმდებლო ბაზის შემუშავება;
- სკოლის პედაგოგების გადამზადება და სათანადო საგანმანათლებლო ლიტერატურის შექმნა;
- „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების“ სისტემის დანერგვა სკოლაში. „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების“ სისტემის სკოლაში ეფექტური დანერგვა საჭიროა იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს დემოკრატიული და მოსწავლის

განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მოსწავლეთა შესაძლებლობების თვითრეალიზების მიზნით;

- სკოლაში შეიქმნას უსაფრთხო სასწავლო გარემო და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დროულად მოხდეს ინდივიდუალური პრობლემების (სწავლაში ჩავარდნები) დაძლევა;
- განხორციელდეს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგების მუდმივი მონიტორინგი მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობის, მოტივაციის ასამაღლებლად და სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად.

ჩვენი სადისერტაციო კვლევა ემსახურება „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების” არსებული სისტემის დახვეწას. ჩვენ ახლებურად წარმოვადგენთ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების ტიპს სრულყოფილი შინაარსით, საინტერესო გააზრებით, ყველა ძირითადი პრინციპისა და ფუნქციის გათვალისწინებით, სადაც „ნიშანი გამჭრალია” სასწავლო პროცესში.

#### **კვლევის მეთოდები:**

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდები:

- სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის მეთოდი;
- საექსპერიმენტო ჯგუფის მოსწავლეთა (ცოდნის, უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებების) განვითარების პროცესზე დაკვირვების მეთოდი;
- საუბრისა და ანკეტირების მეთოდი;
- მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი.

#### **კვლევის ობიექტი:**

ქ.თბილისის წმიდა გიორგის საერო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები;

#### **კვლევის შედეგები:**

სადისერტაციო თემის ცალკეული ნაწილები სამეცნიერო ნაშრომის სახით წარმოვადგინეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტზე, პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა ყოველწლიურ სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებზე.

კონფერენციები:

1. „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება“; შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების ფაკულტეტი; დოქტორანტთა კონფერენცია, მოხსენება, ბათუმი 2009წ.
2. „წიგნიერების ახალ მიჯნაზე“- მოხსენება თემაზე: „მოსწავლეთა მრავალმხრივი შეფასების სისტემა: განათლების მიზნებიდან - მოსწავლის მიღწევებამდე“ კითხვის საერთაშორისო ორგანიზაცია და ასოციაცია “სკოლა-ოჯახი-საზოგადოება”. ქ.თბილისი 2010წ.
3. „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმები“; შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, განათლების ფაკულტეტი; დოქტორანტთა კონფერენცია, მოხსენება, ბათუმი 2010წ.
4. „როგორ ავამაღლოთ შემოქმედებითობა, მოტივაცია და სწავლის ხარისხი“. ევროპის კითხვის საერთაშორისო კონსორციუმი. კონფერენცია, სესიის წამყვანი, ქ. ბუდაპეშტი 2010წ.
5. „სკოლის პორტფოლიო და მისი დანიშნულება“. საქართველოს საპატრიარქო “წიგნიერი მომავალი თაობა“; მოხსენება და სესიის წამყვანი, ქ. თბილისი. 2011წ.
6. „კითხვის უნარების შეფასება“. კითხვის საერთაშორისო ასოციაციის ევრაზიის კომიტეტი. კონფერენცია, სესიის წამყვანი, ქ. ალმა-ათა 2011წ.

ტრენინგ-სემინარები:

1. „წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნებისათვის" შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორ-მასწავლებლებისათვის, . ბათუმი 2010წ.
2. „სწავლისა და განვითარების თეორიები, როგორც განმავითარებელი შეფასების ძირითადი საფუძველი.“ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის, ქ. ბათუმი 2010წ.
3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები 2010-12 სასწავლო წელი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. პედაგოგთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

4. „ეფექტური შეფასების სისტემის შემუშავება.“ წმ. გიორგის სახელობის საერო სკოლა. ქ. თბილისი 2011წ.

5. „შეფასება და დაგეგმვა“ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ცენტრი და ასოციაცია”სკოლა-ოჯახი-საზოგადოება.“ ქ.თბილისი 2010-2011წ.

სტატიები და გამოცემები (შემუშავებული პროგრამები):

1. ახალი ხედვა შეფასების შესახებ, რსუ, ბათუმი, 2009, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, შრომები, XIV, ბათუმი, 2009.

2. ცოდნის ნიშანზე შეფასების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები (თანაავტორობით), ბსუ, ფსიქოლოგიური გამოკვლევები, კრებული, მე-6, ბათუმი, 2013წ.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის IV თავის „მოსწავლეთა შეფასების სისტემა“ - ანალიზი, ბსუ, ფსიქოლოგიური გამოკვლევები, კრებული, მე-6, ბათუმი, 2013წ.

4. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების საკითხი ევროპისა და ამერიკის სკოლებში, ბსუ, ფსიქოლოგიური გამოკვლევები, კრებული, მე-6, ბათუმი, 2013წ.

5. განწყობა, შორეული მოტივაცია და სწავლა (თანაავტორობით), საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე(კონფერენციის მასალები), საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2013წ.

6. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების ფსიქოლოგიური ასპექტები. აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტი „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“(მონფერენციის მასალები), ქუთაისი 2013წ.

7. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების „მშობელთან მიმოწერის დღიური“ დაწყებით, საბაზო და საშუალო კლასებში, „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“, 2009-2010-2011 წწ.

8. კითხვისა და წერის ეფექტური მეთოდები – „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“ - 2007წ.

9. პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგების აკრედიტებული კურსის „შეფასება და დაგეგმვა“ (პედაგოგთა პროფესიული განვითარების ცენტრი), პროგრამა და დასარიგებელი ჰენდაუთები. „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“ - 2010-2011 წწ.

## თავი I

### მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების

#### ისტორიისათვის

##### 1.1 მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების საკითხი ევროპისა და ამერიკის სკოლებში

შეფასება იმ დროიდან არსებობს, როცა გაჩნდა ცნებები მასწავლებელი–მოსწავლე, მხოლოდ განსხვავებული იყო მისი გამოხატვის ფორმები: სიტყვიერი კომენტარი ან შესაბამისი ქცევა, ქმედება. ამ პერიოდისათვის, რა თქმა უნდა, შეფასების მეთოდები, მექანიზმები, სტრატეგიები სისტემურად არ იყო დახვეწილი და არც დიდაქტიკური საფუძვლები იყო შესწავლილი, თუმცა კაცობრიობა ინტელექტუალურად ვითარდებოდა. მოსწავლეთა შეფასების მეთოდები და სტრატეგიები, როგორც სასწავლო პროცესის შემადგენელი აუცილებელი ნაწილი, სათავეს იღებს XV საუკუნიდან.

საუკუნეების განმავლობაში მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში განსხვავებული აზრები ფიქსირდებოდა. ვ. სელენსკიმ, ს. შაცკიმ, დ. უზნამემ თავისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე და შ. ამონაშვილმა გაილაშქრეს ცოდნის ნიშნით შეფასების სისტემის წინააღმდეგ. მათი ძირითადი არგუმენტები იყო: ნიშნებით შეფასების სისტემა არის მასწავლებელსა და მოსწავლეს, მშობელსა და ბავშვს, თანაკლასელებს შორის დაძაბული დამოკიდებულების შექმნის მიზეზი და კონფლიქტების სათავე, ნიშნებით შეფასება არის არაობიექტური, არ ჩანს მოსწავლის არც ცოდნა და არც დახარჯული ენერჯია, სწორედ ამის ლოგიკური გაგრძელებაა შეფასებისადმი პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების უარყოფითი დამოკიდებულება, ეს პრობლემა საბოლოოდ და ერთმნიშვნელოვნად დღესაც არ არის გადაწყვეტილი, ამიტომ საჭიროდ მივიჩნით ამ კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელი გზის ძიება.

პედაგოგიკის თეორია იცნობს შეფასების მრავალფეროვან ფორმებს: იყო თორმეტბალიანი, ხუთბალიანი, ათბალიანი სისტემები, აგრეთვე სიტყვიერი

ფორმით დაწყებული და დამთავრებული ტესტებით, რეიტინგულ-დაგროვებითი სისტემითა და სხვა. მიუხედავად ამ სხვადასხვაობისა, შეფასების ყველა ფორმა გამოხატავს საზოგადოების მიერ დეკლარირებულ ნორმასთან მოსწავლის განათლების დონის შესაბამისობას. მასში მოიაზრება რამდენიმე პარამეტრი:

პირველი – საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, თუ რამდენადაა მზად პიროვნება სწავლების შემდეგი ეტაპის სირთულეების დასაძლევად. მეორე – რამდენად შეუძლია თანატოლებსა და საზოგადოებაში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება და თვითდამკვიდრება. მესამე – მოსწავლეს განათლების ყველა ეტაპზე ესაჭიროება შეფასება, როგორც მისი განვითარების დონის განსაზღვრისა და წახალისების საშუალება, საზოგადოებას კი, როგორც პიროვნების დამოუკიდებლობის მაჩვენებელი.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემა სრულყოფილად არის წარმოდგენილი იეზუიტური ორდენის სკოლაში (XVI-XVII საუკუნე). მოსწავლეები დაყოფილნი იყვნენ თანრიგებად, რომლებიც გამოისახებოდა ციფრებით. იმ დროისათვის ერთიანი გამოსახავდა ყველაზე მაღალ შეფასებას. სკოლაში ტარდებოდა ყოველწლიური გამოცდები, რომლის შედეგადაც ვლინდებოდნენ საუკეთესო მოსწავლეები. მოსწავლეები მიღწეული შედეგების მიხედვით კომპლექტდებოდნენ კლასებში. მათი წახალისებისათვის ყოველთვიურად ტარდებოდა კონკურსი შემოქმედებით წერაში. დაბალი თანრიგიდან მაღალში გადასვლა მოსწავლეებს გარკვეულ პრივილეგიებსა და უპირატესობას ანიჭებდა. საუკეთესოებს არჩევდნენ და მიამაგრებდნენ მენტორს (გამოცდილი პედაგოგი). მათ 3-5 წლის განმავლობაში ამზადებდნენ სკოლის პედაგოგად და მხოლოდ ამ კურსის დასრულების შემდეგ შეეძლოთ დამოუკიდებლად მუშაობა. ([www.Historyofpedagogy.ru](http://www.Historyofpedagogy.ru)).

XVII საუკუნის ბოლოს არსებობდა იეზუიტური სკოლების ქსელი. იმ დროისათვის ევროპის ტერიტორიაზე 800 საკმაოდ წარმატებული სკოლა და 20 უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა. თავდაპირველად გაკვეთილები ტარდებოდა ლექციებისა და დისპუტების ფორმით. სწავლება ჰუმანურ პრინციპებს ეფუძნებოდა. სკოლაში იქმნებოდა მოსწავლის შესაძლებლობებზე გათვლილი ინდივიდუალური პროგრამები, XVIII საუკუნის ბოლოს დაიწყო

იეზუიტური სკოლის გარდაქმნა, დემოკრატიულ საწყისებზე გადასვლა, რაც გულისხმობდა ვაჟებისა და ქალების ერთად სწავლებას. 8-10 წლიანი სასწავლო პროცესიც ამ დროისათვის იღებს საწყისებს, იცვლება საგაკვეთილო სტრუქტურა, მიმდინარეობს ჯგუფური მუშაობები, მოსწავლეებში საკომუნიკაციო უნარებისა და აზროვნების განვითარებას ექცევა ძალიან დიდი ყურადღება. ინერგება სასწავლო პროცესში სასკოლო გეგმები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ აღზრდას.

XIX საუკუნის დასაწყისში ნელ-ნელა დაიწყო სკოლების გამოყოფა ეკლესიისგან, რაც დასრულდა „ფალუს“ ხელშეკრულებით და სკოლები სახელმწიფო დაქვემდებარებაში გადავიდა. ამის გამო ძალიან შესუსტდა სწავლა-აღზრდის პროცესი. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო მოზარდის აზროვნების განვითარებაზე. ([www. Historyofpedagogy. ru](http://www.Historyofpedagogy.ru)). იეზუიტების ორდენის სკოლებს დიდ შეფასებას აძლევდნენ ფ. ბეკონი, რ. დეკარტე და ი. შტურმი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ სწორედ ამ სკოლებმა მისცეს დასაბამი სკოლის სისტემურ განვითარებას. იეზუიტური ორდენის სკოლების ძირითადი პრინციპების საფუძველზე იქმნება სკოლები პრუსიაში, ინგლისსა და ამერიკაში. დღესაც ძალიან ბევრი ტრადიციული სკოლა ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს.

გადის დრო და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების მიმართ ჩნდება განსხვავებული შეხედულებები, უკმაყოფილებას გამოთქვამენ მოსწავლეები. მათ მიაჩნიათ, რომ შეფასება ხშირად არაობიექტურია. ქულები მოსწავლეთა ინდივიდუალურობის რანჟირების საშუალებას არ იძლევა. სწორედ ამ განსხვავებული შეხედულებების საფუძველზე XX საუკუნის ბოლოს დაიწყო ექსპერიმენტები ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში. ჩამოყალიბდა განსხვავებული ხედვა შეფასებასთან დაკავშირებით. ექსპერიმენტის ავტორებმა უარი თქვეს მხოლოდ ნიშნებით შეფასებაზე. მათთვის საკლასო საქმიანობები გახდა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების ძირითადი ორიენტირი. მაგალითისათვის განვიხილოთ კალიფორნიის შტატის პედაგოგების გამოცდილება სხვადასხვა დისციპლინაში: ბუნებისმეტყველება და მათემატიკა.

**ბუნებისმეტყველება.** მასწავლებელი ქეთი კლინესტეკერი (კოტონ ვუდის ევაგრიინის სკოლა) იყენებს აუთენტურ შეფასებას. თემის ამოწურვის შემდეგ

მოსწავლეები წერენ სტატიას სხვა კლასების მოსწავლეებისათვის (მათზე უფროსებისათვის, უმცროსებისათვის ან თანატოლებისათვის), უხსნიან მათ თემის კონცეფციას, ძირითად პრინციპებს, მოჰყავთ პრაქტიკული მაგალითები და სხვა. მაგალითად, მეექვსე კლასელებმა დაწერეს წიგნი მეოთხე კლასელებისათვის, რომელშიც უხსნიდნენ ვარსკვლავურ ციკლს. იქმნება მოსწავლეთა ერთობლივი ჯგუფები, რომელშიც ნაწილდება ფუნქციები და საქმიანობები. მასწავლებელი შეფასების დროს უპირატესობას ანიჭებს მოსწავლეთა მიერ შექმნილ ნამუშევრებს.

**მათემატიკა.** მენდოკინოს საშუალო სკოლაში მოსწავლეების შეფასება მათემატიკისა და მეცნიერების მასწავლებლის (კორი ვისნია) სტრატეგიით მიმდინარეობს. შეფასების კრიტერიუმად აღებულია: სპეციფიკური კონცეფციებისა და/ან თემასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა, აგრეთვე ნასწავლის პრაქტიკაში დანერგვის უნარ-ჩვევები. ერთ–ერთი გზა, რომლითაც მასწავლებელი ვისნია მოსწავლეთა ცოდნის შეძენასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას აღწევს მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში – არის პროექტების საშუალებით სწავლება. ეს სასწავლო პროექტები შეიძლება გამოდგეს, როგორც მოსწავლეთა შეფასების საშუალება და ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების საბოლოო საზომი. ([The Black Plague - Classroom Simulation](#))

მოსწავლეებმა შეისწავლეს წესები, კონცეფციები, კანონზომიერებები კონკრეტული თემის შესახებ. მისი დასრულების შემდეგ კორი ვისნია მათ დავალებად აძლევს პროექტებს, რათა უკეთ ჩაწვდნენ თემის ძირითად არსს. მაგალითად, იმისათვის, რომ მათემატიკაში ფართობსა და პერიმეტრს შორის დამოკიდებულებები გაეაზრებინათ მოსწავლეებს, მასწავლებელმა ვისნიამ სთხოვა კლასს, გამოეყენებინათ შესწავლილი მასალა და „შეედგინათ 1250 კვადრატული ფუტის ოცნების სახლის მოდელი, შეერჩიათ მასშტაბი და შეექმნათ გეგმა“. ეს სტრატეგია ეხმარება მასწავლებელ ვისნიას, შეაფასოს, თუ რა ცოდნა შეიძინეს მოსწავლეებმა მოცემული თემის შესახებ. როცა ის ფიქრობდა, რომ თემის შესწავლის პროცესში მოსწავლეები სრულიად ჩაწვდნენ ფართობისა და პერიმეტრის ურთიერთდამოკიდებულებას, სინამდვილეში აღმოაჩინა, რომ



მათ გაცილებით მეტი ისწავლეს პროექტის შესრულების დროს, რადგან ისინი ცდილობდნენ, პასუხი გაეცათ სპეციფიკურ შეკითხვებზე: რამდენი კვადრატული ფუტი უნდა იყოს სააბაზანო? საერთო ფართის რა ნაწილს დაიკავებს ის? როგორი იქნება მისი პერიმეტრი, მოცულობა და სხვა” ( [Why Should Assessment Be Based on a Vision of Learning?](#))

შეფასება პროექტებით, ქულებით შეფასებასთან შედარებით, გაცილებით მეტს აძლევს მოსწავლეებს, რადგან ამ ტიპის შეფასების დროს მოსწავლეები ახერხებენ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და ისინი თვალნათლივ ხედავენ, რა გამოსდით კარგად და რა აქვთ გასაუმჯობესებელი. ამავე დროს ეძლევათ საშუალება, სწავლაში არსებული ჩავარდნები გამოასწორონ. პროექტებით შეფასების დროს, გარდა იმისა, რომ მოსწავლეები თავადვე აანალიზებენ სწავლაში დაშვებულ შეცდომებს, მასწავლებლისგანაც იღებენ სიტყვიერ რჩევებსა და კომენტარებს ხარვეზების გამოსასწორებლად.

ჰერდვიკში (ვერმონტის „ჰაზენის უნიონ სკოლაში“), მათემატიკის მასწავლებელი ჯინ ჰეკეტი ჯგუფური პროექტების შეფასებაზე ამახვილებს ყურადღებას. ის წახალისებს თითოეულ ჯგუფს, გამოიყენონ სხვადასხვა მიდგომა პრობლემის გადასაჭრელად. მასწავლებელი თვლის, რომ ამ შემთხვევაში მოსწავლე ინდივიდუალურსა და ჯგუფურ პასუხისმგებლობას იღებს პროექტის შესრულებაზე. იმის ნაცვლად, რომ მოსწავლეებს ორი რიცხვი მარტივი გაანგარიშების გამოყენების მიდგომით გაამრავლებინოთ, უმჯობესია, მათ ისეთი ამოცანა მისცეთ, რომელთა ამოხსნაც მხოლოდ მონაცემების შეკრებით და გამრავლების გამოყენებით შეუძლიათ. ამ პროექტების დასრულების შემდეგ თითოეული ჯგუფის მოსწავლეებს ჰეკეტი მხოლოდ წესების ცოდნით კი არ აფასებს, არამედ შეუძლია შეაფასოს მათი ლოგიკური აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზებისა და სტრატეგიების ძიების უნარები. უნარი,

ამ მაგალითებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამერიკის და ევროპის ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მიერ მიღწეულ შედეგებს. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება და შეფასება მიმდინარეობს ტესტებით, ზეპირი პრეზენტაციებითა და სხვადასხვა პროექტით.

ისინი ინდივიდუალურად ან ჯგუფურად გამოსცემენ წიგნებს, ადგენენ ამოცანებს, ტესტებს, რომლებსაც იყენებენ მასწავლებლები, მოსწავლეებს კი შესრულებული საქმიანობის ხარისხით აფასებენ. მათ ყოველმხრივ შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, მაგრამ მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადასაყვანად ტარდება სასკოლო გამოცდები, რის საფუძველზეც, დგინდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონის სახელმწიფო მოთხოვნებთან შესაბამისობა. გამოცდები მიმდინარეობს სკოლის წარმომადგენლების მიერ შემუშავებული სხვადასხვა ტიპის ტესტით. დამამთავრებელ კლასში კი ტარდება სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული გამოცდა. ამით სახელმწიფო აფასებს მოსწავლის ცოდნის სტანდარტთან შესაბამისობას. დადებითად ჩაბარების შემთხვევაში გაიცემა სახელმწიფო მოწმობა– „ატესტატი“.

ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასება მოსწავლეთა განვითარების საუკეთესო საშუალებაა. მასწავლებლები მშობლებს „კომენტარების“ დახმარებით ატყობინებენ მათი შვილების შედეგების შესახებ. ეს უკანასკნელნი კი იღებენ სათანადო გადაწყვეტილებებს მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამ ტიპის სკოლებში მშობლების დიდი ნაწილი ჩართულია საკუთარი შვილის განათლების პროცესსა და სასკოლო ცხოვრებაში.

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების შედეგები არა მარტო მათი მიღწევების გაუმჯობესების, არამედ სკოლის სასწავლო და საგნობრივი გეგმების თუ პროგრამებში ცვლილებების შეტანის, ინდივიდუალური გეგმების შემუშავების წყაროა. მიღებული ინფორმაცია საშუალებას აძლევს პედაგოგებს, გამოავლინონ მოსწავლეები, რომელნიც სწავლის პროცესში მხარდაჭერას საჭიროებენ.

ამერიკისა და ევროპის სკოლები თავად ირჩევენ შეფასების სისტემას, ადგენენ შეფასების კრიტერიუმებს, შეიმუშავებენ ტესტებს, დავალებებს, პროგრამებს. სკოლა არის დეცენტრალიზებული. მისი ანგარიშვალდებულება მხოლოდ მოსწავლეთა სახელმწიფო (შემაჯამებელი შეფასება) გამოცდით განისაზღვრება. ([Rules and regulations 2011/2012- European School Strasbourg](#) კითხვა და

წერა კრიტიკული აზროვნებისათვის VI სახელმძღვანელო „შეფასება და დაგეგმვა“ 2005წ. კ. მერედითი, ა. კროუფორდი).

კაიროს ინგლისურ სკოლაში შიდასასკოლო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასება მშობლებისა და ადმინისტრაციისათვის მოსწავლეთა მიღწევების დასაბუთებაა. მისი საშუალებით მასწავლებლები საზოგადოებას მოსწავლის მიერ განვლილ გზასა და მისაღწევ მიზნებს აცნობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი, გეგმის დიზაინის განმსაზღვრელი, მოსწავლეზე ორიენტირებული უნდა იყოს. უკლებლივ ყველა პედაგოგი და მშობელი მიმართულია მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ხარისხზე. ([Cairo English School](#))

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასება გამოიყენება როგორც რაოდენობრივი (ცოდნის ოდენობა), ისე ხარისხობრივი (უნარებისა და დამოკიდებულებების) შეფასების მიზნით. ხარისხობრივი შეფასებისას მასწავლებლები იყენებენ კომენტარებს. განვითარების დონის დასადგენად გამოიყენება მოსწავლეთა რუბრიკები, რომლებიც ხელს უწყობს შედეგების გაუმჯობესებას. რაოდენობრივი შეფასებისათვის ძირითადად იყენებენ ტესტებს, ყოველი თემის, სემესტრის ან სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრისთვის.

ფინეთში საბაზო საფეხურის ჩათვლით მხოლოდ განმავითარებელი შეფასებაა. სკოლაში არ არსებობს ნიშნებით შეფასება ცხრა კლასის ჩათვლით. ალბათ, შეფასების მოცემული სისტემის დამსახურებაა, რომ მოსახლეობის წიგნიერების დონის მიხედვით ფინეთი ლიდერობს მსოფლიოში. ([Fairland Public School](#)) ფინეთის სკოლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე (I-IX კლასები) არის „უნიშნო“ სწავლება. სკოლაში დადგენილია შიდა, კლასიდან კლასში გადასაყვანი სტანდარტები. საჭიროების შემთხვევაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და პროგრამა მოსწავლეებში კითხვისა და გაგების უნარების გასაუმჯობესებლად. ისინი მხოლოდ მე-9 კლასში აბარებენ სახელმწიფო გამოცდას და მისი წარმატებით დამთავრების შემდეგ ეძლევათ კოლეჯში ჩაბარების უფლება. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებისა და

შეფასების დროს დიდი ყურადღება ექცევა კითხვის, წერის და საკითხის გაგების უნარების შეფასებას, რომლის საფუძველზეც სასწავლო პროცესში ჩართულობისა და მიღწეული შედეგების დაბალი მაჩვენებლებით გამორჩეული მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად გეგმავენ სწავლის პროცესს, დელეგირების მეშვეობით უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა და სისტემატურად ზრუნავენ თვითგანათლებლაზე. ასეთი ტიპის მონიტორინგი და შეფასება პედაგოგიური პროცესის განუყოფელი ნაწილია და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, სასწავლო პროცესში არსებული მიღწევებისა და ნაკლოვანებების გამომჟღავნების საფუძველზე სწორად წარმართოს მუშაობა (ტრენინგის მასალა „კითხვისა და წერის უნარების განვითარება და შეფასების“ ტრენერი: პერ ოლ ოფი. ([Fairland Public School](#))).

რეიტინგულ-დაგროვებითი სისტემა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განათლების სფეროში ეფექტურად გამოიყენება მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან. რეიტინგი ადამიანთა მიერ შესრულებული საქმიანობის ხარისხის, შედეგების განსაზღვრისა და შედარების საშუალებას იძლევა. იგი ყოველთვის გულისხმობს ჯანსაღ კონკურენციას, შეჯიბრს და ფართოდ გამოიყენება მოსწავლეებისა/სტუდენტების, პედაგოგების და სხვათა შესაფასებლად. რეიტინგი (rating – ინგლისურად) შეფასებას ნიშნავს.

მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოები განსხვავებულ ძალისხმევას მოითხოვს, აქედან გამომდინარე, რეიტინგის დადგენისათვის საჭიროა მათი “წონების” განსაზღვრა, რადგან სხვადასხვა საქმიანობას განსხვავებული ღირებულებითი მნიშვნელობა გააჩნია (კითხვის საერთაშორისო ასოციაციის მასალები. ([IRA Alan Crawford – Education RWCT 2005](#).)

მოსწავლეთა შეფასების რეიტინგული მოდელი ტრადიციული შეფასების სისტემაში ხარვეზების გამოსწორების ან ზოგიერთი მათგანის “განეიტრალების” საშუალებას გვაძლევს.

ზემოთ აღნიშნული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია, ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა გამოვიტანოთ: მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებისა და შეფასების დროს მთავარი ქულების რაოდენობის (ხუთბალიანი, ათბალიანი და სხვა) გაზრდა ან შემცირება არ არის, რადგან ყოველთვის

აღმოჩნდება ციფრთა გარკვეული რაოდენობა, რომელსაც შეფასების დროს მასწავლებელი ვერ გამოიყენებს (მაგალითად ათბალიან სისტემაში „1“, „2“, „3“ და „4“ ან ხუთბალიან სისტემაში „1“ და „2“ და სხვა) შესაბამისად ეს ციფრები მოსწავლის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას ვერ მოგვცემს. აუცილებელია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მიზნებისა და პრინციპების ძირეული ცვლილება.

ამერიკისა და ევროპის სკოლებში უკვე დიდი ხანია შეიცვალა ნიშნებით (ქულებით) შეფასების სისტემა. მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება. ამისათვის კი ისინი შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს იყენებენ, რითაც ხელს უწყობენ მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას და კრიტიკული აზროვნებისათვის სასურველი სასწავლო გარემოს ორგანიზებას ([Assessment, Evaluation, and Curriculum Redesign](#)).

## 1.2. „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების საკითხი XVII-XXI საუკუნის საქართველოს სკოლებში ”

საქართველოში მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების შესახებ ინფორმაცია, სამწუხაროდ, ძალიან მწირია. თუმცა რიგ ლიტერატურულ ნაწარმოებებში კარგად ჩანს, რომ სწავლა-აღზრდის პროცესში უპირატესობას სიტყვიერ შეფასებას ანიჭებენ. სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისა“ დიდაქტიკური ნაწარმოებია, რომელშიც სწავლა-აღზრდის პროცესში აქცენტები კეთდება ფიზიკური და გონებრივი წვრთნის ერთიანობაზე. მასში მწერალი ცდილობს, ჯუმბერის მაგალითზე, დაგვანახოს პიროვნების ფორმირების პროცესში სპარტანული და ათენური (სოკრატული) სკოლის ზეგავლენა.

მასწავლებელი აღსაზრდელის მიმართ იჩენს, ერთი შეხედვით, სიმკაცრეს, რადგან მან კარგად იცის, ჯუმბერს ცხოვრებაში სიძნელების გადალახვა მოუწევს, ამიტომ მას სიმტკიცე ესაჭიროება. ნაწარმოებში ჩანს, რომ უპირატესობა მასწავლებლის მხრიდან აღზრდის სოკრატულ მიდგომას ენიჭება: „მე არაფერს ვასწავლი, მე მხოლოდ შემიძლია დავაფიქრო“. სწორედ ამიტომ ჯუმბერს იგავებით ესაუბრება. პედაგოგისათვის მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგი და არა

ზოგადად მიმდინარე პროცესი. აქედან გამომდინარე, ყურადღებას აქცევს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, არგუმენტირებულ კამათს, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას, ალტერნატივების განხილვას.

ნაწარმოების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის ქართულ სკოლაში აღსაზრდელების შესაფასებლად უპირატესობა ციფრებით შეფასებასთან შედარებით სიტყვიერ შეფასებას ენიჭება (მასწავლებლის კომენტარები). მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეს და მის საქციელს პირადი მაგალითებითა და იგავებით აფასებს, მოსწავლეს თავად გამოაქვს დასკვნები საკუთარ ქმედებაზე, ამით სწავლობს თვითშეფასებას, რაც გაცილებით მნიშვნელოვანია. საქართველო, როგორც უძველესი მართლმადიდებელი ქვეყანა, სიტყვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო თავად ღმერთი” (ლუკას სახარება გვ.3).

მასწავლებელი ჯუმბერს უქმნის ხელოვნურ წინააღმდეგობებს ანუ პრობლემურ სიტუაციებს, რომლის დაძლევაც მას შემდგომში დამოუკიდებლად მოუწევს. სულხან-საბას პერსონაჟი მასწავლებელი ლეონი ამ მიდგომას პიროვნების რეალური ცხოვრებისათვის მომზადების ერთადერთ სწორ გზად მიიჩნევს. როდესაც საკუთარი სწავლა-აღზრდის საბოლოო „პროდუქტს” – ჯუმბერს საზოგადოების წინაშე წარადგენს, მასწავლებლის სიტყვიერი კომენტარი საკმაოდ მწირია: „ყველაფერი ვასწავლე შენს შვილს” – მიმართავს ლეონი მეფე ფინეზს.

საბოლოო შედეგის შესაფასებელი გამოცდები იმართება დებატების ფორმით. ჯუმბერის სახით საზოგადოების წინაშე წარდგა ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი პიროვნება, რომელსაც გააჩნია მაღალი სააზროვნო უნარები: კრიტიკული, შემოქმედებითი, ანალიტიკური. მას შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, გამოირჩევა სოციალური და საკომუნიკაციო უნარებით. სულხან-საბა ორბელიანი ჯუმბერის განათლების საფუძველზე აკეთებს დასკვნას: თუ ახალგაზრდამ კარგი აღზრდა-განათლება მიიღო, მისი „სიტყვა უნდა იყოს საქმიანი და საქმე –სიტყვიანი”.

ცოტა მოგვიანებით, 1783 წელს საქართველო შედის რუსეთის მფარველობაში, მაგრამ რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამო 1801 წელს

კარგავს დამოუკიდებლობას, ქვეყნის განათლებაც მეფის რუსეთში გაბატონებული განათლების სისტემის შემადგენელ ნაწილად იქცევა. შესაბამისად, იკარგება ქართული სწავლა-აღზრდისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. მეფის რუსეთში მოქმედებს ნიშნებით შეფასების სისტემა.

1737 წელს განათლების სისტემაში პირველად ჩნდება მოსწავლეთა შეფასების სიტყვიერი სისტემა, რომელსაც კიევის სასულიერო აკადემიის მაგალითზე წარმოვადგენთ. კარგ შედეგებს აღნიშნავდა შემდეგი კომენტარები: „უბადლო“, „კეთილი“, „საუკეთესო“, „აქტიური“, „სანაქებო“, „კეთილსინდისიერი“, „კარგი“, „საიმედო“. მეორე ჯგუფი აღნიშნავდა საშუალო დონის მიღწევებს და წარმოდგენილი იყო შემდეგი სიტყვებით: „საშუალო“, „ზომიერი“, „არც თუ ისე პასიური“ და სხვა“. ნეგატიური კომენტარები ერთიანდებოდა მესამე ჯგუფში: „სუსტი“, „ზარმაცი“, „გაიძვერა“, „არასაიმედო“, „უინტერესო“, „პასიური“. ([WWW. Historyofpedagogy.ru](http://WWW.Historyofpedagogy.ru)). ასეთივე სისტემა არსებობდა მე-19 საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთის ყველა გუბერნიაში, მათ შორის საქართველოშიც, მაგრამ დროთა განმავლობაში შეფასება ხდება ერთფეროვანი, მოკლე, რომელიც ნელ-ნელა ჩანაცვლა ციფრებით შეფასებამ და შემოიტანეს 12-ბალიანი შეფასების სისტემა, რომლის მიხედვით:

12 ქულა ეწერებოდა მოსწავლეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განვლილი მასალა ძალიან კარგად იცოდა, ნათლად პასუხობდა ყველა შეკითხვას, აზრებს ლოგიკურად აყალიბებდა, შეეძლო კამათში დაეცვა საკუთარი მოსაზრება და დიალოგს თავისუფლად წარმართავდა.

11-10 ქულა ეწერებოდა მოსწავლეს, თუ იგი ამქლავნებდა ძალიან სიღრმისეულ ცოდნას, პასუხობდა შეკითხვებს დამაჯერებლად. გამოჰქონდა სწორი დასკვნები, საუბრობდა ნათლად და თანმიმდევრულად.

9, 8 და 7 ქულა იწერებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე მყარად აითვისებდა სასწავლო მასალას, მაგრამ არც თუ ისე ნათლად აყალიბებდა მოსაზრებას, თუ მასწავლებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა მოსაზრების უარყოფას ან პასუხის დროს მოსწავლის მხრიდან დაბნევას და მხოლოდ მიმანიშნებელი (დამაზუსტებელი) შეკითხვების შემდეგ პასუხის გაცემას.



6, 5 და 4 ქულა იწერებოდა, თუ მოსწავლე ძირითადად გაიგებდა სასწავლო მასალას, მასწავლებლის დახმარებით ადვილად იხსენებდა იმას, რაც გამორჩა, პასუხის დროს ბუნდოვნად აფიქსირებდა აზრს, ურევდა ცნებებს და სიტყვა-სიტყვით, ზეპირად, გადმოსცემდა წაკითხულს.

3, 2 და 1 ქულა იწერებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ არაფერი არ იცოდა, ურევდა ცნებებსა და ტერმინებს ერთმანეთში, აზრები ბუნდოვანი და მცდარი იყო.

1915 წელს დ. უზნაძემ ქ. ქუთაისში დააარსა ქალთა სკოლა და დაიწყო პროგრესული პედაგოგიური იდეების განხორციელება. სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ და მისმა გაანალიზებამ საშუალება მისცა მას, გამოეყო სწავლისა და აღზრდის მნიშვნელოვანი სირთულე, რომელსაც შემდგომში "აღზრდის ტრაგედია" უწოდა. (ექპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, საქ. სსრ. მეცნ. აკადემია, გამოცემა 1960წ.)

აღსანიშნავია, რომ მიზნები მიუღწეველია, თუ მხოლოდ პედაგოგის სურვილებს ასახავს და მოზარდის ინტერესებს არ შეესაბამება. დ. უზნაძე თვლის, რომ რაოდენ ნათელ მომავალსაც არ უნდა უსახავდეს მასწავლებელი მოსწავლეებს, ისინი გრძელვადიან მიზნებს ვერ აანალიზებენ, რადგან რეალური მომენტით ცხოვრობენ. სწორედ აქედან იწყება უზნაძის მიერ „აღზრდის ტრაგედია“ წოდებული წინააღმდეგობა. სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში უნდა იყოს გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები და თავისებურებები. დ. უზნაძე თავის სკოლაში ცდილობდა, შეექმნა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კეთილგანწყობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო, თვლიდა, რომ მხოლოდ ასეთ გარემოშია სწავლა-აღზრდა შედეგიანი ([Historyofpedagogy.ru](http://Historyofpedagogy.ru)).

საყურადღებოა დ. უზნაძის მოსაზრება სკოლიდან მოსწავლეთა ნიშნებით შეფასების განდევნის თაობაზე. ის თვლიდა, რომ ნიშანი უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, რადგან ამ ტიპის შეფასება მოსწავლეებში იწვევდა მთელ რიგ ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ დარღვევებს, რაც მოზარდის ფსიქოსოციალური ადაპტაციის ხელისშემშლელ ფაქტორებად ითვლება. დ. უზნაძის ქალთა სკოლაში მასწავლებლები ნიშნების ნაცვლად თავის რვეულებში ინიშნავდნენ მოსწავლეთა წარმატებებისა და



წარუმატებლობების შესახებ ინფორმაციას. მათი გაანალიზების საფუძველზე აღსაზრდელებსა და მათ მშობლებს აძლევდნენ რჩევებს პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. ასეთმა მიდგომამ საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო, სკოლაში გაიზარდა სწავლის ხარისხი, მაგრამ სკოლის მუშაობა გართულდა. დ. უზნაძის აზრები საკმაოდ პროგრესული იყო, მაგრამ როგორც ყველა ტოტალურ სახელმწიფოში, მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი მიღწევებისა, რაც ამ სკოლას ჰქონდა, პროგრესული აზრი დაიკარგა. (Dmitry Uznadze [www.ibe.unesco.org](http://www.ibe.unesco.org) განვითარებისა და სწავლის თეორიები ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე ს. გორგოძე 2009 წ. გვ. 69)

საბჭოთა სკოლაში იწყება ფიქრი მეფის რუსეთისდროინდელი შეფასების სისტემის უფრო დემოკრატიული, უნიშნო შეფასებით ჩანაცვლების თაობაზე. გადაწყდა სკოლის დანიშნულების ცვლილებასთან დაკავშირებით, ნაბიჯებიც გადაედგათ, მაგრამ უშედეგოდ. 1932 წლიდან შემოდის სწავლების პრუსიული მოდელი.

საბჭოთა სკოლის ფუძემდებლებს მიაჩნდათ, რომ საბჭოთა სკოლაში პიროვნებები კი არ შემოდიან, არამედ „ცოცხალი ორგანიზმები“. ამ დამოკიდებულებიდან ნათლად ჩანს, ბავშვს, რომელიც I კლასში შემოდის, არავითარი გამოცდილება და ცოდნა არ გააჩნია, „TABULA RASA“. შესაბამისად, სკოლის დანიშნულებაა, იზრუნოს მისი ცოდნის შევსებასა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ინერგება მოსწავლეთა ქულებით ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება-შემოწმების ბიჰევიორისტული მიდგომა. სხვაგვარად არც იქნებოდა შესაძლებელი, რადგან ტოტალიტარულ სახელმწიფოში სწავლებაც და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებაც ავტორიტარულია. შეფასების სისტემა, რომელიც საბჭოთა სკოლაში მოქმედებდა, დაახლოებით ასე შეიძლება დავახასიათოთ: მოსწავლეები ფასდებოდნენ მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნებით. მათი ყველა მიმდინარე ნიშნის საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე გამოჰყავდათ მეოთხედის ქულა. შერჩევით საგნებში ტარდებოდა გამოცდები. გამოცდის ნიშანი გავლენას ახდენდა მოსწავლის წლიურ ნიშანზე. მიუხედავად იმ გამოცდილებისა, რომელიც დ. უზნაძის სკოლაში არსებობდა, სწავლა-აღზრდისა და შეფასების პროგრესული სისტემა უგულვებელყოფილ იქნა

ძალიან დიდი ხნით. («Об учебных программах и режиме в начальной и средней школе» 1932г [Средняя общеобразовательная школа math.mioo.ru/metod09/.../uplan-66-74.html](http://Средняя_общеобразовательная_школа_math.mioo.ru/metod09/.../uplan-66-74.html) )

საბჭოთა სკოლაში მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასების სისტემის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დ. ლორთქიფანიძემ. მან ჩამოაყალიბა შეფასების ძირითადი პრინციპები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისი მოსაზრებები „მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფასება“ და „დიდაქტიკური პრინციპები (დ. ლორთქიფანიძე „პედაგოგიკა“, თავი XI თბილისი 1969წ.) ემყარება საბჭოთა იდეოლოგიას. ავტორი აკრიტიკებს მეფის რუსეთის სწავლა-აღზრდისა და შეფასების სისტემას, თვლის, რომ სკოლა მხოლოდ ინფორმაციის „ზეპირობაზე“ იყო ორიენტირებული, ხოლო საბჭოთა სკოლა - „შეგნებულობის“ პრინციპზე. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ არც საბჭოთა სკოლა იყო წინ გადადგმული ნაბიჯი, რადგან ძირითად პრიორიტეტს არ წარმოადგენდა აზროვნების განვითარება, მოსწავლეთა მთელი ძალისხმევა ცოდნის რაოდენობის დაგროვებაზე იყო მიმართული. მხოლოდ ერთი განსხვავებით - ცოდნა, გაგების დონეზე.

დ. ლორთქიფანიძე დიდ უპირატესობას ანიჭებდა მოსწავლეთა ცოდნის ინდივიდუალურ შეფასებას, როგორც ერთადერთ საშუალებას მოსწავლის ცოდნის შესახებ ზუსტი სურათის შესაქმნელად. იგი წერდა: „მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფასება უნდა წარმოებდეს იმგვარად, რომ სრულსა და ამომწურავ წარმოდგენას იძლეოდეს თითოეული მოსწავლის ცოდნაზე, ე.ი. შემოწმება და შეფასება უნდა იყოს ინდივიდუალური. ამ პრინციპის ძირითადი აზრია თითოეული მოსწავლის ყურადღებით, ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა იმ მიზნით, რომ მასწავლებელმა შეძლოს ეფექტური ზომების გატარება თითოეული მოსწავლის ჩამორჩენის მიზეზების აღმოსაფხვრელად“ (დ. ლორთქიფანიძე „პედაგოგიკა“, თბილისი 1969წ. გვ. 275).

დ. ლორთქიფანიძე ეწინააღმდეგებოდა „ბრიგადული“ (თანამშრომლობითი) სწავლების პრინციპებს, როგორც ძველის გადმონაშთს და მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემაში უპირატესობას ინდივიდუალური შემოწმების პრინციპს ანიჭებდა, მწვავედ აკრიტიკებდა იმ ადამიანებს, რომლებიც „უნიშნო სწავლების“

მომხრები არიან, რადგან, მისი აზრით, ეს ხელს შეუშლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას და მათ მოტივაციას. დ.ლორთქიფანიძე ნაშრომში „პედაგოგია“ წერდა: „მსგავსად დალტონ-გეგმის, პროექტთა მეთოდისა და სხვა სისტემისა, ”მემარცხენეები” მხარს უჭერდნენ ე. წ. „სააღრიცხვო კონფერენციათა” სისტემას, უგულებელყოფდნენ მოსწავლეთა ცოდნის დიფერენცირებული შეფასების მნიშვნელობას და შემოჰქონდათ ორხარისხოვანი შეფასების „დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელი” სისტემა. ნერგავდნენ ბრიგადული შეფასების პრინციპებს და დრომოჭმულად თვლიდნენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შემოწმებას, შეფასებას და სხვა. ყოველივე ეს ფაქტობრივად, მნიშვნელობას უკარგავდა მოსწავლეთა ცოდნა - ჩვევების აღრიცხვა-შემოწმებისა და შეფასების მთელ სისტემას, მოსწავლეებში ბეჯითობისა და წინსვლის მისწრაფებას, ინტერესებს, სტიმულს”. (დ. ლორთქიფანიძე. „პედაგოგია”, თბილისი 1969წ გვ. 274)

დ. ლორთქიფანიძე თვლიდა, რომ ნიშნების შემოტანა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების პროცესში იყო სწორი გადაწყვეტილება, რადგან მხოლოდ ასეა შესაძლებელი მოსწავლეთა ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოსწავლეთა ცოდნის მხოლოდ ინდივიდუალური შემოწმება არ არის საკმარისი მოზარდის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, დავადგინოთ, რა რაოდენობის ცოდნა აქვს მოსწავლეს, ისიც მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხის ირგვლივ და არა ზოგადად საგანზე. თუმცა რამდენად აქვს განვითარებული სოციალური, ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები, ინდივიდუალური გამოკითხვის პრინციპით წარმოუდგენელია დადგინდეს. აღნიშნული უნარ-ჩვევების განვითარება და შეფასება მხოლოდ „პროექტული” „ბრიგადული”, „საკონფერენციო” (ჯგუფური, თანამშრომლობითი) სწავლებითაა შესაძლებელი.

შეფასების სისტემის განვითარების საკითხში დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე შ. ამონაშვილს, რომელიც თავის წიგნში „მოსწავლეთა ცოდნის შეფასების აღმზრდელობითი ფუნქცია” ვრცლად აღწერს ნიშნებით შეფასების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ზეგავლენას მოსწავლეზე. მისი აზრით, შემეცნებითი აქტიურობისა და მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის დაქვეითების გამომწვევი

მიზეზი, პირველ რიგში, არასწორად ორგანიზებული სასწავლო პროცესი, სუსტი მეთოდოლოგია და მოსწავლეთა შეფასების ტრადიციული სისტემაა. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგების უმრავლესობის თვალთახედვით, სწავლის მოტივაციის ძირითადი საშუალებაა ნიშანი, შ. ამონაშვილი ცდილობს, განდევნოს იგი სასწავლო პროცესიდან. ის კვლევების საფუძველზე ამტკიცებს, რომ მოსწავლეების სწავლის პროცესისადმი დამოკიდებულება დაკავშირებულია სწავლების მეთოდოლოგიაზე, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის სტილზე, სასწავლო მასალასა და მოსწავლეთა მიღწევების შეფასების სისტემაზე. სწავლების განმავითარებელი ფუნქციის ფსიქოლოგიურ ასპექტს საფუძველად უდევს იდეა: მოსწავლემ შეძლოს ინფორმაციის ზუსტად და სრულად შეთვისება, რაც სწორი და სრული წინამძღვრების საფუძველზე გაკეთებული დასკვნების ხარისხს ზრდის. ამიტომ პედაგოგის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოსწავლისთვის ბუნებით თანდაყოლილი ყველა ინტელექტუალური უნარის განვითარება «Когда ребенок получает отметку ниже «пятерки», взрослый чувствует, что ребенок чего-то не знает, что-то не умеет, не может и что ему надо помочь. Но чем и как, он не в силах разгадать, так как в отметке все это затемнено».

(Амонашвили.Ш.«Воспитательная и образовательная функция оценки учения школьников» педагогика. Москва. 1984 г. ст. 37)

შ. ამონაშვილის მოსაზრებები ნამდვილად პროგრესული და საინტერესოა, მაგრამ მისი ნაშრომი მხოლოდ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს შეეხება. ავტორი აღნიშნავს, რომ დაწყებითში სწავლის მოტივაცია მაღალია, მაგრამ მისი დაქვეითება იწყება მე-5 კლასიდან და გრძელდება სკოლის დამამთავრებელ კლასებშიც. ამონაშვილის შრომა რეალურად ყველაზე პრობლემური ასაკის მოსწავლეებზე არ ვრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად არის განხილული ნიშნის როლი მოზარდის სოციალიზაციის საკითხში, იგი მაინც ვერ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას საბაზო და საშუალო საფეხურზე უნიშნო შეფასების დანერგვის პროცესზე.

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითების საფუძველზე ქ.

თბილისის წმ. გიორგის სახელობის სკოლაში საჭიროდ ჩავთვალეთ, ჩაგვეტარებინა ექსპერიმენტი ჩვენი კვლევის ჰიპოთეზის დასასაბუთებლად.

### **ექპერიმენტის მიზანია:**

შემუშავდეს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების პარადიგმები და განისაზღვროს:

1. შეფასების ზეგავლენა მოსწავლეთა მოტივაციის ზრდაზე, შემეცნებით აქტიურობასა და მოზარდის პიროვნული თვისებების ფორმირებაზე;
2. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ეფექტური მეთოდების, სტრატეგიების შემუშავებისა და სასწავლო პროცესში დანერგვის მექანიზმები.
3. ეფექტური რეკომენდაციები ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შესატანად, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების გაუმჯობესების მიზნით.

### **ექპერიმენტი სამ ეტაპად დაიყო:**

#### **I ეტაპი; მოსამზადებელი სამუშაოები:**

პირველ რიგში, განვსაზღვრეთ წმ. გიორგის საერო სკოლის მისია და გამოვკვეთეთ ძირითადი პრიორიტეტები. ამის საფუძველზე შევიმუშავეთ სკოლის სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპები, მასწავლებლისა და მოსწავლის შიდა სტანდარტი და ეთიკის კოდექსი. შევიმუშავეთ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების ზოგადი კონცეფცია და კრიტერიუმები საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, მასწავლებლის ეთიკის კოდექსისა და პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით.

ამ დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა მასწავლებელთა საჭიროებები და შემუშავდა სატრენინგო პროგრამა შემდეგ თემებზე: სწავლება-სწავლის ეფექტური მიდგომები და მეთოდები; წერის, კითხვის და მეტყველების განვითარების ეფექტური სტრატეგიები; სწავლის მოტივაცია და მასზე მოქმედი ფაქტორები; ცოდნის და უნარ-ჩვევების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად; მოსწავლეთა შეფასების ეფექტური სისტემა და მისი დანერგვა;

სკოლის საგნობრივ კათედრებზე შემუშავდა მშობელთან მიმოწერის დღიური, რომლის ძირითადი პრინციპები გავაცანით მშობლებსა და მოსწავლეებს.

#### **ექსპერიმენტის II ეტაპი:**

მისიისა და სტრატეგიის შესაბამისი სწავლება-სწავლის ეფექტური მეთოდების, ასევე ცოდნის და უნარ-ჩვევების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების დანერგვა, მონიტორინგი.

**ექსპერიმენტის აღწერა:** ტესტირებისა და დაკვირვების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ის ძირითადი საქმიანობები, რომელიც მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად, კვლევის საფუძველზე დადგინდა. შეირჩა საქმიანობების შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები; შემუშავდა შეფასების რუბრიკები ყველა საგანში და „მშობელთან მიმოწერის დღიური“ დაიბეჭდა ყველა მოსწავლისთვის.

შეფასების გამჭვირვალებობისთვის ჩატარდა ბავშვებსა და მშობლებთან შეხვედრები, გავაცანით შეფასების კრიტერიუმები, ხარისხობრივი მაჩვენებლების რაოდენობრივში გადაყვანის წესები, შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისი შეფასება.


შეფასების სისტემაში ჩაერთნენ მშობლები, მათ მიეწოდათ ინფორმაცია. შესაბამისად, ამუშავდა გარე სტიმულები. მოსწავლეებს საშუალება აქვთ, ჩაერიონ შეფასების კრიტერიუმების შერჩევასა და საკუთარი განვითარების გეგმის შემუშავებაში, შერჩეული კრიტერიუმები გამჭვირვალეა და მშობლები ორ კვირაში ერთხელ მშობელთან მიმოწერის დღიურის დახმარებით, ყველა საგანში იღებენ შვილის განვითარების შესახებ მიმდინარე შეფასებებს (შედეგებს) რუბრიკების მეშვეობით, ასევე კომენტარებს, რომელშიც სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებია დასახული; მშობლებს ეძლევათ რეკომენდაციები დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

მოსწავლეები, რომელთა რეიტინგი ყველა საგნის მიხედვით 93,0 გადააჭარბებს, გამოცდიდან იხსნებიან. მაგრამ I ხარისხის წარმატებულ მოსწავლეთა რიცხვი ისევ აითვლება 91,0-დან და აკმაყოფილებს ყველა ძირითად კრიტერიუმს.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორ კვირაში ერთხელ „მშობელთან მიმოწერის დღიურის“ საფუძველზე. ფასდებიან მოსწავლეები არსებული კრიტერიუმების შესაბამისად, ტარდება სასკოლო ტესტირება სემესტრში ერთხელ და მასწავლებლები წერენ ანგარიშებს წელიწადში სამჯერ. მუშავდება ინფორმაცია (ტესტირების შედეგები, მშობელთან მიმოწერის დღიურების მონაცემები, საგნის პედაგოგების ანგარიშები) და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები მდგომარეობის გამოსასწორებლად; შედეგების დამუშავებისას გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც მოსწავლეთა მობილობასთან არის დაკავშირებული. შემოსული მოსწავლეები გადიან ტესტირებას (იმავე ტესტებით ფასდებიან, რომელიც შედგენილია სკოლის მოსწავლეებისთვის და შეესაბამება სახელმწიფო მოთხოვნებს).

გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლეები შემოდიან საკმაოდ მაღალი ქულებით (7-10), მაგრამ ქულები არ შეესაბამება რეალურ სურათს - მათი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, სტანდარტის შესაბამისად, ჩამორჩება სკოლის მოსწავლეების დონეს (გადასაყვანი კოეფიციენტი მერყეობს 1,2-1,4 - მდე შუალედში. დამოკიდებულია სკოლაზე). ამ პრობლემის მოსაგვარებლად დგინდება მოსწავლის განვითარების დონე და მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ექსპერიმენტის მესამე (II ეტაპი) წელს გაიზარდა მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობა, მაღალია სასწავლო პროცესში ჩართულობა. მოსწავლეთა ყველა ასაკობრივ კატეგორიაში სტაბილურად იზრდება აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი.



დიაგრამა № 1. ერთი კლასის აკადემიური მიღწევები 2009–2012სასწ.წლებში

V კლასში I ხარისხის წარმატებულია 1% მოსწავლეების, II ხარისხის წარმატებული 15% , III ხარისხის წარმატებული 21%, კარგია 17%, 11% საჭიროებს გაუმჯობესებას. VI კლასში I ხარისხის წარმატებულია 12% მოსწავლეების, II ხარისხის წარმატებული 12% , III ხარისხის წარმატებული 21%, კარგია 17%, 7% საჭიროებს გაუმჯობესებას. VII კლასი - I ხარისხის წარმატებულია 16% მოსწავლეების, II ხარისხის წარმატებული 11% , III ხარისხის წარმატებული 14%, კარგია 9% , 4% საჭიროებს გაუმჯობესებას.

XI კლასში I ხარისხის წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა (10) 39% - ია, II ხარისხის წარმატებული 6% (9), III ხარისხის წარმატებული - 16,5% (8), კარგია 16,5% (7), 22% (5-6) საჭიროებს გაუმჯობესებას.

**დასკვნები:** აკადემიური ზრდის მაჩვენებელი სწრაფად იზრდება დაწყებით კლასებში, რადგან მოსწავლეები ამ საფეხურზე სტიმულებზე ადვილად რეაგირებენ, სიახლეს გაცილებით ადვილად იღებენ, ვიდრე მაღალი კლასის მოსწავლეები, მათში კონკრეტული უნარ-ჩვევის ფორმირება უფრო ადვილია, არ აქვთ ჩამოყალიბებული სტერეოტიპები. მშობელთა ჩართულობაც უფრო მაღალია. მაღალ საფეხურზე მოსწავლეებს გააჩნიათ საკუთარი დამოკიდებულება სწავლასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

საბაზო-საშუალო საფეხურების კლასებში ძნელდება გარეგანი სტიმულების შერჩევა, მათი ქცევის კორექცია უფრო ძნელია, თუმცა შესაძლებელი. ძალზედ მნიშვნელოვანია მათი მოთხოვნების გათვალისწინება, შეფასების გამჭვირვალობა. ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ძალიან დიდი როლი ენიჭება სამართლიანობის მომენტს, რაც მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებას გულისხმობს. ასევე ობიექტურობა უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის სუბიექტური ზეგავლენა მოსწავლეთა მოტივაციაზე, რასაც მოწმობს ჩატარებული ექსპერიმენტი, ანუ სწორად შერჩეული და შემუშავებული შეფასების სისტემა.

ძალიან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა შეფასებას და მათ განვითარებაზე ასევე შეფასების ინფორმაციულობა, როგორც მახასიათებელი.

ექსპერიმენტის პირველი წლის შედეგები დაბალი იყო, რადგან მასწავლებლები მხოლოდ აფასებდნენ მოსწავლეებს, თუმცა ამ ინფორმაციას არ



იყენებდნენ ოპერატიულად. მხოლოდ სემესტრის ბოლოს აანალიზებდნენ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, მაგრამ მოსწავლეთა ჩავარდნების დროული კორექცია არ მიმდინარეობდა. შესაბამისად, ინტერესთა კვლევა იშვიათად, მხოლოდ ზოგიერთი პედაგოგის მიერ იყო გამოყენებული და შედეგიც ძალზე დაბალი იყო. მეორე ეტაპზე, როგორც კი დაიწყო მოსწავლეთა შეხვედრები თემების მიხედვით, მოსწავლეთა დამატებითი გაკვეთილები, მიზნობრივი დავალებები, მათი თვითშეფასების განვითარება, მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად განიხილავდნენ არსებულ პრობლემებს და ჩავარდნებს, მათ ეძლეოდათ საშუალება კონკრეტული პრობლემა შემდეგ თემაში გაეთვალისწინებინათ, შესაბამისად შედეგი გამოსწორდა.

#### **შედეგები (რაოდენობრივი მაჩვენებლები):**

- VI I ხარისხის წარმატებული მოსწავლე 12% (10); II ხარისხის წარმატებული 12% (9) მოსწავლე; III ხარისხის წარმატებული 21% (8); კარგია 17%(7); 7% (5-6) საჭიროებს გაუმჯობესებას.
- XI ხარისხის წარმატებული 39% (10) მოსწავლე; II ხარისხის წარმატებული 6% (9); III ხარისხის წარმატებული 16,5% (8); „კარგია“ 16,5% (7); 22% (5-6) საჭიროებს გაუმჯობესებას;
- შემცირდა უმიზეზო გაცდენები და დაგვიანებები 8%-10%-დან; 3%-2%-მდე შუალედში;
- გაიზარდა წრეებზე დამსწრე მოსწავლეთა რაოდენობა.

#### **თვისებრივი მაჩვენებლები:**

- ტარდება საგნობრივი წრეები მოსავლეთა მოთხოვნით; სწავლისადმი ჩამოყალიბდა პოზიტიური დამოკიდებულება;
- მოსწავლეები უფრო მიზანმიმართულები გახდნენ;
- დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს, არჩევენ თემებს, გეგმავენ პროექტებს, აწყობენ პრეზენტაციებს;
- მოსწავლეებში განვითარდა შემოქმედებითი უნარები: იღებენ სასწავლო ფილმებს, ამდიდრებენ საკუთარი „გამოცემებით“ (ხელნაწერი წიგნებით) სკოლის ბიბლიოთეკას;

- დაბალი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა მოტივაცია გაიზარდა; ჩამოუყალიბდათ სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულება. მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს; ჩართულნი არიან გაკვეთილის პროცესში.


### ექსპერიმენტის III ეტაპი (6 თვე)

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგების გასაანალიზებლად შევისწავლეთ მოსწავლეთა მოტივაციის ზეგავლენა მიღწევების გაუმჯობესებისა და პიროვნებად ფორმირების პროცესზე. ამისათვის შეფასებასთან დაკავშირებული სასკოლო დოკუმენტაცია ეს-გ-ს მიხედვით შესწორდა, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება მიმდინარეობს ყოველდღიურად. სემესტრული ნიშანი გამოიყვანება მიმდინარე ნიშნების საშუალო არითმეტიკულით. მოსწავლეები, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებისგან იღებენ კომენტარებს, ვერ იგებენ დეტალურ ინფორმაციას საკუთარი განვითარების შესახებ. მშობლები შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ იღებენ ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღეს ნიშანი.

მოსწავლეები უკმაყოფილონი არიან და აღნიშნავენ, რომ მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, მაინც ვერ იღებენ მაღალ შედეგებს. მასწავლებლებს უჭირთ მოსწავლეების შეფასება. ისინი ვერ ახერხებენ, განასხვავონ ერთმანეთისაგან ორი სხვადასხვა მოსწავლის ერთნაირი ნიშანი (მაგ. ორმა მოსწავლემ მიიღო ნიშანი „8“. მაგრამ მათ ერთნაირი პრობლემები არ აქვთ). ამის გამო გახშირდა კონფლიქტები მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. მათი მოტივაცია დაქვეითდა, გასაუბრებისას ისინი დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ არსებული შეფასების სისტემის მიმართ. ვერ იგებენ ნიშნის „ოპერაციულობას“, შესაბამისად, ვერ გეგმავენ საკუთარ განვითარებას. მაგალითისთვის გავიხილოთ ერთი კლასის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი.

X კლასში I ხარისხის წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა (10) 8% - ია, II ხარისხის წარმატებული 28% (9), III ხარისხის წარმატებული - 22% (8), კარგია 21% (7), 21% (5-6) საჭიროებს გაუმჯობესებას.

XI კლასში I ხარისხის წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა (10) 39% - ია, II



დიაგრამა #2 ერთი კლასის აკადემიური მიღწევები 2009–2012სასწ.წლებში

ხარისხის წარმატებული 6% (9), III ხარისხის წარმატებული - 16,5% (8), კარგია 16,5% (7), 22% (5-6) საჭიროებს გაუმჯობესებას.

XII კლასში I ხარისხის წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა (10) 9,5% - ია, II ხარისხის წარმატებული 14,3% (9), III ხარისხის წარმატებული - 9,5% (8), კარგია 66,7% (7), 0% (5-6) საჭიროებს გაუმჯობესებას.

XII კლასის სკოლის გამოსაშვები გამოცდების შედეგები (ს.გ.გ.შ) I ხარისხის წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა (10) 57,2% - ია, II ხარისხის წარმატებული 33,3% (9), III ხარისხის წარმატებული - 9,5% (8), კარგია 0% (7), 0% (5-6) საჭიროებს გაუმჯობესებას.

**დასკვნები:**

ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების მეთოდები, კომპონენტები უნდა შემუშავდეს არა მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, არამედ უნდა გავითვალისწინოთ სკოლის მისია და პრიორიტეტები, კლასისა და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები.

განმავითარებელი შეფასების სისტემას აქვს აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და განმავითარებელი ფუნქცია. ის მოსწავლეებში ავითარებს კოგნიტურ და მეტაკოგნიტურ უნარებს. პროცესი საინტერესო და შემოქმედებითია, როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლისთვის.

განმსაზღვრელ შეფასებას აქვს მხოლოდ დიაგნოსტიკური და შეჯამების ფუნქცია. აქედან გამომდინარე, მოსწავლეთა შეფასების მეთოდები, პრინციპები, კომპონენტები, კრიტერიუმები განსხვავებულია.

მოსწავლეთა განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად არიან ჩართულები შეფასების პროცესში, აქვთ შეფასების კომპონენტების, კრიტერიუმების არჩევანისა და განვითარების გეგმის შემუშავების საშუალება.

შეფასების ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო აღმზრდელობითი და შეფასების პროცესის დაგეგმვა.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეფასების პროცედურები დასახვეწია. ზუსტად არ არის განსაზღვრული მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების პრინციპები, მეთოდები, სტრატეგიები და ნიშნის გამოყვანის სისტემა.

შეფასებას უნდა მივუდგეთ კომპლექსურად. შეფასების დროს სწავლის მოტივაციას აძლიერებს გარეგანი სტიმულები (დაგროვილი ქულების მიხედვით გამოცდებიდან გათავისუფლება, გამოცდებიდან მოხსნა, ოქროს მედალი და სხვ.).

ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის ფარგლებში გამოიკვეთა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების დადებითი მხარეები:

- მოსწავლეები სწავლობენ განვითარების პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და წარმართვას;
- მოსწავლეებში იზრდება სწავლისადმი პასუხისმგებლობა და პოზიტიური დამოკიდებულება;
- გამუდმებით ხორციელდება პროგრესის მონიტორინგი და რეგულარული უკუკავშირის შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეები დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად არჩევენ თავიანთი ცოდნის და წარმატების დემონსტრირების მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებს და კომპონენტებს;
- მოსწავლეებში იზრდება შემეცნებითი აქტიურობის მოტივაცია “ინტელექტუალური მოთხოვნილება ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს” (დ. უზნაძე);
- მოსწავლეს უყალიბდება ობიექტური, ადეკვატური თვითშეფასების უნარი, რათა როგორც შემსწავლელმა, მისი დახმარებით მიაღწიოს პროგრესს.

## თავი II

### მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების დიდაქტიკური საფუძვლები

#### 2.1 მოსწავლეთა ცოდნის განმავითარებელი შეფასების პრინციპები

სკოლა, როგორც სახელმწიფოს შემადგენელი ორგანიზმი, სრულად ასახავს მიმდინარე პოლიტიკურ კურსს საგანმანათლებლო სისტემის ყველა სტრუქტურულ რგოლზე, ამიტომ პოლიტიკური ფორმაციის შეცვლის კვალდაკვალ საჭირო გახდა მასში ძირეული ცვლილებების შეტანა. შესაბამისად, სკოლაში სწავლება/სწავლის მიზნებისა და პრინციპების გადახედვა დაიწყო, რადგან თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებას თავისუფლად და კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნება სჭირდება. ავტორიტარულ სასწავლო გარემოში კი შეუძლებელია ასეთი პიროვნების ფორმირება. "შეიძლება ითქვას, რომ ჯერ აღზრდის მიზანი გამოიკვეთა და შემდეგ ჩამოყალიბდა აღზრდის შემადგენელი ნაწილები, რომლის ვექტორი მიმართულია სწორედ აღზრდის მიზნის წარმატებით განხორციელებისაკენ", - წერს ი. ბიბილეიშვილი თავის ნაშრომში „აღზრდის მიზანი“. ავტორის ეს მოსაზრება სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რადგან აღზრდის მიზანს ყოველთვის განსაზღვრავს ეპოქა და ქვეყნის ძირითადი სამოქმედო პრინციპები.

განათლების სისტემა, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიის საფუძველი, უნდა ემსახურებოდეს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. ამიტომ აუცილებელი გახდა მისი დემოკრატიზაცია. შეიცვალა საგანმანათლებლო პოლიტიკა, სკოლის სტრუქტურა, ხედვა, სასწავლო მიზნები, პრინციპები, პროგრამები და შესაბამისად გარდაიქმნა სასწავლო გარემო, გახდა მოსწავლესა და მისაღწევ შედეგზე ორიენტირებული.

**ეროვნულ სასწავლო გეგმაში ხუთი ძირითადი ორიენტირი იკვეთება:**

1. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგები (მნიშვნელოვანია არა ის, თუ რის სწავლებას ცდილობს მასწავლებელი, არამედ ის, თუ რა ისწავლა მოსწავლემ);
2. გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკთან შესაბამისი ინტერესები, ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები;

3. სწავლა ნიშნავს არა ინფორმაციის დაგროვებას, არამედ ცოდნის დაგროვებას, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას, აზროვნებას;
4. სწავლებაში მოიაზრება არა ერთი კონკრეტული გზა, არამედ მასწავლებლის და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტების ძიება;
5. მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი. მნიშვნელოვანი გახდა არა ის, რა ოდენობის ცოდნა დააგროვა მოსწავლემ, არამედ როგორ ისწავლა (სწავლის-სწავლა) და რამდენად შეუძლია ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა მოითხოვს თანამშრომლობას საკლასო ოთახში, როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორისაც, საკლასო ოთახებში უფლება-მოვალეობები თანამშრომლობის პრინციპზე დაყრდნობით ერთობლივად შექმნილი და გადანაწილებულია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. მასწავლებელი სასწავლო პროცესში მედიატორის, წარმმართველის როლს ასრულებს, მოსწავლეებს კი საშუალება ეძლევათ, თავისუფლად გამოთქვან მოსაზრებები და დაასაბუთონ არგუმენტებით, ჩაერთონ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში, შეარჩიონ მათთვის საინტერესო თემები და საქმიანობა. პედაგოგი იყენებს მოსწავლეთა პიროვნულ ცოდნას, დამოუკიდებლად დასამუშავებლად აძლევს შესაბამის დავალებებს. საკლასო და სასკოლო გარემო გახდა დემოკრატიული, რაც ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებებითაა განპირობებული.

ტრადიციული საგაკვეთილო პროცესი შეცვალა მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებულმა სწავლებამ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. გაკვეთილი შედგება სამი ძირითადი ფაზისაგან: გამოწვევა, შინაარსის რეალიზება და რეფლექსია. თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობისა და მათი შემეცნებითი აქტიურობის ასამაღლებლად. პირველი ფაზა ემსახურება შესასწავლი თემის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს თემის შესახებ. მასწავლებელს დაფაზე გადააქვს მოსწავლეთა მოსაზრებები განხილვის გარეშე. ამ დროს მასწავლებელს ეძლევა

საშუალება, დაადგინოს მოსწავლეთა განსწავლულობის დონე და განსაზღვროს რამდენად სიღრმისეულად შეუძლია კლასში მოცემული საკითხის განხილვა, მაგრამ მოსწავლეს გაკვეთილის ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი შეკითხვა ამოძრავებს „ვისი მოსაზრება/ვარაუდი გამართლდება?“ სწორედ ეს აზრი მართავს გონებას და შემეცნებით აქტიურობას გაკვეთილის მეორე ფაზაზე.

მეორე ფაზა არის შინაარსის რეალიზება. გაკვეთილის ამ ფაზაზე მოსწავლე დამოუკიდებლად ამუშავებს შესასწავლ თემას (კითხულობს, უყურებს ფილმს, ისმენს ლექციას) და აკეთებს ჩანაწერებს, გაუგებარ საკითხებს ინიშნავს, იწერს შეკითხვებს, რომლებზე პასუხების მიღებაც აინტერესებს და სხვა. ტექსტში ეძებს პასუხებს და აზუსტებს, გამართლდა თუ არა მისი ვარაუდები. გაკვეთილის ამ ეტაპზე მასწავლებელი მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით შემოიფარგლება. იგი აკვირდება, როგორ მუშაობენ მოსწავლეები დამოუკიდებლად და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ერთვება.

მესამე – რეფლექსიის ფაზის დანიშნულებაა ტექსტის სიღრმისეული გაგება და გაანალიზება. მოსწავლეები განიხილავენ ყველა იმ საკითხს, რომელიც ტექსტის დამუშავების დროს ბუნდოვანი დარჩა მათთვის. მასწავლებელი სკაფოლდერის („ხარაჩოს“, „დამხმარეს“, „ფასილიტატორის“) ფუნქციას ასრულებს, ეხმარება მოსწავლეებს, რაც შეიძლება სიღრმისეულად გაიაზრონ თემა. ამავე დროს მასწავლებელი მოსწავლეებს ასწავლის დამოუკიდებლად სწავლის მეთოდიკას, ე.ი. მიმდინარეობს სწავლის სწავლაზე აქცენტირება.

ზოგიერთი პედაგოგის აზრით, მოსწავლემ ცოდნა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში შეიძლება შეიძინოს. ის, ვინც ასე ფიქრობს, ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადება, მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში დაგროვილ ცოდნაზე არაა დამოკიდებული. ამავე დროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ—სწავლის სწავლა, ამიტომ მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს დამოუკიდებელ მუშაობაზე. კარგადაა ცნობილი, რომ ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარების პროცესი მხოლოდ საკლასო ოთახში მასალის საინტერესოდ ახსნითა და ახსნილი მასალის განმტკიცებით არ შემოიფარგლება. მსგავს შემთხვევაში შეიძლება მოსწავლემ გაკვეთილზე

მიღებული ცოდნა საკმარისად ჩათვალოს და არ განაგრძოს ფიქრი მის შევსება-გამდიდრებაზე, მაგრამ პედაგოგმა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას. ამისათვის მოსწავლეებს ეძლევათ მათი ინტერესების შესაბამისი დავალებები. ისინი ინდივიდუალურად, მასწავლებელთან ან თანატოლებთან ერთად კითხულობენ, ეცნობიან დამატებით ინფორმაციას სხვადასხვა წყაროს გამოყენებით. წერენ კრიტიკულ, შემოქმედებით და პერსონალურ წერილებს წაკითხულის შესახებ, რომლებშიც ასახულია სადისკუსიო კლუბებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები. თემის შესწავლის დასრულების შემდეგ მათ ეძლევათ სხვადასხვა ტიპის დავალებები: ინფორმაციის მოძიება, პუბლიკაციების დამუშავება, მუშაობა სხვადასხვა პროექტზე. ისინი თანამშრომლობენ თავიანთ თანატოლებთან, რათა პასუხები გასცენ ცხოვრებისეულ პრობლემებს და დასახონ მათი გადაჭრის გზები.

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მასწავლებლისგან შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. ეს კი პედაგოგის მხრიდან არა მარტო მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების ფლობას გულისხმობს, არამედ ასევე პროფესიულ განსჯასაც, რათა შეძლოს მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების შესაბამისად მათი განვითარების გზის ოპტიმალური ვარიანტების შემუშავება.

სწავლება/სწავლისა და მოსწავლეთა შეფასების მიდგომისადმი შეხედულებების შეცვლა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რადგან პედაგოგების მხრიდან გარკვეულ მენტალურ ცვლილებებს მოითხოვს. ამიტომ „სქოლასტიკური სწავლების ეს რეციდივი დღემდე არ არის ბოლომდე დაძლეული მასობრივი სკოლის პრაქტიკაში. ბევრი პრაქტიკოსი მასწავლებელი, ჯერ კიდევ მოსწავლის მეხსიერებაში ცოდნის დაგროვების ტრადიციული მეთოდიკით ხელმძღვანელობს. ის დღემდე ელოდება პედაგოგიკური მეცნიერებისაგან სწავლების ფუნქციების მწყობრ, თანმიმდევრულ კონცეფციას” (ი.ბიბილეიშვილი „სწავლების ფუნქციები“, ფსიქოლოგია პედაგოგიკა, შრომები XI, გამომცემლობა “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”; ბათუმი; 2008წ. გვ. 182).



საგაკვეთილო პროცესში არსებულმა ცვლილებებმა განათლების წარმომადგენელთა წინაშე გამოკვეთა მთელი რიგი პრობლემებისა და შეკითხვებისა: როგორ შევაფასოთ მოსწავლეების განვითარების პროცესი? როგორ გადავცეთ ინფორმაცია მოსწავლეების მშობლებს, სკოლის ადმინისტრაციას და ფართო საზოგადოებას? გამოვიყენოთ ტრადიციული „ნიშნებით“ შეფასება თუ ტესტები? შეფასების რომელი მეთოდი გამოვიყენოთ, რათა სრულყოფილად შევაფასოთ ყველაფერი ის, რაც მოსწავლეებმა შეისწავლეს ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების შედეგად? ეს არის ის შეკითხვები, რომლებიც დღეს განათლების სისტემის მესვეურებს აწუხებთ.

არანაკლებ პრობლემურია „ტერმინოლოგიის აღრევა“, შეფასება-ნიშანი, მონიტორინგი-შემოწმება და სხვა. ექსპერიმენტის შედეგად ჩვენ დავადგინეთ თითოეული ცნების ზუსტი მნიშვნელობა. მოსწავლეთა „შეფასება“ ხორციელდება არა მხოლოდ მასწავლებლის, არამედ მოსწავლის, მშობლის და სხვათა მიერ. ფასდება პროცესი (სწავლის, ქცევის, საქმიანობის და სხვა), დაინტერესებული პირი იღებს სიტყვიერ შეტყობინებას კონკრეტული ქმედების შესახებაც. ამ დროს შეგვიძლია შევაფასოთ როგორც ცოდნის ოდენობა, ასევე უნარ-ჩვევები. „ნიშანი“ იწერება მხოლოდ პედაგოგის მიერ, ის სწავლის პროცესის შედეგის ფორმალური ასახვაა და გვაძლევს შეტყობინებას, სად ვდგავართ „რიცხვთა ღერძზე“. მისი საშუალებით ხდება მოსწავლის შედეგის რიცხობრივი ფიქსირება. ნიშანი მხოლოდ ცოდნის ოდენობის საზომია და არა უნარ-ჩვევების ან დამოკიდებულებების.

„შემოწმებას“ ახორციელებს პედაგოგი ერთი კონკრეტული (საკონტროლო წერა) აქტით, მაგრამ ცოდნაში გამომჟღავნებული ხარვეზების გამოსწორება უფლებებელყოფილია. ამ დროს არ ფასდება მოსწავლის უნარ-ჩვევები, იწერება ნიშანი (ქულა).

„მონიტორინგი“ კი არის პროცესზე დაკვირვება ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად, შესაბამისი რეკომენდაციების გასაცემად. ამ დროს მოსწავლეს საკუთარი შედეგების გაუმჯობესების საშუალება ეძლევა.

რადგან შეფასების სისტემა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის რეგულირების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს, საჭირო გახდა

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთგანზომილებიანი შეფასების სისტემის შეცვლა.

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ახალი მიდგომების განვითარებაზე ჩატარებულმა კვლევებმა განათლების მუშაკები მიიყვანა ისეთი შეფასების მეთოდების აუცილებლობამდე, რომლებიც პრაქტიკულ დავალებებს ეყრდნობა. შეფასების ასეთ მეთოდებს საგანმანათლებლო სფეროში აუთენტიკურს (წყაროებზე დამყარებული) უწოდებენ. იგი თავის არსში განმავითარებელ შეფასებას გულისხმობს. (მ. ჭაბაშვილი, „ უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი“, თბილისი. 1989წ)

ეს უკანასკნელი არ ცვლის შეფასების ყველა სხვა ფორმას, თუმცა ის მასწავლებლის ხელში შეიძლება გახდეს მრავალფეროვანი კომპონენტისა და მრავალგანზომილებიანი შეფასების სისტემა. ასეთი შეფასების სისტემა დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა ნიშნებსა და ტესტებზე ორიენტირებულ სტანდარტულ სკოლებში. ტესტირება საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეების ცოდნის დონის სრული და ზუსტი სურათის შესაქმნელად, მაგრამ არ იძლევა განვითარების საშუალებას. სხვადასხვა საგანში გამოყენებულმა განმავითარებელმა შეფასებამ დაგვანახა, რომ შეფასების ეს სისტემა მეტად პროგრესულია და პედაგოგს ერთგანზომილებიანი შეფასებიდან მრავალგანზომილებიან სისტემაზე გადასვლისა და მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების სათანადოდ განვითარების საშუალებას აძლევს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულია განმავითარებელი შეფასების ორი ტიპი: განმავითარებელ-მიმდინარე და განმავითარებელ-შემაჯამებელი. თითოეული მათგანის დანიშნულება და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე ზეგავლენა ბოლომდე არ არის შესწავლილი. ამიტომ დღემდე დავის საგანია შეფასების პრინციპები და მეთოდები განათლების სფეროს წარმომადგენლებსა და მეცნიერებს შორის.

მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზანია შეძენილი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების განვითარება. ის მოსწავლესა და მასწავლებელს ეხმარება, თანმიმდევრულად გააუმჯობესონ სწავლება/სწავლის

პროცესი უკეთესი შედეგების მისაღწევად. განმავითარებელი შეფასების საშუალებით მასწავლებელი სწავლის პროცესში აკვირდება (მეთოდი) ცალკეულ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფებს, რათა განსაზღვროს თითოეული მოსწავლის საჭიროებები და ხელი შეუწყოს მათ წინსვლას.

„განმავითარებელი შეფასება“ IRA-ამერიკის კითხვის საერთაშორისო ასოციაციის მიერ შემუშავებულ პროგრამაში („კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის“ კ. მერედითი, ჯ. სთილი, ა. კოუფორდი ჩ. თემპლი VI ტომი 1997 წ. გვ. 24) განიხილება, როგორც დამხმარე „ადვოკატი“. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების პრინციპიც ტრადიციულისაგან მკვეთრად განსხვავებულია. მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად მუშაობენ, რათა განსაზღვრონ, თუ რისი შესწავლაა აუცილებელი, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს ეს პროცესი და რისი გაუმჯობესება შეუძლია ორივეს ერთად-მასწავლებელს და მოსწავლეს, რათა ხელი შეუწყონ სწავლება/სწავლის პროცესს. („კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის“ წიგნი VI-შეფასება და დაგეგმვა). თუ ზემოხსენებულზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ განმავითარებელი შეფასება დამყარებულია პასუხისმგებლობის კონცეფციაზე. მასწავლებელი და მოსწავლე სწავლა/სწავლების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლობას თანაბრად ინაწილებენ, ამიტომ ორივე მხარეა უფლებამოსილი, დაადგინოს კრიტერიუმები, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობს არა მხოლოდ სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არამედ შეფასება, რომელიც „ამდიდრებს“ მოსწავლეთა ცოდნას ერთობლივად დასახული მიზნების შესაბამისად. თუ გავითვალისწინებთ დ. უზნაძის განწყობის თეორიას, რომლის მიხედვითაც წინასწარი მზაობა განსაზღვრავს არა მხოლოდ ადამიანის ქცევას, არამედ აღქმის შინაარსს, შეიძლება დავასკვნათ, თუ მოსწავლეს წინასწარ აქვს განსაზღვრული რატომ და რას სწავლობს, ეს მზაობა იწვევს მოტივაციის ზრდას და ხელს უწყობს სწავლის დონის ამაღლებას. „სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული“ (დ. უზნაძე „განწყობის თეორია“ ზოგადი ფსიქოლოგია; გვ. 253; 2003წ).

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასება არ ეფუძნება განსჯის/დასჯის პრინციპებს. ის სწავლის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. მის მიზანს არ წარმოადგენს „უკეთესი-უარესის“ სპექტრში მოსწავლეებისთვის ადგილის მიჩენა, პირიქით, ისინი ამ პროცესის აქტიური მონაწილეები არიან: ისახავენ მიზნებს, აფასებენ თავიანთ ნამუშევრებს, აძლევენ რჩევებს თანატოლებს, მსჯელობენ მასწავლებელთან ერთად და იყენებენ საკუთარი განვითარების შესახებ ინფორმაციას სწავლის მომავალი მიზნებისათვის. ასეთი საქმიანობებით მასწავლებლები უკეთ ეცნობიან თითოეულ მოსწავლეს, რომელთა შესაძლებლობების დეტალური შეფასება ხელს უწყობს პროცესების მრავალმხრივ განვითარებას.

„ნიშანი“, როგორც განმსაზღვრელი შეფასების საშუალება, მოსწავლეების სისტემატური შეფასების საშუალებას არ გვაძლევს, რადგან ამ შემთხვევაში ფასდება მხოლოდ ერთი კონკრეტული გაკვეთილის ცოდნა/არცოდნა. განმავითარებელი შეფასება კი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დააკვირდეს მოსწავლის განვითარების პროცესს და მისი შესაძლებლობების ზუსტი სურათი შექმნას. მოსწავლეები თავადვე ახორციელებენ საკუთარი პროგრესის მონიტორინგს. შესწავლის პროცესში დაშვებულ შეცდომებსა და წარუმატებლობას აღიქვამენ არა როგორც ტრაგედიას, არამედ როგორც მათი სწავლის პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც გამოსწორება სჭირდება. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისადმი ასეთი დამოკიდებულება მათი სამოქალაქო საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ფორმირებისა და შემდგომი სოციალიზაციის წინაპირობაა.

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების მიზანია, ასწავლო მოსწავლეს:

- ა) საკუთარი განვითარების პროცესის შეფასება;
- ბ) განვითარებისათვის აუცილებელი საქმიანობების დამოუკიდებლად დაგეგმვა.

განათლების მუშაკი ფრედ ნიუმენი, რომელმაც აუთენტური შეფასების შესახებ გამოკვლევა ჩაატარა, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ შემფასებელი

შესაფასებლისაგან უნდა მოითხოვდეს ინფორმაციის ორგანიზებას და ალტერნატივების განხილვას. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ტრადიციულ მეთოდს არავითარი კავშირი არა აქვს იმასთან, რასაც მოსწავლეები რეალურად ახორციელებენ „მოსწავლეზე ორიენტირებულ“ საკლასო ოთახში. (Standards of Authentic Instruction).

ტრადიციულად მოსწავლის აკადემიური მოსწრება ყველაზე ხშირად საკონტროლოებითა და ტესტირებით ფასდება, ხოლო სწავლების გაფართოებული კონცეფციით ტესტირება მოსწავლის ცოდნის შესახებ ინფორმაციის შეკრების მხოლოდ ერთი გზაა. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასება ამის საპირისპიროდ მათგან მოითხოვს საგაკვეთილო პროცესში დამოუკიდებლად შესრულებული საქმიანობების დაგეგმვას, განხორციელებას და შეფასებას. ეს საქმიანობები სკოლის გარეთ ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცოდნას აძლევს მოსწავლეებს, გამოუმუშავდებათ ტრანსფერის უნარი.

ვიდრე განმავითარებელი შეფასების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს განვიხილავდეთ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, შევეხოთ იმ კონკრეტულ ფაქტორებს, რომლებიც პიროვნების განვითარებაზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს. კარგად გავიაზროთ სწავლების ძირითადი ფუნქციები.

სწავლა-აღზრდის პროცესში დიდი როლი ეკისრება თავად პიროვნების აქტიურ მონაწილეობას. „პიროვნების მრავალმხრივი განვითარება დამოკიდებულია თვითგანვითარების პროცესში პიროვნებაზე მოქმედ შინაგან და გარეგან ფაქტორებზე. შინაგან ფაქტორს წარმოადგენს პიროვნების აქტიურობა განვითარების პროცესში“. (ი.ფ.ხარლამოვი. პედაგოგიკა, მოსკოვი; 2000წ; გვ. 62.)

ჯონ დიუისი განათლების კონცეფციის ძირითადი პოსტულატია, რომ ერთი მხრივ, განათლება ემყარებოდას გამოცდილებას და არა ფაქტების დამახსოვრებას თუ სამსახურისთვის მოსამზადებელ წვრთნას. მისი კონცეფცია პოპულარულს ხდის პროგრესივიზმს, როგორც განათლების მიმდინარეობას. მას მიაჩნია, რომ წარმატებული სწავლისათვის საუკეთესოა გამოცდილებით და სოციალური ინტერაქციით ცოდნის მიღება. სწორედ ჯ. დიუისი შემოაქვს „სწავლა კეთებით“ იდეა. მისი სქემის მიხედვით, სწავლის ეტაპებია პრობლემის აღმოჩენა, მისი

განსაზღვრა, გადაჭრის გზების შეთავაზება, ამ გზების შედეგების შეფასება და წარსული გამოცდილების საფუძველზე საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება. მის ნაშრომში „განათლება და გამოცდილება“ (1938წ) ერთ-ერთი მთავარი პრინციპია გამოცდილებით სწავლება. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ის ფორმა, რომლითაც ჩვენ ეს გამოცდილება მოგვეწოდება. (PHILOSOPHY: ჯ. დიუი).

თანამედროვე პედაგოგიკაში სწავლება იწვევს განვითარებას, განათლებას და აღზრდას. იმისათვის, რომ განვიხილოთ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების არსი და დანიშნულება პიროვნების ფორმირების პროცესში, განვიხილოთ განმავითარებელი სწავლების ფსიქოლოგიური ასპექტები. როგორც ვიცით, ადამიანის განვითარების საკითხში იკვეთება ურთიერთგადაჯაჭვული და მნიშვნელოვანი ორი მიმართულება – ბიოლოგიური და სოციალური. ბიოლოგიური ფაქტორი ზეგავლენას ახდენს პიროვნების ფუნქციონალურ (ფიზიკურ, ასევე გონებრივ) განვითარებასა და მომწიფებაზე, ხოლო სოციალური ფაქტორი განსაზღვრავს პიროვნების ფორმირების პროცესს. სწავლისა და აღზრდის პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლის სოციალური ცნობიერების განვითარების ხელშეწყობა. „სოციალური ცნობიერება“ გულისხმობს, დაინახო და ანგარიში გაუწიო სხვა ადამიანთა აზრებსა და გრძნობებს. მოზარდი, რომელსაც კარგად აქვს განვითარებული სოციალური უნარ-ჩვევები, საკუთარ თავსაც უკეთ შეიცნობს, უვითარდება სხვათა შეფასებისა და თვითშეფასების, დაგეგმვის, ე.ი. მეტაკოგნიტური უნარები, ადვილად ახერხებს საზოგადოებაში ადაპტაციას, ხოლო გარემო პირობები და აღზრდა განვითარებაზე მოქმედ გარეგან ფაქტორებს მიეკუთვნება. ამასვე ადასტურებს ი.ხარლამოვი: „როდესაც იბადება ადამიანი, არ შეიძლება ითქვას, რომ დაიბადა პიროვნება, ის ჯერ კიდევ ბიოლოგიური არსებაა. შემდეგ მიმდინარეობს მისი ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მომწიფება და ასაკობრივი თავისებურებების გამოვლენა“ (ი.ფ. ხარლამოვი. პედაგოგიკა 2000წ. გვ. 63).

იმისათვის, რომ სწავლა და აღზრდა იყოს წარმატებული, ი.ა. კომენსკი ბუნებრივი საწყისების გათვალისწინებას პიროვნების განვითარების პედაგოგიურ აქსიომად მიიჩნევს. „ადამიანურ ბუნებაში“ ავტორი პიროვნების ბუნებრივ

შესაძლებლობებს გულისხმობს და აღნიშნავს, რომ მოსწავლის შესაძლებლობები შეზღუდულია ბიოლოგიური, ასაკობრივი თავისებურებებით და მათ მიღმა მოქმედება მოსწავლეს არ შეუძლია. იგი წერს: „სწავლა და აღზრდა მაშინაა, როცა მათი კანონები მომდინარეობს ადამიანური ბუნებიდან” (ი.ა. კომენსკი „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი” „ცოდნა” 1958წ გვ. 267).

პედაგოგებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებას გადამწყვეტი როლი ენიჭება. ისინი უნდა შეეცადონ მოსწავლის ბუნებისა და მისი ინდივიდუალური თავისებურებების გაგებას, თუ სურთ სწავლება-სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვა, რაც მოსწავლეთა განვითარებას შეუწყობს ხელს. ამასვე ადასტურებს ი.ა. კომენსკის მოსაზრება „ბავშვის გონებაზე ძალდატანებას ახდენენ: 1.როცა აიძულებენ ბავშვს ისწავლოს ის, რის ძალაც მას არ შესწევს არც თავისი ასაკის და არც თავისი გონებრივი განვითარების მხრივ” (ი.ა. კომენსკი, ”რჩეული პედაგოგიური თხზულებანი” ტომი I, „დიდი დიდაქტიკა“, თავი XVII, თბილისი 1949წ. გვ.161).

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პიაჟეს ბავშვის კოგნიტური განვითარებისა და ასაკობრივი თავისებურებების ოთხი განსხვავებული სტადიის გააზრება: სენსომოტორული, ოპერაციამდელი, კონკრეტული ოპერაციების, ფორმალური ოპერაციების სტადიები.

განვიხილოთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი სტადიები:

**ოპერაციამდელი** სტადია (2-დან 7 წლამდე). პიაჟე მიიჩნევს, რომ ოპერაციამდელ სტადიაზე ბავშვის აზროვნება არის ეგოცენტრული. ბავშვი არ არის ეგოისტი, ის უბრალოდ ფიქრობს, რომ ყველა სხვა ადამიანი ხედავს სამყაროს ისე, როგორც თვითონ. ის არის სამყაროს არაცნობიერი ცენტრი, რომელსაც არ შეუძლია სხვის პოზიციაზე დადგომა, საკუთარი თავისადმი კრიტიკულად შეხედვა და იმის გაცნობიერება, რომ საგნებსა და მოვლენებს სხვები განსხვავებულად აღიქვამენ. სკოლამდელი აზროვნება გამოირჩევა ინდიფერენტულობით განსხვავებებისადმი, რიგიდულობით, ის განსაზღვრულია ბავშვის საკუთარი შეხედულებებით. ამ ასაკის მოსწავლეებს არ შეუძლიათ საგნის თვისებების ორი სხვადასხვა ნიშნით კატეგორიზება, რადგან შექცევადობა და იგივეობა არ ახასიათებთ. ამიტომ ამ ტიპის ამოცანების

შესრულების დროს ყველა მათგანი ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს, რაც ამ ასაკისათვისაა დამახასიათებელი.

**კონკრეტული ოპერაციების** სტადია (7-დან 12 წლამდე). ოპერაცია გონებრივი აქტივობაა, რომელიც გარკვეულ ლოგიკურ წესებს ეყრდნობა. ეს არის ლოგიკურ აზროვნებაზე გადასვლის სტადია. წინა ეტაპზე ბავშვი არასწორად პასუხობდა, რადგან საკუთარ აღქმას ეყრდნობოდა. ამ ეტაპზე მიღწეულია „შენახვა“, ანუ იმის გაცნობიერება, რომ რაოდენობა და მოცულობა არ იცვლება იქამდე, ვიდრე არ დაემატება ან მოაკლდება რაიმე. აქ წამყვანია შექცევადობა და იგივეობა. ასევე წარმოიქმნება მუდმივობის ძირითადი ცნებები.

**ფორმალური ოპერაციების** სტადია (12 წლიდან ზევით). ამ ეტაპზე ბავშვებს შეუძლიათ უკვე ჰიპოთეტური საგნებით ოპერირება და ფორმალური ლოგიკის გამოყენება, ისეთი ამოცანების გადაჭრა, რომელიც აბსტრაქტულ აზროვნებას მოითხოვს, შესაძლებელია ანალოგიების წვდომა. პიაჟეს შემდგომმა კვლევებმა დაადასტურა, რომ შემდეგაც გრძელდება ინტელექტუალური განვითარება: ამ ეტაპზე აზროვნება უფრო მოქნილი, წინააღმდეგობის დამშვები, ეთიკური, პოლიტიკური, სოციალური პრობლემების მიმართ მგრძობიარე ხდება. ასეთ აზროვნებას დიალექტურ აზროვნებას უწოდებენ (გ. ლეფრანსუა „ფსიქოლოგია მასწავლებლებისათვის“ აღმაპრესი, მოსკოვი, 2003წ. გვ. 51).

ჟ. პიაჟეს თეორიის შესახებ ორი განსხვავებული შეხედულება არსებობს. ზოგი მიიჩნევს, რომ მან სწორად ვერ შეაფასა სკოლამდელი ასაკის მოსწავლეების ინტელექტუალური შესაძლებლობები, ზოგი კი პირიქით – თვლის, რომ გადაჭარბებულია ფორმალური ოპერაციული სტადიის შეფასება. ასევე კრიტიკის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ პიაჟე კვლევის მარტივ მეთოდებს იყენებდა. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, გ. ლეფრანსუა აღნიშნავდა:

„საზოგადოებას ავიწყდება, რომ ყოველივე მარტივი გენიალურია და აზრი მეთოდის სიმარტივეში კი არაა, არამედ მეთოდით მიღწეულ უმნიშვნელოვანეს შედეგში“. პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია არის თანამედროვე ფსიქოლოგიის კლასიკა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სწავლების პროცესის



ეფექტურად ორგანიზებაში (გი ლეფრანსუა „ფსიქოლოგია მასწავლებლებისათვის“ აღმაპრესი მოსკოვი 2003წ. გვ. 68)

საინტერესოა ლ. ვიგოტსკის (1896-1934წწ.) შეხედულება სწავლებასა და განვითარებაზე. ფსიქოლოგიაში მას მეოცე საუკუნის „მოცარტს“ უწოდებდნენ. ლ. ვიგოტსკის ეკუთვნის გამონათქვამი “სწავლების ერთი ნაბიჯი ნიშნავს განვითარების ას ნაბიჯს”. მართალია, ვიგოტსკი ხაზს უსვამს სწავლების მნიშვნელობას განვითარების საკითხში, მაგრამ ამავე დროს არ გამორიცხავს იმ მოსაზრებას, რომ მასალა, რომელსაც აირჩევს პედაგოგი სწავლებისათვის, უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე XX საუკუნის ოციანი წლების დასასრულს ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა დ. უზნაძემ, ხოლო ლ. ვიგოტსკიმ შემოგვთავაზა სწავლებისა და განვითარების მისეული თეორია.

ლ. ვიგოტსკის თეორია გვეხმარება, დავადგინოთ სწავლებისა და განვითარების ურთიერთმიმართების საკითხი. მისი აზრით, სწავლა დაკავშირებულია ახალი ფსიქიკური ფუნქციების აღმოცენებასა და ძველის სრულყოფასთან. აქედან გამომდინარე, მოუმწიფებელ ფუნქციებს მან უწოდა განვითარების უახლოესი ზონა, ხოლო მომწიფებულს – განვითარების აქტუალური დონე. (Л. Виготский, избранные психологические исследования, Москва 1956 г, ст. 439 )

განვითარების აქტუალური დონე განისაზღვრება იმ ამოცანათა სირთულით, რომელსაც ბავშვი ხსნის დამოუკიდებლად, უკვე მომწიფებული ფსიქიკური ფუნქციების საფუძველზე. განვითარების უახლოესი ზონა კი განისაზღვრება იმ ამოცანათა სირთულით, რომლის ამოხსნაც მოსწავლეს მხოლოდ სხვათა დახმარებით შეუძლია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესაძლებლობა არაა უსაზღვრო და ამოცანის უფრო გართულების დროს ბავშვი უფროსების დახმარებითაც ვერ აღწევს ამ მიზანს. ამის ერთადერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს მასწავლებლის მიერ მიწოდებული მასალის მოსწავლის ასაკობრივ განვითარებასთან შეუსაბამობა. სწავლება მაშინ არის განმავითარებელი, როდესაც მიწოდებული სასწავლო მასალა შეესაბამება მოსწავლის განვითარების

აქტუალურ დონეს. მასწავლებლის მთავარი ამოცანაა მოსწავლის უახლოესი განვითარების ზონაში არსებული შესაძლებლობის გამოყენება.

ლ. ვიგოტსკი „სოციოკულტურული კოგნიტური განვითარების“ თეორიაში ყურადღებას ამახვილებს ბავშვის განვითარების სამ ფაქტორზე: კულტურის, ენისა და სოციალური გარემოს როლზე. ჩვენი თვალთახედვით ჟ. პიაჟესა და ლ. ვიგოტსკის თეორიები ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას განიხილავს სხვადასხვა კუთხით, თუმცა ავსებს ერთმანეთს. ჟ. პიაჟე ყურადღებას ამახვილებს მოქმედ შინაგან ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს განვითარებაზე, ხოლო ლ. ვიგოტსკი – გარეგან ფაქტორებზე. ბ. ბლუმის ტაქსონომია მოსწავლეთა სწავლის ხარისხის კვალიმეტრული (თვისებრივი) შეფასების საუკეთესო საშუალებაა. თავად ცნება „ტაქსონომია“ ბლუმმა აიღო ბიოლოგიიდან, ტერმინი ნიშნავს სასწავლო მიზნების ისეთ კლასიფიკაციასა და სისტემატიზაციას, რომლებიც განლაგებულია მზარდი თანმიმდევრობით მარტივიდან რთულისაკენ. შეფასების სისტემაში სწავლის ხარისხისა და მოსწავლის შეფასების თვისებრივი მაჩვენებლების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია პიაჟეს, ბლუმისა და ვიგოტსკის თეორიების ერთმანეთთან დაკავშირება, რომლის შედეგადაც მივიღებთ მოსწავლის ბიოლოგიური ასაკისათვის დამახასიათებელი განვითარების დონეებს.

განვიხილოთ ბ. ბლუმის მიერ ექვს ძირითად კატეგორიად დაყოფილი სასწავლო მიზნები, ე.წ. “ბლუმის ტაქსონომია” („კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის” კ. მერედითი, ჯ. სთილი, ა. კოუფორდი ჩ. თემპლი 1997 წ. II ტომი გვ.11).

ტაქსონომიის ერთ-ერთი დანიშნულებაა, პრაქტიკოს მასწავლებელს დაეხმაროს როგორც სასწავლო მიზნების სწორად განსაზღვრაში, ასევე სწავლების შედეგების შეფასებაში. ვაფასებთ იმას, რისი მიღწევაც გვსურს. ბლუმის განათლების მიზნები შესაბამისად იყოფა ექვს მნიშვნელოვან საფეხურად (იხ ცხრილი 1).

ძირითადი კატეგორიები	შეფასების ობიექტი	მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები
<p><b>ცოდნა</b> – ეს დონე მოითხოვს მოსწავლისაგან იმ ფაქტობრივი ინფორმაციის დამახსოვრებას, რომელზე პასუხებიც მხოლოდ ტექსტშია მოცემული: განსაზღვრული ფაქტები, მოვლენები და თეორიები. ამ დროს ტექსტის ზედმიწევნით შესწავლა მიმდინარეობს. მაგრამ, რაც შეეხება მის არსში წვდომას, საკუთარი შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, ამ ეტაპისათვის არ არის აუცილებელი, რადგან მასალის შესწავლის თვალსაზრისით ცოდნა, შემეცნებითი სფეროს ყველაზე დაბალ საფეხურს წარმოადგენს. აზრი შესაძლოა ნებისმიერი სახით მიმდინარეობდეს, დაწყებული კონკრეტული ფაქტებით და დამთავრებული – წესებით, თეორიებით და სხვა.</p>	<p>ამ დონეზე ფასდება: ძირითადი ცნებები და ტერმინები, ძირითადი კონცეფციების, მეთოდების, პრინციპების, წესების და კონკრეტული ფაქტების ცდების ჩატარების მეთოდების და სხვა პროცედურების ცოდნა;</p>	<p>- იცის ძირითადი ცნებები და ტერმინები; - აღწერს მოვლენებსა და ძირითად კონცეფციებს; - იცის კონკრეტული წესები და მოვლენები; - აღწერს ცდის ჩატარების მეთოდებს; - აღწერს თემიდან გამომდინარე ფაქტებსა და მოვლენებს; - სვამს ცოდნაზე ორიენტირებულ შეკითხვებს;</p>
<p><b>გაგება</b> - განსაზღვრულია როგორც ნიჭი, უნარი, ჩაწვდე მასალის მნიშვნელობას/არსს,</p>	<p>ამ დონეზე ფასდება: ფაქტების, მოვლენებისა და</p>	<p>- თანმიმდევრულად გადმოსცემს მოკლე შინაარსს;</p>

<p>რაც გამოიხატება შესასწავლი საკითხის ერთი ფორმიდან მეორეში ტრანსფორმაციასა და სახეცვლილებაში (თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე, სიტყვების რიცხვით ცნებებში გადაყვანა). ეს დონე მოსწავლისაგან მოითხოვს ტექსტის საკუთარი სიტყვებით გადმოცემას (განმარტება, შეჯამება). გაგების მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს მასალის ინტერპრეტაცია (მოკლე შინაარსი) და მოვლენების წინასწარ განსაზღვრა (ვარაუდების გამოთქმა). გაგების დონე ერთი ნაბიჯით წინ უსწრებს ფაქტების დამახსოვრებას.</p>	<p>პრინციპების გაგება, შედარება; მასალის ინტერპრეტაცია, ფორმულები (მაგალითების, ტერმინების) პერიფრაზირება, ვარაუდების გამოთქმა;</p>	<p>ტერმინებს, ფრაზებს, მოვლენებს საკუთარი სიტყვებით განმარტავს; - საუბრობს მოვლენების, პროცესების, ტერმინებს მსგავსება-განსხვავებებზე; - ფაქტების გათვალისწინებით შეუძლია მოვლენათა წინასწარ განსაზღვრა; - ფაქტებისა და მოვლენების შესახებ გადმოსცემს საკუთარ განცდებსა და ემოციებს;</p>
<p><b>გამოყენება</b> - ეს ის უნარია, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს შესწავლილი მასალა ახალ და კონკრეტულ სიტუაციაში გამოიყენოს. იგი გულისხმობს ადრე ნასწავლი კონცეფციების, წესების, ფორმულების, ტაბულების, მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებას, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, გამოიკვლიოს</p>	<p>ამ დონეზე ფასდება: ცნებების, კონცეფციების, პრინციპების პრაქტიკული გამოყენება; ნასწავლის ტრანსფონმაცია; პრობლემის წამოჭრა,</p>	<p>- პარალელებს ავლებს სხვა ნაწარმოებთან, მოვლენასთან, ფაქტთან. - ნასწავლ ინფორმაციას (წესებს, მოვლენებს, ფორმულებს) იყენებს ახალ სიტუაციაში პრაქტიკული ამოცანების ამოსახსნელად; - განსაზღვრავს</p>

<p>და გადაჭრას ლოგიკასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, შესაძლოა წარმოვიდგინოთ, თუ მოსწავლემ იცის სიჩქარის ფორმულა <math>V = S / t</math>, მაშინ მას სხვა სიტუაციაში, როდესაც სთხოვენ მანძილის გამოთვლას, შეუძლია მოცემული ფორმულის ტრანსფორმაცია. გამოყენება გაცილებით მაღალი დონეა, ვიდრე გაგება.</p>	<p>მოსაზრებების განვრცობა; გრაფიკების, სქემების და დიაგრამების აგება; პარალელების გავლება</p>	<p>პრობლემას; - გეგმავს პრობლემის გადაჭრის გზებს; - განავრცობს მოცემულ მოსაზრებას; - არსებული ინფორმაციას წარმოდგენს დიაგრამებით, ცხრილებით და სქემებით;</p>
<p><b>ანალიზის</b> დროს მოსწავლე მოცემულ ინფორმაციას ახარისხებს, შლის შემადგენელ ნაწილებად, რათა მასალის არსში უფრო ღრმად ჩაწვდომა და მისი უკეთ გაგება შეძლოს. ამ დროს იგი განიხილავს და აკვირდება ინფორმაციის შემადგენელ ნაწილებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, მსგავსება-განსხვავებებს, მათ შორის არსებული ზეგავლენის სფეროებს და სხვა, რათა ნათლად წარმოაჩინოს საკუთარი მოსაზრება. ანალიზი შეესაბამება ბლუმის ტაქსონომიის მეოთხე დონეს. ის გაცილებით მაღალ ინტელექტუალურ დონეს</p>	<p>ამ დონეზე ფასდება: - კვლევა, - ინფორმაციის დახარისხება; - ლოგიკური მსჯელობა; - მონაცემთა ბაზის შექმნა; - არგუმენტებისა და ფაქტებს შორის კავშირების დადგენა</p>	<p>- გამოყოფს ძირითად საკითხებს/თემებს - გამოთქვამს ჰიპოთეზას; - მოყავს ფაქტები და არგუმენტები; - გამოაქვს დასკვნები და ასაბუთებს მოსალოდნელ შედეგებს; - ადგენს პრობლემის მიზეზებსა და შედეგებს. - საუბრობს მოვლენების განვითარების მიზეზებზე; - ადგენს ფაქტებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის ლოგიკურ კავშირებს; - განიხილავს პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატივას;</p>

<p>წარმოადგენს გაგებასა და გამოყენებასთან შედარებით, რადგან, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მასალის შემეცნება, რაც გაგებასა და არსში წვდომას მოითხოვს.</p>		<p>- ანალიზებს ფაქტებს, არგუმენტებს და მტკიცებულებებს; - აკეთებს ჩანაწერებს;</p>
<p><b>სინთეზი</b> – ეს არის უნარი შეაკავშირო ნაწილები ისე, რომ მიიღო ერთი მთელი, რომელიც სრულიად ახალ კონცეფციას წარმოადგენს. ამ დროს მოსწავლე ფაქტებსა და არგუმენტებს პრიორიტეტების მიხედვით ალაგებს, ახარისხებს და კვლევის საფუძველზე საკუთარ ვარაუდებს, კონცეფციებსა თუ პოსტულატებს აყალიბებს. ეს ის ეტაპია, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პროცესი მიმდინარეობს. მაშინ, როცა გამოყენებაზე ორიენტირებული კითხვები მოსწავლეებისგან არსებული ინფორმაციის მხოლოდ პრაქტიკაში დანერგვას მოითხოვს, სინთეზზე ორიენტირებული შეკითხვები უბიძგებს მათ არსებული</p>	<p>- ახალი ხედვის ზეპირად ან წერილობით ჩამოყალიბება - ექსპერიმენტების დაგეგმვა და ჩატარება - ცოდნის ტრანსფერი; - ახალი პროექტების შექმნა; - მოსწავლის მიერ დასმული შეკითხვები; მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება</p>	<p>- იყენებს საკუთარ მოსაზრებებს ახალი ხედვის ჩამოსაყალიბებლად (ზეპირად ან წერილობით); - ახარისხებს ფაქტებს, არგუმენტებს და მტკიცებულებებს და ალაგებს მათ პრიორიტეტების მიხედვით; - მრავალი ალტერნატივიდან ირჩევს ყველაზე ოპტიმალურ გზას; - გეგმავს ექსპერიმენტებისა და კვლევების ალტერნატიულ გზებსა და საშუალებებს; - შეიმუშავებს და ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებით; - სვამს შეკითხვებს, რომელიც</p>

<p>ცოდნის საფუძველზე პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტები დაისახოს მიზნად და მათგან საუკეთესო აირჩიოს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ახალი იდეების გენერირება.</p>		<p>ეხმარება საკითხის მარავალი კუთხით განხილვაში; - მტკიცებულების დროს იყენებს სხვადასხვა წყაროებს</p>
<p><b>შეფასება</b> – ეს არის უნარი, იმსჯელო ამა თუ იმ მასალის ღირებულებაზე, მის დანიშნულებასა და მიზანზე. მოსწავლის მსჯელობა უნდა იყოს შიდა და გარე კრიტერიუმებზე დამყარებული – როგორც პიროვნული, ასევე საერთო საკაცობრიო ღირებულებებიდან გამომდინარე. მოსწავლეს პიროვნული ღირებულებებიდან გამომდინარე გამოაქვს დასკვნები და აკეთებს შეფასებებს. ეს დონე ყველაზე მაღალია შემეცნების იერარქიაში. იგი მოიცავს ყველა დანარჩენ კატეგორიას, რომელსაც ემატება ნათლად განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დამყარებული ღირებულებათა შესახებ გაცნობიერებული მსჯელობა.</p>	<p>ფასდება: - მოსწავლის დამოკიდებულებები და ამა თუ იმ საკითხზე მისი პიროვნული მახასიათებლები; - საყოველთაო ღირებულებებიდან გამომდინარე ნაწარმოებების შესახებ დასკვნების გამოტანა. - შეფასებისა და თვითშეფასების (საკუთარი და სხვათა ქმედების) უნარი</p>	<p>- იცავს საკუთარ მოსაზრებასა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა გათვალისწინებით; - აფასებს გმირის საქციელს და დამოკიდებულებებს; - აძლევს რეკომენდაციას საკუთარი დამოკიდებულებიდან გამომდინარე; - გამოხატავს გრძნობებსა და ემოციებს საკუთარ და სხვათა გადაწყვეტილების შესახებ; - აფასებს (საკუთარ და სხვათა) გადაწყვეტილების ეფექტურობას; - პატივს სცემს განსხვავებულ აზრს და საუბრისას იცავს ეთიკურ ნორმებს;</p>

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ:

თავისთავად ცოდნა აზროვნების შედარებით დაბალ დონეს განეკუთვნება, რადგან ეს ეტაპი არ მოითხოვს რთული პროცესების შედარებას, პარალელებს, წარმოსახვას და სხვა.

გაგება, ბ. ბლუმის აზრით, აისახება ქცევის სამ ტიპზე:

ა) ტრანსლაცია (გადასვლა კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე, სხვა ენაზე თარგმნა, საკუთარი სიტყვებით მოყოლა). ბ) ინტერპრეტაცია (ადამიანის ცნობიერებაში იდეათა რეორგანიზაცია, მნიშვნელოვანი იდეების, მათი შიდა კავშირების გამოყოფა, განზოგადება, ახსნა, მოკლე გადმოცემა). ცოდნის გადატანა (შეფასება და წინასწარჭვრეტა, დამყარებული მიმართულების გაგებაზე, წერების ტენდენციაზე).

თუ ცოდნის ფლობა „გაგების“ დონეზე უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ მოცემულ თემაზე წესების, პრინციპების აბსტრაქტულ გაგებას, მაშინ სასწავლო მასალის ათვისება „გამოყენების“ დონეზე გულისხმობს მსგავს სიტუაციებში მათ სწორად გამოყენებას. ხშირად თვლიან, რომ თუ მოსწავლეს ნამდვილად ესმის საკითხი–მას შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება განსხვავებულ სიტუაციაში. (გ. ლეფრანსუა „ფსიქოლოგია მასწავლებლებისათვის“ აღმაპრესი მოსკოვი 2003წ. გვ. 145 )

ბლუმის აზრით, „გაგება“, ორიენტირებულია სასწავლო მასალის ათვისებასა და მასში ჩაღრმავებაზე, „გამოყენება“- ორიენტირებულია კავშირების დამყარებაზე მოცემული მასალის შესაბამის განზოგადობასა და პრინციპებთან, „ანალიზი“ მიმართულია მასალის ცალკეული ნაწილების გამოყოფაზე, მათი ურთიერთკავშირისა და ორგანიზაციული პრინციპების, დასკვნების, კონცეფციების, ტექსტის დაფარული არსის განსაზღვრაზე.

კატეგორია „სინთეზი“ ნიშნავს ანალიზის შედეგად მიღებული ელემენტების კომბინირებას მთელის შესაქმნელად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს სიახლის მარცვალს, ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს, ჩანს პიროვნების დამოუკიდებელი ხედვა. შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ქვეკატეგორიები:

1. **მოსწავლე ცდილობს** თავის გამოსვლაში, მოხსენებაში, თხზულებაში გადმოსცეს ზოგიერთი მოსაზრება და თავისი გამოცდილება. ინფორმირების



მიზნით აღწეროს, დაგვარწმუნოს, გამოხატოს, დაგვიმტკიცოს საკუთარი ხედვა;

2. შეიმუშაოს მომავალი მოქმედებების გეგმა. შეძლოს ჰიპოთეზის ფორმულირება და შემოწმება, ამოხსნის რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან ყველაზე რაციონალურის განსაზღვრა.

„შეფასება“ როგორც სასწავლო მიზნების უმაღლესი კატეგორია, ნიშნავს ამა თუ იმ მასალის მნიშვნელობის შეფასებას (მტკიცებულება, მხატვრული ნაწარმოები, კვლევითი მასალები), იგი ეფუძნება მკვეთრ კრიტერიუმებსა და მოვლენათა შეფასებას დამკვიდრებული ღირებულებების ჭრილში, რაც მას პრინციპულად განასხვავებს სუბიექტური „აზრისაგან“.

მაშასადამე „შეფასება“ მოიცავს ყველა დანარჩენ კატეგორიას. აქ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ქვეკატეგორიები:

1. მოსწავლეებს გამოაქვთ დასკვნები (სხვადასხვა საკითხის, პერსონაჟებისა და გმირების საქციელის შესახებ), წარმოადგენენ საკუთარ დამოკიდებულებას ზოგადსაკაცობრიო და ქვეყანაში დადგენილი ღირებულებების/წესების გათვალისწინებით, უყალიბდებთ პიროვნული მსოფლმხედველობა;
2. აფასებენ საკუთარ, ასევე თანაკლასელების გამოსვლებს, მოსაზრებებს, პრეზენტაციებს კლასში დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. ასეთ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მიმდინარეობს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და შეფასების უნარის განვითარება;

სასწავლო მიზნების ტაქსონომია მასწავლებელს საშუალებას აძლევს:

1. დაადგინოს მოსწავლეთა განვითარების სასტარტო პოზიციები;
2. ბლუმის დონეების მიხედვით შეარჩიოს მოსწავლეთა დონის შესაბამისი შეფასების საგანი, კრიტერიუმები, კომპონენტები.

ცხრილი №2 მოსწავლის სასტარტო მდგომარეობის განსაზღვრა

ბ. ბლუმის მიხედვით შეფასების საგანი	ჯ. პიაჟეს მიხედვით ასაკისათვის დამახასიათებელი განვითარების დონეები	ლ. ვიგოტსკის მიხედვით აქტუალური და განვითარების უახლოესი დონეების განსაზღვრა
-------------------------------------	---	--

<p><b>ცოდნა-ფაქტობრივი</b> ინფორმაციის დამახსოვრება</p>	<p><b>პროპერაციული -</b> ყურადღების კონცენტრირება ყველაზე ნათელ და ადვილად აღსაქმელ ასპექტზე, საგნების მხოლოდ ერთი ნიშნით კატეგორიზება და 6-7 წლისათვის შემოდის ლოგიკური აზროვნების ნიშნების გამომჟღავნება</p>	<p><b>აქტუალური დონე</b> –„ცოდნა“ და ამ დონისათვის დამახასიათებელი უნარები <b>უახლოესი ზონა</b> იქმნება „გაგება“ და ამ დონისათვის დამახასიათებელი უნარები</p>
<p><b>„ გაგება”</b> შედარება და კლასიფიკაცია; <b>„გამოყენება”-</b> ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენება;</p>	<p><b>კონკრეტულოპერაციული-</b> საგნების კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნით, ლოგიკური აზროვნება მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში, სერიაციის უნარი, ორი საგნის შედარება. მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დამყარება</p>	<p><b>აქტუალური დონე:</b> <b>(8-9)–„გაგება”</b> და ამ დონისთვის დამახასიათებელი უნარები განვითარების <b>უახლოესი</b> <b>ზონა</b> იქმნება <b>„გამოყენება”-</b> და ამ დონისათვის დამახასიათებელი უნარები <b>აქტუალური დონე (10-12)</b> –„გამოყენება“ და ამ დონისთვის დამახასია- თებელი უნარები <b>უახლოესი ზონა</b> იქმნება <b>„ანალიზი”</b> ელემენტების დამახასიათებელი უნარები.</p>


<p>„ანალიზი“ ნაწილებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა ვარაუდების განსაზღვრა; არსის კვლევა</p>	<p><b>კონკრეტულოპერაციული -</b> მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება და ლოგიკური აზროვნება მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში, <b>ფორმალუროპერაციული—</b> ლოგიკური აზროვნება როგორც კონკრეტულ, ასევე რეალურ, აბსტრაქტულ და არარეალურ საგნებთან და მოვლენებთან დაკავშირებით. ახასიათებთ ჰიპოტეზური აზროვნება ცალკეული ნაწილებისთვის, დასკვნების გამოტანა.</p>	<p><b>აქტუალური დონე (12-14 )</b> – „ანალიზი“ და ამ დონისთვის დამახასიათებელი უნარები; განვითარების <b>უახლოესი ზონა</b> „სინთეზის“ დონისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი „ელემენტის შემოტანა“ - და მისი დამახასიათებელი უნარების განვითარება;</p>
<p>„სინთეზი“ ჰიპოთეზებისა და ახალი ხედვის ჩამოყალიბება; <b>„შეფასება“</b> პიროვნული დამოკიდებულებები და ღირებულებები;</p>	<p><b>ფორმალუროპერაციული—</b> ლოგიკური აზროვნება როგორც კონკრეტულ, ასევე რეალურ, აბსტრაქტულ და არარეალურ საგნებთან და მოვლენებთან დაკავშირებით. ახასიათებთ ჰიპოტეზური აზროვნება, დასკვნების გამოტანა.</p>	<p><b>აქტუალური დონე</b> <b>(15წელი ) - „სინთეზი“</b> და ამ დონისთვის დამახასიათებელი უნარები; განვითარების <b>უახლოესი ზონა</b> „შეფასების“ დონისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი „ელემენტის შემოტანა“ - და მისი დამახასიათებელი უნარების განვითარება;</p>

ლ. ვიგოტსკის „სოციოკულტურული თეორიის“, ბ. ბლუმის „განათლების მიზნების ტაქსონომიის“, ჟ. პიაჟეს „კოგნიტური განვითარების თეორიის“ შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე მივედით შემდეგ დასკვნამდე: თუ მოსწავლე იმყოფება ბლუმის მიხედვით, „გაგების“ დონეზე, მას გააჩნია ცოდნის, როგორც პირველი – „ცოდნის“, ასევე „გაგების“ დონისათვის დამახასიათებელი უნარები, ხოლო მესამე – „გამოყენების“ დონეზე მყოფი მოსწავლისათვის კი – ცოდნის, გაგების და გამოყენების დონისათვის დამახასიათებელი უნარები. ცოდნის დონეზე მყოფი მოსწავლე, ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, განვითარების აქტუალურ, ხოლო გაგება-განვითარების უახლოეს ზონას მოიაზრებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ეს სასწავლო კატეგორიები გადანაწილებულია სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, განვითარება და სწავლა პარალელური პროცესია. ამ პროცესს განსაზღვრავს წონასწორობა მომწიფებულ ფსიქიკურ ფუნქციებსა და სოციალურ ურთიერთქმედებას შორის. ჟ. პიაჟე თავის თეორიაში განვითარების პროცესს განიხილავს, როგორც შინაგანი ფაქტორების ზემოქმედებას, ხოლო ლ. ვიგოტსკი დიდ ყურადღებას ამახვილებს გარეგან ფაქტორებზე. ამიტომ ბავშვის განვითარების პროცესზე ორივე ფაქტორის ზემოქმედება ახდენს ზეგავლენას და ისინი ავსებენ ერთმანეთს. თითოეულ მათგანს აერთიანებს სწავლისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა, რომელშიც დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლის აქტიურობას. მიმაჩნია, რომ ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება უნდა უსწრებდეს სწავლებას. 5-7 წლის მოსწავლე, რომელსაც არ აქვს ბიოლოგიურად მომწიფებული შესაბამისი უნარები, ვერ შეასრულებს იმ დავალებებს, რომლებიც მის შესაძლებლობებს აღემატება. მაგ. არ შეიძლება, მოვთხოვოთ ინფორმაციის რამდენიმე ნიშნით დახასიათება, რადგან ის იმყოფება პრეოპერაციულ სტადიაში.

წარმოვიდგინოთ, რომ ბლუმის განათლების მიზნების ტაქსონომიას აქვს კონუსის ფორმა, რომელიც ექვსი პარალელური სიბრტყით არის გადაკვეთილი (იხ. სქემა.2). თითოეულ კვეთას შეესაბამება მოსწავლის განვითარების სხვადასხვა საფეხური. პირველი საფეხური არის ცოდნა, მეორე-გაგება, მესამე-გამოყენება, მეოთხე- ანალიზი, მეხუთე - სინთეზი, ხოლო მეექვსე შეფასება. კონუსის

ზედხედი სიბრტყეზე შეიძლება გამოვსახოთ ერთმანეთში მოთავსებული



სქემა 2.

სხვადასხვა ზომის წრეების სახით. თუ ამ წრეებს სიმრავლეთა თეორიის თვალსაზრისით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ თითოეული წრე გარდა იმ უნარებისა, რომლებიც კონკრეტული დონისთვისაა დამახასიათებელი, ასევე შეიცავს გარე წრისთვის დამახასიათებელ უნარებს. მაგალითად, პიროვნებას, რომელიც „გაგების“ დონეზეა, კარგად აქვს განვითარებული „ცოდნის“ დონისათვის დამახასიათებელი უნარები. (იხ. სქემა 2)

გარდა ამისა, მეორე მნიშვნელოვანი ბიოლოგიური ფაქტორი აისახება ასევე იმ ნიჭსა და მიდრეკილებებზე, რომელიც ადამიანს ბუნებრივად აქვს განვითარებული. მოსწავლეები უკეთესად სწავლობენ, თუ მათი შესაძლებლობები და ინდივიდუალური თავისებურებებია გათვალისწინებული. სასწავლო პროცესში მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებლობის შემთხვევაში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება ძალიან დაბალია. ამასვე ადასტურებს კომენსკი: არ უნდა ვუბიძგოთ მოსწავლეს იმისაკენ, რაც მის ნიჭს არ შეეფერება, რადგან ეს ბუნებასთან ბრძოლა იქნებოდა, ხოლო ბუნებასთან ბრძოლა ფუჭი საქმეა“ (ი.ა. კომენსკი, „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“ ტომი I, „დიდი დიდაქტიკა“, თავი XIX, თბილისი 1949წ. გვ.215).

1983 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ფსიქოლოგმა ჰოვარდ გარდნერმა დაწერა წიგნი – „აზროვნების სარკმლები. ამ წიგნში 2 ძირითადი მტკიცებულებაა დაფიქსირებული. 3. გარდნერის პირველი მნიშვნელოვანი დებულება მოიცავს აზრს, რომ ინტელექტი თანდაყოლილია და სავალდებულო არაა მხოლოდ გამორჩეულ პიროვნებებთან იყოს დაკავშირებული, ამიტომ ინტელექტის განვითარება პიროვნებას თავადვე შეუძლია. მეორე მტკიცებულებით, ინტელექტი მრავალგვარია და ნებისმიერი პიროვნება განვითარების სხვადასხვა დონეზეა, რაც დამოკიდებულია იმ გარემოზე, რომელშიც პიროვნება იზრდება და ვითარდება.

ე.ი. ყველა პიროვნება მრავალგვარი ინტელექტით არის აღჭურვილი და თითოეულ მათგანს განსხვავებული უნიკალური ინტელექტუალური რუკა აქვს. სწორედ ეს განაპირობებს პიროვნების ინდივიდუალობას. ამ თეორიის მიხედვით, ინტელექტის თითოეული სექტორი შეიძლება განვითარდეს და გაძლიერდეს, ან პირიქით, შეფერხდეს და დასუსტდეს. „აზროვნების სარკმლების“ ავტორის აზრით, ინტელექტი პრობლემების გადაწყვეტის ან საზოგადოებისათვის სასარგებლო პროდუქტის წარმოების ნიჭია და ინტელექტუალურ კოეფიციენტთან (IQ) საერთო არაფერი აქვს. შესაბამისად IQ შეფასების ტესტს ზემოხსენებული ნიჭის დადგენა არ შეუძლია. (Howard Gardner, multiple intelligences and education). ამ დასკვნების გამოტანა მან შეძლო რ. სტერნბერგის კვლევების საფუძველზე, გარდნერის კვლევა და თეორია შეიძლება მისი მოსაზრებების გაგრძელებად ჩაითვალოს.

რ. სტერნბერგის პირველი კვლევა (Education Testing Service Reserch Assesment 1970.) IQ ტესტს შეეხებოდა. ამ ტესტში მიღებული დაბალი შედეგების გამო ის მეხუთე კლასში ჩატოვს, სწორედ ამიტომ თავს დაზარალებულად თვლიდა. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, დაედგინა, რა უნარებს აფასებს IQ ტესტი? რამდენად სწორად იქცევიან უფროსები, როდესაც სასწავლო პროცესში ამ ტესტის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს? კვლევის ნაწილის წარუმატებლობის მიუხედავად მან შეძლო გამოეტანა დასკვნები: IQ - ტესტის ჩაბარება ადასტურებს, რომ მოსწავლეს შეუძლია წარმატების მიღწევა, მაგრამ „გენიოსი არ არის“. ის ადამიანები, რომელთაც კვლევის დროს ჰქონდათ ტესტში მაღალი IQ, კარიერული ზრდის თვალსაზრისით წარმატებულები იყვნენ, მაგრამ

მათ დიდ უმრავლესობას რაიმე სერიოზული აღმოჩენა არ გაუკეთებია, ამიტომ, სტერნბერგის აზრით, IQ ტესტი არ განიხილავს შემოქმედებით მხარეს.

შემოქმედებითი აზროვნებისათვის დამახასიათებელია: განსხვავებული ხედვის ჩამოყალიბება, საზოგადოების გამოწვევა, გარისკვა, წინააღმდეგობების გადალახვა სხვათა მოსაზრებების მიუხედავად, ამიტომ შემოქმედებითობა არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ეს უნარ-ჩვევები განაპირობებენ რაიმე ღირებულის შექმნას.

რ. სტერნბერგის მოსაზრებით, IQ ტესტში მაღალი ან დაბალი შედეგები სულაც არ ნიშნავს, რომ არ გამოხვალთ კარგი მსახიობი, მუსიკოსი და საერთოდ კარგი სპეციალისტი. ის თვლის, რომ ყველა ადამიანი ინდივიდია თავისი მიდრეკილებებითა და შესაძლებლობებით. სწორედ ამ კვლევამ შეუწყო გარდნერის თეორიის აღმოჩენას ხელი. (გ. ლეფრანსუა „ფსიქოლოგია მასწავლებლისათვის“ მოსკოვი; „ალმაპრესი“, 2003წ გვ. 216).

გარდნერი გამოყოფს და ახასიათებს ცხრა ინტელექტს. ესენია:

**ვერბალურ-ლინგვისტური ინტელექტი** – მოიცავს კარგად განვითარებულ ენობრივ და სამეტყველო უნარებს – ბგერებისა და სიტყვების აღქმას, წინადადებების ჩამოყალიბების და აზრის გამოთქმის შეძლებას, რითმის გრძნობას. ვერბალურ-ლინგვისტური ინტელექტის მქონე პიროვნებას სიტყვიერი შემეცნების განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ის კარგად კითხულობს, წერს, მეტყველებს, ფლობს მდიდარ ლექსიკას, თხზავს მოთხრობებს, რითმავს სიტყვებს. ამ უნარით არიან დაჯილდოებულნი: მწერლები, პოეტები, საჯარო მომხსენებლები, ადვოკატები, ჟურნალისტები, მსახიობები, ვაჭრები და სხვ.

**ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი** – მოიცავს კონცეპტუალური და აბსტრაქტული აზროვნების შეძლებას, ლოგიკური და მათემატიკური ფორმულების გაგების უნარს. ამ ინტელექტის მქონე ადამიანს ლოგიკურ-მათემატიკური შემეცნების განსაკუთრებული ნიჭი გააჩნია. ის კარგად ანგარიშობს, აღწესხავს, აანალიზებს, ანაწევრებს და ამთლიანებს, ადვილად გამოაქვს ლოგიკური დასკვნები. შეუძლია ფიქრი რიცხვებზე, აბსტრაქტულ სიმბოლოებზე, ალგორითმებზე. ლოგიკურ-მათემატიკური შემეცნების უნარის მქონე მოსწავლე ლოგიკური, მათემატიკური აზროვნებისთვისაა მოწოდებული. ამ

უნარით არიან დაჯილდოებული: სტატისტიკოსები, მკვლევარები, კომპიუტერის პროგრამისტები, მათემატიკოსები, ინჟინრები, ეკონომისტები, გამომძიებლები, ადვოკატები და სხვ. **მუსიკალური ინტელექტი** – მოიცავს რიტმის, ტონალობის, ჟღერადობის აღქმის უნარებს. მუსიკალურ-რიტმული ინტელექტის მქონე ადამიანს მუსიკით შემეცნების განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ის უკრავს ინსტრუმენტზე ან მღერის. აქვს რიტმის, ტემბრის, ტაქტის, ტონის განსაკუთრებული შეგრძნება. მუსიკალური შემეცნების მსმენელი ფიქრობს რიტმის, მელოდიის, ლექსის საშუალებით და სწავლობს მუსიკის ფონზე, ან მუსიკის შესრულებით. ამ უნარს ფლობენ: მუსიკოსები, კომპოზიტორები, დირიჟორები, მომღერლები.

**ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტი** – მოიცავს სურათხატებით აზროვნების, აბსტრაქტულად და/ან მკაფიოდ ვიზუალიზების უნარს, განსაკუთრებულ მგრძობელობას ფერების, ხაზების, შტრიხების, შუქ-ჩრდილების მიმართ. ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტის მქონე პიროვნებას გამომსახველობით-სივრცითი შემეცნების განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ის მხატვრული ბუნებისაა. მაღალ დონეზე აღიქვამს ფორმისა და ფერის უწვრილეს დეტალებს. გარეგან ფაქტორებს ინტერესით აკვირდება. ხალისით ხატავს, აფერადებს, ძერწავს, აქანდაკებს. ხელოვნებისმიერ-სივრცითი შემეცნების მსმენელი სურათ-ხატებით აზროვნებს და ვიზუალიზაციის ბრწყინვალე უნარი აქვს. ის ფოტოსურათების, ნახატების, დეკორაციების, ფილმების ნახვით სწავლობს. ამ უნარს ფლობენ: მხატვრები, დეკორატორები, არქიტექტორები, ინტერიერის და ექსტერიერის დიზაინერები, ფოტოგრაფები და სხვ.

**სხეულებრივ-კინესთეტიკური ინტელექტი** – მოიცავს სხეულის ფლობისა და მოძრაობის კონტროლირების უნარებს, ნივთების მარჯვედ მოხმარების შეძლებას. სხეულებრივ-კინესთეტიკური ინტელექტის მქონე პიროვნებას სხეულებრივი შემეცნების განსაკუთრებული ნიჭი აქვს და მთელ სხეულს გონებრივი აღქმების გამოსახატავად იყენებს. მას შესანიშნავი მოტორული უნარი აქვს. კომუნიკაციისათვის „სხეულის ენას“ მიმართავს. ჩინებულად ცეკვავს, წარმოსადეგი და ათლეტური აღნაგობისაა. სხეულებრივი შემეცნების უნარის მოსწავლე მოძრაობით, ჟესტიკულაციით, „სხეულის ენით“ გამოხატავს თავის



ფიქრებს, მოქმედებით და ხელის შევლებით უკეთ სწავლობს. ამ უნარით არიან დაჯილდოებული: ათლეტები, სპორტსმენები, ქირურგები, მოცეკვავეები, ხუროები, და სხვ.

**ინტერპერსონალური ინტელექტი** – მოიცავს სხვა ადამიანის ამა თუ იმ განწყობის, მოტივაციის, განცდებისა და სურვილების ამოცნობის, მათზე შესატყვისად რეაგირების უნარებს. ინტერპერსონალური ინტელექტის მქონე პიროვნებას სოციალური ურთიერთობით შემეცნების განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ნდობის მოხვეჭას და მეგობრების პოვნას ადვილად ახერხებს. განსაკუთრებულად გრძნობს მოდისა და ეპოქის მოთხოვნებს. შესანიშნავი მედიატორი, ლიდერი და ორგანიზატორია. მოვლენების პერსპექტივაში დანახვის უნარი გააჩნია. ინტერაქტული მუშაობის დროს უკეთესად სწავლობს. ამ უნარს ფლობენ: პოლიტიკოსები, მენეჯერები, გამყიდველები, რელიგიური ლიდერები, მასწავლებლები, მსახიობები, სოციოლოგები, ფილანტროპები.

**ინტრაპერსონალური ინტელექტი** – მოიცავს საკუთარი პიროვნული თვისებების, შინაგანი გრძნობების, ღირებულებების, ფიქრის პროცესზე დაკვირვების მეტაკოგნიტურ უნარებს. ინტრაპერსონალური ინტელექტის მქონე ადამიანს თვითშემეცნების განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ის თვითჩაღრმავებისაკენ, საკუთარი გრძნობების, განცდების, იდეების, ღირებულებების, ემოციების შეცნობის, მიზნების დასახვისა და თავისუფალ დროს ფიქრისკენაა მიდრეკილი. თვითშემეცნების უნარის მსმენელი უკეთ სწავლობს, როცა ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების, იდეათა ფორმულირების და სწავლების პროცესის გააზრებისათვის საკმარისი დრო აქვს მიცემული. ამ უნარს ფლობენ: ფილოსოფოსები, თეოლოგები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები და სხვ.

**საბუნებისმეტყველო (ნატურალისტური) ინტელექტი** – მოიცავს მცენარეების, ცხოველების, ნივთიერებებისა და სხეულების ამოცნობის, კატეგორიზებისა და შესწავლის უნარებს. ნატურალისტური შემეცნების უნარის მქონე მოსწავლეს ბუნების შესწავლის განსაკუთრებული ნიჭი აქვს. მას საგნებისა და ბუნებრივი ფენომენებისადმი ძლიერი ინტერესი ახასიათებს. მოსწონს ცხოველები, მწერები, ფრინველები, თევზები, მთები, ქვები, მინერალები, მწვანე ნარგავები, ხე-მცენარეები, ყვავილები, ვარსკვლავები, პლანეტები. არ აინტერესებს

არაბუნებრივი, ხელოვნური მოვლენები და ფენომენები: მანქანა, თვითმფრინავი და სხვა. ბუნებრივი სამყაროს საგანთა და მოვლენათა დახარისხების, კლასიფიცირების, კავშირების დადგენის დროს კარგად სწავლობს. ამ უნარს ფლობენ: გარემოს დამცველები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები, ფერმერები, ოკეანოგრაფები და სხვ.

**ეგზისტენციალური ინტელექტი** – მოიცავს ისეთ შეკითხვებზე დაფიქრებისა და ჩაღრმავების უნარებს, როგორცაა ადამიანის ყოფიერება, სიცოცხლის აზრი, სიკვდილის მნიშვნელობა, სამყაროს პირველსაწყისები და სხვ. „საიდან მოვდივართ?“ „როგორ შეიქმნა სამყარო?“ „რას მოუტანს კაცობრიობას მიმდინარე პროცესები?“ მსგავსი ტიპის შეკითხვებს უღრმავდება ეგზისტენციალური ინტელექტით დაჯილდოებული ადამიანი.

3. გარდნერი ამბობს, რომ სკოლამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ყველა ინტელექტის განვითარებაზე, რადგან თითოეული ინტელექტი მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ უნარებს მოიცავს. ადამიანი ყველა ამ ინტელექტის მატარებელი იბადება, მაგრამ გარემო უზღუდავს თითოეულის თანაბრად განვითარების შესაძლებლობას. (Howard Gardner, multiple intelligences and education)

3. გარდნერის თეორიის გაანალიზების საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ საკლასო სივრცეში მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების სისტემის შემუშავების თვალსაზრისით. ექსპერიმენტის ფარგლებში საშუალება მოგვეცა, მოსწავლეებისთვის შეგვეთავაზებინა საინტერესო, მრავალკომპონენტური და იმავდროულად მრავალგაზომილებიანი შეფასების სისტემა სწავლება-სწავლის პროცესის გასამრავალფეროვნებლად. 3. გარდნერის თეორიის გამოყენება შეფასების სისტემაში დაგვეხმარა, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება ინდივიდუალური პროცესი გამხდარიყო, რომელშიც თითოეულ პიროვნებას მიეცემოდა, თანაბარი განვითარების შესაძლებლობა.

ინტელექტი	შეფასების კომპონენტი	შეფასებასთან დაკავშირებული საკლასო საქმიანობა
<i>ვერბალურ-ლინგვისტური ინტელექტი</i>	კითხვა, წერა, მეტყველება, მსჯელობა, პრეზენტაცია	კითხულობს და ამუშავებს სხვადასხვა ტიპის ტექსტს; მონაწილეობს საკლასო დისკუსიებში, დებატებში იცავს საკუთარ პოზიციას ნაწარმოების შესახებ და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას;
<i>მათემატიკურ-ლოგიკური ინტელექტი</i>	მსჯელობა, არგუმენტაცია, პროექტების შემუშავება, პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა, კვლევების დაგეგმვა და განხორციელება	ანგარიშობს, აღნუსხავს, აანალიზებს, ანაწევრებს და ამთლიანებს, გამოაქვს ლოგიკური დასკვნები. ასრულებს რიცხვებზე მოქმედებებს, წესებისა და ფორმულების გამოყენებით ხსნის მაგალითებსა და ამოცანებს, აკეთებს პროექტებს, შეიმუშავებს პროგრამებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
<i>მუსიკალური ინტელექტი</i>	მსჯელობა, პროექტების შემუშავება, პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა, დისკუსია;	მუსიკალური ნაწარმოების შესახებ გრძნობებისა და ემოციების გამოხატვა; ისმენს მუსიკალურ ნაწარმოებს და წერილობით და ზეპირად საკუთარი ფანტაზიით ქმნის ნაშრომს. ლექსის რითმას უსადაგებს რიტმს, მოთხრობას ან სპექტაკლს აფორმებს მუსიკალურად.
<i>ვიზუალურ სივრცითი</i>	პრეზენტაცია, სპექტაკლები, პროექტები	ხატავს, აფერადებს, ძერწავს, აქანდაკებს, ქმნის მაკეტებს, მოდელებს, მონაცემებს ვიზუალურად წარმოადგენს. საუბრობს

		სხვადასხვა ფოტოსურათების, ფერწერული ტილოების, ფილმების შესახებ. ქმნის სპექტაკლის დეკორაციებს. ვიზუალურად წარმოადგენს პროექტებს აფორმებს წიგნებს, იღებს ფილმებს.
<b>ინტერპერსონალური</b>	კოლექტიური პროექტები და პრეზენტაციები, საკლასო დისკუსიები, დებატები	საკლასო დისკუსიებში მონაწილეობა, მეგობრებთან ერთად ქმნის (წყვილში, ტრიადებსა და ჯგუფში), გეგმავს და ახორციელებს პროექტებსა და პრეზენტაციებს.
<b>ინტრაპერსონალური</b>	დამოუკიდებელი მუშაობა; თვითშეფასება ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება და შესრულება;	აფასებს საკუთარ იდეებსა და ღირებულებებს. დამოუკიდებლად ატარებს კვლევებს, გეგმავს, ახორციელებს პროექტებს, აფასებს საკუთარი განვითარების პროცესს, მოიძიებს ინფორმაციას, წერს საკუთარი საქაღალდის შეფასების ანგარიშს: საუბრობს საკუთარ წარმატებებსა და წარუმატებლობებზე, ისახავს პრობლემების მოგვარების გზას.
<b>საბუნებისმეტყველო</b>	ცდები და ექსპერიმენტები, კვლევები და პროექტები	აკვირდება საგნებსა და მოვლენებს, აგროვებს მონაცემებს, ატარებს ცდებსა და ექსპერიმენტებს, აკეთებს ჩანაწერებს, გამოთქვამს ჰიპოთეზებს, გეგმავს და წარმართავს პროექტებს, წაკითხულის შესახებ გამოაქვს დასკვნები და ასაბუთებს მათ;
<b>სხეულებრივ-კინესთეტიკური</b>	ღონისძიებები, წარმოდგენები, ფილმები	მონაწილეობს: ღონისძიებებში, სპექტაკლებში, სასკოლო ფილმებში, სპორტულ შეჯიბრებში.
<b>ეგზისტენციალური</b>	ინდივიდუალური	სვამს შეკითვებს და ეძებს პასუხებს.

	იკვლევები	მოიძიებს ინფორმაციას და იკვლევს საკითხის არსს.
--	-----------	--

ადამიანის ინდივიდუალური ინტელექტუალური რუკის დასადგენად ჰ. გარდნერმა შეიმუშავა ტესტები, რომელთა საშუალებით მასწავლებელი მოსწავლეს მხოლოდ ერთი განზომილებით – „ცოდნის რაოდენობით“ კი არ აფასებს, არამედ მრავალმხრივად. ადგენს მოსწავლის ბუნებრივ თავისებურებებს, როგორცაა ლოგიკური, ვერბალური, ვიზუალური, სმენითი, კინესთეტიკური, ინტრაპერსონალური და ინტერპერსონალური შესაძლებლობები.

ჩვენი ექსპერიმენტის ფარგლებში დავეყრდენით ჰ. გარდნერის ტესტს (იხ. ტესტი 1). მას აქვს დიაგნოსტიკური დანიშნულება და მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენება. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ფსიქოლოგისა და კლასის დამრიგებლის დახმარებით ჩავატარეთ ტესტირება, რამაც მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლისა და ინტელექტუალური რუკის შედგენის საშუალება მოგვცა, რომლის საფუძველზეც შევარჩიეთ შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტები მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამან ხელი შეუწყო მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. იმავე ტესტით მოსწავლეთა დიაგნოსტირება მიმდინარეობდა სასწავლო წლის დასრულების შემდეგაც, რათა დაგვედგინა, რამდენად სწორად წარიმართა სასწავლო პროცესი, როგორ შეიცვალა მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტელექტუალური რუკა, რა სახის ხარვეზების შევსება და ქმედებების განხორციელება იყო საჭირო;

(გ. ლეფრანსუა „ფსიქოლოგია მასწავლებლისათვის“ მოსკოვი „ალმაპრესი“ 2003წ გვ. 219 (howard gardner's multiple intelligences - Businessballs))

ტესტი №1 . ჰ. გარდნერის ტესტი

	1- საერთოდ არ ვეთანხმები, 2- არ ვეთანხმები; 3- ნაწილობრივ ვეთანხმები, 4- სრულიად ვეთანხმები	1	2	3	4
1	მე შემიძლია მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა				
2	მე ხშირად ვდილინებ ხოლმე რაიმე მელოდიას				
3	მე ადვილად შემიძლია შევაჯამო რაიმე ისტორიები				

4	მე ყოველთვის იზიკურად ჯამრთელი ვიყავი				
5	მუსიკა მნიშვნელოვანია ჩემთვის				
6	მე არასდროს ვკარგავ ორიენტაციას უცხო გარემოში				
7	მე ვცეკვავ და ვმონაწილეობ სპორტულ ღონისძიებებში				
8	მე ვარ ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი, მომწონს ადამიანებთან ურთიერთობა				
9	მე მიყვარს საკუთარი თავის შესახებ მეტის შეცნობა				
10	მე გრაფიკებისა და რუკების საშუალებით მიაღვილდებასაკითხის გაგება				
11	მე ადვილად ვიმახსოვრებ ფრაზებსა და ციტატებს				
12	საკითხზე კონცენტრირებისას მექანიკურად ვხატავ				
13	მიაღვილდება მათემატიკური ოპერაციების ზეპირად შესრულება				
14	სკოლაში ჩემი ერთ-ერთი საყვარელი საგანი არის უცხო ენა				
15	მე მსიამოვნებს კამათსა და დისკუსიაში მონაწილეობის მიღება				
16	მე მიყვარს ექსტრემალური სპორტი				
17	მე უფრო მეტად მსიამოვნებს ინდივიდუალური სპორტი				
18	მე მიაღვილდება ციფრების დამახსოვრება				
19	მე მიყვარს განმარტოება და ფიქრი				
20	მე პირდაპირ შემიძლია გამოვხატო პირადი სიმპატია ან ანტიპატია ადამიანის მიმართ				
21	მე რაიმე მასალის შესასწავლად მიხდება საკითხის რამოდენიმეჯერ გამეორება				
22	მე ხშირად წარმოვიდგენ სურათებს, როდესაც თვალებს ვხუჭავ				
23	მე მიყვარს ლოგიკური ამოცანების ამოხსნა				
24	სკოლაში მომწონს მუსიკის გაკვეთილები				
25	მე უფრო მომწონს და მიაღვილდება ბურთით თამაში				
26	ჩემი საყვარელი საგანი სკოლაში არის მათემატიკა				
27	მე ყოველთვის შემიძლია ჩემი გრძნობების შეცნობა				
28	ჩემი საყვარელი საგანი სკოლაში არის ხელოვნება				

29	კითხვა მანიჭებს სიამოვნებას				
30	ვლიზიანდები როდესაც ვიღაცას აქვს პრობლემა და არ შემძლია მისი დახმარება				
31	მე ვამჯობინებ ჯგუფურ სპორტს				
32	სიმღერა ბედნიერს მხდის				
33	როდესაც მარტო ვარ, თავს ბედნიერად ვგრძნობ				
34	ჩემი მეგობრები ყოველთვის მოდიან ჩემთან რჩევის საკითხავად				
35	მე ადვილად ვიგებ მათემატიკურ დავალებებს				

აღნიშნული ტესტის შევსების დროს გავითვალისწინეთ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურება. დაწყებითი კლასებისათვის გამოვიყენეთ დაკვირვების (მასწავლებელი აკვირდებოდა მოსწავლეთა ქმედებებს სასწავლო პროცესში) და ინტერვიუს მეთოდი (თითოეულ მოსწავლესთან ატარებდა ინდივიდუალურ ინტერვიუს მოცემული კითხვარის მიხედვით). V-დან XII კლასის მოსწავლეებში სწავლის სტილის დასადგენად გამოვიყენეთ ტესტირების მეთოდი – მოსწავლეები თავად ავსებდნენ მოცემულ ტესტს. სრული სურათის დასადგენად (განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში) გამოვიყენებოდა დაკვირვების მეთოდიც, რომელიც ინფორმაციის სრულყოფის საშუალებას გვაძლევდა.

მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტელექტუალური რუკა. ამის საფუძველზე მასწავლებელი ადგენს ინდივიდუალური განვითარების გეგმას და ირჩევს შესაბამისი სწავლის სტილის შეფასების კომპონენტებსა და ინსტრუმენტებს. მაგალითისათვის წარმოვადგენთ ექსპერიმენტის შედეგებს. მონაცემების სანდოობისათვის შევარჩიეთ ისეთი მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები, ასევე თითოეულს ჩაბარებული აქვს სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საატესტატო გამოცდა.

### მოსწავლე – „ნ. ი.“

I-წელი. სკოლის ფსიქოლოგის დასკვნა

აქვს ვერბალური უნარების სისუსტე. ლაპარაკობს 2-3 სიტყვიანი წინადადებებით, უშვებს გრამატიკულ შეცდომებს, უჭირს ლექსიკური ერთეულების გახსენება, ტექსტის წაკითხვა, დეკოდირება (ამოცნობა), აღქმა და გაგება. არასწორად

წარმოთქვამს სიტყვებს. კითხვის დროს ტოვებს ასოებს. უჭირს წაკითხულის გააზრება. წერს არასრულ გაუგებარ წინადადებებს, ხშირად იმეორებს რამდენჯერმე ერთსა და იმავეს. ამოცანის პირობიდან ვერ ხვდება, რომელი მათემატიკური ოპერაცია არის შესასრულებელი, უჭირს ზეპირი სავარჯიშოების ან მაგალითების ამოხსნის ლოგიკური თანმიმდევრობის სიტყვიერად ახსნა და გაბმული საუბარი. ადრე ძალიან სწრაფად (20-25 წთ-ის შემდეგ) იღლებოდა, ესაჭიროებოდა სხვა საქმიანობაზე გადართვა ან დასვენება. დაბნეული და შემინებულია საუბრის დროს. უყვარს ხატვა, სიმღერა. თანაკლასელებთან ურთიერთობა.


ხსენებული მოსწავლისათვის ინტელექტუალურმა რუკამ, მუშაობა დაიწყო შემდეგი კუთხით:

კრიტერიუმები:	დრო
წაკითხულის დეკოდირება;	I წელი
წაკითხულის გაგება;	I წელი
წაკითხულიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყოფა;	I წელი
წაკითხულის გააზრება;	II-III წელი
ლექსიკური მარაგის გამდიდრება; (სხვადასხვა საგანში)	II-III წელი
უცხო სიტყვების ამოცნობა და ინტერპრეტაცია (საკუთარი სიტყვებით განმარტება)	I-II წელი
ინფორმაციის კლასიფიკაცია;	III წელი
ინფორმაციის თანმიმდევრული თხრობა;	II-III წელი
აზრის დასაბუთება;	II-III წელი

შეირჩა შეფასების მეთოდი: განვითარებაზე დაკვირვება. რუბრიკების გამოყენებით. ყურადღება მიექცევა შემდეგი სასწავლო უნარების განვითარებას.

III წელი. მოსწავლე „ნ. ი.“ არის ხალისიანი, ცნობისმოყვარე, მოსწონს ამოცანები და უცხო ტექსტების გააზრება. არ ემინია შეცდომის დაშვების, ორგანიზებულია და კონცენტრირებული. არ იღლება. განუვითარდა არგუმენტაციისა და დასაბუთების უნარი, აქვს ასაკის შესაბამისი ლექსიკური მარაგი, აუმაღლდა თვითშეფასების უნარი, გაუჩნდა ნდობა, გახდა ყურადღებიანი, დამოუკიდებელი, მოტივაცია მაღალი აქვს, შინაგანი რაც მაღალ





დიაგრამა №3

ქულებსა და აკადემიურ მოსწრებაში გამოიხატა. შემლო თანაკლასელებს შორის, ანუ სოციუმში ადგილის დამკვიდრება (იხ. დიაგრამა №3).

### მოსწავლე-„გ. ნ.“

I-წელი. შენელებული აქვს აზროვნება, ასაკს სამი-ოთხი წლით ჩამორჩება. დიდ ყურადღებას ამახვილებს ზოგად საკითხებზე. მრავალპერაციული საკითხების გადაჭრა უჭირს. უადვილდება მარტივი ოპერაციების შესრულება, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მარტივ ოპერაციებსაც ვერ ასრულებს. თამამად აზრის გამოთქმა ეუხერხულება. აზრის ლოგიკური კავშირების დამყარება და მოსაზრებების თანმიმდევრული გადმოცემა არ შეუძლია, არც ზეპირად და არც წერილობით. წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობისას არ ერთვება, ძირითადად ჩუმადაა და ურჩევნია მასწავლებელთან განმარტოებული საუბარი. არ ერთვება საკლასო დისკუსიებსა და მსჯელობაში. დაბნეულია, უჭირს კონცენტაცია, ხშირად არ მოაქვს დავალებები. მასწავლებლებსა და მოსწავლეებში აქვს „დამკვიდრებული იმიჯი“ „მაგისგან არაფერი გამოვა, უვიცია . . .“

მშობლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ მოსწავლეს „გ. ნ.“ აქვს სამშობიარო ტრავმა, მთელი წელი გაატარა საავადმყოფოში. იგი მშობლების მხრიდან განიცდის მაქსიმალურ ზეწოლას, რადგან მათი სწავლის მიმართ მოთხოვნები მაღალია. აქვთ მაღალი მოლოდინები. უჭირთ იმის შეგუება, რომ „გ.ნ.“-ს ძალიან დაბალი აკადემიური მოსწრება აქვს. მშობლები თვლიან, რომ ეს


ბავშვის სიზარმაცითაა გამოწვეული. სწორედ ამის გამო „გ. ნ.“ გახდა დეპრესიული და ის თავის მოკვლას აპირებდა. თავს დამნაშავედ გრძნობდა მშობლების წინაშე, რადგან მათ იმედებს ვერ ამართლებდა.

„გ. ნ.“-ს მშობლებს გავესაუბრეთ და შემუშავდა მათთან შეხვედრების გრაფიკი, რათა პოზიტივით ჩაერთონ საკუთარი შვილის ცხოვრებაში (თანადგომა, წახალისება, დარწმუნება მუდმივი საყვედურების სანაცვლოდ). შევხვდით „გ. ნ.“ –ს მასწავლებლებს და შევადგინეთ მოქმედების გეგმა;

1. დადგინდეს სწავლის სტილი და განვითარების დონე;
2. მოხდეს „გ. ნ.“-სთან გასაუბრება და მასთან შეთანხმება სწავლის შესახებ;
3. შემუშავდეს ინდივიდუალური გეგმა და შეფასების კრიტერიუმები;

ამ ღონისძიებების შემდეგ შეიცვალა „გ.ნ.“-ს დამოკიდებულება სწავლის მიმართ. არ აცდენს სკოლას. დადის დამატებით გაკვეთილებზე. ასრულებს საშინაო დავალებებს (ხშირ შემთხვევაში საშინაო დავალებები არ არის სრულყოფილი და სწორად გადაწყვეტილი, მაგრამ შესრულებულია დამოუკიდებლად). შეცდომებზე შეუძლია შიშის გარეშე საუბარი. საკლასო ოთახში კარგად მუშაობს, ხშირ შემთხვევაში უჭირს ცოდნის პრაქტიკაში გადატანა და დამოუკიდებლად ინფორმაციის გაანალიზება. აზრის თანმიმდევრული გადმოცემისას დახმარება ესაჭიროება. საჭიროა ერთი და იმავე თემის რამდენჯერმე ახსნა-განმარტება. ვერ ახერხებს ლოგიკური კავშირების დამყარებას ტექსტის ნაწილებს შორის. სვამს შეკითხვებს გაუგებარი საკითხების გასააზრებლად (ვიდრე სრულფასოვნად არ გაიაზრებს). საკითხის გააზრების დროს უყვარს ხმამაღალი მსჯელობა. ამ მსჯელობის საფუძველზე შეინიშნება, რომ „გ.ნ.“ ცდილობს საკითხების დამახსოვრების მიზნით საკუთარი სქემების აგებას. მუშაობს წყვილებში, ჯგუფებში, აკეთებს პრეზენტაციებს, თუმცა საკუთარ ძალებში დარწმუნება აკლია.

III წელი. მოსწავლე „გ.ნ.“ საკუთარ მოსაზრებებს თამამად გამოხატავს, ასრულებს საშინაო დავალებებს, ხშირ შემთხვევაში არასრულყოფილს. იმ საკითხებზე, რომლებიც დამახსოვრებას მოითხოვს, (ცოდნის დონე) პასუხები ხშირ შემთხვევაში მცდარია (IQ), მაგრამ უფრო თავდაჯერებულია ისეთ საკითხებზე საუბრისას, რომლებიც მოითხოვენ საკუთარი ხედვის ჩამოყალიბებას,



დიაგრამა №4


განცდების, ემოციების გამოხატვას. ამ შემთხვევაში აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად და დამაჯერებლად, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. (თუმცა წერა ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს). ძალიან ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე. ინდივიდუალური შეფასებიდან (სტანდარტის დაბალი ზღვარი) გადავიდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამის კრიტერიუმებზე. სწავლაში არსებულ პრობლემებს თავადვე აგვარებს, გახდა დამოუკიდებელი, ესწრება დამატებით გაკვეთილებს (რომელთა დანიშვნას, გადატანას თავად ათანხმებს მასწავლებელთან), ობიექტურად გეგმავს მომავალს. დისკუსიების დროს არის თავდაჯერებული. გაუგებარ საკითხებს თავს არ არიდებს, ცდილობს მის გააზრებას. თუმცა გასაანალიზებლად სხვა მოსწავლეებთან შედარებით მეტი დრო სჭირდება.

**მოსწავლე „თ.ბ.“**

I წელი. „თ.ბ.“-ს გონებრივი შესაძლებლობები ძალიან კარგი აქვს. სწავლის მიმართ დამოკიდებულება არ არის პოზიტიური. მიაჩნია: რომ „მაღალ ნიშნებს მაინც ვერ მიიღებს“, „მასწავლებლები სულ ჩასაფრებული არიან და როგორც არ უნდა ისწავლო, ყოველთვის შეუძლიათ მოგიძებნონ მიზეზი და ნიშანი დაგაკლონ. ერთხელ მაინც თუ ვერ ისწავლე გაკვეთილი, სულ იმას გახსენებენ“. მისი „გადაწყვეტილება“ ასეთია: „მთავარია, არ ჩავიჭრა, რომ

მშობლებმა არ დამსაჯონ”. მშობელთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ „თ.ხ.” სწავლობს არა საკუთარი სურვილით და მოტივაციით, არამედ იმიტომ, რომ დედა „აიძულებს”. (იხ. დიაგრამა №5)

გავესაუბრეთ მშობელს, გავარკვეეთ საკუთარი შვილის მიმართ მშობლის ინტერესები და მომავლის გეგმები. აღმოჩნდა, რომ არის საკმაოდ მომთხოვნი, როგორც სკოლის, ასევე საკუთარი შვილის მიმართ. მიაჩნია, რომ სკოლაში მკაცრად უნდა იწერებოდეს ნიშნები და ბავშვები უკეთ ისწავლიან. შვილისა და დედის დამოკიდებულება შეფასების მიმართ სრულიად განსხვავებულია. „თ.ხ.” აპროტესტებს უფროსების ზეწოლას და ძირითადად საკუთარი ინდიფერენტულობით პასუხობს. მოსწავლეს აქვს სწავლის დაბალი მოტივაცია, რაც გამოწვეულია სწავლისა და შეფასების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებით.



დიაგრამა №5

მოსწავლეებთან ჯგუფური შეხვედრების დროს დადგინდა, რომ ასეთი მოსწავლეებისა და მშობლების რაოდენობა სკოლაში საკმაოდ დიდია (დაახლოებით 60-70%). გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების შეფასება (ნიშნები), მათი შეხედულებით, არის ზეწოლის, დასჯის საშუალება. საუბრისას გაირკვა, რომ ისინი ყოველთვის ცდილობენ ცუდი შეფასების თავიდან აცილების გზების ძიებას. აღმოჩნდა, რომ ამ პროცესში ხშირად იყენებენ მშობლებსაც (აღწევნ შეთანხმებას, უცოდინრობის შემთხვევაში გააცდინონ სკოლა). განხორციელებული ექსპერიმენტის შედეგად დავადგინეთ, რომ:

1. სწავლის პროცესის დაგეგმვისა და მოსწავლეთა შეფასებისას მნიშვნელოვანია მათი ინდივიდუალური ინტელექტუალური რუკისა და სწავლის სტილის განსაზღვრა. ეს მასწავლებლებს საშუალებას მისცემს, მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით დაგეგმოს და შეაფასოს მათი განვითარების პროცესი, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ თვითრეალიზებას.
2. მიზნობრივად შერჩეული სასწავლო სტილი და შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები მოსწავლეებში ზრდის სწავლის მოტივაციას, რის საფუძველზეც იზრდება მათი აკადემიური მოსწრება. სასწავლო პროცესში მაღალია მათი შემეცნებითი აქტიურობის დონე; იმ შემთხვევაში, თუ სწავლის პროცესში არ გავითვალისწინებთ ბავშვის ბუნებას, მის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, იწყება გაუცხოება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, რაც ხანგრძლივი დროით ამორებს ორივე მხარეს სასწავლო მიზნებს. სასწავლო პროცესში მასწავლებელი-მოსწავლის გაუცხოებას დ. უზნაძე „აღზრდის ძირითად ტრაგედიას უწოდებს, რომლის შედეგია უინტერესო სასწავლო გარემო, რომელიც სკოლებში სუფევს. (დ. უზნაძე „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ ჟ. „სკოლა და ცხოვრება“ 1981 წ. №1) არადა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს ზეგავლენს და მიეკუთვნება განვითარებაზე მოქმედ გარეგან ფაქტორს, არის სასწავლო გარემო. ამასვე მოწმობს შ. ამონაშვილი საკუთარ ნაშრომში: ბავშვის განვითარებისათვის შესაბამისი გარემო (ობიექტი, სასწავლო მასალა), მისი ფსიქოლოგიური ძალების ფუნქციონირებისა და პიროვნული თვისებების ჩამოსაყალიბებლად გამორჩეულად მნიშვნელოვანია. (Амонашвили.Ш. «Воспитательная и образовательная функция оценки учения школьников» педагогика. Москва. 1984 г. ст. 154)
3. ცნებები: „მინაგანი ფსიქოლოგიური ძალები“ და „გარემო,“ ფარდობითია და შესაძლოა მასწავლებლის მხრიდან სხვადასხვა ახსნას მოიაზრებდეს, შესაბამისად მათი დამოკიდებულებაც განსხვავებული აღმოჩნდეს. ამიტომ განვითარებისათვის ოპტიმალურ გარემოდ ითვლება ისეთი, რომელიც მოსწავლეებში აღძრავს ქმედების სურვილს, ფსიქოლოგიურ ძალებს განაწყობს

და მიმართავს მიზნის მიღწევისკენ. სასწავლო შედეგებითი ამოცანები (მიზნები) წარმოადგენენ სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის მოტივაციის ერთ-ერთ საფუძველს მთლიანობაში საერთოდ «Школьная жизнь детей их отношения друг к другу и педагогу и основанный на этом характер общений во многом детерминированы тем, что с помощью отметок они разделены на « отличников», или « сильных», «троечников», или «средних», и «двоечников», или «слабых». Поскольку учение становится ведущим видом деятельности, имеющим важное общественное значение, то связанные с ним успехи и неудачи школьников, выраженные отметками, приобретают социальную функцию и влияют на их отношения и школьную жизнь.» (Амонашвили.Ш. «Воспитательная и образовательная функция оценки учения школьников» педагогика. Москва. 1984 г. ст.33). აქედან დასკვნა, რომ სწორად შემუშავებული მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება, ასევე სწორად განსაზღვრული სასწავლო მიზნები განაპირობებენ ეფექტურ სასწავლო გარემოს და მოსწავლეთა სწავლის მოტივაციას. დღეისათვის სკოლის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობისა და დამოუკიდებლობის დეფიციტი, ამის ერთ-ერთ მიზეზად კი უნდა ჩაითვალოს არასწორად შემუშავებული და საქართველოს სკოლებში დანერგილი მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემა.

მოსწავლეთა მხრიდან წიგნთან გაუცხოება, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან იკვეთება, როგორც სკოლის საწუხარი, ფარული სენი. მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის დაქვეითების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი არასწორად ორგანიზებული სასწავლო პროცესია, რომელიც ერთი მხრივ პედაგოგთა მხრიდან სწავლება-სწავლის მეთოდის ნაკლები ცოდნითა და დაბალი პროფესიონალიზმითაა განპირობებული, მეორე მხრივ კი მეთოდისკადასთან შეუსაბამო მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემით. პედაგოგების უმრავლესობა ვერ ახერხებს სასწავლო სტრატეგიებისა და განმავითარებელი შეფასების მეთოდების, კომპონენტების ერთმანეთთან დაკავშირებას. მოსწავლეთა ცოდნის შეფასება სწავლება-სწავლის შემადგენელი ნაწილია და სასწავლო პროცესს უნდა აღწერდეს. ამასვე ადასტურებს დ. გურგენიძე „შეფასება ეყრდნობა იმ საფუძვლებსა და პრინციპებს, რომლებზეც

დაფუძნებულია და რომლებიც განსაზღვრავენ სწავლების პროცესს საერთოდ.” (დ. გურგენიძე „მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების ძირითადი პრინციპები”, „პედაგოგიკა”, თბილისი 1986წ, გვ.24) მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება სრულყოფილად ასახავს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, საინტერესოს ხდის სასწავლო გარემოს, ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას და თვითრეალიზებას.

მასწავლებელმა უნდა მოძებნოს სხვადასხვა გზა და საშუალება მოსწავლეთა თვითრეალიზებისათვის. ამის მიღწევა შესაძლებელია, როცა იგი იცნობს სწავლება-სწავლის სხვადასხვა მიდგომას, ფლობს მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებელ მრავალფეროვან მეთოდებსა და სასწავლო სტრატეგიებს. პედაგოგი, რომელიც ცდილობს, სასწავლო გარემო გახადოს საინტერესო, მრავალფეროვანი, მხოლოდ ის აღწევს მოსწავლეთა შემოქმედებით აქტიურობას. „მათ უნდა ახსოვდეთ ჰორაციუსის სიტყვები: ყველა ემხრობა იმას, ვინც სასიამოვნოს სასარგებლოს დაუკავშირებს. ეს ის ასაკია, რომელმაც არ იცის, რა არის ცხოვრების ტვირთი და სასარგებლოს ზომავს იმით, თუ რამდენად არის იგი სასიამოვნო” –წერს ი. ა. კომენსკი (ი.ა. კომენსკი „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი” „ცოდნა” 1958წ გვ. 299). პედაგოგი, რომელიც კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე აგებს საკუთარ გაკვეთილს, წაახალისებს მოსწავლეებს საკუთარ ქმედებათა თვითშეფასების და მიღებული შემეცნებითი „სარგებლის“ გააზრებისაკენ. საკლასო ოთახში სწავლის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება, მათ „მკვლევარებად“ აყალიბებს და აღჭურავს მუდმივი შემეცნებისათვის. კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეები სწავლობენ, როგორ ისწავლონ სწავლის სწავლა (მეტაკოგნიცია). ცოდნის შეძენა სპირალური, მუდმივგანვითარებადი პროცესია, მოსწავლეები უწყვეტად აცნობიერებენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას. კითხულობენ ტექსტებს, მათ უვითარდებათ ახალი ინფორმაციის ძველთან შერწყმის, გამთლიანების და გაზიარების უნარი. ეს კი, თავის მხრივ, ახალ კითხვებს ბადებს. მასწავლებლის უმთავრესი ამოცანებია:

- წაახალისოს მოსწავლეთა სწავლის პროცესი;
- აღუძრას მოსწავლეებს არსებულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის სურვილი;

- მიმართულება მისცეს ჯგუფში ჩამოყალიბებულ საინტერესო აზრებს ნაყოფიერი კვლევისათვის. შემდგომში კი მოსწავლეებთან ერთად იმსჯელოს მიღებულ შედეგებზე.

დღესდღეობით მასწავლებლის ფუნქცია მხოლოდ მასალის მიწოდებითა და ახსნით არ ამოიწურება. იგი ხდება მოსწავლეთა დამხმარე პიროვნული ცოდნის „კონსტრუირებაში“ და არა ფაქტობრივი ინფორმაციის დაგროვებაში. შემეცნებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებით პედაგოგი მოსწავლეებს ამზადებს ცხოვრებისათვის. სასწავლო პროცესისადმი ასეთი მიდგომით ბავშვი ინფორმაციის პასიური მიმღებიდან აქტიურ შემსწავლელად იქცევა. მექანიკური დამახსოვრებისაგან განსხვავებით მოსწავლე გაცილებით უკეთ და სწრაფად აყალიბებს ცოდნის საკუთარ, ინდივიდუალურ კონსტრუქციას (ეროვნული სასწავლო გეგმა 2010-2011ს/წ).

აქტიურობის ცენტრი მასწავლებლიდან მოსწავლისკენ ინაცვლებს. საკლასო ოთახი აღარ არის ადგილი, სადაც მასწავლებელი „ექსპერტი“ „უმოქმედო ცოდნას“ აფრქვევს პასიურ მოსწავლეებს. გაკვეთილზე ბავშვები აქტიურად ერთვებიან შემეცნების პროცესში, პედაგოგი „მესაჭეს“ წარმოადგენს, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება, განავითარონ და შეაფასონ გაგებისა და ათვისების დონე. პედაგოგის უმთავრეს ამოცანად რჩება გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეთა მნიშვნელოვანი შეკითხვების გამოვლენა. ამ დროს შემეცნება ფაქტების ინერტულ დამახსოვრებად კი არ აღიქმება, არამედ დინამიურ პროცესად. იგი მუდმივად ვითარდება და იცვლება ისევე, როგორც ჩვენი წარმოსახვა სამყაროს შესახებ. ასეთ სასწავლო პროცესში მოსწავლეები შესაძლებლობების მაქსიმალურ თვითრეალიზებას ახდენენ.

ცხრილში №4 კონსტრუქტივისტული საკლასო ოთახი შედარებულია ტრადიციულთან. მკაფიოდ იკვეთება ძირითადი განსხვავება მათ შორის.

ცხრილი №4 კონსტრუქტივისტული და ტრადიციული საკლასო ოთახის შედარება

ტრადიციული სკოლა	კონსტრუქტივისტული/აქტიური სკოლა
საგნის ცოდნაზე ორიენტირებული, მკაცრად განსაზღვრული სასწავლო პროგრამა	სასწავლო კურიკულუმში წინასწარ მხოლოდ პროგრამის ორიენტირებია ხაზგასმული და მიმდინარეობს მისი



	განვრცობა
მასწავლებელი ვალდებულია, დაემორჩილოს წინასწარ დამტკიცებულ პროგრამას. მისი მკაცრად დაცვა სავალდებულოა.	მასწავლებლისათვის ამოსავალ წერტილად მოსწავლეთა შეკითხვები და ინტერესებია მიჩნეული.
სასწავლო მასალას უმთავრესად შეადგენს სახელმძღვანელოები და სამუშაო რეგულაციები;	სასწავლო მასალაში ჩართულია ისტორიული პირველწყაროები, ფილმები, ნარკვევები, სპექტაკლები და სხვა.
სწავლება მექანიკურ (დაზეპირება/ დაზუთხვაზე) გამეორებაზეა დაფუძნებული და ორიენტირებულია მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე.	სწავლება ეფუძნება პიროვნების არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას. ის ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ აზროვნებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე.
ინფორმაციის (მასალის) გამცემის როლს მასწავლებელი ასრულებს; მოსწავლეები მხოლოდ მიმღებნი/შემკრებნი არიან. სასწავლო პროცესი მთელ კლასზეა (ძირითადად, ძლიერ მოსწავლეებზე) გათვლილი.	მასწავლებლები მუდმივ დიალოგში ერთვებიან მოსწავლეებთან, ეხმარებიან მათ საკუთარი ცოდნის მშენებლობასა და კონსტრუირებაში, რაც ცალკეული მოსწავლის შესაძლებლობების განსაზღვრის და განვითარების საშუალებას იძლევა.
სწავლების ძირითად ფორმად გამოიყენება: • ლექციური მეთოდი. მოსწავლეებს ინფორმაცია გადაეცემათ ზეპირად; • გამოიყენება თვალსაჩინოება.	ლექციური მეთოდის გარდა გამოიყენება: • დისკუსიები, კამათი, დებატები; • წყვილური და ჯგუფური მუშაობა; • ლაბორატორიული და ექსპერიმენტული სამუშაოები და სხვა.
მასწავლებლის როლი დირექტიული და	მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლეებთან; იგი პროცესის

ავტორიტარულია.	ფასილიტატორი და გზამკვლევა.
შეფასება მიმდინარეობს ნიშნებით, გამოცდებით. ნიშნები ასახავს, ათვისებულ ცოდნას. გამოცდებზე მოწმდება სწორი პასუხები.	ფასდება არა მხოლოდ მოსწავლის მიერ ათვისებული სასკოლო პროგრამა, არამედ ბავშვის განვითარების პროცესი (საწყისთან შედარებით). შეფასება მიმდინარეობს მოსწავლეთა ნამუშევრებით, რუბრიკებით, თვითშეფასებით, პორტფოლიოებით.
ცოდნის შეძენა ფაქტების ინერტული დამახსოვრებაა.	ცოდნა თანმიმდევრულად, დინამიურად იცვლება, პიროვნების გამოცდილების მიხედვით.
ცოდნის შეძენა ფაქტების ინერტული დამახსოვრებაა.	მოსწავლეები უმთავრესად წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობენ. იყენებენ მუშაობის მრავალფეროვან ფორმებს

მოსწავლეთა შემეცნებითი პროცესი აქტიურდება არა მხოლოდ საინტერესო მასალით ან თემით, არამედ იმ მეთოდებითა და აქტივობებით, რომელსაც მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში იყენებს. ვ.ა. სუხომლინსკი თვლის, რომ მასწავლებლის მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ბავშვის სწავლის პროცესის შემსუბუქებისაკენ, მისი შემეცნებითი პროცესით გატაცებისა და სწავლება–აღზრდის პროცესის ორგანიზებისაკენ და ემყარებოდეს მასწავლებლისა და მოსწავლის სიყვარულს, ურთიერთგაგებას და პატივისცემას. ("Духовный мир школьника" "Москва" 1961 გვ. 112 ).

ექსპერიმენტის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა დაინტერესება და ჩართვა სასწავლო-შემეცნებით პროცესში საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. დადგინდა, რომ ამ ამოცანის დადებითად გადაჭრა მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული მეთოდები და მიდგომები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს, მოსწავლეებში დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას უნდა

ემსახურებოდეს. როცა მოსწავლე ძველი და ახლად მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის გზით ცოდნის დამოუკიდებელი „კარკასის“ კონსტრუირებასა და „მშენებლობას“ ახორციელებს, კონსტრუქტივისტული სწავლების მიზანი მიღწეულია. ახალი მონაცემები უკვე არსებულ, ძველ ცოდნასა და გამოცდილებასთან უნდა შეჯერდეს, რაც მოსწავლეებს ახალი ცოდნის კონსტრუირებისათვის შემეცნებით საფუძველს უქმნის. ეს სასწავლო პროცესის გააქტიურებას მოითხოვს. ამის ხელშესაწყობად საჭიროა მრავალფეროვანი კითხვების დასმა, ინტენსიური კვლევა-ძიება და ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასება უწყვეტ რეჟიმში. ცოდნის შეძენა მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობისა და ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობს, რაც მომავალში შემეცნების სიყვარულში გადაიზრდება.

განვიხილოთ წმიდა გიორგის საერო სკოლის მასწავლებლის მიერ ექსპერიმენტის ფარგლებში ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულსა და ბიოლოგიაში, რომელიც სწავლის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობისა და მათი შემეცნებითი აქტიურობის ნათელი მაგალითია.

მასწავლებელი საკლასო ოთახში მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას, მიზანს და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების კრიტერიუმებს; თემა: „მხარი დავუჭიროთ მწევრებს?“

შედეგი: მოსწავლეებს შეუძლიათ სხვადასხვა ტიპის ტექსტების დამუშავება; მიზანი: დაამუშავებენ საგაზეთო სტატიას „მხარი დავუჭიროთ მწევრებს?“. გაეცნობიან ნიკოტინის ზეგავლენას ადამიანის ორგანიზმზე და მის შედეგად გამოწვეულ დაავადებებს, იმსჯელებენ საგაზეთო სტატიის აქტუალობაზე, შეძლებენ პრობლემების კლასიფიკაციას, შეძლებენ თანაკლასელების დახმარებით პასუხები გასცენ მათთვის საინტერესო საკითხებს;

გაკვეთილის მსვლელობა (სწავლება-სწავლის სტრატეგია):

1. მასწავლებელი შევიდა კლასში და დასვა შეკითხვა, რამდენად მოსწონთ მოსწავლეებს, როდესაც მათი თანდასწრებით ეწევიან და რამდენი ადამიანი ეწევა მათ ოჯახში;
2. ორი წუთის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვა, მოსაზრებები გამოეთქვათ და პასუხები დაფაზე ჩამოწერა;

3. მასწავლებელმა დაფაზე გააკრა ცხრილი და მოსწავლეებს შემდეგი აღნიშვნები გააცნო:

კ	კითხვები - თითოეული აზრისა ან/და თავისთვის გამოყავით მნიშვნელოვანი თემა და მის ირგვლივ დასვით შეკითხვები.
ა	არგუმენტები- მოიყვანეთ ტექსტიდან თქვენი შეკითხვის დამადასტურებელი ფაქტები, ღირებულებითი წანამძღვრები, კანონები და სტატისტიკური მონაცემები. ჩამოწერეთ ტექსტიდან თქვენი პოზიციის დამადასტურებელი არგუმენტები.
პ	პასუხები- ტექსტში მოძებნეთ კითხვებზე პასუხები. თითოეული თავის ბოლოს შეეცადეთ კითხვებზე პასუხი ზეპირად გასცეთ ჩახედვის გარეშე. არ გამოიყენოთ ჩანაწერები, სანამ მთელი თავი არ იქნება წაკითხული.
ი	ინფორმაცია, რომელიც აკლია ტექსტს, რათა სრულყოფილი დასკვნები გამოვიტანოთ. თქვენი აზრით, რა ინფორმაცია ან არგუმენტებია გამორჩენილი, რომელიც გესაჭიროებათ სრულყოფილი დასკვნების გამოსატანად?

4. მოსწავლეებს დაფაზე ცხრილი დაუბაზა და სთხოვა რვეულებში გადატანა;

კ	ა	პ	ი

5. დაურიგა საგაზეთო სტატია და სთხოვა ტექსტი წაეკითხათ ინდივიდუალურად და ცხრილში შეეცსოთ მხოლოდ „კ“ და „ა“ სვეტი ტექსტის წაკითხვის პარალელურად;

6. კითხვის დასრულების შემდეგ დააწყვილა მოსწავლეები და სთხოვა, ჩანაწერების მიხედვით გაემართათ მსჯელობა და შეეცსოთ „პ“ და „ი“ სვეტი.

7. შემდეგ სთხოვა წყვილში წამოჭრილი სადაო შეკითხვა მთელი კლასისთვის გაეზიარებინათ, მასწავლებელი პრობლემებს დაფაზე გაკრულ ცხრილში წერდა, თან სთხოვდა, გამოეთქვათ შეხედულება, რომელი ინფორმაციის

ნაკლებობამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა? და შესაბამისად ავსებდა „ი“ სვეტს;

8. მასწავლებელმა კლასს დაუსვა შეკითხვები: „კიდევ ვის ჰქონდა მსგავსი მოსაზრება? თქვენ რა არგუმენტები ჩამოწერეთ? რა პასუხი გაეცით? როგორ ფიქრობთ, რომელი ინფორმაცია დაგაკლდათ პრობლემის გადასაჭრელად?“ მოსწავლეები სიამოვნებით ერთვებოდნენ თემის განხილვაში, მასწავლებელი მათ დისკუსიისკენ წახალისებდა.
9. მასწავლებელმა მისცა საშინაო დავალება: ”მოემზაოთ ინფორმაცია, რომელიც დაეხმარებოდა მათ წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში და მოემზადებინათ არგუმენტირებული ესე „მხარი დავუჭიროთ მწვევლებს?“
10. მასწავლებელმა დაარიგა თვითშეფასების ფურცლები და მოსწავლეებს სთხოვა, შეეფასებინათ საკუთარი ქმედებები

**შეფასების კრიტერიუმები**

კრიტერიუმები	1	2	3
<b>1-ცუდად, 2-ნაწილობრივ, 3-კარგად</b>			
ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება;			
პრობლემის გამოკვეთა და არგუმენტირებული მსჯელობა;			
აზრის ლაკონურად ჩამოყალიბება;			
სხვისი აზრის მოსმენა და პატივისცემა;			
ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრება/კატეგორიზება			
შეკითხვების დასმა და ლოგიკური პასუხების გაცემა;			

წარმოდგენილ გაკვეთილში მასწავლებლის მიერ განსაზღვრული მიზნები, შერჩეული სტრატეგია და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების კრიტერიუმები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში ჩართულები არიან, გრძნობენ, რომ გაკვეთილზე თითოეული მათი ქმედება შეფასებული და დაფასებულია. მასწავლებელი კარგად ახერხებდა ეფექტური ინსტრუქციებისა და შეფასების კრიტერიუმების დახმარებით ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო შეექმნა.

გაკვეთილი შეიძლება ოთხ ძირითად ეტაპად დავეყოთ: 1. მოსწავლეთა მოტივაციის აღდგრა შესასწავლი თემის ირგვლივ; 2. ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება გარემოტივატორის დახმარებით (ცხრილის შევსება და შესაბამისი ინსტრუქცია); 3. წაკითხულის გააზრება საკლასო ოთახსა და დამოუკიდებელი სამუშაოს საშუალებით. მოსწავლეები ამ ეტაპზე მსჯელობენ წაკითხულის შესახებ, მოჰყავთ არგუმენტები, კამათობენ (საერთო საკლასო დისკუსია), რომლის საფუძველზეც სიღრმისეულად განიხილავენ შესასწავლ საკითხს. მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად, დამოუკიდებელი უნარ-ჩვევების გასავითარებლად მოძებნონ და დაამუშაონ თემის ირგვლივ ახალი ინფორმაცია და შექმნან წერილობითი ნაშრომი. 4. ცოდნის და უნარ-ჩვევების შეფასება.

მასწავლებელმა გაკვეთილის მიზნები, შერჩეული სტრატეგიები და შეფასების კრიტერიუმები უნდა დააკავშიროს ერთმანეთთან. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი, შეფასებამ ასახოს ის ქმედებები, რასაც მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში ანხორციელებენ. გ. ვიგინსი თვლის, რომ საკლასო ოთახში შესრულებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მხოლოდ შეფასებით არის შესაძლებელი. (The case for authentic assessment. Wiggins, Grant)

ექსპერიმენტის ფარგლებში ჩვენ მიერ შემუშავებულმა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების სისტემაზე სიმძიმის ცენტრის გადატანამ მასწავლებელს მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი სასწავლო პროცესისა და გაცილებით სრულყოფილი მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემის შეთავაზების საშუალება მისცა. მოსწავლეები თავადვე არიან მონიტორინგის პროცესში ჩართული. ისინი ამოწმებენ, პოულობენ შეცდომებს, აფასებენ და გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს სწავლის შედეგებზე.

მოსწავლეთა მხრიდან საკუთარი საქმიანობის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება მოტივაციისა და შემეცნებითი აქტიურობის ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსწავლეებში მატულობს თავდაჯერებულობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი შემეცნებითი ინტერესის გასაღვივებლად.

ექსპერიმენტის ფარგლებში ჩვენ შევიმუშავეთ შეფასების რუბრიკები და გამოვეცით მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების

ინდივიდუალური დღიური „მშობელთან მიმოწერის დღიური“, რომელშიც მიმდინარეობს მოსწავლეთა დაკვირვების საფუძველზე მათი შედეგების აღნუსხვა. მოსწავლეებს აქვთ საშუალება, ჩაერიონ შეფასების კრიტერიუმების შერჩევასა და საკუთარი განვითარების გეგმის შემუშავებაში, კრიტერიუმები გამჭვირვალეა და მშობლები ორ კვირაში ერთხელ ყველა საგნის მიხედვით იღებენ შვილის განვითარების შესახებ მიმდინარე შეფასებებს (შედეგებს) რუბრიკებზე დაყრდნობით დღიურის დახმარებით. ასევე კომენტარებს, რომელშიც სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებია დასახული. მშობლებს ეძლევათ რეკომენდაციები დამოუკიდებელი მუშაობისათვის. მოსწავლეები, რომელთა რეიტინგი ყველა საგნის მიხედვით 93,0 გადააჭარბებს, გამოცდიდან იხსნებიან. მაგრამ I ხარისხის წარმატებულ მოსწავლეთა რიცხვი ისევ აითვლება 91,0-დან და აკმაყოფილებს ყველა ძირითად კრიტერიუმს. ასევე შემუშავდა მოსწავლეთა დაკვირვების დღიურები, სადაც აღინუსხება ბავშვების გაკვეთილზე დაკვირვების შედეგები.

საექსპერიმენტო სკოლის (წმ. გიორგის სახელობის საერო სკოლაში) სასწავლო პროცესში დავნერგეთ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების სისტემა. სკოლაში შექმნილია თავისუფალი და შემოქმედებითი სასწავლო გარემო, მოსწავლეები თანამშრომლობენ თანაკლასელებსა და მასწავლებელთან, თავდაჯერებით გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს. არ აქვთ წარუმატებლობის შიში, არავინ არ გრძნობს თავს დაზარალებულად, არ განიცდის უხერხულობას დაშვებული შეცდომების გამო, პირიქით, ნებისმიერი მათგანი აღიარებს და განიხილავს საკუთარ შეცდომებს თანაკლასელებთან ერთად. საკლასო ოთახში ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი განვითარების საშუალება, კლასი ერთიანია და არ არის დაყოფილი „ფრიადოსნებად“ და „ოროსნებად“.

განმსაზღვრელი შეფასებისაგან განთავისუფლებამ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისა და თვითრეალიზების საშუალება მისცა. შეიძლება ითქვას, როგორც კი სასწავლო პროცესში „ნიშანი გაქრა“, მთავარი შემეცნებითი მოტივი გახდა და ცოდნის დაუფლების სურვილი გაიზარდა.

დ. უზნაძე ყოველთვის თვლიდა, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა განვითარებისათვის. მოსწავლეებს „არცოდნის“ საჯაროდ აღიარება არ უჭირთ, ისინი თავისუფლად მსჯელობენ საკუთარი ცოდნის ხარისხზე, იმაზე, თუ რა გამოსდით და რა აქვთ გასაუმჯობესებელი, როგორ გაიუმჯობესონ ესა თუ ის უნარი. ასეთმა მიდგომამ მოსწავლეთა სწავლის მოტივაცია და თვითშეფასების უნარი აამაღლა.

აზროვნების განვითარებას შეძენილი უნარების პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობა ესაჭიროება. ამ უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა, რომ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები ვერ ახერხებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ამისათვის, საჭიროა მათ შევთავაზოთ სხვადასხვა პროექტები, ექსპერიმენტები, ცდები, კვლევითი საქმიანობები, რომელიც მათ ცოდნასთან ერთად მისცემს დამოუკიდებლად მუშაობის, საკუთარი პოზიციის გამოხატვის, პრობლემის დასმის, მისი გადაჭრის გზების დაგეგმვის, შეფასების, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევებს. თუ ამ უკანასკნელ წინადადებას ჩავუფიქრდებით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ პედაგოგები მხოლოდ უნარების ფლობასა და დაგროვილ ცოდნას კი არ აფასებენ, არამედ დამოკიდებულებებსაც (პიროვნული ღირებულებები). (ეროვნული სასწავლო გეგმა „ძირითადი ორიენტირები“ 2008-2009). მოსწავლეები ზრუნავენ დავალებების შესრულებაზე, ხოლო პედაგოგები კი ამ ნორმების დაცვაზე. შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა შესაბამისად ზრდის მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხს, სწავლის მოტივაციას და გამორიცხავს სუბიექტურობას.

საექსპერიმენტო სკოლის მასწავლებლებმა გაიაზრეს თანამედროვე ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და მოქმედი შეფასების მეთოდებს შორის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის აუცილებლობა. შეფასების ახალი მიმართულების განვითარებაზე ჩატარებულმა კვლევებმა დაგვანახა, რომ კონსტრუქტივისტული მიდგომის შესაბამისად, შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა მიერ შესრულებულ პრაქტიკულ დავალებებსა და საკლასო ოთახში მიმდინარე სხვადასხვა საქმიანობას. ექსპერიმენტის პერიოდში პრაქტიკული უნარ-ჩვევების



განსავითარებლად მასწავლებლები იყენებდნენ მრავალფეროვან სტრატეგიებს, წარმოვადგენთ ერთ-ერთ სასწავლო პროექტს (მასწავლებელი თ. ელერდაშვილი).

პრაქტიკული უნარ-ჩვევის განსავითარებლად მასწავლებელი კლასში ქმნის „მინი გამომცემლობას“, სადაც ინტერესების მიხედვით ნაწილდებიან მოსწავლეები მცირე ჯგუფებში.

**პირველი „პრეზენტატორების“** ჯგუფია. ისინი ამზადებენ წიგნის პრეზენტაციას. მოსწავლეებმა გააკეთეს აფიშა, რომელზეც ნაჩვენებია იყო თუ როგორ ესმოდათ მათ კონცეფციის ელემენტები, მათ შორის არავერბალური, შეკითხვა, პერიფრაზი და თანაგრძნობა. აფიშამ უნდა აჩვენოს ურთიერთკავშირი და მნიშვნელობა თითოეული კომენტარისა. წიგნის პრეზენტაციისთვის ეცნობიან წიგნის კონცეფციას. აღჭურვილობის, სურათების, ნახატების გამოყენებით ამზადებენ სლაიდ-შოუს პრეზენტაციისათვის. ამ დროს ითვალისწინებენ აუდიტორიის (მოსწავლეების, თანაკლასელების) განვითარების დონეს, ინტერესებს, რათა ეფექტურად მიიტანონ მსმენელამდე მნიშვნელოვანი თემები. მოსწავლეები ავლენენ: ღრმა მეცნიერული პრინციპების ცოდნას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, დამოუკიდებლად სწავლისა და საკომუნიკაციო, სოციალურ უნარებს.

**მეორე „ავტორთა“** ჯგუფია. პარტნიორებთან ერთად ამზადებენ თემებს, საკითხებს. თანაკლასელებთან ერთად დამუშავებული თემების შესახებ აწყობენ დებატებს, დისკუსიებს, განხილვებს, რომელშიც გამოჩნდება შეთავაზებულ თემებზე განსხვავებული დამოკიდებულებები და ინტერესები. ამით ისინი ივითარებენ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების, დამუშავების, სხვათა შეხედულებების გათვალისწინებისა და პატივისცემის უნარ-ჩვევებს.

**მესამე „რედაქტორთა“** ჯგუფია. მოსწავლეები კითხულობენ და რედაქტირებას უკეთებენ ტექსტებს, ამზადებენ შეკითხვებს გაუგებარ, ბუნდოვან ან საკამათო საკითხებზე. ხვდებიან ავტორებს, აძლევენ რჩევებსა და რეკომენდაციებს. მოსწავლეები სწავლობენ შეფასებას, სხვათა ნამუშევრების პატივისცემას, კორექტულობას.

**მეოთხე „მხატვარ-დიზაინერთა“** ჯგუფია. ისინი ქმნიან ნახატებს, სქემებს, წიგნის მაკეტს და ამზადებენ კლასში პრეზენტაციისთვის. მათი ძირითადი

მოვალეობაა, რაც შეიძლება ღრმად ჩაწვდნენ კონცეფციებს და მათი შექმნილი ნახატები და სქემები დაეხმაროს „მკითხველებს“ წაკითხული ინფორმაციის ადვილად აღქმაში. მეხუთე „გამომცემელთა“ ჯგუფია. ისინი წიგნს საბოლოო სახეს აძლევენ: ბეჭდავენ, კინძავენ და გამოსაცემად ამზადებენ წიგნს. ერთდროულად მუშაობენ როგორც წიგნის „ავტორებთან“, ასევე „რედაქტორებსა“ და „დიზაინერებთან“, რათა არ დაიკარგოს წიგნის ძირითადი კონცეფცია და სახე. ამის საშუალებით მათ უვითარდებათ: საკომუნიკაციო, სოციალური და კრიტიკული აზროვნების უნარები.

პროექტის განხორციელებაში ჩართულია კლასის ყველა მოსწავლე. თითოეული ჯგუფი განსახილველ თემას ზედმიწევნით დეტალურად სწავლობს და პარალელურად იძენს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. მასწავლებელი ამ დროს მხოლოდ პროცესის წარმმართველი და დამკვირვებელია. ისმის კითხვა: რას აფასებს მასწავლებელი? მას თითოეული ჯგუფისათვის აქვს შეფასების კრიტერიუმები, რომელსაც წინასწარ აცნობს მოსწავლეებს. ისინი მასწავლებლის დაკვირვების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ხარისხით ფასდებიან. ამ დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი მიიღწევა: იძენენ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, უვითარდებათ დამოკიდებულებები, იზრდება პასუხისმგებლობა, სწავლისადმი დადებითი განწყობა, ერთმანეთის თანადგომა და პატივისცემა.

თეორიული მასალისა და ამ ექსპერიმენტის შედეგების დამუშავების შემდეგ მივედით დასკვნამდე, რომ განმავითარებელი შეფასება ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

**1. „ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება და თავისებურებების მრავალმხრივად შეფასება“**

მასწავლებელი სწავლობს ბავშვის პიროვნულ თავისებურებებს და მისი ინტერესების სფეროებს, ინდივიდუალური მონაცემების დამუშავების საშუალებით პედაგოგი განსაზღვრავს არა მარტო ცალკეულ მოსწავლეთა, არამედ ზოგადად მთელი კლასის საჭიროებებსაც. მათზე დაყრდნობით შეუძლია გამოიტანოს დასკვნები მთელი კლასის მიერ მასალის ათვისების ხარისხზე, გააანალიზოს მოსწავლეთა შედეგები, სასწავლო პროგრამების ხარისხი, თვითშეფასების საფუძველზე შეიტანოს ცვლილება-დამატებები პროგრამებში.

მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებისა და თავისებურებების მრავალმხრივად შეფასების პრინციპის საფუძველზე მასწავლებელი მათი განვითარების დონის შესახებ სრულ და დეტალურ ინფორმაციას ფლობს. შეუმჩნეველი არ რჩება მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, ცდილობს ინდივიდუალური გეგმის დახმარებით ეტაპობრივად მოსწავლესთან ერთად გამოასწოროს ხარვეზები, რაც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და სასურველ შედეგზე გასვლას უწყობს ხელს.

## **2. „ეროვნული სასწავლო გეგმის ერთიანობისა და ინდივიდუალური საჭიროებების დაცვა“**

ერთიანობის პრინციპის განსახორციელებლად აუცილებელი და სავალდებულო პირობაა შეფასების კრიტერიუმების შემუშავება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. ამ მოთხოვნების დაცვა არა მარტო სწავლის ხარისხს აუმჯობესებს, არამედ ერთიანი საგანმანათლებლო დონის შენარჩუნების ფაქტორიცაა. ერთიანობაში მხოლოდ საგნის სტანდარტის დაცვა არ მოეთხოვება მასწავლებელს, იგულისხმება საგანთა ერთიანობაც. შეფასებისას მხედველობაში მიიღება გამჭოლი უნარები, რომელიც ყველა საგანს აერთიანებს (წერა, კითხვა, მეტყველება, კომუნიკაცია და სხვა) „მოსწავლეს ყველა საგანში ერთნაირად მოეთხოვება როგორც გამართული, სწორი ლიტერატურული ენით ლაპარაკი, ისე წერაც და ყოველი ცალკეული ნაკლი ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში, აგრეთვე გადმოცემის ფორმა ანარეკლს უნდა პოულობდეს შეფასებაში.“(დ. გურგენიძე, „მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება“, „პედაგოგიკა“, თბილისი 1986წ. გვ.33). ამიტომ ახალი საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა შეფასებაში საჭიროა, გათვალისწინებული იყოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ერთიანობის პრინციპი როგორც ყველა საგანში, ასევე საგანთა შორისაც (ეროვნული სასწავლო გეგმა 2010-2011ს/წ). ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების საგანთა შორის ტრანსფერს.

## **3. შეფასების ობიექტურობა, მონიტორინგი, სამართლიანობა და „გამჭვირვალობა“**

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი იყოს განვითარებაზე ორიენტირებული, არანაკლებ მნიშვნელოვანია სასწავლო ამოცანები მოსწავლეთა შესაძლებლობებს მცირედ აღემატებოდეს. მოსწავლის შეფასების კრიტერიუმებშიც უნდა აისახოს პროგრამული მასალისა და ათვისების დონეს შორის არსებული წინააღმდეგობა. სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, შეფასების დროს გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. შეფასების დროს სიმკაცრის სანაცვლოდ – ჰუმანური დამოკიდებულება მოსწავლეს მიღწევების გაუმჯობესების საშუალებას აძლევს. შეფასება მოსწავლეთა თვითშეგნების ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს და არა სასწავლო პროცესში „სიმკაცრის“, „მომთხოვნელობის“, „შეცდომების მკაცრად აღრიცხვის“ დანერგვას. განმავითარებელი შეფასება მოსწავლის განვითარებასა და პროვინებად ფორმირებას უნდა ემსახურებოდეს. მონიტორინგის შედეგად მიღებული რეკომენდაციების დახმარებით მოსწავლეები იუმჯობესებენ მიღწევებს. მოსწავლეთა მონაწილეობით წინასწარ შემუშავებული კომპონენტები და კრიტერიუმები შემფასებლის სუბიექტურობას გამორიცხავს და ხელს უწყობს სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, ეს კი თავის მხრივ ზრდის შემეცნებით აქტიურობას, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს მოსწავლის შემეცნებით აქტიურობაზე, არის შეფასების გამჭვირვალობა. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ შეფასება ცალმხრივი პროცესი არ არის და მხოლოდ პედაგოგის პრეროგატივას არ წარმოადგენს. შეფასების პროცესის გამჭვირვალობა ზრდის მის ობიექტურობას. მოსწავლეების ამ პროცესში ჩართულობა ზრდის მათ პასუხისმგებლობას შემუშავებული კრიტერიუმების დაცვის დროს.

#### **4. მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით შეფასების დიფერენცირებულობის პრინციპი**

დიფერენცირებული ნიშანი ისეთი ნიშანია, რომელიც იწერება სასწავლო საგნის რომელიმე მნიშვნელოვანი თემის ცოდნისათვის ცალკე, ან მოსწავლის მიერ ამა თუ იმ სახის სამუშაოს შესრულებისათვის. აქედან გამომდინარე,

სკოლის მასწავლებელი უფლებამოსილია, დიფერენცირებული ნიშანი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამუშაოებისათვის დაწეროს.

„დიფერენცირებული შეფასების პრინციპი მოითხოვს იმას, რომ ნიშნებში აისახოს ის სხვადასხვაობა, რაც სხვადასხვა მოსწავლის ცოდნაში არსებობს” (დ. გურგენიძე, „მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, „პედაგოგიკა”, თბილისი 1986წ გვ.33), რადგან ყოველთვის არსებობს განსხვავება მოსწავლეთა ცოდნის დონესა და ხარისხში. ამის გათვალისწინებით არსებობს დიფერენცირება მათ მიერ მიღებულ ნიშანშიც. შეფასება „1“ „2“ და „3” უარყოფითი ნიშნებია, რომლებიც მოსწავლეთა არადაამაკმაყოფილებელ ცოდნაზე მიუთითებს. აუცილებელია, ნიშნის დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით იყოს განსაზღვრული რაში იწერება ერთიანი, ორიანი, სამიანი და მასწავლებლის მიერ არ ხდებოდეს ნიშნის მექანიკურად გამოყვანა.

უპირველეს ყოვლისა, დიფერენცირება არ არის დაკავშირებული მხოლოდ „ადვილ” და „რთულ” დავალებებთან. იგი მოსწავლეების მიერ შერჩეულ შესრულების დონეებზეა დამოკიდებული. წარმოგიდგინთ რამდენიმე დონეს:

პირველი დონე – მოსწავლეს შეთავაზებული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება არ შეუძლია, მისი ამოცანაა, მოძებნოს მხოლოდ სწორი პასუხი. მას ეძლევა, როგორც წესი, ტიპური მაგალითები და ამოცანები.

მეორე დონე – მოსწავლეს შეუძლია დავალების თავად შესრულება, მაგრამ ის ეყრდნობა სწორ პასუხებს.

მესამე დონე – მოსწავლე დავალებას დამოუკიდებლად ასრულებს, მაგრამ ის ეყრდნობა რამდენიმე პასუხს, რომელთაგან ერთ-ერთია სწორი.

მეოთხე დონე – მოსწავლე დავალებას თავად ასრულებს და ამოწმებს კიდევ სწორი პასუხების გარეშე.

მეხუთე დონე – მოსწავლე დავალებებს დამოუკიდებლად ადგენს და ხსნის.

მექვსე დონე – მოსწავლემ უნდა მოძებნოს ლოგიკური კავშირები და საკვანძო საკითხები შეთავაზებულ დავალებებში.

მეშვიდე დონე – მოსწავლემ უნდა განსაზღვროს და თანაკლასელებს ასწავლოს შეთავაზებული დავალებების ანალოგიური ამოხსნა.

მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე დონეები ძალიან მაღალი დონეებია. ისინი მოსწავლეებისაგან რეფლექსური აზროვნების უნარების ფლობას მოითხოვს. კერძოდ: საკუთარი შემეცნებითი პროცესის ძირითადი საფუძველის გამოვლენა (მეტაშემეცნებითი უნარები); სწავლაში არსებული ჩავარდნების გზებისა და საშუალებების დადგენა; სხვათა სწავლება საკუთარი გზებითა და საშუალებებით (საკომუნიკაციო უნარები); დიფერენცირება შეთავაზებულ დავალებებში, სადაც იქნება მოსწავლის და არა მასწავლებლის მიერ განსაზღვრული („ადვილი” და „რთული”) დავალებების სირთულე.

## 2.2 მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების მეთოდები

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულია განმავითარებელი შეფასების ორი ტიპი: განმავითარებელ-მიმდინარე და განმავითარებელ-შემაჯამებელი. თითოეული მათგანის დანიშნულება და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე ზეგავლენა ბოლომდე არ არის შესწავლილი. ამიტომ დღემდე დავის საგანია შეფასების პრინციპები და მეთოდები განათლების სფეროს წარმომადგენლებსა და მეცნიერებს შორის.


მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზანია შეძენილი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების განვითარება. ის მოსწავლესა და მასწავლებელს ეხმარება თანმიმდევრულად გააუმჯობესონ სწავლება/სწავლის პროცესი უკეთესი შედეგების მისაღწევად. განმავითარებელი შეფასების საშუალებით მასწავლებელი სწავლის პროცესში აკვირდება (მეთოდი) ცალკეულ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფებს, რათა განსაზღვროს თითოეული მოსწავლის საჭიროებები და ხელი შეუწყოს მათ წინსვლას. „განმავითარებელი შეფასება მოსწავლის განვითარებაზე და სწავლებაზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, ასეთი სახის შეფასებისას არ არის სავალდებულო, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს ქულა დაუწეროს”. (რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი „სწავლება და შეფასება”, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი, 2008, გვ.78)

განმავითარებელ-მიმდინარე შეფასების ტიპი გამოიყენება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების ფორმირებისა და გაუმჯობესების მიზნით. ამისათვის, მასწავლებლები გამოიყენებენ კომენტარებს (მიმდინარე შეფასება), რომელთა დახმარებით მოსწავლე და მისი მშობელი იღებენ ინფორმაციას მოსწავლის ძლიერსა და სუსტ მხარეებზე. ზეპირი ან წერილობითი კომენტარი ეხმარება მათ, დაინახონ განსხვავება არსებულსა და სასურველ მდგომარეობას შორის, დამოუკიდებლად დაგეგმონ პრობლემის მოგვარების ეფექტური გზები მასწავლებლის შეფასების საფუძველზე. განმავითარებელ-მიმდინარე შეფასება (პერიოდულად) გამოიყენება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში.

განმავითარებელ-შემაჯამებელი შეფასება თავისი შინაარსით დიდად არ განსხვავდება მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასების ამ ტიპს აქვს დიაგნოსტიკის ფუნქცია. ის გვეხმარება, დავადგინოთ და გავიგოთ მოსწავლის მიღწეული შედეგები რამდენად ჩამორჩება სახელმწიფო სტანდარტს. განმავითარებელ-განმსაზღვრელი შეფასება ძირითადად გამოიყენება თემატური ერთეულის, სემესტრის დასრულების ან სასწავლო წლის ბოლოს. ამ ტიპის შეფასების მეთოდია ტესტირება. დღეისათვის საქართველოს სკოლებში ტესტებს უმრავლეს შემთხვევაში გამოიყენებენ, როგორც მხოლოდ შემაჯამებელ შეფასებად. გ. ვიგინსი ნაშრომში „The Case for Authentic Assessment” გადმოსცემს, რომ მისთვის, როგორც პედაგოგისათვის, გაცილებით მნიშვნელოვანია შეფასების განმავითარებელი ფუნქცია, ამიტომ იგი განმავითარებელ-განმსაზღვრელ შეფასებას (ტესტებს და შემაჯამებელ სამუშაოებს) ხშირად დიაგნოსტიკის როლს ანიჭებს. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ სასწავლო პროცესი ინდივიდუალური და შემოქმედებითია. მასწავლებელმა კლასის საჭიროებიდან და მიზნებიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს შეფასების ფუნქცია. ამიტომ მიმდინარე-განმავითარებელი და განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასების ფუნქციების ცალსახად განხილვა და მკვეთრად გამიჯვნა შეუძლებელია. არის მთელი რიგი საქმიანობები საკლასო ოთახში, რომელიც შეიძლება გაცდეს მიმდინარე შეფასების ფარგლებს, ან პირიქით. სწორედ, რომ პედაგოგის გადასაწყვეტია, რომელ ფუნქციას დააკისრებს შემაჯამებელ-განმავითარებელ

შეფასებას. (G. Wiggins. The Case for Authentic Assessment.)

ავთენტური შეფასება ყოველდღიური საქმიანობაა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას იძლევა. თანაკლასელებისა და მასწავლებლის უკუკავშირებით მოგროვილი ინფორმაციის ანალიზი ეხმარება მოსწავლეს, შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, დაადგინოს სფერო, სადაც აუცილებელია საკუთარი შესაძლებლობების მობილიზება, დაისახოს პერსონალური აკადემიური მიზნები, გაითავისოს ის ცოდნა და უნარები, რომელიც მას დაეხმარება სწავლის პროცესის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამომუშავებაში, გაიგოს, ვინ და რას აფასებს (კრიტერიუმები), რათა გააუმჯობესოს შედეგები. სწორედ ასეთი მიდგომა უწყობს ხელს სწავლაში წარმატების მიღწევას, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი სქემა.



სქემა 3. შეფასების შედეგების ანალიზი

სქემა 3-ის მიხედვით ცხადია კავშირი მოსწავლის სწავლის შესაძლებლობებს, მასწავლებლის მიერ წარმართულ საქმიანობებსა და მოსწავლის შეფასებას შორის. მოსწავლის შესაძლებლობა მისი სწავლის პერსპექტივას წარმოადგენს, წარმართავს როგორც მასწავლებლის საგაკვეთილო პროცესში განხორციელებულ საქმიანობებს, ასევე მოსწავლის შეფასების პროცესს, მისი მიღწევების გაუმჯობესებას სწავლის პერსპექტივები, სასწავლო სტრატეგიები და საქმიანობები უწყობს ხელს. ისინი პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული შეფასებასთან. მოსწავლეების ჩართვა შეფასების პროცესში ზრდის მის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. ასევე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის მჭიდრო ურთიერთობა ხელს უწყობს ორივე მხარეს,



შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია შედეგების გასაუმჯობესებლად გამოიყენონ.

მასწავლებელი, რომელიც შეფასების განმავითარებელ კონცეფციას იზიარებს, სულ უფრო ზუსტ მინიშნებებს აძლევს მოსწავლეებს და სწორ გადაწყვეტილებებს იღებს მათი განვითარების გზის დაგეგმვის დროს. დავალებების შესრულებისას მხოლოდ კონსულტაციებით შემოიფარგლება, სწავლის დროს წამოჭრილ პრობლემებს კი მოსწავლეები დამოუკიდებლად აგვარებენ.

სწავლაში ჩავარდნების გამოსასწორებლად მასწავლებლები იყენებენ კომენტარებს, რომელთა რაოდენობაც სწავლის ეფექტურობის ერთგვარ საზომად შეიძლება ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში მოსწავლის სწავლის შეფასება უფრო მეტადაა ფოკუსირებული იმაზე, თუ რა დახმარება სჭირდება მას სასწავლო პოტენციალის ამა თუ იმ სფეროში სარეალიზაციოდ. ასეთი ტიპის შეფასება არის ცოდნისა და უნარ-ჩვევების დინამიური საზომი.

ექსპერიმენტის ფარგლებში მოსწავლეთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოსაგროვებლად შევიმუშავეთ მასწავლებლის ჟურნალი. საგნის პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში აკვირდებოდნენ მოსწავლეების საქმიანობას და დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით თითოეული მოსწავლის შესახებ აკეთებდნენ ჩანაწერებს. მოსწავლეთა შესახებ მიღებული ინფორმაცია ემსახურებოდა არა მათ შედეგებში ჩავარდნების გამოვლენას, არამედ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური პრობლემების დროულ კორექციას. მასწავლებლები ადგენდნენ მოსწავლის განვითარების დონეს და განსაზღვრავდნენ უახლოეს, მოსწავლისთვის ადვილად მისაღწევ მიზნებს. ამის საფუძველზე გაიცემოდა რეკომენდაციები, იქმნებოდა ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები სწავლაში ჩავარდნების გასაუმჯობესებლად. ასეთი მიდგომით მოსწავლეებს გამოუმუშავდათ რეფლექსიის, დაგეგმვისა და ანალიზის, საკუთარ განათლებაზე ზრუნვის და სხვა ზოგადი უნარ-ჩვევები. ჩამოუყალიბდათ სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულება და ამაღლდა შინაგანი მოტივაცია.

ეფექტიანი შეფასების სისტემის შემუშავებისას დასახული მიზნების გარდა, უმნიშვნელოვანესია კომპონენტების სწორად შერჩევაც, რომელმაც უნდა ასახოს „რამდენად კარგად ისწავლეს მოსწავლეებმა” და „რამდენად კარგად ვასწავლეთ”. „ცუდად დაყენებულ შემოწმებასა და შეფასებას შეუძლია ინტერესი ჩაუხშოს მოსწავლეს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეაჯავროს საგანი” (დ. გურგენიძე. „მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, „პედაგოგიკა”, თბილისი. 1986წ. გვ.15), ამიტომ რამდენადაც კარგადაა შეფასების სისტემა შემუშავებული და გამოყენებული, იმდენად მაღალია მოსწავლეთა ინტერესი და აკადემიური ზრდის მაჩვენებელი. შეფასების ეფექტიანობა, ერთი მხრივ, იმით განისაზღვრება, აკმაყოფილებს თუ არა იგი ყველა მახასიათებელს და, მეორე მხრივ, შედეგი რამდენად ნაკლები ძალისხმევით მიიღწევა. განმავითარებელი შეფასების მეთოდების ეფექტურობას განაპირობებენ შემდეგი მახასიათებლები, პრინციპები. (იხ. ცხრილი №5)

ცხრილი №5 ეფექტური შეფასების მახასიათებლები

მახასიათებლები	მოსწავლეთა შეფასების ეფექტიანობის განმსაზღვრელი კითხვები
მიზნები	მიყვარათ თუ არა არსებულ შეფასებას დასახულ მიზნამდე? რას ვაფასებ? (სტანდარტთან მიმართებაში)
სამართლიანობა	ამდევს თუ არა შეფასება ყველა კულტურული წარმომავლობისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენის საშუალებას? შეფასება იძლევა თუ არა მოსწავლეთა მრავალმხრივი შესაძლებლობების შეფასების საშუალებას?
სანდოობა შედეგების განზოგადება	ამდევს თუ არა შერჩეული მეთოდი შეფასების მიზნის მიღწევის საშუალებას? რამდენად სარწმუნოა შედეგები? ამდევს მიღებული შედეგები სხვა შემთხვევების განზოგადების საშუალებას?
ვალიდურობა შერჩეული კრიტერიუმების	რით ვაფასებ? რამდენად შეესაბამება შეფასების კრიტერიუმები შერჩეულ მიზანთან? ნამდვილად იმას ვაფასებთ, რაც გვინტერესებს?


ხარისხი	
სირთულე	შეფასებისათვის შერჩეული დავალებები დიდი დროისა და ენერჯის ხარჯვას ხომ არ მოითხოვს? შეფასებისათვის შერჩეული დავალებები აძლევენ თუ არა სათანადო მოტივაციას მოსწავლეს, რათა მაქსიმალურად ჩაერთოს მის შესრულებაში?
ცოდნის ტრანსფერი	იძლევა თუ არა შეფასება სტანდარტის ადეკვატურად შესრულების საშუალებას? ნაკლები ყურადღება ხომ არ ეთმობა შინაარსში წვდომას? უნარების და დამოკიდებულებების განვითარებას?
სიხშირე	რა სიხშირით ახორციელებს მასწავლებელი პროგრესის მოტორინგს? აქვს თუ არა შეფასებას პერმანენტული ხასიათი? ხომ არ არის ზედმეტი ბიუროკრატია?
მოსწავლეთა ჩართულობა	არიან თუ არა მოსწავლეები ჩართულნი შეფასების სისტემის შემუშავებაში? ითვალისწინებს თუ არა შეფასება მოსწავლეთა თვითშეფასების მექანიზმებს? აქვთ თუ არა მოსწავლეებს საშუალება თავად დააჯამონ ქულები?
შედეგების განზოგადება	რა მოსდის შეფასების შედეგებს? რისი გაგება შემიძლია? რა არის გამოსასწორებელი? რა უნდა დავამატო?

განვიხილოთ, რა გავლენას ახდენს შეფასების სისტემაზე სამართლიანობა და განვმარტოთ იგი. სამართლიანობასთან დაკავშირებით იელის უნივერსიტეტის პროფესორი ემერიტუს გორდონი აღნიშნავს: „უმჯობესია, შეფასების სისტემის შემუშავებისას სამართლიანობის საკითხს მასწავლებელმა ყურადღება ბოლოს, ნიშნის დაწერისას კი არ მიაქციოს, არამედ დასაწყისშივე“ (წყაროა მისათითებელი).

გ.ვიგინსი ამტკიცებს, რომ სამართლიანობის საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია არა მარტო სასწავლო დავალებების შერჩევისას, არამედ მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინების დროს.

მრავალფეროვანი დავალებების შერჩევასას მასწავლებელმა, ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა განვითარების დონე, ინდივიდუალური თავისებურებები და კულტურის როლი მოზარდის განვითარების საკითხში. მასწავლებელმა მოსწავლეებს ისეთი დავალების შესრულება არ მოსთხოვოს, რომელიც მიუღებელია იმ კულტურისათვის, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს და იზრდება. (G. Wiggins. The Case for Authentic Assessment.)

შეფასების ეფექტიანობას განსაზღვრავს ობიექტურობა. შეფასება ობიექტურია, თუ შეფასების შედეგები არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებებსა და პიროვნულ სურვილებზე. პიროვნება თავისი ფსიქოსოციალური მდგომარეობით ვერ ახდენს მასზე ზეგავლენას. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების ეფექტური შეფასების სისტემა უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისაგან. (იხ. სქემა 4):



სქემა 4. ეფექტური შეფასების სისტემის კომპონენტები

**საქალაღდე** - (portfolio). მოსწავლის საქალაღდე მთელი რიგი მიზნობრივი საქმიანობების ნაკრებია. იგი ეხმარება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, გაერკვეს სკოლის გეგმებში, მიზნებსა და ხედვაში. ასევე, მოსწავლეს,

ასწავლებელს, მშობელს აძლევს საშუალებას, დაინახონ და შეაფასონ არსებული რეალობა; განვითარებისათვის ეფექტური გადაწყვეტილებები.

საქალაქის უმთავრესი დანიშნულებაა, შეიქმნას ისეთი სახის დოკუმენტი, რომელიც აღწერს მოსწავლის განვითარების სამოქმედო გეგმას, ეროვნული მიზნების ღირებულებებს/მრწამსს. ხშირად, ისინი განიხილავენ სხვათა განვითარების მაგალითებს, ადარებენ საკუთარს, მასში შეაქვთ მნიშვნელოვანი ცვლილებები, რის საფუძველზეც იქმნება შეჯერებული (შეჯერება შესაძლოა არც განიცადოს), ეფექტური ვარიანტი. ასეთი მიდგომითაა შესაძლებელი, მასწავლებლის მიერ დასახული მიზნები მიღწევადი გახდეს.

საქალაქში მოთავსებული მასალები ფოკუსირებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან ელემენტებზე. იგი ფიზიკურად ხელშესახები დოკუმენტია, რომელიც საკლასო ოთახში დროის სხვადასხვა მონაკვეთში მიმდინარე პროცესებსა და შედეგებს სიღრმისეულად აღწერს. მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მათი პროგრამები მნიშვნელოვანი საკითხებისაკენ მიმართონ, რაც თავის მხრივ დაეხმარებათ მოსწავლეთა ინდივიდუალური და საკლასო განვითარების საერთო სურათის შენარჩუნებაში.

საქალაქს დახმარებით მოსწავლის მიერ შესრულებული საქმიანობების შესახებ ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია. კომენტარები, ტესტებისა და თვითშეფასების შედეგები, მოსწავლის განვითარების გეგმა, ნამუშევრები პრეზენტაციები, და სხვა საჯაროსა და გამჭვირვალეს ხდის შედეგებს, ადვილდება კომუნიკაცია მშობელთან, სკოლის ადმინისტრაციასა და თავად მოსწავლესთან.

საქალაქს უპირველესად მასწავლებელსა და მოსწავლეს, შემდეგ კი მშობელს პროგრესისა და მიზნის მისაღწევი გზების გააზრების საშუალებას აძლევს. მათ მიერ შესრულებული წარმატებული საქმიანობის პერიოდული მიმოხილვა მოტივაციის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანი ელემენტია. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მოსწავლე/მასწავლებლის მიღწევები, ისინი შევადაროთ საწყის მდგომარეობას „სად ვიყავით, სად ვართ და რისთვის გვჭირდება ეს ცვლილებები.“ (კ. მერედუთი ჯ. სთილი ა. კროუფორდი „კითხვა და წერა

კრიტიკული აზროვნებისათვის“ მასწავლებლის სახელმძღვანელო ნიუ-იორკი. გვ. 45)

საქალაქად გვეხმარება ინდივიდუალური საჭიროებებისა და პრობლემების წარმოჩენაში. იგი შეიცავს ვიზუალურ ინფორმაციას მოსწავლე/მასწავლებლის წარმატების ან წარუმატებლობის შესახებ. ეს მასალა მასწავლებელს ეხმარება, განსაზღვროს, რა მიმართულებით მოახდინოს ფოკუსირება და იმავდროულად გაზარდოს საქმიანობის ეფექტურობა. იგი გვეხმარება, ნათლად დავინახოთ გაწეული საქმიანობის შეუთავსებლობა სკოლის მისიასთან, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან, რაც აფერხებს მოსწავლის განვითარების პროცესს.

საქალაქად ეხმარება მოსწავლე/მასწავლებელს უწყვეტი განვითარების პროცესის შეფასებასა და წარმართვაში. დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს, განვითარების პროცესზე აწარმოონ მონიტორინგი და დასახონ სასურველი შედეგებისაკენ მიმავალი გზები. იგი მოსწავლის განვითარების პროცესის მრავალგანზომილებიან შეფასების საშუალებას იძლევა. მოქნილი, მრავლისმომცველი, სიტუაციის რეალურად ამსახველი და სასარგებლოა, ტესტირებასთან შედარებით.

საქალაქად ინახავს ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტებს, როგორცაა:

სამოქმედო გეგმები, ჩატარებული ღონისძიებები, მიღწეული შედეგები, თვითშეფასების მასალები პიროვნების ეფექტურად და ობიექტურად შეფასებისთვის.

საქალაქად თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა და ხელს უწყობს ინფორმაციის გამჭვირვალობას. ის გვეხმარება, მოსწავლის განვითარებაზე ვიყოთ ფოკუსირებული და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მიზანმიმართული ნაბიჯები გადავდგათ.

საქალაქად ერთ-ერთი ყველაზე შესაფერისი ავთენტური საშუალებაა მიმდინარე პროცესების, განვითარების და მიღწეული შედეგების აღწერისათვის. შეფასების კრიტერიუმებთან ერთად ის საუკეთესო საშუალებაა სასწავლო პროცესში მიმდინარე პროცესის აღქმისთვის. იგი პიროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის ნათელი სურათის შექმნას უზრუნველყოფს და

ერთ სისტემად წარმოგვიდგენს. მისი მეშვეობით ადვილია, შეინარჩუნო განვითარების სისტემურობა, უწყვეტობა და სრულყოფის სტრატეგია (ტომ პიტერსი. „school portfolio“ თავი I ).

საქალაქში მოთავსებული ინფორმაცია კარგად უნდა იყოს ორგანიზებული და დალაგებული. მასში თავმოყრილია ყველა ის მონაცემი, რაც ცალკეულ საქმიანობებზე მიმდინარე მონიტორინგს ეყრდნობა და ამარტივებს მოსწავლის შეფასებას. ამით მოსწავლეებს უყალიბდებათ მეტაკოგნიტური აზროვნება, რის საფუძველზეც მოსწავლეთა შესაძლებლობები მაქსიმალურად თვითრეალიზებულია და მატულობს აკადემიური მოსწრება.

**რუბრიკა** არის იმ სასწავლო მიზნების ერთობლიობა, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეებთან მიმართებაში ისახავს. არსებობს ანალიტიკური და ჰოლასტიკური რუბრიკა.

ანალიტიკური რუბრიკის (იხ. დანართი №1) დახმარებით ვაკვირდებით მოსწავლის განვითარების დონეს, მის ძლიერსა და სუსტ მხარეებს, ვაანალიზებთ მოსწავლის საჭიროებებს, ვმსჯელობთ მისი განვითარების უახლოეს ზონაზე და განვსაზღვრავთ მისი განვითარების გზას, გამოგვაქვს დასკვნები მოსწავლის მიღწევებსა და ჩვენი პროგრამის ვარგისიანობაზე. ანალიტიკური რუბრიკა საშუალებას გვაძლევს, მოსწავლე რამდენიმე კრიტერიუმით ერთდროულად შევაფასოთ („კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის” კ. მერედითი, ჯ. სთილი, ა. კოუფორდი ჩ. თემპლი 1997 წ. II ტომი გვ.11) მაგ: წერილობითი ნაშრომი ფასდება ქვემოთ მოცემული სქემით. მოსწავლის ცოდნა მოწმდება 4 კრიტერიუმით: მსჯელობა, სტრუქტურა, მართლწერა და სათაურთან შესაბამისობა

ცხრილი №6 ანალიტიკური რუბრიკა დისკუსიისათვის

	1	2	3
მსჯელობა	უჭირს საკუთარი ნააზრების თანმიმდევრულად გადმოცემა	ზოგჯერ შეუძლია მოკლე შინაარსის თანმიმდევრულად გადმოცემა	ყოველთვის შეუძლია საკუთარი ნააზრების თანმიმდევრულად გადმოცემა

	წერს ზედაპირულად, ეყრდნობა მხოლოდ შინაარსს/ სახელმძღვანელოს	ზოგჯერ სიღრმისეულად განიხილავს თემას/საკითხს, მაგრამ იშვიათად სცდება სახელმძღვანელოს შინაარსს	ხშირად კავშირებს ამყარებს სხვა ნაწარმოებებთან/ავტ ორებთან და იყენებს სხვადასხვა წყაროს
	ნაშრომში აღნიშნული აქვს მხოლოდ ფაქტები და არ ჩანს საკუთარი დამოკიდებულება	ნაშრომში გამოტანილი დასკვნა გამყარებულია საკუთარი მოსაზრებებით, მაგრამ არგუმენტებით ვერ ასაბუთებს	ნაშრომში გამოტანილი დასკვნა გამყარებულია საკუთარი მოსაზრებებითა და არგუმენტებით/კონ ტრარგუმენტებით
სტრუქტურა	ვერ ქმნის სხვადასხვა ტიპის წერილობით ნაშრომს (ესე, განცხადება, პუბლიცისტური წერილი და ა. შ.)	შეუძლია რამდენიმე ტიპის წერილობითი ნაშრომის შექმნა (ესე, განცხადება, მოთხრობა და ა. შ.)	ეფექტურად ადგენს სხვადასხვა ტიპის წერილობით ნაშრომებს
	ნაშრომი არასტრუქტურირებუ ლია (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნითი ნაწილი)	ნაშრომი სტრუქტურირებულია (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნითი ნაწილი) მკითველში ინტერესს არ იწვევს	ნაშრომი კარგადაა სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა) და მკითხველში იწვევს ინტერესს



მართლწერა	ხშირად უშვებს გრამატიკულ შეცდომებს (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, სტილი)	იშვიათად უშვებს გრამატიკულ შეცდომებს	ყოველთვის იცავს მართლწერის წესებს და სტილისტურ ნორმებს
სათაურთან შესაბამისობა	ნაშრომი არ შეესაბამება სათაურს	ნაშრომი ნაწილობრივ შეესაბამება სათაურს	ნაშრომი შეესაბამება სათაურს

ჰოლისტიკური რუბრიკის დახმარებით მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს ერთდროულად ყველა მახასიათებლისა და კრიტერიუმის მიხედვით. მოსწავლის პასუხების ხარისხი, შესრულებული საქმიანობა ფასდება ზოგადად.

ცხრილი №7 ჰოლისტიკური რუბრიკა დისკუსიისათვის

ქულა	კრიტერიუმები
5	<ul style="list-style-type: none"> <li>დამოუკიდებლად და სწორად განსაზღვრავს მნიშვნელოვან თემას, პრობლემას, საკითხს..</li> <li>ყოველთვის აგებს/განავრცობს მათ სხვა მოსაზრებებზე დაყრდნობით.</li> <li>ყოველთვის პატივს სცემს სხვის აზრებს და იზიარებს მათ.</li> <li>საუბარში მკაფიოდ და ნათლად აყალიბებს მოსაზრებებს</li> <li>ყოველთვის სათანადო ყურადღებას უთმობს ჯგუფის ნაკლებად აქტიურ წევრებს.</li> <li>ფოკუსირებულია სამუშაოს შესრულებაზე, სწორად ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს.</li> <li>ეფექტურად იყენებს მონაცემებს ტექსტიდან და/ან პირადი გამოცდილებიდან მოსაზრებების დასაბუთებლად.</li> <li>დისკუსიის დროს მის არგუმენტებში ჩანს მტკიცება, მტკიცებულება და საფუძველი.</li> </ul>
4	<ul style="list-style-type: none"> <li>ფოკუსირებულია ზოგიერთ მნიშვნელოვან თემაზე, პრობლემაზე,</li> </ul>

	<p>საკითხზე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხშირად აგებს/განავრცობს მათ სხვა მოსაზრებებზე დაყრდნობით.</li> <li>• ხშირად პატივს სცემს სხვის აზრებს და იზიარებს მათ.</li> <li>• საუბარში ხშირად მკაფიოდ და ნათლად აყალიბებს მოსაზრებებს</li> <li>• ხშირად ყურადღებას უთმობს ჯგუფის ნაკლებად აქტიურ წევრებს.</li> <li>• ხშირად ფოკუსირებულია სამუშაოს შესრულებაზე, ძირითადად ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს.</li> <li>• ხშირად იყენებს მონაცემებს ტექსტიდან და/ან პირადი გამოცდილებიდან მოსაზრებების დასაბუთებლად.</li> <li>• დისკუსიის დროს მის არგუმენტებში ხშირად ჩანს მტკიცება, მტკიცებულება და საფუძველი.</li> </ul>
3	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფოკუსირებულია მეორად თემებზე, პრობლემებზე, საკითხებზე, დეტალურად არ მსჯელობს მთავარ თემებზე.</li> <li>• იშვიათად იყენებს შესაბამის მონაცემებს ტექსტიდან და/ან პირადი გამოცდილებიდან მოსაზრებებს დასაბუთებისათვის ანუ მონაცემების გამოყენება ნაკლებად ეფექტურია.</li> <li>• საუბარში იშვიათად აყალიბებს მკაფიოდ და ნათლად მოსაზრებებს</li> <li>• საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს/განავრცობს მხოლოდ სხვა მოსაზრებებზე დაყრდნობით.</li> <li>• იშვიათადაა ფოკუსირებული სამუშაოს შესრულებაზე, ძირითადად ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს.</li> <li>• გარკვეულ პატივისცემას ამჟღავნებს სხვების მოსაზრებებისადმი.</li> <li>• დისკუსიის დროს მის არგუმენტებში ჩანს მხოლოდ პოზიცია და იშვიათად მტკიცებულება.</li> </ul>
2	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნაკლებად ეხება მნიშვნელოვან თემებს, პრობლემებს, საკითხებს, ნაკლებად დეტალურად მსჯელობს ნებისმიერ თემაზე.</li> <li>• არაეფექტურად იყენებს მონაცემებს ტექსტიდან და/ან პირადი გამოცდილებიდან აზრების დასაბუთებისათვის.</li> <li>• საუბრისას მისი მოსაზრებები ბუნდოვანია ანუ ნაკლებად გასაგები.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• იშვიათად აგებს თავის აზრებს ვინმეს აზრებზე დაყრდნობით.</li> <li>• ნაკლებად არის ფოკუსირებული სამუშაოს შესრულებაზე, ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს.</li> <li>• უსმენს სხვების მოსაზრებებს, თუმცა იზიარებს მხოლოდ მისთვის მისაღებს.</li> <li>• დისკუსიის დროს გამოთქვამს მხოლოდ პოზიციას.</li> </ul>
1	<ul style="list-style-type: none"> <li>• ზედაპირულად მსჯელობს ნებისმიერ თემებზე, ვერ გამოყოფს მნიშვნელოვან პრობლემებს.</li> <li>• საუბრისას აზრების დასაბუთებისათვის არ ან შეუსაბამოდ იყენებს მონაცემებს ტექსტიდან და/ან პირადი გამოცდილებიდან.</li> <li>• მიჯაჭვულია სხვების იდეებზე და თავისას არ აგებს.</li> <li>• არ შემოაქვს ახალი მოსაზრებები.</li> <li>• არ სცემს პატივს სხვის მოსაზრებებს, არ აქცევს ყურადღებას სხვების მოსაზრებებს.</li> <li>• არ არის ფოკუსირებული სამუშაოს შესრულებაზე, ნაკლებად ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს.</li> <li>• ძალიან იშვიათად საუბრობს, საუბრისას მისი მოსაზრებები ბუნდოვანია.</li> </ul>

ჩვენი ექსპერიმენტის ფარგლებში დავადგინეთ რუბრიკის შემუშავების თანმიმდევრული ნაბიჯები და გეგმის განხორციელების გზები. ესენია:

1. მოსწავლეთა შესაძლებლობების, საჭიროებებისა და საგნობრივი პროგრამის საფუძველზე სასწავლო მიზნების განსაზღვრა;
2. შესაფასებელი მიზნებისა და საქმიანობების გამოკვეთა;
3. მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებელი კრიტერიუმების ჩამოწერა; (რით აფასებთ მიღწევას ამ კომპონენტში)
4. კრიტერიუმების დადებითსა და უარყოფით ქმედებებში გადაყვანა. (გაეცით პასუხი შემდეგ კითხვას; რას აკეთებს ამ დროს მოსწავლე?)
5. მოსწავლის შუალედური ქმედების გამოყოფა;

6. ოპერაციულ-ხარისხობრივ მაჩვენებლებში გადაყვანა, დონეებად დაყოფა.  
(როგორი ხარისხით სრულდება სამუშაო?)

7. შესაბამისი დონეებისთვის ქულების მისადაგება.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯების გათვალისწინებით წმ. გიორგის სახელობის საერო სკოლისა და პედაგოგთა პროფესიული განვითარების საგნობრივ ტრენინგებზე მონაწილე მასწავლებლების ჩართულობით შემუშავდა საგნობრივი რუბრიკების კრიტერიუმები (მიზნები), ხოლო ჩვენ მიერ კი - მშობელთან მიმოწერის დღიურის მაკეტი საგნობრივი რუბრიკებისა და კომენტარებისათვის განკუთვნილი სივრცისაგან შემდგარი, რომელიც გავაცანით მშობლებსა და მოსწავლეებს და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით შევიტანეთ ცვლილება-დამატებები. შევიმუშავეთ მისი გამოყენების მექანიზმები და პერიოდულობა. მშობლებსა და მოსწავლეებს მიმოწერის დღიურის დახმარებით მიეწოდებოდათ სრული ინფორმაცია მოსწავლეთა სწავლის დონის არსებული მდგომარეობისა და მათი განვითარების შესახებ. კომენტარები ხელს უწყობდა მათ მომავალი განვითარების პერსპექტივების დანახვაში და იძლეოდა როგორც ანალიზის, აგრეთვე ინფორმაციის შეჯამება-შეფასების საშუალებას. განვითარების გზების დასახვაში მონაწილეობას იღებდნენ მასწავლებლებთან ერთად მოსწავლეები.

მშობელთან მიმოწერის დღიური ეყრდნობოდა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინების, თავისებურებების მრავალმხრივად შეფასების, ეროვნული სასწავლო გეგმის ერთიანობის, ინდივიდუალური საჭიროების დაცვის, შეფასების ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის (ჩართულობას ყველა დონეზე) პრინციპებს.

მიმოწერის დღიურის გამოყენება ზრდის მშობელთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, ობიექტურობის ხარისხს, ყალიბდება ჯანსაღი ურთიერთობები სკოლის წარმომადგენლებს შორის, მცირდება კონფლიქტების რაოდენობა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ხდება მიზანმიმართული და ორგანიზებული.

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით თანმიმდევრულად და ეფექტიანად აუმაჯობესებენ სწავლება-სწავლის პროცესს, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში

გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები; მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასება ქმნის თავისუფალ, უსაფრთხო და შემოქმედებით გარემოს, სასწავლო პროცესი ხდება მიზანმიმართული, მაღლდება მოსწავლეებში პასუხისმგებლობა, შემეცნებითი აქტიურობა, დაგეგმვის, თვითშეფასების და სხვათა შეფასების უნარი. შეფასება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მამოძრავებელი ძალა გახდა და აღმზრდელობითი ფუნქციაც შეიძინა. გადახედეთ რუბრიკას. იძლევა თუ არა იგი სამუშაოს თითოეული ნაწილის მთლიანობაში შეფასების საშუალებას. მაგალითად, სტანდარტში მოცემულია შედეგი: „მოსწავლე ქმნის წერილობით ნაშრომს.“ (ეროვნული სასწავლო გეგმა 20011-2016 ს/წ). ჩემთვის, როგორც პედაგოგისათვის, მნიშვნელოვანია რამდენიმე კითხვაზე პასუხი: რას გულისხმობს ეფექტიანი ნაშრომი? რა ძირითადი უნარები უნდა შეფასდეს?

ამ დროს ვაფასებთ:

- მსჯელობის უნარს;
- ენობრივ-გრამატიკული ნორმების ცოდნას;
- ნაწერის სტრუქტურას;
- თემასთან კავშირს და ა.შ

თითოეული მათგანი უნდა გავწეროთ მიზნებად. ამისათვის უნდა დავსვათ შეკითხვა, რას ნიშნავს ნაშრომში კარგი მსჯელობა? ენობრივი ნორმები? და ა.შ. ვადგენთ მახასიათებლების მიხედვით კრიტერიუმების ნუსხას:

დამოუკიდებელი წერის კრიტერიუმები:

- განხილული თვალსაზრისი ეფუძნება მყარ არგუმენტს;
- ტექსტში თანმიმდევრული და მდიდარი ლექსიკაა გამოყენებული;
- დაცულია პუნქტუაცია;
- გამოყენებულია დისკუსიების დროს წამოჭრილი ძირითადი პრობლემები;
- გამოყენებული აქვს დამატებითი წყაროები, რომელიც კლასში არ განხილულა;
- შეუძლია საკუთარი ნააზრევის თანმიმდევრულად გადმოცემა

- ხშირად კავშირებს ამყარებს სხვა ნაწარმოებებთან/ავტორებთან და იყენებს სხვადასხვა წყაროს;
- ნაშრომში გამოტანილი დასკვნა გამყარებულია საკუთარი მოსაზრებებითა და არგუმენტებით/კონტრარგუმენტებით;
- ადგენს სხვადასხვა ტიპის წერილობით ნაშრომებს და ნაშრომი კარგადაა სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა);
- ნაშრომი მკითხველში იწვევს ინტერესს;
- იცავს მართლწერის წესებს და სტილისტურ ნორმებს;
- ნაშრომი შეესაბამება სათაურს; და ა.შ.

ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია ოპერაციულად (ხარისხობრივად) დამუშავება, ოთხ ძირითად დონედ არასდროს/იშვიათად/ ხშირად/ყოველთვის (ან სხვა) დაყოფა და თითოეული კრიტერიუმის შესაბამის დონეებზე გაწერა.

გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპის დასაცავად მოსწავლეთა რუბრიკები ყოველთვის უნდა შემუშავდეს მათი ჩართულობით, გაიკრას თვალსაჩინო ადგილას, რათა მოსწავლეებმა თავად შეძლონ საკუთარი ცოდნის დონისა და უნარ-ჩვევების შეფასება რუბრიკაში ასახული კრიტერიუმების დახმარებით. რუბრიკები თითოეული მოსწავლისათვის ივსება მასწავლებლის მიერ. შეფასების პერიოდი(რუბრიკების შევსება) მასწავლებლის არჩევანზეა დამოკიდებული.

ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების გაანალიზების შედეგად ნათლად დავინახეთ, რომ სხვადასხვა საგანს განსხვავებული პრიორიტეტები და საგნობრივი სპეციფიკური უნარები გააჩნია. მაგალითად, ჰუმანიტარული საგნებისთვის პრიორიტეტულია: კითხვა, წერა, მეტყველება და დისკუსიები. საბუნებისმეტყველო საგნებისათვის - ცდები, ექსპერიმენტები, პროექტები. მათემატიკისათვის - მსჯელობა, არგუმენტაცია. შეფასების სისტემის შერჩევასაც კარგად უნდა განვსაზღვროთ, საგაკვეთილო პროცესი რა ძირითადი ნაწილებისაგან/კომპონენტებისაგან შედგება. შეფასების სისტემამ ზუსტად უნდა აღწეროს მოსწავლეების მიერ გაკვეთილზე განხორციელებული საქმიანობები.

ეფექტური შეფასების სისტემა საგნის სტანდარტებსა და საგაკვეთილო სა-

ქმიანობებს აერთიანებს. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს „რას ვაფასებთ?“ ამისათვის კი აუცილებელია, გადავხედოთ ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ პროგრამებს და კარგად გავიაზროთ შემდეგი ამონარიდები ეროვნული სასწავლო გეგმიდან: „სწავლა ნიშნავს არა ინფორმაციის შექმნას, არამედ ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას“ და „მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობის დაგროვება, არამედ მისი ხარისხი“.

ამრიგად, მნიშვნელოვანია არა მარტო რა ისწავლა მოსწავლემ, არამედ როგორ ისწავლა და როგორ შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება.

ექსპერიმენტის დასაწყისში დავფიქრდით შეკითხვებზე: მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისათვის შერჩეული საქმიანობები აძლევნ თუ არა სათანადო მოტივაციას მათ? შესაძლებელი ხომ არ არის რომელიმე მათგანის გაერთიანება ისე, რომ მიზანს უფრო ადვილად მიაღწიონ მოსწავლეებმა და საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ?

ჩვენ წინაშე დაისვა კითხვა: რა იქნება ის საქმიანობები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნის, უნარ-ჩვევების ზოგიერთი მარტივი ექსპერიმენტის ჩატარების, მისი აღწერის, დასკვნების გამოტანის, სამეცნიერო ლიტერატურის მოძიების, დამუშავებისა და ინფორმაციის გრაფიკებსა და დიაგრამების სახით პრეზენტაციაში. შევჩერდით შემდეგ ჩამონათვალზე:

**„მინი-კვლევები“** – შესასწავლი საკითხის ირგვლივ ცდების ჩატარება, მოდელების აგება, აღწერა, ჩანაწერებისა და ჩანახატების გაკეთება და დასკვნების გამოტანა. **„ინფორმაციის მოძიება“** – მეცნიერთა აღმოჩენების

შესახებ საინტერესო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გამოსაცემად წიგნის მომზადება. **„თავისუფალი წერა“** – შესასწავლი თემის ირგვლივ

მიღებული ინფორმაციის მოკლე დროში ძირითად ცნებებსა და მნიშვნელოვან საკითხებად კატეგორიზება. **„დამოუკიდებელი წერა“** – ფორმულებისა და საზომი ერთეულების გამოყენებით (ამოცანები) რაოდენობრივი გათვლების გაკეთება.

**„პროექტები“** – თემში (სკოლის გარშემო არსებული გარემო, სოციუმი) არსებული პრობლემების კვლევა და ფართო აუდიტორიის წინაშე დასკვნების

წარდგენა. მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (ტრანსფერი).

„თვითშეფასების ფურცელი“ – საკუთარი პროგრესის შესახებ ძლიერი და სუსტი მხარეების აღიარება. მაგალითად, საქმიანობაში „ინფორმაციის მოძიება“, მოსწავლეები თავდაპირველად დიდი ინტერესით ჩაერთვნენ, მაგრამ შემდეგ მოტივაცია შესუსტდა ან საერთოდ გაქრა. ამის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო ის, რომ მოსწავლეები მსგავსი ტიპის სამუშაოებს ყველა საგანში თითქმის ყოველდღე ასრულებდნენ. დავალების შესრულება დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა. მოსწავლეებმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს „პროექტების“ მიმართ. გაირკვა, რომ ასეთი ტიპის დავალებები მხოლოდ საბუნებისმეტყველო საგნებში ტარდებოდა. ცდების ჩატარება, დაკვირვებები, ჩანაწერთა დღიურების წარმოება, ცდის შედეგების განხილვა მათთვის ჩვეულ საქმიანობას წარმოადგენდა. მოსწავლეების აზრით, ამ საქმიანობას დიდი დრო არ ესაჭიროება (მასწავლებელთან ერთად კონკრეტულ გაკვეთილზე სრულდება). ამ საქმიანობისათვის მაქსიმალური შეფასების მიღებაც ძალზე ადვილია. დაკვირვების შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა:

1. შეფასებისათვის განკუთვნილი საქმიანობები მოსწავლეების შესაძლებლობებს არ უნდა აღემატებოდეს, ისინი ძირითადად „ექვილიბრიუმში“ უნდა იმყოფებოდნენ. საქმიანობების შესრულება მათგან ნაკლებ ძალისხმევასა და დროს უნდა მოითხოვდეს.
2. საქმიანობების შეფასების კომპონენტები მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს.
3. მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის მრავალფეროვანი საქმიანობების შეთავაზება.

შეფასების სისტემის ეფექტურობა პირდაპირ აისახება :

- სწავლის მოტივაციაზე;
- მოსწავლის პასუხისმგებლობაზე;
- სწავლის ხარისხზე.

შეფასების სისტემის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმებისა და ტიპების სწორად შერჩევა, არამედ მასწავლებლის მიერ შერჩეული მეთოდისა და მოსწავლის საქმიანობის



თვითშეფასება. ჩვენ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემის ეფექტიანობა შეიძლება დავადგინოთ მოცემული ცხრილის საშუალებით ცხრილი № 8 შეფასების ეფექტურობის თვითშეფასება

მახასიათებლები	შეფასების ეფექტურობის თვითშეფასება
<p>მიზნები</p> <p>რას ვაფასებთ? (სტანდარტი)</p>	<p>უნარ-ჩვევები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მოსწავლე იყენებს კვლევის ზოგიერთ თანამედროვე მეთოდს;</li> <li>2. მოსწავლე მოიძიებს და იყენებს სამეცნიერო ლიტერატურას;</li> <li>3. გეგმავს და წარმართავს ექსპერიმენტს, აგროვებს და ამუშავებს მონაცემებს</li> <li>4. მსჯელობს, კრიტიკულად გააანალიზებს, გამოაქვს დასკვნები;</li> <li>5. აკეთებს პრეზენტაციას (გრაფიკების, დიაგრამების, მოდელის შექმნა ე.ს.გ.-ის მიხედვით 2010-2011):</li> <li>6. აღწერს ნივთიერებათა თვისებებს და მსჯელობს მათი ცვლილებების შესახებ;</li> <li>7. მოსწავლე განასხვავებს ნივთიერებასა და ნარევს, ფლობს ნარევის კომპონენტებად დაყოფის მეთოდებს;</li> <li>8. მოსწავლე განასხვავებს ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებს;</li> <li>9. მოსწავლე ახასიათებს ჰაერს;</li> <li>10. მოსწავლე აღწერს წყლის თვისებებს, მსჯელობს ხსნარების თავისებურებების შესახებ;</li> </ol> <p>დამოკიდებულებები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. გამოხატავს ინტერესს მეცნიერული კვლევისა და სიახლეების მიმართ, თანამშრომლობის სურვილს;</li> <li>2. ზრუნავს გარემოზე და იღებს პასუხისმგებლობას მის დაცვაზე;</li> </ol>

სამართლიანობა	<p>ყველა კულტურული წარმომავლობისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს საკუთარი უნარების გამოვლენის საშუალება ეძლევა. ყველა მოსწავლე თანაბარ პოზიციაშია.</p>
სანდობა შედეგების განზოგადება	<p>შეფასების შერჩეული მეთოდი და კომპონენტები არ მამლევს ყველა მიზნის მიღწევის საშუალებას. რუბრიკებით შეფასება, როგორც მეთოდი სანდოა, რადგან ვაფასებ მოსწავლის განვითარების პროცესს. განვითარება შეიძლება შეფასდეს დაკვირვებით. რუბრიკები დაკვირვების შედეგების დათვლისა და მისი განზოგადების საშუალებას იძლევა. რაც შეეხება კომპონენტებს, საჭიროებს გაუმჯობესებას, რადგან ყველა უნარის განვითარებას მხოლოდ ნაწილობრივ ემსახურება. მაგალითად, კომპონენტები „მინი-ლაბორატორია“, „მამიებელი“, „თავისუფალი წერა“, „დამოუკიდებელი წერა“, „პროექტები“ და „თვითშეფასება“. ძირითადად ემსახურება წერისა და ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას, ეყრდნობა შემდეგ სტანდარტს: „მსჯელობს, კრიტიკულად ააანალიზებს საკითხს და დასკვნები გამოაქვს; მოსწავლე აღწერს ნივთიერებათა თვისებებს და მსჯელობს მათი ცვლილებების შესახებ. მოსწავლე აღწერს წყლის თვისებებს, მსჯელობს ხსნარების თავისებურებების შესახებ.“</p>
შერჩეული კრიტერიუმების ხარისხი	<p>კრიტერიუმები შესაბამისობაშია შეფასების შერჩეულ მიზანთან, მაგრამ არსებული სტანდარტის შესრულების საშუალებას ნაწილობრივ იძლევა. საჭიროებს დახვეწას. მხოლოდ „მინი-ლაბორატორია“, „მამიებელი“, „თავისუფალი წერა“, „დამოუკიდებელი</p>

	წერა”, პროექტები და „თვითშეფასება”.
სირთულე	შეფასებამ ვერ დააკმაყოფილა ეფექტური შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი „სირთულე”. მისთვის შერჩეული დავალებები დიდი დროისა და ენერჯის ხარჯვას მოითხოვს. მოტივაცია შესაძლოა, დაეკარგოს და მაქსიმალურად არ ჩაერთოს მის შესრულებაში. საქმიანობების ძირითადი ნაწილი უნდა შეასრულოს საგაკვეთილო პროცესში.
შინაარსი უნარები დამოკიდებულებები	შეფასება სტანდარტის ადექვატურად შესრულების საშუალებას არ იძლევა. ნაკლები ყურადღება ეთმობა შინაარსში წვდომას, რადგან შეფასების კრიტერიუმებსა და კომპონენტებში არაა გათვალისწინებული შინაარსის გააზრება და წვდომა.
სიხშირე	მასწავლებელი პროგრესის მონიტორინგს ახორციელებს ორ კვირაში ერთხელ თემატური ერთეულების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი კომპონენტებით.
გამჭვირვალობა	მოსწავლეები ჩართულნი არიან შეფასების სისტემის შემუშავებაში. ურიგდებათ შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები. ეცნობიან მათ, აკეთებენ ცვლილება-დამატებებს. სწავლობენ ქულების დაჯამებისა და თვითშეფასების მექანიზმებს.
შედეგები	შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა გადასახედია. შესატანია ცვლილება-დამატებები კომპონენტებში და ასევე პროგრამაში.

ამ ჭრილში შეფასების განხილვამ ნათლად დაგვანახა ერთი მნიშვნელოვანი რამ - შეფასება არაეფექტიანია და საჭიროებს დახვეწას.

მრავალფეროვანი საქმიანობები საუკეთესო საშუალებაა, გაფართოვდეს სასწავლო კურსის მიზნების მიღწევის არეალი და დიდი როლი შეასრულოს მოსწავლეთა განვითარების პროცესში.

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება მხოლოდ ტესტირებით,

მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების შეფასებით, რუბრიკით ან კომენტარებით სრულყოფილ სურათს არ გვაძლევს. მათი კომბინირებულად გამოყენება მნიშვნელოვანია შეფასების სისტემურობისათვის. ეს კი გულისხმობს მასწავლებლის მიერ ყველა იმ საშუალების გამოყენებას, რომელიც მას დაეხმარება მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალური შეფასებისათვის.

როდესაც ვსაუბრობთ შეფასების კომპონენტებზე, მხედველობაში გვაქვს სასწავლო პროცესის ძირითადი შემადგენელი საქმიანობები: წერა, კითხვა, მეტყველება, დისკუსია, შეკითხვები და ა.შ. ამის შემდეგ ვუპასუხოთ შეკითხვას, რას ვაფასებთ? შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს თემის შესწავლის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების პროცესს. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ, როგორ ავირჩიოთ საუკეთესო გზა მოსწავლეების ცოდნის დონისა და უნარ-ჩვევების კონკრეტული მონაცემების შესაგროვებლად.

მასწავლებელი შეფასების სისტემის შექმნისას უნდა ეყრდნობოდეს სასწავლო პროგრამებსა და სტანდარტებზე ბუნებრივად მორგებულ შეფასების სანდო მეთოდებს.

საჭიროა, შევქმნათ შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც დაგვეხმარებოდეს იმის დადგენაში, თუ რამდენად კარგად მოვინიშნეთ სასწავლო პროგრამის მიზნის არეალი, რამდენად მიუახლოვდით მას და რა ხარისხით ვასრულებთ ეროვნულ სტანდარტებს.

შეფასების სისტემამ უნდა შეძლოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასება და მოგვცეს საგნობრივი სტანდარტის შესრულების საშუალება. ამიტომ საჭიროა დავადგინოთ საგნის სასწავლო მიზნის არეალები ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ პროგრამებში. დავადგინეთ, რომ საბუნებისმეტყველო საგნისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება. იქვე განსაზღვრულია რა მოიაზრება ამ უნარ-ჩვევის ქვეშ. სტანდარტში წერია: დაკვირვება, აღწერა, აღრიცხვა, კლასიფიკაცია, გაზომვა/რიცხვების გამოყენება, პრეზენტაცია, განჭვრეტა, დაგეგმვა, მონაცემთა შეგროვება, ჰიპოთეზის გამოთქმა, ექსპერიმენტის ჩატარება, მოდელების შექმნა და გამოყენება. ზემოთ აღნიშნული უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების სამივე საფეხურზე ეტაპობრივად

მიმდინარეობს. წარმოუდგენელია მისი ერთ სასწავლო წელს ან თუნდაც ერთ რომელიმე საფეხურზე მიღწევა. ამისათვის უნდა შემოვსაზღვროთ და დავავიწროვოთ მიზნების არეალი.

საინტერესოა, სტანდარტის მიხედვით რა არის ის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, რომლებიც მოსწავლეებს უნდა განუვითარდეთ სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე?

### **საბაზო საფეხური (VII - IX კლასები; საგანი-ქიმია)**

სწავლების ამ საფეხურზე მოსწავლე იღრმავებს შემეცნებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. მოსწავლე მოვლენების გარეგნული აღწერიდან გადადის მოვლენათა არსის წვდომაზე ძირითადი ფიზიკური და ქიმიური კანონების შეცნობით. მოსწავლე იწყებს ემპირიული გზით სამყაროს აღქმას, შემოქმედებითად აზროვნებას, ცდილობს სამყაროში ადამიანის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრას. საბაზო საფეხურზე მოსწავლე ივითარებს სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს, რომელთაგან პრიორიტეტულია:

- კვლევის ზოგიერთი თანამედროვე მეთოდის გამოყენება;
- სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და გამოყენება;
- ექსპერიმენტის დაგეგმვა და წარმართვა, მონაცემთა შეგროვება-დამუშავება;
- კრიტიკული ანალიზი, დასკვნების გამოტანა;
- პრეზენტაცია (გრაფიკების, დიაგრამების, მოდელის შექმნა).

ცოდნა: გულისხმობს, რომ მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ პროგრამით გათვალისწინებული შინაარსი საგანში.

- მოსწავლე აღწერს ნივთიერებათა თვისებებს და მსჯელობს მათი ცვლილებების შესახებ;
- მოსწავლე განასხვავებს ნივთიერებას და ნარევს, ფლობს ნარევის კომპონენტებად დაყოფის მეთოდებს;
- მოსწავლე განასხვავებს ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებს;
- მოსწავლე ახასიათებს ჰაერს;
- მოსწავლე აღწერს წყლის თვისებებს, მსჯელობს ხსნარების თავისებურებების შესახებ.

### დამოკიდებულებები:

- ინტერესი მეცნიერული კვლევისა და სიახლეების მიმართ;
- თანამშრომლობის სურვილი;
- გარემოზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა;

მიზნების მისაღწევად მოსწავლეებმა სხვადასხვა სახის საქმიანობა უნდა შეასრულონ. ამისათვის შევადგინეთ აქტივობების ჩამონათვალი, ისინი საკმაოდ როსა და ძალისხმევას მოითხოვდა მათგან. ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთის შემდეგ, გაუმჯობესების გზების გამოსაკვეთად ბუნებრივია დაისვა კითხვა: შერჩეული საქმიანობები აძლევენ თუ არა სათანადო მოტივაციას მოსწავლეებს? შესაძლებელი ხომ არ არის რომელიმე მათგანის გაერთიანება ისე, რომ მოსწავლეებმა მიზანს უფრო ადვილად მიაღწიონ და საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოხატონ? მოსწავლეებთან გასაუბრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბევრ დროს ართმევდა მათ წერითი დავალებები და რუბრიკა „მაძიებელი“. თავდაპირველად ისინი დიდი ინტერესით ახორციელებდნენ ამ საქმიანობას, მაგრამ შემდეგ ეს ძალიან შრომატევადი აღმოჩნდა მათთვის, რადგან ყველა საგანში თითქმის ყოველდღე ასრულებდნენ ამ სამუშაოს. მოსწავლეთა დიდი ინტერესი გამოიკვეთა ცდების (მინი-ლაბორატორია) მიმართ. აღმოჩნდა ისიც, რომ ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო წერით დავალებებსა და პრეზენტაციებზე.

განვიხილოთ შეფასების სისტემის ეფექტურობა სქემაში.

მოსწავლის მიერ შექმნილი: კვლევითი პროექტები, ჩატარებული ცდებისა და მინი ლაბორატორიების ჩანაწერები, თავისუფალი წერები, მოძიებული მასალები, შექმნილი პლაკატები, შეფასების ფურცლები, წერილობითი გამოხმაურებები სასწავლო პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროებია. მათზე დაყრდნობით ვაფასებთ, რამდენად კარგად იგებენ მოსწავლეები წაკითხულს, ვიგებთ, რა იციან თემის შესახებ. მასწავლებელს შეუძლია დააკვირდეს და ჩაინიშნოს, რამდენად კარგად შეუძლიათ მოსწავლეებს თავიანთი აზრების ორგანიზება, ტრანსფორმირება, წარდგენა, ცოდნის ტრანსფერი, თვითგამოხატვა, ასევე საკუთარი არგუმენტების დასაბუთება და თანატოლების მოსმენა, პატივისცემა. მოსწავლეების ნამუშევრების კომენტარებისა და მასწავლებლის მოკლე ჩანაწერების გამოთლიანებით გროვდება

ზუსტი და ღირებული ინფორმაცია თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შესახებ.

**დამოუკიდებელი მუშაობა.** სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებამ და შეფასების ახალ სისტემაზე გადასვლამ ყურადღების გამახვილება მოითხოვა სწავლის უნარ-ჩვევების განვითარებაზე და მოსწავლეებს საკუთარ განათლებაზე პასუხისმგებლობა დააკისრა. შესაბამისად, სასწავლო პროცესში იმატა დამოუკიდებელი დავალებების რაოდენობამ მოსწავლეებში შემეცნებითი აქტიურობის ზრდისა და თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, მაგრამ დღეისთვის პედაგოგთა უმრავლესობას კარგად არ აქვს გაცნობიერებული, რომ საშინაო თუ საკლასო დავალებები არ შეიძლება დამოუკიდებელ სამუშაოდ ჩაითვალოს. ისინი სრულიად განსხვავდებიან თავისი სპეციფიკით ერთმანეთისაგან. ეს საკითხი საკამათო საგანი ხდება სკოლის წარმომადგენლებისათვის, რადგან ხშირ შემთხვევაში, ეს ცნებები არ არის კარგად განმარტებული და გამიჯნული ერთმანეთისაგან. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების კომპონენტებია შემაჯამებელი დავალება, საშინაო და საკლასო დავალებები. აქვე მინიშნებულია, რომ სწორედ ისინი წარმომადგენენ დამოუკიდებელ სამუშაოს, მაგრამ ი. ზიმნაია, კ. მერედითი, ჯ. სთილი ა. კროუფორდი მიიჩნევენ, რომ მათ შორის არსებობს განსხვავებები.

რა არის დამოუკიდებელი სამუშაო? რით განსხვავდება ის საკლასო და საშინაო სამუშაოებისაგან?

დამოუკიდებელი სამუშაო, საკლასო წერისა და საშინაო დავალებისაგან განსხვავებით, საქმიანობის განსაკუთრებული, უმაღლესი ფორმაა, რომელიც ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით. ცნება „დამოუკიდებელი სამუშაო“ საშინაო დავალებასა და საკლასო სამუშაოსთან შედარებით ფართო განსაზღვრების მომცველია.

დამოუკიდებელი სამუშაო, უპირველესად, თავისუფალი არჩევანია, რომელიც მოსწავლეში ზრდის შინაგან მოტივაციას, აღძრავს შემეცნების მოთხოვნილებას და მოზარდს პოზიტიურად განაწყობს მთელი რიგი საქმიანობების შესრულების მიმართ. საგაკვეთილო პროცესში დაგეგმილი

საქმიანობები ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეს თავისუფალ დროს დამოუკიდებლად განავრცოს, ჩაუღრმავდეს, გაიაზროს, შეიმეცოს ესა თუ ის თემა, საკითხი ან მოვლენა. მას უჩნდება მოთხოვნილება, დაწეროს რეფერატი, გააკეთოს პრეზენტაცია, გადაიღოს ფილმი, ე.ი. მისთვის საინტერესო ქმედებისაკენ განეწყობა. დამოუკიდებელი სამუშაო სწორად ორგანიზებული სასწავლო პროცესის შედეგია (ჯ. სთილი).

საშინაო დავალება და საკლასო სამუშაო, მასწავლებლის მიერ განსაზღვრული აუცილებელი საქმიანობებია, ხოლო დამოუკიდებელი სამუშაო არის ის არასავალდებულო საქმიანობები, რომლებიც მოსწავლის მიერ სრულდება საკუთარი ინიციატივით შემუშავებული გეგმის საფუძველზე. იგი სასწავლო - შემეცნებითი პროცესის უმაღლესი ფორმაა, რომელიც, რა თქმა უნდა, საკლასო სამუშაოსთანაა დაკავშირებული, მაგრამ არ არის სავალდებულო (როგორც საკლასო წერა და საშინაო დავალება). (И. А. Зимняя “Педагогическая психология”, МОСКВА “ЛОГОС”, 2001г, ст. 250)

დამოუკიდებელი კლასგარეშე საქმიანობის მეორე მიზანია არა მხოლოდ გააღრმავოს, გააფართოვოს, სრულყოს მოსწავლის ცოდნა, უნარ-ჩვევები, არამედ მოსწავლეს სრულიად განსხვავებული სასწავლო მიზნები შესძინოს. საკლასო და საშინაო სამუშაოები, რომელიც პედაგოგის მიერაა ორგანიზებული, მხოლოდ საგნის სტანდარტით განსაზღვრული სასწავლო ამოცანების შესრულებასა და ათვისებას ემსახურება. ე.ი. არა მხოლოდ მასწავლებლის მიერ დაგეგმილი სასწავლო ამოცანების გააზრებას, არამედ ახალი სქემების შექმნის საფუძველზე (სტანდარტს ზევით) ამოცანების გააზრებას. ის თვითგანვითარების, საკუთარ განათლებაზე ზრუნვის მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელიც საკლასო საქმიანობებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მხოლოდ მის განვრცობას არ ემსახურება. მისი დახმარებით მოსწავლეები ახალ ცოდნასა და უნარებს იძენენ.

დამოუკიდებელი სამუშაოს მესამე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ფორმა, რომელიც მოსწავლეებისათვის უნდა იყოს წამახალისებელი და სასიამოვნო. დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების ინტერესი მაშინ ჩნდება, როდესაც მოსწავლეებს უჩნდებათ მეტის გაგების სურვილი, ხოლო „ინფორმაციულ ვაკუუმში“ ყოფნის შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელი შემოიფარგლება



მხოლოდ გაკვეთილით, მოსწავლეთა პასუხებით, საშინაო დავალება ითვლება მოსწავლეთა დამოუკიდებელ სამუშაოდ. ასეთ გარემოში ახლის შემეცნების სურვილი არ ჩნდება.

დამოუკიდებელი სამუშაო უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, პიროვნული ინტერესის გათვალისწინებით და თანამშრომლობითი ფორმით. როდესაც მასწავლებელი აწვდის მრავალფეროვან ინფორმაციას ბავშვებს, მათში აღძრავს მეტის შემეცნების მოთხოვნილებას. საკუთარი ინიციატივით შერჩეულ არასაკლასო სამუშაოებში მოსწავლეები ინტერესით ერთვებიან. დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების მოტივაცია დამოკიდებულია მასწავლებლის სწავლების სტილზე. ავტორიტარული სტილის დროს სასწავლო პროცესი მასწავლებლის მოთხოვნებზეა დამოკიდებული. დემოკრატიულ სასწავლო პროცესში მოსწავლეებს დავალებების არჩევის საშუალება ეძლევათ, გათვალისწინებულია: ვისთან ერთად, რა დავალებას, როგორ, რა ფორმით და რა დროში წარმოადგენს. არჩევანის თავისუფლება ანუ დელეგირება ზრდის ჩართულობის ხარისხს, რაც დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულების ხარისხისა და მოტივაციის ამაღლებაზე აისახება; (Амонашвили. III. Воспитательная и образовательная функция оценки учения школьников» педагогика. Москва. 1984 г. ст. 248)

დამოუკიდებელი სამუშაო საგანთა შორის კავშირს უნდა მოიცავდეს, რაც მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. ამით მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში ნასწავლი ცოდნის გამთლიანების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტრანსფერის, სხვადასხვა საკითხისა და მოვლენის უფრო გლობალურად შეფასების საშუალებას აძლევს.

იქიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეებში შემეცნებითი მოტივაცია დაბალია და ისინი შემოიფარგლებიან მხოლოდ საშინაო და საკლასო დავალებების შესრულებით, მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, მათ ჩართვას დამოუკიდებელ სამუშაოებში, რამდენად გაითვალისწინებს დამოუკიდებელი სამუშაოსთვის დამახასიათებელ მიზნებს, რაც თავისთავად ზემოთ ჩამოთვლილი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს.

განვიხილოთ ექსპერიმენტის დროს გამოყენებული მაგალითი და პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: რა ტიპის დავალებები შეიძლება შესთავაზოთ მოსწავლეებს იმისათვის, რომ მათი შემეცნებითი აქტიურობა ამაღლდეს?

მასწავლებლებმა გამოუცხადეს მოსწავლეებს, ვისაც აქვთ ინგლისურის PET-ის პროგრამის ჩაბარების სურვილი, შეუძლიათ პედაგოგის დამატებითი კონსულტაციით ისარგებლონ. ასევე ბიოლოგიის მასწავლებელმა გამოაცხადა, რომ აპირებს სკოლის ჟურნალის, აგრეთვე პატარებისთვის საკითხავი ბროშურების გამოცემას და ეძებს იმ მოსწავლეებს, რომელთაც მასთან თანამშრომლობის სურვილი ექნებათ.

მოხალისეებს შეეძლოთ, ორი კვირის განმავლობაში მოეფიქრებინათ და წარმოედგინათ საკუთარი წიგნის, ჟურნალის ან ბროშურის მაკეტი. გამოაცხადა პრეზენტაციისა და კონსულტაციის თარიღი.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი ნამუშევრები და ისაუბრეს, რა საკითხების განხილვას აპირებდნენ. მიიღეს მასწავლებლისგან კონსულტაცია, რომელი სასურველი და საინტერესო წყაროები შეეძლოთ გამოეყენებინათ. მასწავლებელმა მიუთითა, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში ბიოლოგიისა და სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინის უამრავი ინგლისურენოვანი ლიტერატურა არსებობს, რომლებიც მრავალფეროვან ინფორმაციას შეიცავს და მოსწავლეებს შეუძლიათ თემების, მასალის სრულყოფისა და დახვეწის მიზნით ამით ისარგებლონ. ეს მათ დაეხმარებათ, გაიუმჯობესონ ინგლისური ენის კომპეტენცია, ასევე დაეხმარებათ წიგნის შექმნასა და PET-ის პროგრამის ჩაბარებაში. როდესაც სკოლაში ჩატარდა ბიოლოგიის კვირეული, მოსწავლეებმა მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, ბროშურები, ჟურნალები წარმოადგინეს და PET-ის გამოცდაც მათმა უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა.

დამოუკიდებელი სამუშაო განსხვავდება საკლასო, საშინაო დავალებისგან ორი ძირითადი მომენტით და მისი განსაკუთრებულობა სწორედ ამაში მდგომარეობს: 1) მას თან ახლავს ახალი სასწავლო ამოცანები და მიზნები; 2) მიმდინარეობს სასწავლო ამოცანების დამოუკიდებლად შესწავლა. თუმცა ამის შესრულება მასწავლებლის მხრიდან მიზანმიმართული საქმიანობის გარეშე წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, არ უნდა გვქონდეს იმის განცდა, რომ ამ

საქმიანობაში ჩაერთვება ყველა მოსწავლე. ჩვენ დამოუკიდებელი სამუშაოებით დაინტერესებულ მოწაფეებს უნდა შევუქმნათ ყველა პირობა და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დროთა განმავლობაში შემეცნებითი აქტიურობა „გადამდები“ აღმოჩნდება ყველა მოსწავლისათვის. ზემოხსენებული ბიოლოგიის მასწავლებლის ინიციატივით დაწყებული ჟურნალების, წიგნების გამოცემაში თავდაპირველად მხოლოდ ექვსი მოსწავლე მონაწილეობდა, წლის ბოლოს ჟურნალის გამოცემაში უკვე მთელი კლასი იყო ჩართული. ისინი სიამოვნებით დადიოდნენ ზოოპარკში, ემებდნენ ინფორმაციას, იკვლევდნენ, იღებდნენ ინტერვიუებს, ბეჭდავდნენ, კორექტირებას უკეთებდნენ და აკაზადონებდნენ მასალას ბიოლოგიისა და ისტორიის პედაგოგებთან ერთად და ავრცელებდნენ სკოლაში. მომდევნო წლებში ამ საქმით დაინტერესდა VII კლასის ოთხი პარალელი და მათ წარმოადგინეს ხელნაკეთი წიგნები. ინიციატივას გამოეხმაურნენ VIII კლასის მოსწავლეებიც. მათი და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის თანამშრომლობით გამოიცა წიგნი „მთაწმინდელები“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთადერთი სრულყოფილი წიგნია, რომელიც მთაწმინდაზე დაკრძალულ საზოგადო მოღვაწეთა შესახებ მოგვითხრობს.

აქედან გამომდინარე, მივედით დასკვნამდე, მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება დავალებების შესრულების დროს. სწორედ ეს განაპირობებს მოტივაციას, ანუ დელეგირება ზრდის საგნობრივ ინტერესსა და მოტივაციას. მასწავლებლის დანიშნულებაა, მოსწავლეებს შესთავაზოს დამოუკიდებელი სამუშაოების ალტერნატივები მათი ინტერესების გათვალისწინებით. ბიოლოგიის მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ დამოუკიდებელ სამუშაოში ყველა მოსწავლე არ იყო ჩართული, მაგრამ ვინც აღნიშნული დამოუკიდებელი სამუშაოთი არ დაინტერესდა, მათთვის ბიოლოგიის მასწავლებელმა შეიმუშავა „მწვანე სკოლა“. ისინი სკოლის ეზოში აღრიცხავდნენ ხეებს და უკეთებდნენ შესაბამის ეტიკეტებს. რგავდნენ ახალ მცენარეებს, დაკავებული იყვნენ სკოლის ეზოს გამწვანებისა და სახეობათა შესწავლის საკითხებით.

ყოველ დამოუკიდებელ სამუშაოს ახლდა პრეზენტაცია, სადაც მოსწავლეები საუბრობდნენ საკუთარ საქმიანობაზე, იმ შეცდომებსა თუ მიღწევებზე,

რომელსაც ადგილი ჰქონდა სამუშაო პროცესში. საუბრობდნენ და ასაბუთებდნენ, რატომ აირჩიეს ეს საქმიანობა, რით დაინტერესდნენ და რა შეიძინეს ცოდნისა და უნარ-ჩვევების თვალსაზრისით. დამოუკიდებელი სამუშაო არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მუშაობის ისეთი ფორმა, რომელიც თითოეულ მოსწავლეს აძლევს განვითარების საშუალებას საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. მოსწავლეებს ეძლევათ თვითრეალიზებისა და საკუთარი ნამუშევრების თვითშეფასების საშუალება. როდესაც მოსწავლე თავად ირჩევს თემას, მუშაობის ფორმას, თამამად შეუძლია შეაფასოს დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც ობიექტური თვითშეფასების უნარის განვითარებას უწყობს ხელს მოსწავლეებში.

**თვითშეფასება.** თვითშეფასების დროს პიროვნება თავად აძლევს საკუთარ თავს შინაარსობრივ და ღია დახასიათებას მიღწეული შედეგების შესახებ, აანალიზებს დადებითსა და უარყოფით მხარეებს, ეძებს ამ უკანასკნელის გამოსწორების გზებს. ე.ი. აფასებს საკუთარ საქმიანობას (მიღწევებსა და წარუმატებლობას). ასეთ შემთხვევაში თვითშეფასება აღიქმება როგორც თვითგანვითარების, თვითრეგულირების, თვითკონტროლისა და ასევე შინაგანი მოტივაციის წყაროდ. ის მოსწავლისთვის დამოუკიდებელი ექსპერტიზის საშუალებაა და მისი ძირითადი არსი სწორედ ამაში მდგომარეობს. თვითშეფასების დახმარებით მოსწავლეს შეუძლია, დაინახოს საკუთარი საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები და ამის გათვალისწინებით ააგოს საკუთარი განვითარების გეგმა. ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც თვითგამორკვევის, თვითგანსაზღვრის მექანიზმი, რომელიც ზრდის მოსწავლეებში მოტივაციას, უვითარებს შეფასების, დაგეგმვის უნარ-ჩვევებს, ასწავლის ქცევის თვითრეგულირების მექანიზმებს და საზოგადოებაში პიროვნების სოციალურ ადაპტაციას განსაზღვრავს. უნდა გვახსოვდეს, რომ ის არაა ღვთისაგან ბოძებული უნარი, მისი ფორმირება მიმდინარეობს სხვადასხვა საქმიანობისა და პიროვნებათშორისი ურთიერთობების პროცესში. სამწუხაროდ, თვითშეფასების განვითარებას არც ოჯახში და არც სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა. სასწავლო პროცესში მისი განვითარება არამიზანმიმართულად და სტიქიურად მიმდინარეობს. პედაგოგების

უმრავლესობას არ აქვს გააზრებული სრულფასოვანი პროცენტების ჩამოყალიბების პროცესში თვითშეფასების დანიშნულება. („კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის” კ. მერედითი, ჯ. სთილი, ა. კოუფორდი ჩ. თემპლი 1997 წ. VI ტომი გვ. 21)

თვითშეფასება პიროვნული შესაძლებლობების შეფასებას ნიშნავს და საუკეთესო საშუალებაა „საკუთარი თავი დაინახო სხვისი თვალებით.“ შეადარო შენი თვისება სხვის საუკეთესო თვისებებს და მიღებული შედეგის გათვალისწინებით, დაყრდნობით შეადგინო ყველაზე ეფექტური სამოქმედო გეგმა. თვითშეფასება გვადლევს საქმიანობის წინასწარ განჭვრეტის უნარს, რომელიც საკმაოდ მაღალი დონის უნარია და პიროვნებისაგან აბსტრაქტულ აზროვნებას მოითხოვს. ამ სიტუაციაში ადამიანი საკუთარ მდგომარეობას მთლიანობაში, მეორე პირის თვალთა ანალიზებს. პიროვნული რესურსების, ძლიერი და სუსტი მხარეების განჭვრეტა საშუალებას აძლევს საქმიანობის პროცესი დასაწყისიდან ბოლომდე დაინახოს და სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს, რადგან ცხოვრებაში მოვლენების შეფასება და მათზე სწრაფად რეაგირება მოუწევს. ობიექტური თვითშეფასება პიროვნებას ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების ეფექტურად გადანიშნულებასა და გაუთვალისწინებელი ფაქტორების წინასწარ განჭვრეტაში. რამდენადაც ზუსტად იქნება პიროვნული შესაძლებლობები გამოყენებული, მით მეტადაა შესაძლებელი რეალური მიზნების დასახვა, მათი განხორციელება და წარმატების მიღწევა.

თვითშეფასების ფორმირებაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი ახდენს გავლენას. ვ. სტეპანოვი და ასევე ი. ზაგაშვილი (პეტერბურგის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, სემინარის მასალები 2003 წელი) მიიჩნევენ, რომ პედაგოგებისა და მშობლების მიერ დადგენილი გარე სტანდარტები ნაკლებად ეფექტურია თვითშეფასების განვითარების თვალსაზრისით. გაცილებით მეტ გავლენას ახდენს გამოჩენილი ადამიანების ავტორიტეტი, მათთან უშუალო კონტაქტის გარეშეც კი ისინი მისაბამი მაგალითები ხდებიან მოსწავლეებისთვის. მეორე–კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს თვითშეფასების განვითარებაზე, თანატოლთა ჯგუფებიდან მიღებული უკუკავშირებია. სოციალურ ნორმებზე აპელირებით ან „მორალის კითხვით“,

ხშირ შემთხვევაში, როგორც ძირითადად სჩვევიათ მასწავლებლებს, თვითშეფასების განვითარებაზე ზეგავლენა შეუძლებელია. საკუთარი თავის მართვისა და სხვა სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება თანატოლთა ანალოგიური თვისებების ან საკუთარი იდეალის თვისებების შედარების საფუძველზე ყალიბდება. ამ დროს ეს შედარება იმართება თანატოლებისა ან შერჩეული იდეალის მიმსგავსების სურვილით, რასაც შედეგად მოჰყვება თვისებების იერარქიაში ცვლილება, რომელიც რეფერენტული ჯგუფის პორტრეტის მხარეს იხრება. თვითშეფასების სტრუქტურული აგებულება საკმაოდ რთულია და ორი ურთიერთგადაჯაჭვული კომპონენტი მონაწილეობს:

- კოგნიტური – შეიცავს ადამიანის პიროვნული ცოდნის ნაწილს;
- აფექტური, რომელშიც ფიქსირებულია ადამიანის განცდა იმის შესახებ, თუ რას გაიგებს საკუთარი თავის შესახებ.

ამ ორი კომპონენტის განვითარება თავის სპეციფიკას მოიცავს.

თვითშეფასება ფორმის მიხედვით არის კერძო/პირადი მასში ასახულია შეფასების კონკრეტული ფიზიკური და ფსიქიკური თვისებები და საერთო, რომელიც შეიცავს იერარქიულად დალაგებული თვითშეფასების სისტემას, რომლებიც მუდმივ ურთიერთგავლენას ახდენს ერთმანეთზე. აღნიშნული ფორმები განსხვავდება მნიშვნელობის ხარისხით, განზოგადოებისა და დამოუკიდებლობის დონით.

თვითშეფასება შეიძლება იყოს პიროვნული და ჯგუფური (საერთო), ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური თვითშეფასება რეალურად ასახავს არსებულ რეალობას, ხოლო სუბიექტური შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი. მას იწვევს ის სოციუმი, რომელშიც მოზარდი ცხოვრობს და იზრდება, ოჯახი, ბაღი, ეზო, სკოლა და სხვა. ობიექტური შეფასების დროს პიროვნება გამოკვეთს საკუთარ ძლიერსა და სუსტ მხარეებს, აანალიზებს შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, სხვადასხვა სიტუაციას, იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელშიც მიღწეული შედეგი იქნებოდა ეფექტიანი (არა ძალით, არამედ გონებით). როდესაც ოჯახში მოზარდის შესაძლებლობების მიმართ აქვთ გადაჭარბებული შეხედულება ე.ი. მისი ნებისმიერი ქმედება მაღალი ხარისხით ფასდება, მოზარდს უყალიბდება არაადეკვატური შეხედულებები საკუთარი „ძლიერი“ და

„სუსტი“ თვისებების შესახებ. უჩნდება „უძლეველობის“ და „სრულყოფილების“ განცდა, რაც არაობიექტური თვითშეფასების უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს.

დაბალი თვითშეფასება შესაძლოა ორი მიზეზით იყოს გამოწვეული: 1) ბავშვს ოჯახის წევრებისგან მუდმივად ესმის ნებისმიერ ქმედებაზე უარყოფითი შეფასება. 2) ის ადარებს თავის სუსტ მხარეებს/მახასიათებლებს სხვათა იმავე სახის ძლიერ თვისებებს. ამ შემთხვევაში ადამიანი ითავისებს შეფასების შედარებას (განსჯას) სხვა პიროვნების თვისებების მაგალითზე და მას აღიქვამს, როგორც ობიექტურს. მუშაობს ხედვა: „მე ყველაფერს ცუდად ვაკეთებ“, რომელიც მოზარდს ხელს უშლის საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებაში, მაგრამ გაცილებით უფრო ცუდ შედეგებს იძლევა მოსწავლის ასეთი ხედვა „მე ყველაფერი კარგად გამომდის“. ასეთი ადამიანები, გარდა იმისა, რომ რეალიზებას ვერ ახერხებენ, პირველივე უარყოფითი შეფასების დროს იკეტებიან საკუთარ თავში და დეპრესიაში ვარდებიან, ეს კი უარყოფითად აისახება მათზე, აქვეითებს მათ მოტივაციას და ემოციურ-ნებელობით სფეროს, ამასთანავე ხელს უშლის პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას. ნათლად ჩანს, რომ ობიექტური თვითშეფასების ჩამოყალიბება პიროვნების თვითრეალიზების მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომლის განვითარებაც სასწავლო პროცესის ფუნდამენტალური ამოცანაა.

თითოეული პიროვნება ინდივიდია, ამიტომ თვითშეფასების უნარის განვითარება მოსწავლეებში სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. მისი განვითარება საკმაოდ ძნელია, ის ხანგრძლივსა და შეუპოვარ მუშაობას მოითხოვს. თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბება დამოკიდებულია მხოლოდ პიროვნულ გამოცდილებაზე. ის განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისათვის მიმდინარეობს ძნელად, რომლებიც ადრე ამ პროცესში (სახლში, სკოლაში) არ ყოფილან ჩართულნი.

მასწავლებელმა კითხვის დახმარებით შეიძლება განსაზღვროს მოსწავლეთა თვითშეფასების გამოცდილება და მისდამი დამოკიდებულება. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თანატოლების შეფასებას რესპონდენტები (კვლევაში მონაწილეობდა VIII-XII კლასების 150 მოსწავლე) მტკივნეულად არ აღიქვამენ.

მაგალითად, შეკითხვაზე: „როგორ მოგწონთ თქვენი ნამუშევარი?“ ისინი პასუხობენ „არ მსიამოვნებს საკუთარი თავის შეფასება“, „რთულია“, ხოლო კითხვაზე: „რა განცდები ახლავს მეგობრების მხრიდან საქმიანობის პროცესში თქვენს შეფასებას?“ აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს შეფასება აღიქმება ყველაზე უმტკივნეულოდ და გაცილებით მეტ გავლენას ახდენს მათი შემდეგი საქმიანობის დაგეგმვაზე. მაგალითად: „ვეთანხმები შენიშვნებს“, „საწყენად არ მიმიღია, ყველაფერი ჩავიწერე, მომავალში გავითვალისწინებ“, „ვიგებ ჩემს შეცდომებს“, „ეს ძალიან კარგია“, „შესანიშნავია, გაიგებ რას ფიქრობენ სხვები შენზე“ და ა. შ.

აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესში თვითშეფასების განვითარება აუცილებლად უნდა დაგვეგმოდეს და თანმიმდებრულად დავწეროთ. მისი განვითარებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ეტაპები;

- მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა შეიმუშაოს თვითშეფასებისთვის ნათელი კრიტერიუმები;
- შექმნას აუცილებელი ფსიქოლოგიური გარემო მოსწავლეთა ნაშრომების თვითანალიზისათვის;
- შექმნას ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებისათვის წინასწარაა ცნობილი შეფასების კრიტერიუმები, ეტალონები, რომლის დახმარებითაც მათ დამოუკიდებლად შეეძლებათ საკუთარი შედეგების შეფასება.

ექსპერიმენტის პერიოდში ვიყენებდით როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ თვითშეფასებას. იგი რიცხვით მნიშვნელობაში არ გადაგვიყვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპერიმენტის შედეგად მთავარი იყო წარმატებისა და წარუმატებლობის გამოვლენა, რომლის საფუძველზე მოსწავლე საკუთარი საქმიანობის ეფექტურობის შესახებ აუცილებელ დასკვნებს აკეთებდა. პედაგოგები ეყრდნობიან მოსწავლეთა დამოუკიდებელ თვითანალიზს (მოსწავლეთა საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეების, აგრეთვე განვითარების სამოქმედო გეგმების) და გაწონასწორებული (პოზიტიური, არა შეურაცხმყოფელი) დასკვნის გამოტანით საბოლოო შეფასებას აძლევდნენ მათ. ასეთი მიდგომა მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. პედაგოგის მხრიდან



შეფასებებში უნდა ჩანდეს მოზარდის შესაძლებლობების რწმენა, მოლოდინები, მისი დახმარებისა და თანადგომის სურვილი. მოსწავლეთა აზრები საკუთარი მუშაობის შესახებ შეფასებისა და წინსვლისათვის გადამწყვეტია. ასეთი თვითშეფასება ღირებულია. მასწავლებელი ხედავს მოსწავლის პიროვნულ თვისებებს.

სხვადასხვა ლიტერატურისა და მოსწავლეთა თვითშეფასების შედეგების დამუშავებისა და გაანალიზების შედეგად ჩვენ დავადგინეთ, რომ თვითშეფასება:

1. წახალისებს მოსწავლეებს, ნათლად გამოთქვან თავიანთი აზრები საკლასო კრიტერიუმებზე. თუ ისინი ვალდებულნი იქნებიან აქტიურად შეაფასონ თავისი და თანაკლასელების ნამუშევრები, მაშინ უფრო ღრმად ჩაწვდებიან საკლასო ოთახის სტანდარტებს;
2. მოსწავლეებს აძლევს თვითგამორკვევის საშუალებას და ამავე დროს მათი ქცევის მთავარი რეგულატორია;
3. განსაზღვრავს პიროვნების პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებას გარემომცველებთან, ხოლო კრიტიკულობას საკუთარი თავისადმი, ასევე პიროვნების დამოკიდებულებას წარმატებასა და წარუმატებლობის მიმართ;
4. გავლენას ახდენს მოსწავლის საქმიანობის ეფექტურობასა და პიროვნულ განვითარებაზე;
5. საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ეფექტურად გაანაწილოს საკუთარი შესაძლებლობები;
6. ხელს უწყობს პედაგოგისა და მოსწავლის თანამშრომლობას, ეხმარება გააზრებულ სწავლასა და სწავლებას.

თვითშეფასების პროცესში მოსწავლეთა დროული ჩართვით ისინი ივითარებენ უნარს, რომელიც მათ ეხმარება, წარუმატებლობის მიზეზები მოძებნონ საკუთარ თავში და არა ცუდად მიწოდებულ მასალაში. სასწავლო პროცესში მთავარი რგოლი თავად მოსწავლე ხდება, იგი იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ განვითარებაზე ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინაში. მასწავლებელი კონსულტანტისა და მრჩეველის როლშია. მას თავისი კონსულტაციებითა და რეკომენდაციებით მიჰყავს მოსწავლეები შინაგანი პოტენციალის გააქტიურებამდე და ამით გადაჰყავს ისინი ინდივიდუალური

გეგმების დამოუკიდებლად შედგენის ეტაპზე. ისინი ისახავენ მიზნებს და შემდეგ მუშაობენ მათ შესრულებაზე. მოსწავლეები ეცნობიან როგორც გაკეთებულ ჩანაწერებს, ასევე იმასაც, თუ რა მიმართულებით გაუმჯობესდა მათი საქმიანობები. ეს მათ ეხმარება, თვალი ადევნონ თავიანთ პროგრესს, ნათლად დაინახონ, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს საკლასო საქმიანობები და გამოცდილებები. მუდმივად აწარმოონ საკუთარი საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება. ამის დახმარებით ბევრად უფრო ნათელი ხდება მოსწავლეებისათვის ფაქტი, რომ სწავლა უწყვეტი პროცესია, რომელიც ემსახურება ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას.

**ჯგუფური თვითშეფასება**

მოსწავლეებს ეძლევათ ასეთი ინსტრუქცია: თვითშეფასების ფურცელი შეავსეთ ინდივიდუალურად. თქვენი ჯგუფის მიერ შესრულებული საქმიანობა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით გამოსახეთ ქულებით.

(ციფრთა ოპერაციულობა: 1- ცუდად; 2- არც თუ ისე კარგად; 3- კარგად; 4- ძალიან კარგად)

ცხრილი №9 ჯგუფური თვითშეფასების ფურცელი

კრიტერიუმი	1	2	3	4
ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად ვიყავით ჩართული საქმიანობაში				
ვეხმარებოდით ერთმანეთს გაურკვეველი საკითხების გაგებაში				
დამოუკიდებლად გადავანაწილეთ სამუშაო				
დავიცავით დროის ლიმიტი				
ძირითადი დრო დავუთმეთ მხოლოდ მოცემულ დავალებას				
შესასწავლი საკითხი ყველამ ავითვისეთ				
ჩვენ მიერ გაკეთდა პრეზენტაცია/შეჯამება				

ცხრილი №10 ინდივიდუალური თვითშეფასების ფურცელი

კრიტერიუმი	1	2	3
რიცხვები და მოქმედებები	მიჭირს არითმეტიკული მოქმედებების შესრულება და ზეპირად ანგარიში (მიმატება, გამოკლება)	ხშირად სწორად ვასრულებ არითმეტიკულ მოქმედებებს ზეპირად, (მიმატება, გამოკლება)	ყოველთვის სწორად ვასრულებ არითმეტიკულ მოქმედებებს ზეპირად, (მიმატება, გამოკლება)
	მიჭირს რიცხვებს და რიცხვით სახელებს	ხშირად ვაკავშირებ რიცხვებს და რიცხვით	ყოველთვის ვაკავშირებ რიცხვებს და რიცხვით

	შორის დამოკიდებულებების დაკავშირება და მათზე მსჯელობა	სახელებს შორის დამოკიდებულებებს და მათზე ვმსჯელობ	სახელებს შორის დამოკიდებულებებს და მათზე ვმსჯელობ
გეომეტრია და სივრცითი აღქმა	მიჭირს ფიგურების აღწერა, შედარება, მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა და კატეგორიზება	ხშირად აღვწერ ფიგურებს, ვადარებ, ვმსჯელობ მსგავსება-განსხვავებებზე (ზომებზე, ფორმებზე და ა. შ.) და კატეგორიზებას ვუკეთებ მათ	ყოველთვის აღვწერ ფიგურებს, ვადარებ, ვმსჯელობ მსგავსება-განსხვავებებზე (ზომებზე, ფორმებზე და ა. შ.) და კატეგორიზებას ვუკეთებ მათ
	მიჭირს გეომეტრიული ფიგურების აგება და მათგან მოდელების შექმნა	ხშირად ვაგებ გეომეტრიულ ფიგურებს და მათგან ვქმნი მოდელებს	ყოველთვის ვაგებ გეომეტრიულ ფიგურებს და მათგან ვქმნი მოდელებს
მსჯელობა	ვიცი ზოგიერთი არითმეტიკული წესი, ტერმინი და კანონი, მაგრამ მიჭირს მათი ადეკვატურად გამოყენება მსჯელობის დროს	ვიცი არითმეტიკული წესები, ტერმინები, კანონები და ხშირად ადეკვატურად ვიყენებ მათ მსჯელობის დროს	ყოველთვის ვიცი არითმეტიკული წესები, ტერმინები, კანონები და ადეკვატურად ვიყენებ მათ მსჯელობის დროს
	მიჭირს გამართულად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად საუბარი	ხშირად ვსაუბრობ გამართულად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად	ყოველთვის ვსაუბრობ გამართულად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად

### 2.3 მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების დაგეგმვა

შეფასება, როგორც უკვე შესავალში აღვნიშნეთ, მოიცავს შემდეგ ზოგად პედაგოგიურ მიზნებს: შემეცნებითი (კოგნიტური), აფექტური (ემოციურ-ღირებულებითი), ფსიქომოტორული. დღეისათვის საქართველოს სკოლებში, მიუხედავად განათლების პოლიტიკის ცვლილებისა, მაინც დიდი ყურადღება ექცევა მხოლოდ კოგნიტური სფეროს შეფასებას და ჩრდილში რჩება აფექტური და ფსიქომოტორული სფეროები. მეორე უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორცაა შეფასების დაგეგმვა, სპონტანურად და არამიზანმიმართულად მიმდინარეობს. იმისათვის, რომ დავგეგმოთ მოსწავლის განვითარება და მივაღწიოთ დასახულ მიზანს, აუცილებელია არამართო თემატური გეგმის შედგენა, არამედ განმავითარებელი შეფასების დაგეგმვაც.

თემატური დაგეგმვა კავშირს ამყარებს საგნის ცოდნასა და უნარ-ჩვევების პრაქტიკულ გამოყენებას შორის. ასეთი სახის გეგმები საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ბევრად უფრო ფართოდ წარმოაჩინოს მოსწავლის

შესაძლებლობები, თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად განავითაროს მისი უნარები. ამის პარალელურად საჭირო ხდება შეფასების დაგეგმვაც, რადგან თემატური სასწავლო გეგმის შემუშავება მასწავლებლისაგან მოითხოვს:


- მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას;
- თემების ლოგიკურად დაჯგუფებას, მიზნების შესაბამისი შეფასების კომპონენტების შერჩევას;
- საკითხების დაგეგმვისას მარტივიდან—რთულისაკენ თანმიმდევრობის დაცვას; ეს ეხება როგორც თემებს, ასევე მიზნებსა და შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს და მიზნად დაისახოს გლობალური და მნიშვნელოვანი უნარების განვითარება.
- თემატიკის მიზნებისა და შეფასების კომპონენტების შესაბამისად შერჩევა, რაც დაეხმარება მოსწავლეებს სტანდარტით განსაზღვრული უნარების განვითარებაში;
- სტანდარტით განსაზღვრული უნარების განვითარებაზე მიმართული საქმიანობების, მიზნების და შეფასების დროში გაწერას;
- გეგმის შემუშავებისას კლასის თავისებურების გათვალისწინებას;
- შეფასების შედეგების დამუშავებას და მონიტორინგს სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის;

გთავაზობთ წმიდა გიორგის სახელობის სკოლაში ჩვენ მიერ შემუშავებული შეფასების დაგეგმვის პროცესს, რომელშიც თითოეული ნაბიჯი დეტალურად იქნება აღწერილი.

#### **მასწავლებელი დაგეგმვას ყოველთვის იწყებს შეკითხვებით:**

- რა მიმართულებით მიმყავს ჩემი მოსწავლეები? რა შედეგზე უნდა გავიდე?
- როგორ და რა ქმედებებს ვახორციელებ იმისათვის, რომ მიზანს მივაღწიო?
- როგორ განვსაზღვრო, რომ შედეგს მივაღწიე? რა იქნება შეფასების ინდიკატორები? (იხ. სქემა 6)

წარმატებული პედაგოგი კარგად იაზრებს ამ შეკითხვებს, ცდილობს კონკრეტული პასუხების გაცემასა და პრობლემების გადაჭრის ალტერნატიურ გზებზე ფიქრობს, მუდმივად აკეთებს ჩანაწერს, თვითშეფასების თუ კოლეგების, მშობლებისა და მოსწავლეების დასახმარებლად.



დაგეგმვის პროცესი შემდეგ თანმიმდევრულ საფეხურებს მოიცავს:

1. მასწავლებლის მიერ განსახილველი თემების შერჩევა;
2. კლასის საჭიროების დადგენა;
3. საჭიროებიდან გამომდინარე მიზნის, შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა;
4. ქმედებებისა და ღონისძიებების განსაზღვრა, რომლის საშუალებითაც მიზნის მიღწევა იქნება შესაძლებელი (როგორ?)
5. რესურსების: საჭირო დამხმარე მასალების, თვალსაჩინოებების, აღჭურვილობის განსაზღვრა და მათი გამოყენების გრაფიკის შედგენა (რა საშუალებებით? რა დროში?)
6. შედეგების შეჯამება/შეფასება და გადაწყვეტილების (სასწავლო პროცესში, პროგრამებში, გეგმებში და სხვა ცვლილებების) მიღება;

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

#### I. მასწავლებლის მიერ განსახილველი თემების შერჩევა

- მასწავლებელი მოსწავლეთა ინტერესის წარმოჩენის მიზნით სთავაზობს მათ შესასწავლ საკითხებს (სახელმძღვანელო, ან მის მიერ მოძიებული ტექსტები), განსავითარებელ უნარებს (სტანდარტი) და რამდენიმე შესაძლო თემას განსახილველად.

- კლასისთვის თემების წარდგენამდე წინასწარ ადგენს, რა წყაროები და ინფორმაცია არსებობს ამ თემის შესახებ, რადგან ინფორმაციის ნაკლებობა საკითხის ირგვლივ მოსწავლეთა მოტივაციას ამცირებს;
- ადგენს იმ დავალებების ნუსხას, რომელთა საფუძველზეც მოხდება მოსწავლეთა შეფასება.

## II. პრობლემის დასმა

### შესასწავლი საკითხის ირგვლივ მოსწავლეთა ინტერესების განსაზღვრა

- მასწავლებელი შერჩეულ თემებს წარუდგენს მოსწავლეებს და ადგენს, რა იციან ამ საკითხის ირგვლივ მათ და რა სახის ახალი ცოდნის შეძენა სურთ. დაკვირვებისათვის შესაძლოა გამოიყენოს ცხრილები, დისკუსია ან კითხვარი. სანიმუშოდ გთავაზობთ ცხრილს (იხ. ცხრილი №11), რომლის პირველ სვეტს „შესასწავლი თემა“ ავსებს მასწავლებელი, ხოლო მეორესა და მესამეს - მოსწავლე.

ცხრილი №11

№	შესასწავლი თემა	ინფორმაცია, რომელსაც ვფლობთ	რისი გაგება გსურთ
1	ჰაერის შედგენილობა	მოსწავლის სავარაუდო პასუხები: „ვიცი ჰაერის შედგენილობა: ჟანგბადი, ნახშირორჟანგი, აზოტი“	ვინ აღმოაჩინა და როგორ

**შენიშვნა:** თუ კლასის უმრავლესობამ იცის ჰაერის შედგენილობა, მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს სწორედ იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენს შემთხვევაში მესამე სვეტშია მოცემული (რისი გაგება მსურს). აღნიშნული კვლევა მასწავლებელმა შესაძლოა ყოველი შესასწავლი თემის წინ ჩაატაროს.

- მასწავლებელი ადგენს შესასწავლი თემატიკისა და დამხმარე წყაროების ნუსხას (გაზეთები, წიგნები, ინტერნეტი, სხვა საგნის მასწავლებლებთან, მშობლებთან და ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუები);
- მასწავლებელი ირჩევს მოსწავლისთვის საინტერესო დავალებებს: ექსპერიმენტის ჩატარება, პრეზენტაციის წარდგენა (პლაკატები, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით შექმნილი კომპიუტერული პროგრამები, მინი ფილმის გადაღება და სხვა.)

## მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა

პედაგოგი იწყებს კლასში არსებული სიტუაციის გაანალიზებას, ე.ი. წინასწარ ადგენს საჭიროებებს, რომლებიც მოსწავლეებში ამა თუ იმ უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

პრობლემის განსაზღვრისათვის მასწავლებელი გულდასმით სწავლობს მოსწავლეთა წინა წლის შედეგებს, განიხილავს მათ „საქადაღდეებში“ არსებულ მასალებს (გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეთა უკუკავშირი, თავისუფალი წერები, დღის შეფასებები, ჯგუფური თუ ინდივიდუალური მონიტორინგი, თვითშეფასების ფურცლები და სხვა) და კოლეგის წლიურ ანგარიშს. ზემოთ ჩამოთვლილი მასალების საფუძველზე შედეგების განხილვა და კვლევა-ძიება კლასის სიტუაციის გაანალიზების საუკეთესო საშუალებაა. დაგეგმვისადმი ასეთი მიდგომა მასწავლებელს ეხმარება, სწორად განსაზღვროს გაკვეთილის მიზნები და შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები, ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს სპონტანურად არ წარმართოს კლასში საქმიანობა, არამედ სასწავლო პროცესი რეალურად არსებული პრობლემის გადაჭრისაკენ მიმართოს. მაგალითად, თუ VIIა (18 მოსწავლე) კლასში კვლევის გზით (ტესტირებისა და მშობელთან მიმოწერის დღიურების შედეგების გაანალიზებით და დაკვირვების მეთოდით) გამოიკვეთა პრობლემა – მოსწავლეები ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად აზრის ჩამოყალიბებას, ხოლო VIIბ კლასში – მოსწავლეები საკუთარ ნააზრევებს წერილობით ვერ გადმოსცემენ, ამ შედეგების გათვალისწინებით აუცილებელია ორივე კლასისათვის ორი სრულიად განსხვავებული პროგრამა და სამოქმედო გეგმა შემუშავდეს სწავლების ეფექტურობისა და მიზნობრიობისათვის. სწავლება/სწავლა ინდივიდუალური პროცესია და სასწავლო მიზნების ზოგადად განსაზღვრა საკმარისი არ არის.

მაშასადამე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევის დროს, იმისათვის, რომ შეფასება გახდეს ინდივიდუალური და მოსწავლეზე ორიენტირებული საჭიროა, პასუხი გავცეთ შემდეგ შეკითხვებს:

- როგორ უკავშირდება შესასწავლი თემები მოსწავლეების მიერ აქამდე ნასწავლს? რამდენად არის შესაძლებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტრანსფერი?

- რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეებში სტანდარტით განსაზღვრული უნარების განვითარებას შემუშავებული გეგმა და შეფასების კრიტერიუმები;
- შეფასების ინსტრუმენტები რამდენად იძლევა მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების საშუალებას;

### III საჭიროებიდან გამომდინარე მიზნის განსაზღვრა

მას შემდეგ, რაც საჭიროება და კლასის მოსწავლეთა რეალური კომპეტენცია (არსებული მდგომარეობა) დადგენილია, აუცილებელია მიზნების განსაზღვრა (რისი მიღწევაც გვსურს). ამ ეტაპზე მასწავლებლისათვის ათვლის წერტილს კლასში არსებული ცოდნა და მოსწავლეთა უნარები წარმოადგენს. სასწავლო პროცესი მოიცავს რამდენიმე ტიპის მიზანს:

- გრძელვადიანი, რომელიც ერთი ან რამდენიმე თემის განმავლობაში მიიღწევა;
- მოკლევადიანი, რომლის მიღწევაც ერთ კონკრეტულ გაკვეთილზეა შესაძლებელი.

**გაკვეთილის მიზანი** – ეს არის დადებით კონტექსტში ფორმულირებული კლასში არსებული პრობლემა, მიზანმიმართული ვექტორი, ორიენტირი, რისკენაც სასწავლო პროცესს მივმართავთ. იგი უნდა იყოს კონკრეტული და მიღწევადი. მიზნების წერის დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- ზმნა უნდა გამოხატავდეს ქმედებას მომავალ დროში (მაგ.: მოსწავლეებმა **გაიაზრონ** 9-ზე და 3-ზე გაყოფადობის ნიშნები და **შეადარონ** 10-ზე, 5-ზე და 2-ზე გაყოფადობის ნიშნებს, **იმსჯელონ** მსგავსება-განსხვავებებზე);
- არ უნდა აღწეროს მოსწავლეთა არსებული მდგომარეობა და საშუალებები, რომელთა მიხედვითაც მიზანი მიიღწევა (მაგ.: ბავშვებს უკვე ნასწავლი აქვთ 10-ზე, 5-ზე, 2-ზე გაყოფადობის ნიშნები და უნდა ვასწავლო 9-ზე გაყოფადობის ნიშნები ვენის დიაგრამის გამოყენებით. შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილ მაგალითში ჩანს, რომ ბავშვებს უკვე ნასწავლი აქვთ 10-ზე, 5-ზე და 2-ზე გაყოფადობის ნიშნები, რადგან მასწავლებელი მიზანში მიუთითებს - „შეადარონ 10-ზე, 5-ზე და 2-ზე გაყოფადობის ნიშნებს, იმსჯელონ მსგავსება-განსხვავებებზე“. ხოლო, რა მეთოდის (საშუალებით) გამოყენებით ახერხებს მასწავლებელი ამ მიზნის მიღწევას, მიზანში არა აქვს წარმოდგენილი, რადგან



კლასისა და მოსწავლეთა თავისებურებებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძლოა, სტრატეგიები შეცვალოს.

- მიზანი უნდა იძლეოდეს შედეგების დათვლისა და შეფასების საშუალებას (ინდიკატორის განსაზღვრისათვის მასწავლებელმა უნდა დასვას შემდეგი შეკითხვები: როგორ დავადგინო, რომ მოსწავლეებმა გაიაზრეს 9-ზე და 3-ზე გაყოფადობის ნიშნები? ზემოთ მოყვანილ მიზანში ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს: „შეადარონ უკვე შესწავლილ მასალას და იმსჯელონ მსგავსება-განსხვავებებზე“ თუ გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა შეძლო შედარება და მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა, ინდიკატორის მიხედვით მიზანი მიღწეულია;

(მაგალითად, 3-ზე და 9-ზე გაყოფადობის ნიშნების შესწავლა).

**თემატური მიზნები** გრძელვადიანია და ორიენტირებულია იმ უნარების განვითარებაზე, რომელთა მიღწევაც ერთ და ორ გაკვეთილზე წარმოუდგენელია. აღნიშნული მიზნის მიღწევას შესაძლოა, რამდენიმე თვეც დაეთმოს (მაგალითად, შედარების და მსჯელობის უნარი). აქედან გამომდინარე, თემატური ერთეულებისათვის აუცილებელია ცალკეული მიზნების შემუშავება, რადგან ერთი თემის შესწავლას ზოგჯერ 9-10 გაკვეთილიც კი ეთმობა.

თემატური მიზნების განსაზღვრისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს:

- მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები;
- საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესები (რატომ მინდა ვასწავლო ეს საკითხი?);
- ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები (რას უნდა მივაღწიოთ?)

#### **IV მიზნის მისაღწევად ქმედებებისა და ღონისძიებების განსაზღვრა**

მიზნის მისაღწევად საჭიროა წლის სამოქმედო გეგმის შედგენა, რომელშიც განსაზღვრულია: წლის მიზნები, თემატური ერთეულები და მათში შემავალი საკითხები, გამოსაყენებელი მეთოდები/სტრატეგიები;

მასწავლებელმა თითოეული თემატური ერთეულისათვის წინასწარ უნდა განსაზღვროს ღონისძიებათა მთელი ციკლი სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით. გამოყენებული სტრატეგიები მასწავლებელს მიზნის მიღწევის

საშუალებას უნდა აძლევდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, სწავლება/სწავლის პროცესი ეფექტურად ჩაითვალოს.

დაგეგმვის ამ ეტაპზე ძირითადად ისმის კითხვები:

- რომელი მეთოდების გამოყენებით მოახერხებენ მოსწავლეები არსში უკეთ წვდომას?
- რომელ სტრატეგიებს, ხერხებს და საშუალებებს გამოვიყენებ მიზნის მისაღწევად?
- რამდენად თანმიმდევრული და ლოგიკურია შემუშავებული პროგრამა?
- რამდენად შეესაბამება შეფასების ინსტრუმენტებს შერჩეული მეთოდები და სტრატეგიები?

#### **V რესურსების, საჭირო დამხმარე მასალების და თვალსაჩინოებების განსაზღვრა**

გამოცდილი მასწავლებლისთვისაც კი დროის მართვა საკმაოდ რთულია. თემატური ერთეულებისათვის განკუთვნილი დრო ზუსტად უნდა განისაზღვროს. წინასწარ უნდა დაიგეგმოს, დროის რა მონაკვეთი დაეთმობა თითოეული თემის შესწავლას. ამ ეტაპზე აუცილებელია, მასწავლებელმა წინა წლების გამოცდილება გაითვალისწინოს და რთული საკითხებისათვის სარეზერვო დრო გამოყოს (მაგალითად, მასწავლებელმა დაადგინა, რომ წინა სასწავლო წელს მოსწავლეებს შუშანიკის წამების ტექსტის დამუშავება უფრო გაუჭირდათ, ვიდრე გრიგოლ ხანძთელის, რადგან პირველი ნაწარმოები მათთვის უფრო რთულ ენაზეა დაწერილი და უამრავ უცხო სიტყვას შეიცავს. რის გამოც, ტექსტის სრულყოფილად დამუშავებისათვის გეგმით გათვალისწინებული საათები საკმარისი არ აღმოჩნდა. მეორე ნაწარმოები კი, მოსწავლეებისათვის შედარებით მარტივი ენით არის გადმოცემული და მისი დამუშავება უფრო მოკლე დროში მოხერხდა. ამ დაკვირვების შედეგად, მასწავლებელს შეუძლია, გრიგოლ ხანძთელის შესწავლას რამდენიმე საათი მოაკლოს და შუშანიკის წამების სრულყოფილად დამუშავებისათვის სარეზერვოდ გამოყოს). მას შემდეგ, რაც თემების დამუშავებისათვის დრო განსაზღვრულია, მასწავლებელმა უნდა ჩამოწეროს ის ძირითადი სამუშაო მასალები და

თვალსაჩინოებები, რომლებიც თავად გააჩნია, ან მოსწავლეებმა უნდა შექმნან.

ამ დროს მასწავლებელი საკუთარ თავს შემდეგ კითხვებს უსვამს:

- რა თვალსაჩინო მასალა უნდა გამოვიყენო თითოეული თემის სწავლებისას?

- მჭირდება თუ არა სპეციალური ტექსტები ან სხვა სახის მასალა? (ამ დროს მასწავლებელი ითვალისწინებს დამატებითი მასალის ნუსხას, ინდივიდუალურ ბარათებს, რომელიც მოსწავლეებთან ერთად შეადგინა.)

## **VI შედეგების შეფასება**

მასწავლებელმა თემატურ გეგმაში შეფასების ის მეთოდები/საშუალებები უნდა გაითვალისწინოს, რომლებსაც თითოეული საკითხის შესწავლის შემდეგ გამოიყენებს (კომპონენტები და კრიტერიუმები, ტესტები, ინდივიდუალური შეფასების ბარათები). უნდა შეიმუშაოს მიზნის შესაბამისი შეფასებისა და თვითშეფასების სქემები. შეფასება მასწავლებელს სასწავლო პროცესისა და პროგრამის გაანალიზებასა და ახალი მიზნების დასახვაში ეხმარება. იგი საშუალებას აძლევს მასწავლებელსაც და მოსწავლესაც, გაწეული შრომის ნაყოფიერება შეაფასონ. შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების დადგენისას მასწავლებელმა შემდეგ შეკითხვებზე უნდა გასცეს პასუხები:

- როგორ შეფასდებიან მოსწავლეები (შეფასების პროცედურები)?
- მაძლევს თუ არა საშუალებას შერჩეული შეფასების კომპონენტი განვსაზღვრო, რამდენად მივაღწიე დასახულ მიზანს?
- როგორ შეძლებენ მოსწავლეები შექმნილი ცოდნისა და უნარების დემონსტრირებას?
- რა სტრატეგიებს გამოვიყენებ შეფასებისათვის?
- როგორ მივაწვდი შეფასების შედეგებს ყველა დაინტერესებულ პირს (მოსწავლე, კოლეგა, მშობელი, ადმინისტრაცია და სხვა)?

## **შეჯამება**

მასწავლებლის მიერ შექმნილი პროგრამა უნდა იყოს მოქნილი და ლავირების საშუალებას იძლეოდეს, რათა შუალედური შეფასებისას მიღებული შედეგების მიხედვით მასში ცვლილება-დამატებების შეტანა მოხერხდეს. თემატური ერთეულის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეთა ნაშრომებს ყურადღებით განიხილავს და გამოაქვს დასკვნები შემდეგ კითხვებზე მიღებული პასუხების საფუძველზე (უმჯობესია, თუ აღნიშნულ ინფორმაციას ანგარიშის სახით წარმოადგენს):

- რა იყო განხილულ საკითხებში მნიშვნელოვანი და ღირებული, რამაც მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე ზემოქმედება მოახდინა?
- რა საკითხებში იქნა შეტანილი ცვლილება-დამატებები?
- რამდენად სანდო და ვალიდურია შეფასება (მოჰყავს არგუმენტები)?
- რამდენად ეფექტანია (ნაკლები ძალისხმევით მაღალი შედეგი) პროგრამა?

წარმატებული პედაგოგები გაკვეთილებსა და თემატურ ერთეულებს ეფექტურად გეგმავენ, ხოლო ჩატარების შემდეგ კიდევ ერთხელ უბრუნდებიან გეგმას და მისი გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს განიხილავენ. მათ კარგად აქვთ გააზრებული, რომ მიზნის მისაღწევი სხვადასხვა გზა და ალტერნატივა არსებობს (კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე), რომ ყოველთვის შეიძლება ეფექტურად ჩატარებული გაკვეთილი კიდევ უფრო გაუმჯობესდეს. იმისათვის, რომ პედაგოგი პროფესიონალად ჩამოყალიბდეს, გაკვეთილის დაგეგმვის, განხორციელებისა და კლასის მართვის (ორგანიზების) უნარის გარდა პასუხისმგებლობა და შრომისმოყვარეობა უნდა გააჩნდეს, რადგან გაკვეთილის დაგეგმვა მასწავლებლისაგან ძალიან დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს.

ეფექტური სასწავლო გეგმის შემუშავება და მისი შემდგომი განვითარება პედაგოგისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი უნარებია. გაკვეთილის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სტრატეგიების, რესურსების, შეფასების მეთოდების, კომპონენტების სწორად განსაზღვრა დასახული მიზნის მისაღწევად.

პროფესორი ბობ კიზლიკი წერს: „პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტში საქმიანობისა და პრაქტიკანტებთან მუშაობის პერიოდში ათასობით გაკვეთილის გეგმა წამიკითხავს და შემიფასებია. დაკვირვების საფუძველზე ერთ საერთო დასკვნამდე მივედი - შემუშავებულ გეგმებში გამოტოვებულია ის მთავარი შეტყობინებები, რომლებიც სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობაზე მსჯელობის საშუალებას მოგვცემს“ (Six Common Mistakes in Writing Lesson Plans [www.adprima.com/mistakes.htm](http://www.adprima.com/mistakes.htm)). საკუთარ ნაშრომში მან ის ძირითადი ექვსი შეცდომა გამოყო, რომელებსაც პედაგოგები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უშვებენ. ესენია:

1. **გაკვეთილის მიზანი** – ბუნდოვანია, არ იძლევა შედეგების დათვლის საშუალებას. ასევე არ ჩანს მოსწავლეთა საქმიანობები და ის უნარები, რომელთა

ფორმირებასა და განვითარებაზე არის ორიენტირებული კონკრეტული გაკვეთილი. ბუნდოვან მიზნებს მცდარ შედეგებამდე მივყავართ.

**2. გაკვეთილის შეფასება** – არ არის დასახულ მიზნებთან შესაბამისობაში. არ აღწერს შეფასების პროცედურებს, მეთოდებს, ინსტრუმენტებს, იმ კომპონენტებსა და კრიტერიუმებს, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეთა მიღებული ცოდნისა და უნარების დემონსტრირება მოხდება.

**3. წინაპირობა** – გეგმაში არ არის განსაზღვრული მოსწავლეთა არსებული ცოდნა, უნარ-ჩვევა, ეს კი გაკვეთილის ეფექტურად წარმართვის ხელშემშლელი პირობაა, არაეფექტურ გეგმაში გადმოტანილია მხოლოდ სტანდარტის მოთხოვნები – რა უნდა იცოდეს ან უნდა შეეძლოს მოსწავლეს. ასეთი პრინციპით დაგეგმილ და ჩატარებულ გაკვეთილზე არ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა საჭიროებები. მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ახალი თემის შესწავლა ადრინდელ ცოდნაზეა

დამყარებული (მოსწავლეთა 70% უკეთ სწავლობს თუკი შესასწავლი თემის ირგვლივ ინფორმაციას უკვე ფლობს).

**4. მასალები/რესურსები** – მასალათა ნუსხა გაკვეთილის გეგმის მიხედვით განსახორციელებელ საქმიანობებთან თანხვედრაში არ მოდის. მასალები არ შეესაბამება მოსწავლეთა შესაძლებლობების დონეს და უხარისხია.

**5. გამოყენებული მეთოდები და მასწავლებლის ინსტრუქტაჟი** – ხშირად მასწავლებლის მიერ შერჩეული მეთოდები არაეფექტურია და მოსწავლეთა დონეს არ შეესაბამება (რთულად შესასრულებელია), ან მიზნის მიღწევის საშუალებას არ იძლევა. მეთოდის ეფექტურობა გულისხმობს ნაკლები ძალისხმევით მიზნის მიღწევას. ხშირად პედაგოგები გაკვეთილებს ბევრი მეთოდითა და სტრატეგიით ტვირთავენ. ასეთი მიდგომა არ არის გამართლებული, რადგან ამ შემთხვევაში ძირითადი დრო და აქცენტი მეთოდების დემონსტრირებაზეა გადატანილი და არა მოსალოდნელ შედეგებზე.

**6. მოსწავლეთა ქმედებები** – გაკვეთილის გეგმაში დეტალურად არ არის აღწერილი, რომელი მეთოდის გამოყენების დროს რა ქმედებებს ახორციელებენ მოსწავლეები. ხშირია შემთხვევა, როცა მოსწავლეთა აქტივობებს პირდაპირი წვლილი არ შეაქვს მიზნის მიღწევაში (მაგალითად: მოსწავლეები

ინდივიდუალურად კითხულობენ და ამუშავებენ ტექსტს. გაკვეთილის მიზანში კი მითითებულია: „მოსწავლეებში თანამშრომლობის უნარის განვითარება“. ზოგ შემთხვევაში კი დაგეგმილი ნაბიჯები არათანმიმდევრულია.

ამრიგად, მოსწავლეთა შეფასების სწორად შერჩეული სრტატეგიების, მეთოდების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების მიზანმიმართული დაგეგმვა და გამოყენება (მშობელთან მიმოწერის ელექტრონული დღიურები, ელექტრონული საქალაქდები და სხვა) ზრდის შეფასების გამჭვირვალობას, ობიექტურობას, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. ეხმარება მასწავლებელს, სწრაფად განსაზღვროს მოსწავლის არსებული დონე, აღმოაჩინოს მისი სუსტი მხარეები და მიიღოს სწრაფი გადაწყვეტილებები სწავლება-სწავლაში ჩავარდნების გამოსასწორებლად.

ქვემოთ გთავაზობთ შეფასების ჩვენეული დაგეგმვის რამდენიმე ვარიანტს (იხ. ცხრილი №13, I და II ვარიანტი დანართი 2-ში). აქ შეფასება დაგეგმილი გვაქვს კვირის მანძილზე. საიდანაც ნათლად ჩანს, როგორ ახდენს მასწავლებელი ნაბიჯ-ნაბიჯ ე.ს.გ-ისა და თემატური გეგმის მიხედვით მიზნის მიღწევას.

ცხრილი №12 ესგ-ს მიხედვით შედგენილი VI კლასის მათემატიკის თემატური გეგმის ნიმუში

თემატური ერთეული	თემატიკა	თემატური ერთეულის მიზანი	მეთოდები/ სტრატეგიები	საათების რაოდენობა	სასწავლო რესურსები	შეფასების კომპონენტები
წილადი. მოქმედებები წილადებზე	1. წილადის შეკვეცა 2. წილადის ჩაწერა ათწილადის სახით 3. წილადების და შერეული რიცხვების შედარება 4. წილადების შეკრება და გამოკლება 5. წილადების გამრავლება 6. რიცხვის ნაწილის შეფასება 7. წილადების გაყოფა	წილადის ცნების გააზრება და გაფართოება წილადის თვისებების გამოყენება მარტივი გამოთვლების შესრულებისას. წილადის შეფასების, შედარების და დალაგების უნარის განვითარება წილადის ძირითადი თვისების გამოყენების უნარის გამომუშავება რიცხვებზე ოთხივე მოქმედების შესრულების დროს.	პაუზებით კითხვა. წყვილებში მუშაობა. სქოლიო. ვარაუდების სქემის გამოყენება ტექსტზე მუშაობა „მარკირება“ „პაუზებით კითხვა“ დასათაურება ვარაუდის გამოთქმა „შეფასება“	11 სთ 6 XI – 21 XI	სახელმძღვანელო VI კლასი ვებვებზე, გოგიშვილი; ნურკი, ტელგმა V კლასი გვ. 141–145; ვილენკინი V კლ. გვ. 225–254; ხუციშვილი VI კლ. სამუშაო რვეული; 15 წუთიანი წერის ბარათები.	მსჯელობის უნარი.  საშინაო და წერითი დავალებები.  ჩართულობა
ჯგუფური სამუშაო	საკომუნიკაციო უნარების განვითარება		2 სთ 14 XI		ჩართულობა. საპრეზენტაციო ნაშრომი	

## I კვირა

მიზანი: მოსწავლეებში სადისკუსიო და თვითშეფასების უნარ-ჩვევების განვითარება

90 წუთიანი ხანგრძლივობა

<u>ორშაბათი</u>	<u>სამშაბათი</u>	<u>ოთხშაბათი</u>	<u>ხუთშაბათი</u>	<u>პარასკევი</u>
<ul style="list-style-type: none"><li>• შეფასების კრიტერიუმების განხილვა</li><li>• თავების კითხვა პოემიდან „განდეგილი“</li><li>• „გამოხმაურება დღიურებში“</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• დისკუსია „ლიტერატურულ წრეში“ დღიურებში ჩანაწერების მიხედვით;</li><li>• საშინაო დავალება „დამოუკიდებელი კითხვა“</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• თავების კითხვა პოემიდან „განდეგილი“</li><li>• დამიტოვებელი სათქმელი</li><li>• საშინაო დავალება დამოუკიდებელი კითხვა</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• დისკუსია წიგნის კლუბში (4-5 კაცთან ჯგუფებში პრეზენტაციის მომზადება</li><li>• ჯგუფის თვალსაზრისის პრეზენტაცია;</li><li>• პრეზენტაციის გადაღება</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• მოკლე განხილვა წიგნის კლუბის დისკუსიის და თვითშეფასების დაწერა.</li><li>• დღიურში ერთი ჩანაწერის შერჩევა ინდივიდუალური თვითშეფასების დაწერა;</li><li>• გადაღებული რეზიუმეების პრეზენტაციის თვითშეფასება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით</li></ul>

## II კვირა

<u>ორშაბათი</u>	<u>სამშაბათი</u>	<u>ოთხშაბათი</u>	<u>ხუთშაბათი</u>	<u>პარასკევი</u>
<ul style="list-style-type: none"><li>• თავების კითხვა პოემა „განდეგილი“</li><li>• ორმხრივ ჩანაწერთა დღიური</li><li>• ინდივიდუალური ჩანაწერის პრეზენტაცია</li><li>• თვითშეფასება</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• „ლიტერატურული წრე „პოემა“ „განდეგილი“ შემდეგი თავების განხილვა;</li><li>• მოსწავლეთა არაფორმალური შეფასება</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• პოემა „განდეგილი“</li><li>• თავების წაკითხვა და გამოხმასუხება საჭურნალო სადისკუსიო კლუბებში (3 და 4 ჯგუფების ჩაწერა)</li><li>• შეხვედრა დამამთავრებელი თემის წილისათვის</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• მოკლე განხილვის ჩაწერა წიგნის კლუბის დისკუსიისა და თვითშეფასების ჩანაწერები</li><li>• მეწყვილის ჩანაწერის გასწორება, შეფასება და საკუთარ ნაწერთან შედარება</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• შემაჯამებელი დისკუსია „სიმპოზიუმი“</li><li>• შემაჯამებელი თვითშეფასება</li></ul>



#### 2.4. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების ძირითადი ფსიქოლოგიური ასპექტები

მართალია, ნაშრომში ცალკეულ საკითხთან (საკითხებთან) დაკავშირებით ფსიქოლოგიური მხარეცაა წარმოდგენილი, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ წინამდებარე პარაგრაფში სპეციალურად შევჩერდეთ გაკვეთილის სამფაზიანი მოდელისა და შეფასების ფსიქოლოგიურ ასპექტებზე: მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტების გასაანალიზებლად განვიხილოთ გაკვეთილის სამი ფაზა გამოჩენილი ფსიქოლოგების - დ. უზნაძის, ჟ. პიაჟესა და ა. მასლოუს მოსაზრებებზე დაყრდნობით.

დ. უზნაძის თეორიის ძირითად ცნებას განწყობა წარმოადგენს. ავტორმა თავისი თეორია შეიმუშავა ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემის ასახსნელად, რომლის მიხედვითაც, ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ქცევას განწყობა განსაზღვრავს. იგი ედება საფუძვლად ადამიანის ყოველგვარ აქტივობასაც. ამ აზრით, განწყობის თეორია ქცევის ზოგად თეორიას წარმოადგენს, რომელიც ყოველი კონკრეტული ქცევის მიზანშეწონილ ხასიათს თვით მის საფუძველში არსებული განწყობის ბუნებით ხსნის. განწყობის ბუნებას, მის გარკვეულობას კი ყოველთვის ორი ძირითადი ფაქტორის – მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის – ერთობლიობა ქმნის. მოთხოვნილება განწყობის შემუშავების სუბიექტური ფაქტორია, დაკმაყოფილების სიტუაცია კი – ობიექტური.

მოსწავლეს რომ სწავლის განწყობა შეექმნას (ეს იქნება სწავლის ე.წ. პერმანენტული განწყობა, მოცემული კონკრეტული მასალის ათვისების მიმართ თუ გაკვეთილის შინაარსისადმი), მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სწავლის მოთხოვნილება. მაგრამ ყველა მოსწავლეს როდი შეიძლება გააჩნდეს სწავლის ინტელექტუალური მოთხოვნილება, ყველა საგნის მიმართ მაინც, ასეთ შემთხვევაში განწყობის შემუშავების სუბიექტური ფაქტორის როლში უნდა გამოვიდეს ნებისყოფა. ნათქვამიდან უკვე ნათელია, რომ შემეცნებითი მოთხოვნილებების აქტივაციასთან ერთად, მოსწავლეთა ნებისყოფის განვითარებაზე ზრუნვა მასწავლებელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მაგრამ თავისთავად მოთხოვნილება და ნებისყოფა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს სწავლის განწყობის შემუშავებას. აუცილებელია ობიექტური ფაქტორიც, შესაბამისი სიტუაციაც, რომლის როლი განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როდესაც სწავლისადმი შემეცნებითი ინტერესი ან ნებისყოფა სათანადოდ არ აქვთ განვითარებული მოსწავლეებს. სწორედ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით საჭიროა ობიექტურ სიტუაციაში (კარგად გააზრებული და ჩატარებული გაკვეთილის, თვალსაჩინო მასალის, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების, სათანადო სასწავლო მასალის, საინტერესო დამატებითი ლიტერატურისა და სხვა სახით) შემოვიტანოთ ისეთი სტიმულები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს ადვილად შეიმუშავოს სწავლის შესაბამისი განწყობა. ამრიგად, სწავლის განწყობის შემუშავებას ბევრად განსაზღვრავს სწავლებისა და სწავლის ოპტიმალური პირობების შექმნაც.

ახლა დავუბრუნდეთ გაკვეთილის სამფაზიანი მოდელისა და შეფასების ფსიქოლოგიურ საკითხებს.

„გამოწვევის“, ანუ ინფორმაციის გონებაში აღდგენის ეტაპზე რამდენიმე მნიშვნელოვანი შემეცნებითი ქმედება ხორციელდება. მოსწავლეები აქტიურად იხსენებენ იმას, რაც იციან ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ეს აქტივობა უზიარებს მათ, გადახედონ საკუთარ ცოდნას და დაფიქრდნენ იმ საკითხზე, რომელსაც მალე გამოიკვლევენ. „გამოწვევის“ ფაზის მეორე მიზანია მოწაფის გააქტიურება, ინტერესის გაზრდა. გააზრებული, შეგნებული, კრიტიკული აღქმის უნარის განვითარებისათვის მოსწავლე აქტიურად უნდა ჩაებას სასწავლო პროცესში, ე. ი. მოსწავლემ ინფორმაცია უნდა აღიქვას, გაიაზროს, ნააზრევი საკუთარი სიტყვებით წერილობით ან ზეპირად გამოხატოს. გარემო, რომელსაც ვუქმნით მოსწავლეებს, საშუალებას აძლევს მათ ბოლომდე გაიხსნან გაკვეთილზე, თავისუფლად გამოხატონ განსხვავებული თვალსაზრისი, დასვან შეკითხვები, რაც მძლავრი ბიძგია შემეცნებისათვის (ინტელექტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის). აქედან გამომდინარე, მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები

უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი ინტელექტუალური მოთხოვნილება, ცნობისმოყვარეობა, ე.წ. ცოდნის შეძენის წყურვილში გადაეზარდოს.

ბავშვისა და განათლების ფსიქოლოგიის თანამედროვე ტენდენციებმა ცხადად დაამტკიცა დ. უზნაძის შეხედულებების სიცოცხლისუნარიანობა. თითქმის ერთი საუკუნის წინ გამოთქმული მისი იდეები დღესაც აქტუალურია და სათანადოდ გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ვითარების საფუძვლიანი შეცნობა ახალი ინფორმაციის უკვე არსებულ აზრობრივ კონსტრუქციასთან შერწყმის პროცესს წარმოადგენს, გადამწყვეტია გონებაში „გამოწვევის“ სტადიის მესამე კომპონენტი. ის საკითხის კვლევის მიზნისა და ამოცანის განსაზღვრას გულისხმობს. მიზნისა და ამოცანის ნათლად განსაზღვრა არსებითია მოსწავლეთა სასწავლო განწყობის განსამტკიცებლად. „ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დადასტურებულია რომ ადამიანი, რომელიც შორეული მოტივაციის საფუძველზე დაისახავს შორეულ მიზანს და მიიღებს მას, როგორც გარკვეული მიმართულებით მოქმედების პროგრამას, შემდეგში იგი ამ მიმართულებით თავისი მოქმედების თითოეულ რგოლში დაინახავს დასახული მიზნის მიღწევის აუცილებელ ეტაპს და მტკიცედ შეეცდება გადალახოს ის, რადგან სხვანაირად დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება. ეს გარემოება, ბუნებრივია, ხელს უწყობს ადამიანის მთელი ძალების მობილიზებას, მიზნის მიმართულებით შესაბამისი განწყობის შემუშავებას, რაც გარკვეულად აადვილებს განწყობის რეალიზაციას და მიზნის მიღწევას“ (ნ. ბარამიძე, „შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა“, 1995წ. ბათუმი, გვ. 4).

გამოვკვეთოთ ორგვარი მიზანდასახულობა: 1) მასწავლებლის მიერ წარმართული ან ტექსტით ნაკარნახევი (გარე); 2) პიროვნული (შიდა), რომელიც უფრო მძლავრია. გაკვეთილის პირველ ეტაპზე, როდესაც მასწავლებელი სვამს მნიშვნელოვან შეკითხვას შესასწავლი თემის შესახებ: „რა იცით ან გგონიათ, რომ იცით...?“ და მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად თავისუფლად გამოთქვან მოსაზრებები (შიდა მოტივაცია), ამით მოსწავლის აფექტურ (ემოციურ-ნებელობით) სფეროზე ვახდენთ ზეგავლენას (გარე მოტივატორი).

გაკვეთილის პირველ ეტაპზე მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ მადიებლად ჩამოყალიბებას. ამ დროს ბავშვი ახდენს ადაპტაციას გარემოსადმი. პიაჟეს თეორიის მიხედვით, ცოდნა მოსწავლეს მზა სახით კი არ ეძლევა, არამედ მისი მონაწილეობით იქმნება. მოსწავლე, გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედებით, თავად ქმნის გარკვეულ წესთა ერთობლიობას. ცენტრალური ცნება პიაჟეს თეორიაში, აღნიშნავს მენტალურ სტრუქტურებს, რომელიც გადაამუშავებს ინფორმაციას. სქემა ინდივიდის გამოცდილებასთან ერთად იცვლება, ის არის ინფორმაციის გადაამუშავების საშუალება, ხერხი. სქემა მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ პროცესებს. თავიდან ბავშვი იწყებს მარტივი სენსორული და მოტორული სქემებით, მაგ. მხედველობითი, ტაქტილური, გემოვნების, სმენითი, მოძრაობის. ბავშვისათვის ობიექტი არის საგანი, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფერი, გემო და ა. შ. მოგვიანებით ის ჩამოაყალიბებს მენტალურ სქემებს, როგორც არის კატეგორიზაცია, შედარება. განვითარების პროცესში ის უფრო რთულ სქემებს შეიმუშავებს, როგორც არის დედუქციური ანალიზი და სისტემური აზროვნება. ეს წინსვლა მარტივი სქემებიდან რთულისაკენ მიიღწევა შემდეგი სამი პროცესით: ასიმილაცია, აკომოდაცია, წონასწორობა.

ასიმილაცია არის გამოცდილების ჩართვა სქემაში. თუ ადამიანის მიერ მიღებული ინფორმაცია, პერცეპტული ხატები ან სუბიექტური განცდები შეესაბამება მისი ინტელექტის სტრუქტურას, მაშინ მოხდება ასეთი ინფორმაციის გაგება ანუ ასიმილაცია. სწორედ ამიტომ ხდება გაკვეთილის პირველ ეტაპზე მოსწავლეთა პიროვნული ცოდნის წინ წამოწევა. რადგან ინტელექტი ოპერაციათა სისტემაა, გაკვეთილის ამ ეტაპზე მასწავლებელი სწორედ ცალკეულ ოპერაციებს უნდა აფასებდეს.

გამოწვევის ეტაპზე შეფასების ობიექტი ხდება: სქემის გამოყენება და მისი განვითარება, პიროვნული ცოდნა, ღირებულებები, ფორმალურ - ლოგიკური აზროვნება, ფსიქო-ემოციური სფერო, დამოუკიდებელი აზროვნება.

მეორე ფაზის, შინაარსის რეალიზების, უპირველესი ამოცანა დაწყებული საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და გონებაში „გამოწვევის“ ფაზაზე გაღვივებული ინტერესისა და იმპულსის შენარჩუნებაა. მეორე უმთავრესი

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მხარი ავუბათ მოწაფეთა მცდელობას, გააკონტროლონ საკუთარი აღქმის უნარი. აქტიური მოსწავლე, როგორც კი ახალ ინფორმაციას წააწყდება, მაშინვე საკუთარ აღქმის უნარს აკონტროლებს. სწავლება/სწავლის დროს აღქმის უნარის შესუსტებისას ხელახლა უბრუნდება წაკითხულს (შესასწავლ საკითხს). მოსწავლე მიწოდებული მასალის მოსმენისას შეკითხვას სვამს ან სათანადო აღნიშვნებს აკეთებს, რათა შემდეგ ყოველივეს ნათელი მოჰფინოს. ამასთან, ისიც უნდა დავძინოთ, რომ როდესაც მოსწავლე საკუთარ აღქმის უნარს აკონტროლებს, იგი, ჩვეულებრივ, უკვე შემუშავებული სქემების მიხედვით ალაგებს ინფორმაციას. მოსწავლე მიზანდასახულად აკავშირებს ახალსა და უკვე ცნობილ ინფორმაციას, ე.ი ადგილი აქვს აკომოდაციის პროცესს.

აკომოდაცია არის სქემის შეცვლა ახალი ინფორმაციის შედეგად, ახალი ინფორმაცია, თავის მხრივ, მიღებულ იქნა ასიმილაციით. როცა ახალი ინფორმაცია არ ჯდება სქემაში, ხდება სქემის რეორგანიზება. აკომოდაციის საშუალებით ჩვენ რეორგანიზებას ვუკეთებთ ჩვენს უნარებს, ვაუმჯობესებთ ჩვევებს, ვცვლით სტრატეგიებს. ამრიგად, აკომოდაცია არის სქემების მოდიფიკაცია ახალი გამოცდილების შესაბამისად და ახალი სქემის შექმნა, როცა ძველი არ შეესაბამება სიტუაციას. თუმცა აღსანიშნავია, რომ თუ ინფორმაცია არ შეესაბამება ინტელექტის სტრუქტურას, იგი მას განდევნის, ამდენად ინფორმაციის მიღების მზაობა წინაპირობაა აკომოდაციისათვის.

ამ ეტაპზე შეფასების ობიექტი ხდება: ასათვისებელი შინაარსი, ინფორმაციის დამუშავების ტექნიკა, ტექნოლოგიების ცოდნა, მისი პრაქტიკაში გამოყენებისა და მეტაკოგნიტური უნარ-ჩვევები, თვალსაზრისთა შეპირისპირება და შეჯერება.

მესამე – შეიძლება რეფლექსის ფაზაზე გამოიკვეთოს რამდენიმე დადებითი მომენტი. უმთავრესი ისაა, რომ მოსწავლისგან მოელიან იმ თვალსაზრისისა თუ ინფორმაციის საკუთარი სიტყვებით გამოხატვას, რომელიც მას გზადაგზა ხვდება. ეს აუცილებელია ახალი აზრობრივი სქემების ასაგებად. საფუძვლიანი შესწავლა და სიღრმისეული გაცნობიერება პიროვნებაზეა დამოკიდებული. მოსწავლეს ყველაზე უკეთ ის ამახსოვრდება, რასაც მისთვის საცნაურ

კონტექსტში ითავისებს და საკუთარი სიტყვებით გაიაზრებს. აღქმა მაშინაა საფუძვლიანი, როდესაც ინფორმაცია კონტექსტუალურ სქემაში თავსდება. ცნებათა ახლებურ ყალიბში მოქცევითა და ნაცნობ პიროვნულ ლექსიკაში ჩასმით პიროვნული, შინაარსით დატვირთული კონსტრუქცია წარმოიქმნება.

რეფლექსიის ფაზის მეორე ამოცანაა მოსწავლეთა შორის აზრთა ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლა და ამის საფუძველზე მათი თვალსაზრისის გამომხატველი ლექსიკონის გამდიდრება. რეფლექსიის ფაზაზე დისკუსიაში ჩაბმის წყალობით მოწაფეები ნაირნაირ კონსტრუქციას ეზიარებიან აზროვნების გასაღრმავებლად. ამ სტადიაზე ახალ-ახალი ინფორმაციის ინტეგრაციის მრავალგვარ საშუალებათა გაცნობა უფრო მოქნილ კონსტრუქციებს მიგვაახლოვებს, რომლებიც მომავალში შესაძლოა უფრო პრაქტიკულად და მიზანდასახულად გამოიყენონ. მყარდება წონასწორობა. ინტელექტი გამუდმებით იმის ცდაშია, რომ წონასწორობა შეინარჩუნოს ასიმილაციასა და აკომოდაციას შორის და ეს უდევს საფუძვლად ადაპტაციას. წონასწორობის გზით ინდივიდი ერთმანეთთან აკავშირებს გარემოსა და საკუთარი აზროვნების სტრუქტურებს და ეს ეხმარება ადამიანს ინტელექტუალურ ადაპტაციაში.

ჩვენს საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ა. მასლოუს შეხედულებაც ადამიანის მოთხოვნილებებისა და მათი მოტივაციური ღირებულებების შესახებ. როგორც ცნობილია, ა. მასლოუმ შექმნა მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელი, რომელშიც ბიოლოგიური მოთხოვნილებები ყველაზე დაბალ საფეხურზეა, ხოლო პიროვნების განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მოთხოვნილება - ყველაზე მაღალ საფეხურზე. ადამიანს ჯერ დაბალი საფეხურის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ესაჭიროება, რომ უფრო ეფექტურად გადავიდეს მაღალი საფეხურის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. მოთხოვნილებათა იერარქიაში მასლოუ გამოყოფს:

- 1) ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები: კვება, წყურვილი, ჟანგბადი, თავშესაფარი, ძილი, სითბო, გამრავლება და ა. შ.
- 2) უსაფრთხოების მოთხოვნილება: სტაბილურობა, დაცვა, წესრიგი, უსაფრთხოების შეგრძნება.

- 3) მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება: ოჯახი, ჯგუფი, ურთიერთობები, ზრუნვა, თანაგანცდა.
- 4) პატივისცემის მოთხოვნილება: მიღწევა, სტატუსი, პასუხისმგებლობა, რეპუტაცია.
- 5) თვითაქტუალიზაცია: პიროვნების განვითარება და მისი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია.

მასლოუს მოტივაციის იერარქიული მოდელის ცოდნა საშუალებას აძლევს პრაქტიკოსს მასწავლებელს, დაადგინოს იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე, რა მოტივები უდევს საფუძვლად მის ქცევას, რის შემდეგაც შესაძლებელია სწავლის ადეკვატური სტრატეგიების შემუშავება და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა. ასევე მნიშვნელოვანია ა. მასლოუს პირამიდის განხილვა შეფასების თვალსაზრისით.

ასე მაგალითად:

უსაფრთხოების მოთხოვნილება: სამუშაო წესების, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება მოსწავლეებთან ერთად მათში დაცულობის განცდას ზრდის. თუ მასწავლებელი შეფასებას არ იყენებს „სასჯელის“, „დაცინვის“, „იარლიყების მიკუთვნების“ საშუალებად, ჩნდება უსაფრთხოების განცდა. შესაბამისად, მოსწავლეებში ყალიბდება სწავლისა და შეფასებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, რის საფუძველზეც მათულობს მოსწავლეთა მოტივაცია. ნაკლებია მუდმივი შიში, შფოთი, უარყოფითი განცდები და ემოციები, მოსწავლე დარწმუნებულია საკუთარ ძალებში. შესაბამისად, მათულობს სწავლება-სწავლის ხარისხი.

მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება: ოჯახი, ჯგუფი, ურთიერთობები, ზრუნვა, თანაგანცდა. როდესაც საკლასო ოთახში ორმხრივი კომუნიკაცია და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებაა, სუფევს სიყვარულის ატმოსფერო. როდესაც პედაგოგი ქულის ნაცვლად იყენებს კომენტარებს, სადაც მისი პოზიტიური დამოკიდებულება ჩანს მოსწავლის მიმართ, მოსწავლეს თანადგომის განცდა ეუფლება. ბავშვი გრძნობს, რომ მასწავლებელი ეხმარება რჩევებით, რეკომენდაციებით, ასევე, საკუთარი მეგობრების შეფასებას, თუნდაც კრიტიკულს, ის უკვე პოზიტიურად

ადიქვამს. მოსწავლეები გრძნობენ, რომ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. სწორედ ეს უნარები აძლევს მათ საშუალებას სოციუმში ადგილის დამკვიდრებისათვის.

დაფასებისა და პატივისცემის მოთხოვნილება: შეფასების პროცესში მოსწავლეთა ჩართვა, მათი შესაძლებლობების გათვალისწინება, თვითგანვითარების გეგმის შემუშავება მასწავლებელთან ერთად, მათ გარკვეულ ფუნქციასა და სტატუსს მატებს, რაც თავის მხრივ ზრდის პასუხისმგებლობას. მოსწავლე ყალიბდება საზოგადოებრივად აქტიურ პიროვნებად.

თვითაქტუალიზაცია: (პიროვნების განვითარება და რეალიზაცია). თვითშეფასების გამოყენება შეფასების პროცესში მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, ობიექტურად განსაზღვრონ საკუთარი შესაძლებლობები. მიმართონ საკუთარი ძლიერი მხარეები სუსტის გამოსასწორებლად. გააცნობიერონ და მართონ საკუთარი ქცევა, დამოუკიდებლად დაისახონ მიზანი, ხოლო შემდეგ დაგეგმონ და განახორციელონ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. იმის გადასაწყვეტად, რომელი ქცევა უნდა შევინარჩუნოთ და რომელი შევცვალოთ, აუცილებელია, ზუსტად ვაფასებდეთ ჩვენს ქმედებებს. ეს აძლევს საშუალებას პიროვნებას შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა ცხოვრებაში და ღირსეული ადგილის დამკვიდრება. თვითაქტუალიზაციისათვის, საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილად რეალიზაციისათვის აუცილებელია ისეთი პიროვნული ძალა, როგორცაა ნებისყოფა.

შ. ჩხარტიშვილის განმარტებით: „ნებისყოფა არ არის ფორმალური ხასიათის ფუნქცია. იგი მხოლოდ იმ ქცევას უკეთებს ორგანიზაციას, რომელსაც ობიექტური (საზოგადოებრივი) ღირებულება აქვს. ამიტომ, ყოველი ქცევა, რომელიც ისეთი საგნებისა და მოვლენების შექმნის, მოვლის, დაცვისა და მიზანშეწონილი (შეგნებული) გამოყენების საქმეს ემსახურება, რომელსაც ობიექტური ღირებულება აქვს, ნებისმიერი ქცევაა. ასეთი ქცევა ყოველთვის პიროვნების დონეზე მიმდინარეობს, თვითონ პიროვნებას, როგორც ნებისყოფის სუბიექტს, მიჰყავს. სასწავლო ქცევას, პიროვნულ საზრისსა და ღირებულებას სუბიექტი ანიჭებს. ამიტომ სადაც ნებისყოფას არ აქვს ადგილი,



იქ არც სწავლის, როგორც დამოუკიდებელი ქცევის, შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ“. (შ. ჩხარტიშვილი, ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები. თბილისი 1980წ. გვ. 80).

ამრიგად, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების დახმარებით, მოსწავლეზე მუდმივი დაკვირვების შედეგად, ვიღებთ სრულყოფილ ინფორმაციას არა მხოლოდ მისი კოგნიტური განვითარების, არამედ ემოციურ-ნებელობითი და მოტივაციური სფეროს შესახებ.

განმავითარებელი შეფასება ქმნის საუკეთესო პირობებს მოსწავლის თვითრეალიზაციისათვის, ასიმილაცია-აკომოდაციის მექანიზმების ეფექტური „მუშაობისა“ და მათში სათანადო ინტელექტუალური სქემების ჩამოყალიბებისთვის. განმავითარებელი შეფასება ზრდის საკუთარ განათლებაზე ზრუნვის პასუხისმგებლობას მოსწავლეებს უყალიბდებათ მეტაკოგნიტური უნარები (საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა-შეფასება, აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ), რაც ხელს უწყობს სწავლის სწავლას, უზრუნველყოფს მაღალ აკადემიურ მოსწრებას და ხელს უწყობს ზნეობრივი პიროვნების ჩამოყალიბებას.

### თავი III

## მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასების დიდაქტიკური საფუძვლები

### 3.1. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასების ძირითადი პრინციპები

მოსწავლეთა საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განუყოფელ ნაწილს და მის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ეფექტიანობაზეა დამოკიდებული მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობა და პიროვნების ფორმირების პროცესის მიზანმიმართული ორგანიზება. სასწავლო პროცესში სწორად შერჩეული შეფასების სისტემა ზრდის სწავლის ხარისხს.

განმსაზღვრელი შეფასების მიზანია მოსწავლეთა მიღწევების დონის

განსაზღვრა სასწავლო გეგმასთან და სასწავლო მიზნებთან მიმართებით. „განმსაზღვრელი შეფასება, ფაქტობრივად, არის ქულა, რომელსაც მასწავლებელი უწერს მოსწავლეს კონკრეტული თემის ან საკითხის დასრულების შემდეგ ტრიმესტრის განმავლობაში ან ტრიმესტრის/წლის ბოლოს. განმსაზღვრელი შეფასების მიზნით, მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა „შემაჯამებელ“ აქტივობებს, მაგ: პრეზენტაციას, პროექტის განხილვას, ტესტს, საკონტროლო წერას და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასება შედეგზეა ორიენტირებული. მისი ძირითადი დანიშნულება სწავლისა და სწავლების შედეგების შემოწმება-შეფასებაა. აქედან გამომდინარე, ქულის დაწერა განმსაზღვრელი შეფასების სავალდებულო მოთხოვნაა. ქულის სახით მიცემული შეფასება მოსწავლის მიღწევების დონის განმსაზღვრელია და მას არ ახლავს კომენტარები ან რეკომენდაციები შედეგების გაუმჯობესების შესახებ“. (რ.ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი, ქ. თოფაძე, თ. პაჭკორია, თ. ბუწაშვილი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2009 წ. გვ 78. )

განმსაზღვრელი შეფასების მიზნების ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთა ძნელია, რადგან სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ჩართულ ყველა სტრუქტურულ ერთეულს განსხვავებული მიზნები გააჩნია. დ. გურგენიძის ნაშრომში „მოსწავლეთა

ცოდნის შემოწმება და შეფასება” შეფასების რამდენიმე მიზანზეა საუბარი: „1. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მიერ ცოდნა-ჩვევების მტკიცედ და შეგნებულად შეთვისებას; 2. შექმნას და განამტკიცოს უკეთესი სწავლის სტიმული; 3. ხელი შეუწყოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი კონტროლის განხორციელებას.” (დ. გურგენიძე, ”მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, “პედაგოგიკა”, თბილისი. 1986წ გვ.5) მის მიერ ფორმულირებული მიზნებიდან ნათლად ჩანს, რომ პირველი ორი მოსწავლეთა ინტერესებს შეესაბამება, მესამე კი – სახელმწიფოს ინტერესებს.

ეროვნული სასწავლო გეგმა მხოლოდ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგად მიზნებს აზუსტებს. მასში სასწავლო პროცესში ჩართული ცალკეული ჯგუფების მიზნები წარმოდგენილი არ არის. არადა მიზნების განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ განმსაზღვრელი-შემაჯამებელი შეფასების საფუძველზე მიიღება სხვადასხვა დონის გადაწყვეტილება სასწავლო პროცესში ჩართული პირის მიერ.

იმისათვის, რომ დაგვედგინა სასწავლო პროცესში მონაწილე მხარეთა მიზნები, კვლევის დროს პედაგოგები დავყავით ჯგუფებად: I ჯგუფი – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, II ჯგუფი – ადმინისტრაციის წარმომადგენლები, III ჯგუფი – მასწავლებლები, IV ჯგუფი – მოსწავლეები და V ჯგუფი – მშობლები. მათ მიეცათ დავალება:

„წარმოიდგინეთ, რომ თქვენ წარმოადგენთ იმ სტრუქტურულ ერთეულს, რომელ ჯგუფშიც ბრძანდებით და უპასუხეთ შეკითხვას: რა მიზნები ამოძრავებს თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს მოსწავლეთა შეფასების დროს?. ჩამოწერეთ ფორმატზე ყველა შესაძლო პასუხი.” დავალების დანიშნულება იყო, დაგვედგინა, რამდენად სწორად შეუძლიათ მასწავლებლებს მოსწავლეთა შეფასების მიზნების განსაზღვრა და რამდენად იცნობენ შესაბამისი ჯგუფების მიზნებს. გამოკითხული 1500 მასწავლებლიდან 20%-მა ძირითადად სრულყოფილად გაართვა ამოცანას თავი, ხოლო 80% არასწორად განსაზღვრავდა შესაბამისი ჯგუფის მიზნებს. მასწავლებლების 90%-მა სწორად განსაზღვრა ადმინისტრაციის მიზნები, თუმცა არასწორად ჰქონდათ მოსწავლისა და მშობლის მიზნები ფორმულირებული. აქედან

გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა შეფასებას მასწავლებელთა ძალიან დიდი ნაწილი არაეფექტიანად წარმართავს, მათ უმრავლესობას არ აქვს გაცნობიერებული მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასების დანიშნულება. კერძოდ, რომ მიზნებიდან გამომდინარე იცვლება შეფასების მეთოდები, კომპონენტები, კრიტერიუმები და საშუალებები.

ეფექტური შეფასების სისტემა თითოეული მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებას გამოხატავს. განმსაზღვრელი შეფასება არსებული მდგომარეობის შესახებ აწვდის ობიექტურ ინფორმაციას თითოეულ მიზნობრივ ჯგუფს, ადგენს რამდენად შეესაბამება მოსწავლის შედეგები არსებულ სტანდარტს. სასწავლო პროცესის შესახებ შეფასების მიზნების არასწორად განსაზღვრა არასწორ გადაწყვეტილებებს ნიშნავს. თითოეული მიზნობრივი ჯგუფისათვის განკუთვნილი მიზნები წარმოდგენილია ცხრილში №14 (ის ეყრდნობა პედაგოგთა პროფესიული განვითარების სემინარის პრეზენტაციების ინფორმაციას):

ცხრილი №14 მიზნობრივი ჯგუფების მიზნები

მიზნობრივი ჯგუფები	შეფასების მიზნები
<p>განათლების პოლიტიკის წარმომადგენლები (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაადგინონ სწავლება/სწავლის სტანდარტები;</li> <li>• განსაზღვრონ შესაბამისი სასწავლო მიზნები;</li> <li>• დაადგინონ სწავლა/სწავლების ხარისხი რეგიონების/ქვეყნის დონეზე;</li> <li>• წარმართონ განათლების სწორი პოლიტიკა;</li> <li>• დაადგინონ სისტემაში არსებული პერსონალის კვალიფიკაცია;</li> <li>• შეაფასონ საგანმანათლებლო პროგრამები;</li> <li>• აწარმოონ გატარებული რეფორმის მონიტორინგი.</li> </ul>
<p>სკოლის ადმინისტრაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განსაზღვრონ სკოლაში სწავლა/სწავლების ხარისხი;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეაფასონ სხვადასხვა საგნის სწავლებაში ძლიერი და სუსტი მხარეები და ამის საფუძველზე სკოლის პროგრამებში შეიტანონ ცვლილებები;</li> <li>• გამოკვეთონ სკოლის სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტები და ალტერნატივები;</li> <li>• დაადგინონ სკოლის პედაგოგების კვალიფიკაცია;</li> <li>• განსაზღვრონ სკოლაში დანერგილი პროგრამების ხარისხი.</li> </ul>
მასწავლებლები	<ul style="list-style-type: none"> <li>• გააუმჯობესონ საკუთარი საქმიანობა;</li> <li>• დაადგინონ მოსწავლეთა პროგრესი/რეგრესი;</li> <li>• განსაზღვრონ საკუთარი სასწავლო პროგრამის ვარგისიანობა;</li> <li>• აამაღლონ მოსწავლეებში მოტივაცია;</li> <li>• შეიტანონ ცვლილება-დამატებები სტრატეგიულ გეგმაში;</li> <li>• დაადგინონ სკოლის მოსწავლეთა საჭიროებები;</li> <li>• გაუზიარონ სხვებს საკუთარი მიღწევები</li> </ul>
მოსწავლეები	<ul style="list-style-type: none"> <li>• განსაზღვრონ საკუთარი შესაძლებლობები;</li> <li>• შეძლონ გაწეული საქმიანობის თვითშეფასება;</li> <li>• შეიმუშაონ საკუთარი განვითარების გეგმა და შეძლონ მისი განხორციელების მონიტორინგი;</li> <li>• შეძლონ საკუთარი შესაძლებლობის თვითრეალიზება;</li> </ul>
მშობლები	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაადგინონ საკუთარი შვილის სუსტი და ძლიერი მხარეები;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეძლონ სკოლის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება;</li> <li>• განსაზღვრონ საკუთარი შვილის მომავალი.</li> </ul>
--	---

განმსაზღვრელი შეფასება, თუ ის დაეყრდნობა აქტიური სწავლება-სწავლის საგანმანათლებლო მიზნებს, შესაძლოა სამი ძირითადი პარამეტრით დავახასიათოთ (ეროვნული სასწავლო გეგმა 2010-2011წ.):

1. ინფორმაციული თვალსაზრისით მუდმივი ცვლილებების ეპოქაში აუცილებლობას წარმოადგენს, სასწავლო პროცესი მიმართული იყოს არა მარტო ინფორმაციის დამახსოვრება - ათვისებაზე, არამედ - მოსწავლის სწავლის სწავლაზე. ეს უკანასკნელი ბავშვისაგან მოითხოვს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. (მეტაკოგნიტური უნარების).
2. მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სწავლების სხვადასხვა ეტაპზე (გაკვეთილი, სასწავლო პროცესის დაგეგვა, მონიტორინგი, შეფასება) მოითხოვს მათი შემეცნებითი აქტიურობის ამაღლებას და მასწავლებლისთვის სკაფოლდინგის (ხარაჩო) როლის მინიჭებას;
3. მიზანმიმართული შემეცნებითი და შემოქმედებითი სასწავლო პროცესი, სადაც გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი სასწავლო ტექნოლოგიები, წყაროები (საინფორმაციო ტექნოლოგიები, წიგნები, ადამიანური რესურსები და სხვა) ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

შესაბამისად, შეფასების შემადგენელი კომპონენტები ეფუძნება სწავლების პროცესის განმსაზღვრელ პრინციპებს. ამასვე მოწმობს დ. გურგენიძე: „მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფასება მაშინ შეასრულებს მძლავრი ზემოქმედების ფაქტორის როლს მოზარდი თაობის ღრმა და საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნით შეიარაღებისა და აღზრდის საქმეში, როცა იგი იმ ზოგად დიდაქტიკურ კანონზომიერებას დაეყრდნობა, რომელიც განსაზღვრავს სწავლების მთელ

პროცესს;” (დ. გურგენიძე, ”მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, “პედაგოგიკა”, თბილისი. 1986წ გვ. 24)

დ. გურგენიძე სხვა ავტორებთან შედარებით მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასების პრინციპებს საკმაოდ სრულყოფილად განიხილავს და გამოყოფს რამდენიმე ძირითად პრინციპს:

1. „ინდივიდუალური გამოკითხვისა და შეფასების პრინციპი.” როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიცვალა სწავლების პრინციპები, ამიტომ ავტორის მიერ გამოყენებული ცნება „გამოკითხვა” არ მისცემს მასწავლებელს მოსწავლის მიღწეული შედეგების სრულად შეფასების საშუალებას, რადგან გაკვეთილზე ნასწავლი მასალის მხოლოდ გამოკითხვა არ არის პრიორიტეტული. მოსწავლეები გაკვეთილზე სხვადასხვა საქმიანობით (ინდივიდუალური, წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა, პრეზენტაციები, პროექტები და სხვა) არიან დაკავებულნი.

მასწავლებელი ვალდებულია: „მუშაობის პროცესში შეისწავლოს თითოეული მოსწავლე. შესწავლის საფუძველზე მასწავლებელი ვალდებულია, წლის ყოველი მეოთხედის ბოლოს შეადგინოს თითოეული მოსწავლის წარმატების დახასიათება განსაზღვრული საგნის მიხედვით.” (დ. გურგენიძე, ”მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, “პედაგოგიკა”, თბილისი. 1986წ გვ. 24)

თუმცა რეალური სურათიდან გამომდინარე, „მოსწავლეთა გამოკითხვა” შეფასების ერთადერთი საშუალება აღარ არის. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა ინდივიდუალურსა და პიროვნულ შესაძლებლობებს. დ. გურგენიძის აზრით, „ინდივიდუალური გამოკითხვისა და შეფასების პრინციპი სასწავლო მუშაობის შემოწმებისა და მისი რეალური შედეგების დადგენის ერთადერთი ძირითადი საშუალებაა.” (დ. გურგენიძე, ”მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, “პედაგოგიკა”, თბილისი. 1986წ გვ. 25) ამ პრინციპის გატარება ძალიან ძნელია, რადგან თითოეული სკოლა და ასევე თითოეული კლასი ინდივიდუალურია ისევე, როგორც - თითოეული მოსწავლე. ეს პრინციპი „ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების მრავალმხრივად შეფასების პრინციპს” გამორიცხავს. ერთიანი „მომთხოვნელობა” შეუთავსებელია ინდივიდუალურ

სასწავლო გეგმასთან, საჭიროებებსა და შესაძლებლობებთან. რადგან თუ გავითვალისწინეთ უზნადის, ვიგოტსკის, პიაჟეს, გარდნერის შეხედულებებს, შეგვიძლია, დავასკვნათ: მოსწავლე, რომლის განვითარების შესაძლებლობებს სცილდება „მომთხოვნელობა,” არ ერთვება სასწავლო პროცესში და ეს პროცესი მისთვის განმავითარებელ ფუნქციას კარგავს. „ერთიანი მოთხოვნის პრინციპი” გულისხმობს იმას, რომ „ცოდნის ერთი და იგივე დონე ყველა სკოლაში ერთნაირად უნდა ფასდებოდეს.” (დ. გურგენიძე, ”მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, “პედაგოგიკა”, თბილისი. 1986წ გვ.27)

## **2 „ერთიანი მოთხოვნის პრინციპი”**

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასების ათბალიანი სისტემა ვერ ამცირებს ერთნაირი ნიშნით შეფასებულ მოსწავლეთა ცოდნაში არსებულ სხვაობას და ვერც ხარვეზების აღმოფხვრას უწყობს ხელს. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო 2011-12 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების შედეგები. მათზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვადასხვა სკოლაში ერთნაირი ნიშნის მქონე მოსწავლეთა ცოდნა და უნარ-ჩვევები განსხვავებულია. 2000-მა მოსწავლემ, რომლებიც სკოლაში დადებითი 6-7 ქულით იყვნენ შეფასებულნი, აუცილებელი მინიმუმი 5,5 შეფასება ვერ დაიმსახურეს და სკოლის ატესტატის გარეშე დარჩნენ. უმაღლეს ჯილდოზე (ოქროსა და ვერცხლის მედალი) წარდგენილმა 72-მა მოსწავლემ დადებითი შეფასების ბარიერი ვერ გადალახა თითო საგანში, მაგრამ ძალიან ბევრმა მათგანმა კი მთელ რიგ საგნებში დაბალი 6-7 შეფასება დაიმსახურა.

”შეფასების ხუთბალიანი სისტემა სრულიად საკმარისია იმისათვის, რათა მოსწავლეთა ცოდნა დაახლოებით მაინც ისე შეფასდეს, რომ ფაქტიურ ცოდნასა და ნიშანს შორის არ იყოს დიდი განსხვავება” (დ. გურგენიძე, ”მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, “პედაგოგიკა”, თბილისი. 1986წ გვ. 27). ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა არის შეფასების კრიტერიუმებისა და ნორმების მექანიკური და ფორმალური გამოყენება. როდესაც მოსწავლე ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით, „ნიშნებით”, ათვლის წერტილი კონკრეტული კრიტერიუმი კი არ არის,



არამედ სტატუსი „ეტალონი მოსწავლე.“ შესაბამისად, ნიშნის დაწერის დროს კრიტერიუმები საერთოდ უგულებელყოფილია და ნიშანთა ოპერაციულობაც (ხარისხობრივი მაჩვენებლები) განსხვავებული.

ერთიანი მომთხოვნელობის პრინციპის განსახორციელებლად აუცილებელი და სავალდებულო პირობაა შეფასების კრიტერიუმების შემუშავება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და ამავდროულად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინება. ამ მოთხოვნების დაცვა აუმჯობესებს არა მარტო სწავლის ხარისხს, არამედ ინარჩუნებს ერთიან საგანმანათლებლო დონეს. ამ ერთიანობაში მხოლოდ საგნის სტანდარტის დაცვა არ მოეთხოვება მასწავლებელს, იგულისხმება საგანთა ერთიანობაც. მოსწავლეთა შეფასებისას მხედველობაში მიიღება გამჭოლი უნარები, რომლებიც ყველა საგანს აერთიანებს (წერა, კითხვა, მეტყველება, კომუნიკაცია და სხვა). „მოსწავლეს ყველა საგანში ერთნაირად მოეთხოვება როგორც გამართული, სწორი ლიტერატურული ენით ლაპარაკი, ისე წერაც და ყოველი ცალკეული ნაკლი ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში, აგრეთვე გადმოცემის ფორმა, ანარეკლს უნდა პოულობდეს შეფასებაში.“ (დ. გურგენიძე, ”მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, “პედაგოგიკა”, თბილისი. 1986წ გვ.33)

### **3. „შემოწმებისა და შეფასების ობიექტურობის პრინციპი“**

შეფასებისა და შემოწმების ობიექტურობის პრინციპის დროს ყველა მოსწავლისათვის უნდა არსებობდეს მკაცრად დადგენილი მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდებიან ისინი მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების გაუთვალისწინებლად. „ობიექტურობის პრინციპის დაცვა მოსწავლეთა შემოწმებისა და შეფასების პროცესში გულისხმობს მოსწავლის ცოდნის შემოწმებას და შეფასებას ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, როცა მხედველობაში არ მიიღება და, ამდენად, არც ანგარიში ეწევა მოსწავლის ცოდნაში არსებული ხარვეზების გამომწვევ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებს“ (დ. გურგენიძე, ”მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, “პედაგოგიკა”, თბილისი. 1986წ გვ. 28) მასწავლებელი, ეყრდნობა რა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, სწავლისა და შეფასების პროცესში ანგარიშს უწევს თითოეულ ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან

დაკავშირებულ მთელ რიგ გარემოებებს და მათზე დაყრდნობით თითოეული მოსწავლისათვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამასა და შეფასების კრიტერიუმებს. განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში მასწავლებელი იყენებს ინდივიდუალური შეფასების სისტემას, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, საჭიროებები, მაგრამ განმსაზღვრელი შეფასების დროს ობიექტურობის პრინციპი გამორიცხავს ყოველგვარ შეღავათს. ეს არა მარტო ობიექტურობის, არამედ სამართლიანობის პრინციპსაც არღვევს. დ. გურგენიძე აღნიშნავს: „არ შეიძლება, ყველა მოსწავლე ერთ ჩარჩოში იყოს მოქცეული და ყველას მიმართ შემოწმების ერთი და იგივე მეთოდი იყოს გამოყენებული.“ (დ. გურგენიძე, „მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება“, „პედაგოგიკა“, თბილისი. 1986წ გვ. 29)

ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შემუშავებას განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის, ასევე მოსწავლეთა თავისებურებების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას მოსწავლეთა ინტელექტუალური უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასწავლო გეგმებს, მოდიფიცირებულ სასწავლო პროგრამებს და შეფასების კრიტერიუმებს. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი იყოს განმავითარებელი, არ უნდა იყოს ცდომილება სასწავლო ამოცანებსა და მოსწავლეთა შესაძლებლობებს შორის. განმსაზღვრელი შეფასების დროს მოსწავლის ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება მკაცრად განსაზღვრული საყოველთაო შეფასების კრიტერიუმებით, სამართლიანობის პრინციპი კი მოითხოვს შეფასების დროს მოსწავლეთა ბუნებრივი თავისებურებების გათვალისწინებას. მაგალითად, თუ მოსწავლეს აქვს შენელებული მეტყველება და ამ დროს მასწავლებლის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმით მას მოეთხოვება სწრაფი მეტყველება, ეს შეფასების არასამართლიანობაზე მიუთითებს. მოსწავლის ეს ობიექტური მიზეზი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული,

თუმცა მასწავლებელმა სწავლის დროს მას დისექვილიბრიუმი უნდა შეუქმნას, გონებრივი დისკომფორტი, რომელსაც ქმნის მისი არსებული ცოდნა და უნარ-ჩვევები შესაძლებლობებთან შედარებით. ამასვე მოწმობს ი. ბიბილეიშვილის სიტყვები: „მასწავლებელმა მოსწავლე უნდა მოამზადოს სწავლების პროცესისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებისა და სიმნელეების დასაძლევად.” (ი.ბიბილეიშვილი „სწავლების ფუნქციები”, ფსიქოლოგია პედაგოგიკა, შრომები XI, გამომცემლობა “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”; ბათუმი; 2008წ.) შეიძლება დავასკვნათ, რომ განმავითარებელი შეფასება ეს არის მიმდინარე პროცესი, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ერთი კონკრეტული მომენტი მიმდინარე პროცესიდან, შესაბამისად მოსწავლის მიერ სწავლის პროცესისადმი მზადება და სიმნელეების დაძლევა მიმდინარეობს სასწავლო პროცესის განმავლობაში და არა კონკრეტულ მომენტში, ამიტომ განმსაზღვრელ შეფასებას ენიჭება შემაჯამებელი ფუნქცია.

ნიშანი ან მასწავლებლის ზეპირი კომენტარი მოსწავლეს არანაირ შეღავათს არ აძლევს, თუ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არ არის დადგენილი. შესაძლებელია, ერთმა და იმავე ნიშანმა სხვადასხვა შემფასებლის ხელში განსხვავებული ოპერაციულობა შეიძინოს და მოსწავლისათვის გაურკვეველი დარჩეს: რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს სასურველი შეფასების მისაღებად, რადგან ზოგი მასწავლებელი ნიშანი „10“-ის დაწერას საერთოდ შეუძლებლად მიიჩნევს, ზოგი კი ძალიან იოლად წერს. დ. გურგენიძე საკუთარ ნაშრომში აღნიშნავს: „შეფასების ობიექტურობა თითოეული მასწავლებლისგან მოითხოვს მთელ პასუხისმგებლობითა და სამართლიანობის შეგნებით მიუდგეს მის მიერ დაწერილ ყოველ ნიშანს.“ (დ. გურგენიძე, ”მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, “პედაგოგიკა”, თბილისი. 1986წ გვ. 29)

„შეფასება ობიექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების შედეგები არ არის დამოკიდებული შემფასებლის (მასწავლებლის, ლექტორის) პირად მოსაზრებებზე, მის პიროვნულ სურვილებზე ან დამოკიდებულებებზე.” (რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი „სწავლება და შეფასება”, მეთოდოლოგიური

სახელმძღვანელო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი, 2008, გვ.78) სამართლიანობა მოითხოვს, მასწავლებელმა ყველა კულტურული წარმომავლობისა და შესაძლებლობის მოსწავლეს მისცეს საშუალება საკუთარი შესაძლებლობის რეალიზებისათვის. ყველა მოსწავლეს უნდა შეეძინას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის პირობები, მოსწავლეები უნდა მონაწილეობდნენ შეფასების გეგმის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში. ობიექტურობა მოითხოვს შეფასების დროს ამ კრიტერიუმებისა და არსებული ნორმების დაცვას.

„მოსწავლეთა შემოწმებასა და შეფასებაში ობიექტურობის პრინციპის გატარება გულისხმობს ცოდნის შემოწმების სიმკაცრეს. შეფასების მიზნით ჩატარებული მკაცრი შემოწმება – ეს ისეთი შემოწმებაა, როცა მასწავლებელს შეუძინეველი არ რჩება მოსწავლის მიერ დაშვებული არცერთი შეცდომა.“ (დ. გურგენიძე, ”მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასება”, “პედაგოგიკა”, თბილისი. 1986წ გვ. 30) შეფასებისადმი ასეთი დამოკიდებულება შეესაბამება მხოლოდ ბიჰევიორისტულ მიდგომას და ავტორიტარული სტილით სწავლებას. ტერმინებიც „შემოწმება“, „სიმკაცრე“ და „დაშვებული შეცდომების აღნუსხვა“ სათანადოდ აქვს ავტორს გამოყენებული, დემოკრატიულ სასწავლო გარემოში კი შემოდის განსხვავებული ტერმინები, კერძოდ, „შემოწმების“ ნაცვლად „მონიტორინგი“. ეს მხოლოდ ტერმინების ცვლილება არაა, აქ ძირითად არსშია განსხვავება. „შემოწმების“ დროს ცოდნაში გამომჟღავნებული ხარვეზების გამოსწორება უგულებელყოფილია, რის გამოც მოსწავლეთა შეფასებას სტიმულირების დანიშნულება ეკარგება. სწორედ ამიტომაც, რომ ტრადიციულ სკოლაში შეფასება საზიანო გავლენას ახდენდა თვით მოსწავლეზე და მათში სწავლისადმი დადებით ემოციებსა და დამოკიდებულებებს ვერ აღძრავდა. „მონიტორინგის“ დროს აღინუსხება როგორც წარმატებები, ასევე ხარვეზები, რომლის გამოსასწორებლად მოსწავლეს ეძლევა რეკომენდაცია. დემოკრატიულ გარემოში შეფასების დროს სიმკაცრის ნაცვლად ჰუმანური დამოკიდებულება მოსწავლეს მიღწევების გაუმჯობესების საშუალებას აძლევს. შეფასება უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა თვითშეგნების ამაღლებას, განვითარებას და პიროვნებად ფორმირებას და არა სასწავლო პროცესში

„სიმკაცრის”, „მომთხოვნელობის”, „შეცდომების მკაცრად აღრიცხვის” დანერგვას. მონიტორინგის შედეგად მიღებული რეკომენდაციების დახმარებით მოსწავლეები იუმჯობესებენ მიღწევებს, შემუშავებული კომპონენტები და კრიტერიუმები კი შემფასებლის სუბიექტურობას გამორიცხავს.

ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მოსწავლის შემეცნებით აქტიურობაზე ახდენს გავლენას შეფასების გამჭვირვალობაა. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ შეფასება ცალმხრივი პროცესი არ არის და მხოლოდ პედაგოგის პრეროგატივას არ წარმოადგენს. მოსწავლეების ამ პროცესში ჩართულობა ზრდის სწავლის მოტივაციას და პასუხისმგებლობას დადგენილი კრიტერიუმების კუთხით.

#### 4. დიფერენცირებული შეფასების პრინციპი

ციფრობრივი შეფასების სისტემაში ნათლად არ ჩანს ნიშნებს შორის არსებითი სხვაობა. მხოლოდ ბავშვი ამჩნევს ადვილად, რომ 3 2-ზე მეტია, 4 მეტია 3-ზე და ა.შ. მოსწავლისათვის ნაკლებ მისაწვდომია ის გრადაცია, რომელიც ცალკეულ ნიშნებს შორის არსებობს. ნიშანმა დაკარგა თანრიგის გაგება. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მოსწავლეებს ხუთბალიანი თუ ათბალიანი სისტემით შევაფასებთ. ქულები მაინც არასდროს არ იქნება საკმარისი მოსწავლეთა ცოდნის სრულყოფილად შესაფასებლად.

მეფის რუსეთში მოსწავლეთა ცოდნა ეკატერინე II-ის დროს თორმეტბალიანი სისტემით ფასდებოდა, მაგრამ მოსწავლეთა შესაფასებლად მაინც არ იყო საკმარისი. რამდენი მოსწავლეცაა, იმდენი განსხვავებული ცოდნა არსებობს, ამიტომ მხოლოდ ბალები არ არის საკმარისი ცოდნის დიფერენცირებული შეფასებისათვის. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია თითოეული ნიშნის ოპერაციულობა, რომელიც ნიშნის დიფერენცირების განმსაზღვრელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება ციფრებით არაობიექტური და არასწორია, რადგან ის ხელს უშლის მოსწავლეთა სოციალიზაციას და შემდგომ განვითარებას.

ნიშანი ყოველთვის იყო და არის მასწავლებლისა და მშობლის ბავშვზე ზეგავლენის გაძლიერების ერთ-ერთი საშუალება. მიუხედავად საკანონმდებლო

ცვლილებებისა, ავტორიტარული სასწავლო პროცესი და მოსწავლეზე ნიშნით „ბატონობა“ უმრავლეს სკოლაში დღესაც გრძელდება. ს. შაცკი ნიშნით შეფასების უარყოფით მხარეზე წერს: „ყოველი ცუდი ნიშანი იყო მოსწავლეთა სასტიკი სასჯელი, რომელიც სისრულეში მოჰყავთ როგორც მასწავლებლებს, ისე მშობლებს.“  
[http://dugward.ru/library/chatskiy/chatskiy\\_gody\\_iskaniy1.html](http://dugward.ru/library/chatskiy/chatskiy_gody_iskaniy1.html)

ამავე აზრს იზიარებს შ. ამონაშვილი: ნიშნები მოსწავლეების სოციალიზაციის პროცესებს უშლის ხელს, მისი წყალობით, სკოლაში იერარქიული არაფორმალური სტრუქტურები იქმნება, რომლებშიც მოსწავლეთა ურთიერთობების განსაკუთრებული ფორმები ყალიბდება. «Каждому уровню оценки соответствует свой определенный тип коллективных связей. Сильные слабые совершенно отчуждены от подлинного общения и товарищества внутри своего класса.» (Амонашвили. Ш. «Воспитательная и образовательная функция оценки учения школьников» педагогика. Москва. 1984 г. ст. 26)

განმსაზღვრელი შეფასების შემთხვევაში მოსწავლის განვითარება განიხილება სტანდარტთან მიმართებაში და სხვა მოსწავლეთა მიღწევებთან შედარებით. ყოველ კლასში არის ერთი „ეტალონი მოსწავლე“ და ძალიან ხშირად მასწავლებლებს სხვების შეფასებისას სანიმუშოდ მოჰყავთ ასეთი ბავშვი. მაგალითად: „კარგი იყო, მაგრამ ისე ვერ მიპასუხე, როგორც მაკამ“. მოსწავლეებისათვის გაუგებარია და ინტერესის აღმძვრელი, როგორ უპასუხა მაკამ? აქ მხოლოდ შეფასების ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია: დავემსგავსოთ და ვაჯობოთ მაკას! ისმის კითხვა: რაში უნდა ვაჯობოთ? და ეს სწორედ ის კითხვაა, რომელიც ხშირად კონფლიქტის საბაზი ხდება. კონკურენტული სწავლება კარგია მხოლოდ სწავლების გარკვეულ ეტაპზე და ისიც მოკლე დროით. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ მისი ხშირი გამოყენება მოსწავლეებში შეიძლება მოტივაციის დაქვეითების მიზეზი გხდეს.

ნიშნებმა შეითავსა სასწავლო პროცესის კონტროლის მექანიზმი. ბევრი პედაგოგი ცდილობს, ნიშნებით ჩაუნერგოს მოსწავლეებს შიში, ზეგავლენა მოიპოვოს მათზე. პედაგოგების აზრით, ნიშნები იცავენ სასწავლო პროცესის „მყუდროებას“ მოსწავლეებისაგან. განმსაზღვრელ შეფასებაში იმალება ის

ძალაუფლება, რომელსაც უფროსები ავლენენ მოზარდის მიმართ. ეს არის მოზარდზე ძალადობის სრულიად განსხვავებული ფორმა. „ნუ გენაღვლები სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით ტკივილი“. . . ასეთი დამოკიდებულება სკოლაში ნიშნებმა ჩაანაცვლა. მას საგანმანათლებლო და განმავითარებელ ფუნქციასთან ერთად დასჯის ფუნქცია შეუთავსეს. ნიშნის აღმზრდელობითი ფუნქცია კი საერთოდ დაიკარგა. ის გახდა მოსწავლეთა “ხელში აყვანის” და „შიშის ზარის” საშუალება. სამწუხაროდ, დღესაც ასე ფიქრობს საზოგადოების დიდი ნაწილი, რომ სწორედ ნიშნები ეხმარება მათ ეფექტური სასწავლო პროცესის ორგანიზებაში.

ნიშნები წარმოადგენს მოსწავლეს საზოგადოებაში და ახასიათებს მის პიროვნებას, სულიერებას და მისწრაფებებს, ვერ სწავლობ „ცუდი ხარ“, კარგად სწავლობ „კარგი“. შეფასება მოსწავლეთა დისკრედიტაციის საშუალება გახდა. ისინი დაყოფილი არიან „კატეგორიებად:

პირველი კატეგორია - „ათოსნები“, (8-9-10), ისინი სკოლაში ყველაზე წარმატებულები და დაფასებულები არიან, როგორც თანაკლასელების , ასევე პედაგოგების მხრიდან. ხშირად მათ კლასის ლიდერად მოიხსენიებენ, თუმცა შეიძლება სულაც არ ფლობდნენ ლიდერის თვისებებს, რადგან ლიდერი უნდა იყოს კომუნიკაბელური პიროვნება, რომელსაც შეუძლია სხვების ჩართვა საქმიანობებში, ფუნქციების ეფექტური გადანაწილება, საქმის შესრულების დროს დახმარება, დაგეგმვა, შეფასება. ის მიზანდასახულია და იღებს ეფექტურ გადაწყვეტილებებს. ძალიან ხშირად კი ჩვენი „ათოსნები“ ამ თვისებებით არ გამოირჩევიან.

მეორე კატეგორიას წარმოადგენენ „საშუალო“ მოსწავლეები (6-7). მასწავლებლები მათ ასეთ შეფასებას აძლევენ: ისინი არც თუ ისე ნიჭიერები, მაგრამ შრომისმოყვარენი არიან, პიროვნული უნარ-ჩვევებით უფრო გამორჩეულნი ვიდრე ჩვენი ფრიადოსნები, თუმცა მასწავლებლის გულისმოგება მაინც ვერ შეძლეს, რასაც მოწმობს ქვემოთ მოყვანილი მაგალითიც მშობელთა და მასწავლებელთა ფორუმიდან. «Один ученик при объяснении темы сразу понял её смысл. Дома решил пример без зазубривания параграфа. На уроке рассказал правильно но своими словами.

ему ставят 4 так как учитель понимает что параграф он не учил. Второй дома всё зазубрил (но не факт что понял) и ему ставят 5. Но по прошествию лет первый с легкостью расскажет вам эту тему (потому что понял) Ну и как остальным деткам это воспринимать?» (Оценки в школе - Форум сайта Няня.ру)

მესამე კატეგორიაა - „უნიჭობი“ (4-5), ჩამორჩენილები და მეოთხე კი – „განუვითარებლები“ (1-2-3). სამწუხაროდ, ეს ის ტერმინებია, რომლებსაც ხშირად იყენებენ პედაგოგები მოსწავლეთა დასახასიათებლად.

სასწავლო გარემოში, სადაც მოსწავლეები დაყოფილნი არიან „წარმატებულებად“, „უნიჭობად“, „ნიჭიერებად“ და სხვა, იქმნება სტერეოტიპები, თითქოს მხოლოდ „ათოსნები“ არიან მისაბამი მაგალითი, ხოლო მოსწავლეები, რომლებიც უნიჭობის კატეგორიაში არიან, თანაკლასელები, მასწავლებლები, ადმინისტრაცია ზემოდან უყურებენ და ყველას მიაჩნია, რომ ჭკუა უნდა ასწავლონ მათ. სკოლაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ძირითადად სასწავლო დონისძიებებში მონაწილეობენ „წარმატებული“ მოსწავლეები, ხშირია ფრაზები „სკოლა თქვენზე დგას“, „თქვენზე ვამყარებთ იმედებს“. ხშირად დამკვიდრებული სტერეოტიპები მიჰყვებათ მათ კლასიდან კლასში და „ფრიადოსნები“ ყოველთვის წარმატებულად რჩებიან ოდესღაც შექმნილი იმიჯის გამო, ისევე როგორც „უნიჭობი“. არადა თუ განვიხილავთ გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას, ყველა ადამიანს, გენეტიკური პათოლოგიების გარდა, გააჩნია თანდაყოლილი ცხრა ინტელექტი. მათი განვითარება დამოკიდებულია იმ გარემოზე, რომელშიც მოზარდი იმყოფება. მასწავლებლების მიერ ჩამოყალიბებული სტერეოტიპები ხელს უშლიან მოზარდებს თანატოლებთან ურთიერთობაში.

შ. ამონაშვილი თავის ნაშრომში „მოსწავლეთა სწავლების შეფასების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქცია“ გამოყოფს სამ ძირითად „იარუსს“, რომელშიც მოსწავლეები ნიშნების მიხედვით არიან დაყოფილი: იგი საუბრობს, როდის რა გარემოებები განაპირობებს მოსწავლეთა კლასიფიკაციას და თვლის, რომ: «Состав ярусов определяется в 2-3 классах, но начинается обрывать в III классе. Учителя, учащиеся, родители своими суждениями способствуют



оформлению такой структуры отношений» (Амонашвили. Ш. «Воспитательная и образовательная функция оценки учения школьников» педагогика. Москва. 1984 г. ст. 26).

ავტორი სვამს მნიშვნელოვან შეკითხვას: როგორ ცხოვრობენ მოსწავლეები ამ „იარუსებზე“? კითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია. სამწუხაროდ, ამის გარკვევას პედაგოგების უმრავლესობა არ ცდილობს, რადგან მათში სისხლხორცეულადაა გამჯდარი მხოლოდ კარგ მოსწავლეზე ზრუნვა. არადა დამკვიდრებული სტერეოტიპები ხელს უშლის ყველა მოსწავლის თვითრეალიზებასა და სოციალიზაციას. დაწყებითში პედაგოგების მხრიდან ჩამოყალიბებული შეხედულებები მოსწავლეებს „მემკვიდრეობით“ გადაეცემათ კლასიდან კლასში.

პედაგოგების მხრიდან მინიჭებული „მახასიათებლები“ („უვიცი“, „უნიჭო“, „ნიჭიერი“, „კარგი“, „ცუდი“) კონფლიქტების მიზეზიც ხდება და ხშირ შემთხვევაში „კარგი“ მოსწავლეების სასარგებლოდ წყდება. ასაკის მატებასთან ერთად კონფლიქტი ღრმავდება. „ცუდი“ და „უნიჭო“ სტატუსის მოსწავლეები, ცდილობენ „გამორჩეულები“ გახდნენ. „აუღებელი ციხე-სიმაგრეების“ სახელის მქონე მოსწავლეები, მასწავლებლების აზრით, ხელს უშლიან სასწავლო პროცესს. ასეთი ნეგატიური სასწავლო გარემო ხშირია საქართველოს სკოლებში, რაც აფერხებს პიროვნების ფორმირების პროცესს და გარემოსთან ადაპტაციას.

სკოლისა და ოჯახის მჭიდრო ურთიერთობა ხელს უწყობს მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესებას და მის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებას. ნიშანი გახდა მათი ურთიერთობების ერთადერთი საშუალება. ნიშნით განმსაზღვრელ შეფასებას არავითარი დადებითი რჩევები არ მოჰყვება, არაა განმარტებული, როგორ შეიძლება დაეხმაროს ოჯახი ბავშვს პრობლემების გამოსწორებაში. მასწავლებლები ძირითადად მხოლოდ ნიშნებით კონტაქტობენ, რაც ხშირი კონფლიქტების საბაზი ხდება. ამას მოწმობს მშობელთა ფორუმში განთავსებული ეს ფაქტიც: «Ребенок переживает, поскольку он старается. А после первого семестра (у нас оценки посеместрово, за две четверти сразу), учительница в открытую заявила, что не быть ему больше отличником. При этом учительница

напирала всегда на свою объективность, к концу года „демарши” с оцениванием стали более очевидны. Муж намерен пойти к завучу и поговорить, рассказав об угрозе, что ребенок не будет отличником, с распечатанными правилами оценивания. К завучу поскольку учитель с родителями не общается». (Оценки в школе - Форум сайта Няня.ру)

1997 წელს ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო” „მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციების” პროგრამის ფარგლებში ჩაატარა კვლევა, რომელშიც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო დაედგინათ, რატომ არ მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში VI–XII კლასის მოსწავლეთა მშობლები? გამოიკვეთა, სკოლაში საკლასო კრებებზე დადის მშობლების 9-11%, სკოლის გადაწყვეტილებებში იღებს მონაწილეობას 5-6%. გამოკითხულთა 80% აღიარებდა, რომ სკოლაში არ დადის იმიტომ, რომ მას არ აქვს სურვილი საკუთარი შვილის ცუდი აკადემიური მოსწრების გამო საყვედურები მოისმინოს საჯაროდ.

ძნელი წარმოსადგენი არაა, რა დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ნიშნის მიმართ. ნიშნით შეფასება შიშთან, უნდობლობასთან, შურსა და უსიამოვნო განცდებთან ასოცირდება. ამიტომ სკოლასა და ოჯახს შორის, ასევე საკლასო ოთახში მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო შეცვალა გამუდმებული ჯიბრისა და ურთიერთგაუცხოების გარემომ.

იმის გამო, რომ ხშირად მოსწავლეებს მშობლები კარგი ნიშნებისთვის გარკვეულ „სარგებელს” ჰპირდებიან, ნიშანი სკოლასა და ოჯახში ძალაუფლების მოპოვების საშუალებად გადაიქცა. კლასიდან კლასში გადასვლისას მატულობს მოსწავლეთა უკმაყოფილება ნიშნების თაობაზე და ხშირად ის ვაჭრობის საგანიც ხდება. ნიშნები მათ ესაჭიროებათ არა როგორც საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონის, არამედ, როგორც „სარგებლისა” და მეტი „ძალაუფლების” მომტანი საშუალება. რაც უფრო მაღალია ნიშანი, სკოლასა და ოჯახს შორის მით უფრო თბილი და მშვიდობიანია ურთიერთობები. მოსწავლეს მისი ნებისმიერი გზით მოპოვების სურვილი უჩნდება და საერთოდ არც ფიქრობს, იმსახურებს თუ არა ამ შეფასებას.

ამ შემთხვევაში ბავშვი ნამდვილად არ არის დამნაშავე. უფროსების ასეთი დამოკიდებულება უბიძგებს მოზარდს თავდაცვის მექანიზმები შეიმუშაოს იმ აგრესიულ ქმედებებზე, რომელიც, სამწუხაროდ, დაბალ ნიშანს მოჰყვება ხოლმე. რამდენი ბავშვიცაა კლასში, იმდენი „თავდაცვის“ ხერხი არსებობს. ერთი მხრივ ჩვენ ვასწავლით მოსწავლეებს სამართლიანობას, მეორე მხრივ კი მართალი შეფასების მოთხოვნით, ვაჩვენებთ ტყუილს, თავდაცვას ნებისმიერი ხერხით, რათა დაიმსახურონ მაღალი ნიშანი.

ისმის კითხვები:

1. ნიშნების რომელ სისტემას უნდა მივცეთ უპირატესობა: მოსწავლეთა თანრიგის, თუ მათი პიროვნული განვითარების ხელშემწყობს?
2. შეფასებამ მხოლოდ წარმატება უნდა გამოხატოს თუ მოსწავლეთა გულმოდგინება და ყოფაქცევაც?
3. ვალდებულია თუ არა მასწავლებელი, შეძლებისამებრ ხშირად აღნიშნოს მოსწავლეთა წარმატება ბალებით, თუ მხოლოდ პერიოდულად, მაგალითად ყოველკვარტალურად და ა.შ.

შეფასების გამჭვირვალობას ხელს უწყობს პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა შორის თანამშროლობა, რაც ბავშვებში დამოუკიდებლად სწავლის (თვითკონტროლი და თვითშეფასება) და სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამის გარეშე სასწავლო პროცესი არაოგანიზებულია და არც თუ შედეგიანი. როგორც წესი, ტრადიციულ სკოლაში მასწავლებელი არის სასწავლო პროცესის მმართველი. მასწავლებლები მოსწავლეებს არ აცნობენ შეფასებისა და კონტროლის ინსტრუმენტებს (კრიტერიუმებს), რადგან მიაჩნიათ, რომ ზედმეტი „თავის ტკივილია“: „კრიტერიუმების მოსწავლეებისათვის გაცნობა ვინ იცის სადამდე მიგვიყვანს?!“ ასეთია პედაგოგთა კომენტარები. პასუხგასაცემია კითხვები: მოსწავლემ იცის, ვის ეკუთვნის შეფასების სისტემის კონტროლი? რამდენად აქვთ მოსწავლეებს სწავლის მოტივაცია? რატომ? მოსწავლის ჩართვა შეფასების სისტემაში რა ზეგავლენას მოახდენს სწავლის მოტივაციაზე, დამოუკიდებლობასა და სწავლის ხარისხზე?

შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს და მოტივაციას?

ჩვენი ექსპერიმენტის მიზანია: თანმიმდევრულად და სისტემურად გაიზარდოს მოსწავლეთა ჩართვა საკუთარი საქმიანობის კონტროლისა და შეფასების კრიტერიუმების, კომპონენტების, მექანიზმების შემუშავებაში.

საჭიროა, პედაგოგთა უმრავლესობამ კარგად გაიაზროს, რა განხვავებაა განმსაზღვრელსა (ნიშნებით შეფასებასა) და განმავითარებელ შეფასებას შორის (იხ. ცხრილი №14). გამოვკვეთთ განმავითარებელი შეფასების უპირატესობა ქულობრივ სისტემაზე. ამისათვის კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ფასდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ის უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეებმა ეს ცოდნა დააგროვეს. ანუ, „ვიცი, მაგრამ ჯერ არ შემიძლია“ დამოკიდებულება იცვლება „არ შემიძლია ე.ი. არ ვიცი“ პრინციპით. ეს განხვავება მკვეთრად ცვლის შეფასებისადმი დამოკიდებულებას. რადგან, ცოდნის ოდენობის შეფასება რაოდენობრივად შესაძლებელია, მაგრამ უნარების ქულებითა და საშუალო არითმეტიკულით გამოყვანა არავალიდური და არასანდოა. მოსწავლის ნიშანს საკმაოდ დაბლა სწევს და სწავლის სურვილს აკარგინებს.

ექსპერიმენტის პირველი ეტაპის დახმარებით გვსურს შეფასებისადმი დამოკიდებულების შეცვლა. გასათვალისწინებელია, რომ განმავითარებელი შეფასება ქულებით შეფასებისაგან განსხვავებით მხოლოდ მასწავლებლის საქმიანობა არ არის, მას გააჩნია მთელი რიგი თავისებურებები.

განმავითარებელი შეფასების მიზანი დამოკიდებულია შეფასების პროცესში ჩართულ მიზნობრივ ჯგუფზე და იცვლება ინდივიდიდან გამომდინარე. სახელმწიფო დოკუმენტში (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011–2016 წწ) აღნიშნულია:

ცხრილი №15 განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას შორის განსხვავება

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის	სწავლის ხარისხის

	გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა.	გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა; ეროვნული სასწავლო გეგმით მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა; ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო მიზნებთან მიმართებაში;
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსაზღვრული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა არიგებების მიცემა და სხვა.	მომდევნ ეტაპზე (კლასში/ საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმატების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით-რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განმსაზღვრულ შედეგებს (ყველასთვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმებთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვითშეფასება/ურთიერთშეფა სების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

განმავითარებელი შეფასება ემსახურება სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების დადგენასა და მის დროულ კორექციას, რათა სასწავლო პროცესი მიზანმიმართულად წარიმართოს, განმსაზღვრელი შეფასება კი - მოსწავლეთა შედეგებში არსებულ ხარვეზების დადგენას. მისი დანიშნულებაა სწავლის ხარისხის გაკონტროლება და მოსწავლის მიღწევების დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან შედარებით. შეფასების მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს ნიშანი.

მოსწავლეების აქტიური ჩართვა შეფასების პროცესში ნიშნავს:

- თავად განსაზღვრონ საკუთარი განვითარების დონე;
- აირჩიონ თავისი დონის შესაბამისი დავალებები;
- მასწავლებელთან ერთად შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები, კომპონენტები, ინსტრუმენტები, განვითარების სტრატეგია;

ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მოსწავლეებს თვითრეალიზების საშუალებას აძლევს, შესაბამისად მათულობს სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულება.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით მიმდინარე შეფასება მოსწავლის სისტემატური შეფასების საშუალებას არ გვაძლევს, რადგან საკლასო ოთახში 25-30 მოსწავლეა, ზოგ შემთხვევაში უფრო მეტიც, ამიტომ ვერ მოხერხდება მოსწავლის ყველა კომპონენტში ყოველდღიური ნიშნით შეფასება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ექსპერიმენტის დროს საკლასო ოთახში წავაწყდით და რაც მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობის დაქვეითებას იწვევს, ეროვნული შეფასების კანონიერებაა. განვმარტოთ, რა იგულისხმება შეფასების „კანონიერებაში“. იგი ქვეყანაში დადგენილ იმ წესებსა და კანონებს მოიცავს, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასება და რეიტინგი რიცხვთა ღერძზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 16 (1)-ში მოცემულია განმსაზღვრელი შეფასების მიზანი: „მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში” და „აკადემიური მოსწრების განსაზღვრა” (2011-2016 ს/წ ეროვნული სასწავლო გეგმა).

ამავე მუხლის პუნქტი 3-ის ზოგადი მითითებების მიხედვით მასწავლებელი სასწავლო პროცესის განმავლობაში გარკვეული პერიოდულობის მიხედვით აკვირდება და აკონტროლებს მოსწავლის განვითარების დინამიკას. მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასების დახმარებით მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა, სამოქმედო გეგმის შემუშავება და სხვადასხვა საშუალების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. აქვე მოცემულია მოსწავლის წარმატების კრიტერიუმი : „რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ დონეს“, ხოლო შეფასების საგანია სწავლის შედეგი. ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 16-ის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მასწავლებლის შესაბამისი ქცევაა:

- მოსწავლის სწავლება-სწავლის პროცესზე დაკვირვება;
- დიაგნოსტიკა/მოსწავლეთა საჭიროებისა და შესაძლებლობების დადგენა;
- მოსწავლისა და მისი მშობლისთვის შესაბამისი კომენტარის მიწოდება;
- მიღებული შედეგების საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზება და მოსწავლეთა მხარდაჭერა;
- გეგმის შესრულებაზე მონიტორინგი.

გ. ვიგინსის ნაშრომში „მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდები და სტრატეგიები“ ნათლად ჩანს ავტორის დამოკიდებულება მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასების მიმართ. მისი აზრით, მნიშვნელოვანია არ დაიკარგოს შეფასების განმავითარებელი ფუნქცია. განმსაზღვრელ შეფასებასთან დაკავშირებით ავტორი ფიქრობს, რომ ხშირად შემაჯამებელი შეფასება (ნიშანი) აქვეითებს მოსწავლეთა ინტერესს იმიტომ, რომ არასრულად გამოხატავს მათ მიღწევებს.

შეფასების რიცხვით ფორმაში გამოხატვა საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს სკოლის პედაგოგებისათვის. ჩვენი აზრით, სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ აქ თავს იჩენს შეფასების ორი სრულიად განსხვავებული სისტემის, „ცოდნისა“ და „უნარ-ჩვევების“ განვითარების შეფასების საკითხი. ორი პრინციპულად განსხვავებული მიგონაა:

1. ისწავლე იმისთვის, რომ აჯობო სხვას; (ბიჰევიორისტული)
2. „მოზარდი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავის თავისა,, ანუ ისწავლე იმისთვის, რომ იყო საუკეთესო (კოსტრუქტივისტული);

მოსწავლეთა ცოდნის ოდენობის შეფასებისას ფასდება მათი ერთი კონკრეტული საკითხის ცოდნა/არცოდნა. ასეთი მომენტების შედეგად მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით გამოანგარიშებული ქულა იძლევა იმის ალბათობას, რომ მიახლოებული სიზუსტით გამოხატოს მოსწავლის მიერ დაგროვილი ცოდნის ოდენობა, მაგრამ როგორცაა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეფასება, აქ საქმე სხვაგვარადაა. ამ დროს ფასდება არა რაოდენობა, არამედ უნარები და დამოკიდებულებები, რომელიც თვისებრივი მახასიათებლებია. ამიტომ მიდგომა, რომელიც გამოგვადგება ცოდნის რაოდენობის შესაფასებლად არაა ვალიდური და სანდო უნარ-ჩვევების შესაფასებლად.


ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (მუხლი 16) მოსწავლის შემაჯამებელი შეფასების ქულის გამოყვანა საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის საფუძველზე მიმდინარეობს. „მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე. ამ წესიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, საბოლოო შეფასებაში უპირატესობა ენიჭება საშუალო არითმეტიკულით მიღებულ შემაჯამებელ შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა „საშუალო არითმეტიკულით“ არ შეიძლება, რადგან შედეგი, რომელიც მოსწავლემ დიდი შრომით „მოიპოვა“ არ შეესაბამება „საშუალო არითმეტიკულით“ დადგენილ დონეს. იგნორირებულია განმავითარებელი შეფასების არსი, დანიშნულება. ასევე დაკნინებულია მიმდინარე და შემაჯამებელ-განმსაზღვრელი შეფასების განმავითარებელი, მასტიმულირებელი ფუნქცია, ძირითადი პრიორიტეტები, რომელსაც მიზნად ისახავს ეროვნული სასწავლო გეგმა: მოსწავლის შედეგების გაუმჯობესება, მის შესაძლებლობებსა და საჭიროებზე ორიენტირება, საერთოდ იკარგება. ამასვე ამტკიცებს მოსაზრება: „როგორ შეიძლება მიეწეროს ერთნაირი



აზრობრივი დატვირთვა ორ „სამიანს“, თუ ერთი გამოყვანილია 2+4 განლაგებიდან, ხოლო მეორე – 3+3-დან? ისინი ხომ სრულიად განსხვავებულ ფსიქოლოგიურ არსს შეიცავენ”(Б. Ананьев, «Психология педагогической оценки». 1935. <http://www.detskiysad.ru/ped/hrestomatia26.html>)

ამის დასადასტურებლად განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი სქემა 5.



სქემა 5.

მოცემული სქემა განვიხილოთ ერთი კონკრეტული მოსწავლის მაგალითზე (მხოლოდ ერთი კრიტერიუმის: „წაკითხული ტექსტის თანმიმდევრული გადმოსცემის“ მიხედვით). მოსწავლემ ერთ კონკრეტულ კრიტერიუმში გაიარა განვითარების აღნიშნული პროცესი. გარკვეული პერიოდის შემდეგ მასწავლებელი მიმდინარე შეფასებებს უწერდა მოსწავლეს კომენტარების სახით, ასევე აფასებდა ქულებით (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). მოსწავლის საბოლოო შემაჯამებელი შეფასება გამოდის  $(4+5+6+7) : 4=5,5$ . წარმოვიდგინოთ, რა ძალისხმევა დაჭირდებოდა მოსწავლეს ამ განვითარების გზის გასავლელად. აღნიშნული შეფასება არ ასახავს მოსწავლის მიერ მიღწეულ უნარს და არც შეფასების განმავითარებელ ფუნქციას ასრულებს. მოსწავლეს უჭირდა მარტივი ტექსტების თანმიმდევრული თხრობა, მასწავლებლის სწორად შერჩეული გეგმითა და სათანადო ძალისხმევით მიმდინარე კომენტარებით მოსწავლემ შეძლო საშუალო სირთულის ტექსტების თანმიმდევრული თხრობის უნარის დონემდე

მიეღწია. 5,5 არ შეესაბამება იმ ოპერაციულობას, რომელიც მოსწავლის რეალურ უნარს ასახავს.

აღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ მოსწავლის უნარების შეფასებისადმი ასეთი მიდგომა შეფასებას განმავითარებელ ფუნქციას აკარგვინებს, ასევე ქვეითდება მოსწავლის მოტივაცია, რადგან ის ვერ ხედავს რეალურად მიღწეულ შედეგს. “ребенок переживает за оценки, потому что они явно несправедливы, а не потому что стремится быть отличником любой ценой, он знает свои огрехи. Если отпустить и не вмешиваться, то у ребенка сложится мнение, что несправедливость побеждает.”( Оценки в школе - Форум сайта Няня.ру)

იმისათვის, რომ მოსწავლის განვითარების პროცესი შეფასდეს, საჭიროა შეფასება რეალურად უნდა ასახავდეს მოსწავლის მიერ დახარჯულ ენერგიას და შეესაბამებოდეს მის მიერ მიღწეული უნარ-ჩვევების დონეს. შემაჯამებელ შეფასებად უნდა ჩაითვალოს მოსწავლის მიერ მიღწეული დონე – „საშუალო სირთულის ტექსტების თანმიმდევრულად გადმოცემა”, რაც ჩვენ მიერ მინიჭებული ოპერაციულობის მიხედვით შვიდიანს შეესაბამება. მას „არ შეეძლო“ თანმიმდევრული თხრობა, ამჯერად „შეუძლია”. „მთავარია მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგი“ (ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 16). სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ გათვალისწინებული საჭიროებების საფუძველზე მან შეძლო თავისი შესაძლებლობების გაუმჯობესება.

მოსწავლეთა შეფასების დროს მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება შეფასების დიფერენცირების პრინციპს წარმოადგენს. ის ძალზედ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესაქმნელად. ამ მიდგომით მოსწავლის შრომა დაფასებულია, ეძლევა რა საშუალება, საკუთარი წარუმატებლობები ნელ-ნელა წარმატებებით შეცვალოს. ბავშვი ხედავს შრომის შედეგს, აკვირდება თავის მიღწევებს, მას ემატება თავდაჯერებულობა, შესაბამისად უყალიბდება სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, მატულობს მოტივაცია, მოსწავლის შემეცნებითი აქტიურობის დონე.

ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების დიფერენცირებული პრინციპი ერთ-ერთი მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად. ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთაღნიშნულის გამო, ძნელია დ. ლორთქიფანიძის მოსაზრების გაზიარება: „ეს იმას ნიშნავს, ცოდნის დადგენა უნდა ხდებოდეს მკაცრად დადგენილი წარმატებისა და ხუთნიშნაანი სისტემის მიხედვით, შესაბამისად ცოდნის იმ ხარისხისა, რომელსაც შემოწმების დროს გამოამჟღავნებს მოსწავლე“. (სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები თბილისი 1954 წ. გვ 258). შესაძლოა, რაიმე მიზეზის (ავადმყოფობის, საკითხის ვერ გაგების და სხვა) გამო მოსწავლემ ვერ შეძლო სათანადო ნიშნის მიღება, ნებისმიერი ტიპის შეფასება მიმართული უნდა იყოს შედეგების გაუმჯობესებისკენ. „შეფასება უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.“ (ეროვნული სასწავლო გეგმა 2012-2016 ს/წ თავი IV მუხლი 15.)

ექსპერიმენტის ფარგლებში მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება მიმართული იყო:

1. არა მარტო ცოდნისა და უნარ-ჩვევების განსაზღვრისაკენ, არამედ მოსწავლეთა პიროვნული ღირებულებების კორექციისა და ფორმირებისაკენ.
2. მოსწავლის მიღწევების განვიხილვა ხდებოდა მხოლოდ განვითარების დინამიკაში და არა სხვა მოსწავლეებთან შედარებით. შემაჯამებელი შეფასება მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს საკუთარი საქმიანობისა და პროგრამების მონიტორინგისათვის.
3. მოსწავლეები თავად ადგენდნენ საკუთარი განვითარების დონეს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საშუალებით. ირჩევდნენ საქმიანობებს დიფერენცირებული პროგრამებიდან (ტექსტების დამუშავება, პროექტები, ამოცანები, ესე, კვლევა, და სხვა), რომელსაც კონკრეტული მომენტისათვის თავად გაუმკლავდებოდნენ.
4. მოსწავლეების ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასება უნდა განიხილებოდეს არა საშუალო არითმეტიკულით, არამედ ზრდის დინამიკაში. იმ

შემთხვევაში, თუ მოსწავლის განვითარება (კრიტერიუმების მიხედვით) არ შეიმჩნევა, მოსწავლის ინდივიდუალურ გეგმაში უნდა შევიდეს ცვლილება-დამატებები. მოსწავლე მასწავლებლის მხრიდან უნდა გრძნობდეს მხარდაჭერასა და თანადგომას. ასეთი ურთიერთობები ზრდის მოსწავლეებში თავდაჯერებულობას, საკუთარ შესაძლებლობებში რწმენას, აკადემიურ მოსწრებას და ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებას.

5. მიგვაჩნია, რომ შემაჯამებელი ქულა უნდა იწერებოდეს მოსწავლის მიერ წლის ბოლოს მიღწეული დონის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს არ აკმაყოფილებს შედეგები, მას აუცილებლად უნდა მიეცეს გადაბარების საშუალება. სწავლის პროცესში მათი მუდმივი მხარდაჭერა, არჩევანის თავისუფლება საქმიანობებში, პროგრამებსა თუ შეფასების კომპონენტებში, მოსწავლეებში ავითარებს თვითგანსაზღვრისა და თვითრეგულირების უნარ-ჩვევებს, რაც ზრდის მათ პასუხისმგებლობას სწავლის მიმართ.

### **3.2 მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასების მეთოდები**

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასების მეთოდებია: ტესტირება, საკლასო და საკონტროლო სამუშაოები, საშინაო დავალება. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

**ტესტირება** მოსწავლის საქმიანობის დიაგნოსტიკის საშუალებას გვაძლევს. მას ძალიან ხშირად გამოიყენებენ სასწავლო პროცესში ჩავარდნების დადგენის და კორექციის მიზნით. მასწავლებელი ტესტის შედეგების საფუძველზე ადგენს სწავლაში პრობლემებსა და ჩავარდნებს. ტესტები სწორდება პედაგოგის მიერ და შესრულებული სამუშაოსთვის მიღებული ნიშანი იწერება ჟურნალში. მას შემაჯამებელი შეფასების როლი ეკისრება. მოსწავლეს მიღებული ნიშნის გამოსწორების საშუალება არ ეძლევა.

საკლასო სამუშაოებს, როგორც მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების საშუალებას, მასწავლებლები გაკვეთილზე ხშირად იყენებენ. ამ დროს მოსწავლეები პედაგოგების მიერ შერჩეულ სასწავლო ამოცანებს ასრულებენ. საკლასო სამუშაოების დახმარებით მასწავლებელი აკონტროლებს, რამდენად შეისწავლა კლასმა ერთი კონკრეტული თემა. ასეთი ტიპის სამუშაოები სწორდება მასწავლებლის მიერ და ნიშანი გადადის საკლასო ჟურნალში, როგორც მიმდინარე. საკლასო სამუშაოები ტარდება სისტემატურად, მოსწავლეთა ინდივიდუალური ცოდნის განსასაზღვრად.

**საკონტროლო სამუშაოს** მასწავლებლები ატარებენ ყოველი დიდი თემის დასრულების შემდეგ. მისი დანიშნულებაა განვსაზღვროთ, რამდენად კარგად აითვისა მოსწავლემ შესწავლილი თემა. აქ არის რამდენიმე პრინციპული მომენტი:

ა) საკონტროლო ტარდება ყოველი თემის დასრულების შემდეგ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველა მოსწავლეს არ შეუძლია მოცემულ დროში აითვისოს მასალა.

ბ) საკონტროლო სამუშაოების დროს, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, შეიძლება დავალებების სირთულეების მიხედვით დიფერენცირება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლეთა დონის შესაბამისობას სახელმწიფო სტანდარტთან, შეუძლებელი ხდება პროგრამის დიფერენცირება.

**საშინაო დავალება** (ზეპირი და წერიტი სამუშაოები) განსაზღვრული დავალებები შემოთავაზებულია ან მასწავლებლის ან მოსწავლის სახელმძღვანელოში. წერიტი დავალებები ძირითადად წიგნში მოცემული სავარჯიშოების შესრულებაა, თხრობა კი- ზეპირი დავალებების. მოსწავლის მიერ მიღებული შეფასება იწერება ჟურნალში, როგორც მიმდინარე შეფასება.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასებისა და მოსწავლეთა მონიტორინგის მხოლოდ ამ საშუალებებს იყენებენ დღეს ძირითადად მასწავლებლები სკოლაში.

ამ ტიპის შეფასება და მონიტორინგი არ ითვალისწინებს დიფერენცირებას და შესაბამისად შესაძლებლობები და საჭიროებები სასწავლო პროცესში ფაქტობრივად

იგნორირებულია, რადგან მოსწავლეებს არ ეძლევათ შეფასების კომპონენტების არჩევის საშუალება, ისინი სამინისტროს მიერაა განსაზღვრული.

ასევე წინასწარაა საგნობრივი სტანდარტების მიხედვით დადგენილი მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნების რაოდენობა. მართალია, სავალდებულოა კომენტარების გაკეთება (ზეპირი, წერილობითი), მაგრამ დაწერილ დავალებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ქულის დაწერა. შეფასება განმავითარებელ ფუნქციას ვერ ასრულებს და მოსწავლეები ვერ ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას, რის შედეგადაც ისინი საგანმანათლებლო პროცესის მიმართ ინტერესს კარგავენ.

ექსპერიმენტის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების დროს შესრულებული სამუშაოების (პროექტები, ესეები, რეფერატები, კვლევები და სხვა) რაოდენობას ნაკლებად ექცეოდა ყურადღება. მოსწავლის წერილობითი ნაშრომი სწორდებოდა მასწავლებლის მიერ, რომელიც ურთავდა კომენტარებს და მათი გათვალისწინებით ხდებოდა ნაშრომის კიდევ გადახედვა, ხელმეორედ გადაწერა ვიდრე არ მიიღებდა დასრულებულ ფორმას (სანამ არ იქნებოდა გათვალისწინებული კომენტარის ყველა პუნქტი). ასეთი მიდგომით მოსწავლეები სწავლობდნენ კარგი ნაშრომის შექმნას, რომელსაც ათავსებდნენ საკუთარ საქალაქში.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია: „სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით : ა) საშინაო დავალება; ბ) საკლასო დავალება; გ) შემაჯამებელი დავალება“; ასეთი დამოკიდებულება შეფასების მიმართ გამორიცხავს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება/სწავლის ორიენტირებს. „განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებია: საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასების ქულები—საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში“ მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასებისას აფასებს მხოლოდ მიღწეულ შედეგს. მას არ ეძლევა სისტემატური შეფასების საშუალება, რადგან მოსწავლეს აფასებს მარტო ერთი კონკრეტული გაკვეთილით. განმსაზღვრელი შეფასება საშუალებას არ აძლევს ორივე მხარეს, აწარმოონ დაკვირვება სხვადასხვა უნარ-ჩვევებზე, გამოიკვლიონ

შესაძლებლობები და დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყვნენ პროგრესზე ორიენტირებულები. ასეთი მიდგომით თითოეულის ინდივიდუალური შესაძლებლობები ვერ ფასდება. შეცდომა აღიქმება როგორც სასჯელი და არა როგორც სწავლის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამდენად, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი შეფასების მიმართ მხოლოდ შემაჯამებელი (მიმდინარე ქულებისა და მის საფუძველზე საშუალო არითმეტიკულით ნიშნის გამოყვანა) დამოკიდებულებით მათ ვერ ჩამოუყალიბდებათ მეტაკოგნიტური აზროვნება – დამოუკიდებლად დაგეგმონ და შეაფასონ თავიანთი განვითარების პროცესი. სწორედ ორგანიზებული შეფასება ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობის გაღრმავებაში და მათ მომავალი ცხოვრებისათვის ამზადებს.

განმავითარებელი შეფასების სისტემის საფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ ტრადიციული შეფასების სისტემისაგან მკვეთრად განსხვავებული სისტემა, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა პოტენციური შესაძლებლობები. სადაც უგულებელყოფილია ქულებით მოსწავლეთა შეფასება, ფასდება არა მხოლოდ მოსწავლეთა ცოდნა, არამედ უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები. 5 ბალიანი სისტემის 10 ბალიანით ჩანაცვლება კი არ მოხდა, არამედ ნიშნის გამოყვანის (სემესტრული და წლიური) დროს ძირითადი სამოქმედო პრინციპები ძირეულად შეიცვალა.

ამრიგად, განმსაზღვრელი შეფასება ორიენტირებულია მხოლოდ ცოდნის რაოდენობის შეფასებაზე და უგულებელყოფს მოსწავლეთა უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეფასების პროცესს. განმსაზღვრელი შეფასებისას მოსწავლეებში ჩნდება ცუდი ნიშნის მიღების შიში, ისინი შეზღუდულები არიან, მასწავლებლებსა და თანაკლასელებთან თავისუფლად ვერ საუბრობენ სწავლის პროცესში არსებულ პრობლემებზე, რაც განაპირობებს არაჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას, მაღალია კონფლიქტების რისკი (მასწავლებელი-მოსწავლე-მშობელი). იცვლება მოსწავლის პრიორიტეტები, მათთვის ნიშნის მოპოვებაა უპირატესი და

არა საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზება. ამ შემთხვევაში ახლის შემეცნების სურვილი დაბალია მიღებული ქულის საჭიროებასთან შედარებით.

განმსაზღვრელი შეფასება არ არის მიმართული მოსწავლის განვითარებაზე, მის პიროვნებად ფორმირებაზე. იგი ორიენტირებულია წარმატებისა თუ წარუმატებლობის აღრიცხვაზე. ასეთი სასწავლო გარემო მოსწავლეებში ვერ აღძრავს შემეცნებით ინტერესს, საკუთარი თავის რწმენას, აქვეითებს თვითრეალიზაციის სურვილს, თვითეფექტურობას, თვითშეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება მაქსიმალურად ხელს უშლის მოსწავლის პიროვნების სრულყოფილად განვითარებას, კარგავს აღმზრდელობით ფუნქციას.



## დასკვნები

- ამერიკისა და ევროპის სკოლებში უკვე დიდი ხანია შეიცვალა ნიშნებით (ქულებით) შეფასების სისტემა. მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება. ამისათვის კი ისინი შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს იყენებენ, რითაც ხელს უწყობენ მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას შესაბამისი სასწავლო გარემოს ორგანიზებით.
- XVII- XVIII საუკუნეებში საქართველოს სკოლებში მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასთან დაკავშირებით ორი განსხვავებული ხედვა იკვეთება. მთელი რიგი ავტორები უპირატესობას ანიჭებდნენ უნიშნო სწავლებას. საკუთარ ნაშრომებში აღნიშნავდნენ, რომ უნიშნო (განმავითარებელი) სწავლება ზრდის სწავლის მოტივაციას და ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითრეალიზებას. მეორენი კი, პირიქით, ნიშნებით (განმსაზღვრელი) შეფასებას თვლიან დადებითად.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კომპლექსურად გამოყენება ქმნის საუკეთესო პირობებს მოსწავლის თვითრეალიზაციისათვის, ასიმილაცია-აკომოდაციის მექანიზმების ეფექტური „მუშაობისთვის“ და მოსწავლეებში სათანადო ინტელექტუალური სქემების ჩამოყალიბებისთვის. განმავითარებელი შეფასება ზრდის საკუთარ განათლებაზე ზრუნვის პასუხისმგებლობას, მოსწავლეებს უყალიბდებათ მეტაკოგნიტური უნარები (საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა-შეფასება, აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ), რაც ხელს უწყობს სწავლის სწავლას, უზრუნველყოფს მაღალ აკადემიურ მოსწრებას და ხელს უწყობს ზნეობრივი პიროვნების ჩამოყალიბებას.
- ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების ძირითადი პრინციპებია: მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და თავისებურებების გათვალისწინება, ეროვნული სასწავლო გეგმისა და ინდივიდუალური საჭიროებების დაცვა, შეფასების ობიექტურობა, სამართლიანობა, მონიტორინგი და გამჭვირვალობა. ამ პრინციპების დაცვა ზრდის მოსწავლეთა შემეცნებით აქტიურობას, დამოუკიდებლად სწავლის მოტივაციას და პასუხისმგებლობას. სკოლაში ყალიბდება ჯანსაღი და

უსაფრთხო გარემო. შეფასების ეს ტიპი საშუალებას გვაძლევს, მოსწავლე შევაფასოთ კოგნიტური, ემოციურ-ღირებულებითი და ფსიქომოტორული სფეროების მიხედვით. სწორედ ეს უკანასკნელი ორი სფერო ანიჭებს შეფასებას აღმზრდელობით ფუნქციას და ხელს უწყობს მოსწავლეებში პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას და სოციუმში თვითრეალიზებას.

- მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებისა და შეფასების რეიტინგულ-დაგროვებითი სისტემა მოიცავს საქმიანობის ნუსხას, რომელიც შედეგების სახითაა ფორმულირებული და იყოფა ორ ნაწილად: პირველ ნაწილში შედის სტანდარტით განსაზღვრული აუცილებელი მინიმუმი. მეორე კი, ვარიანტული ნაწილია, საიდანაც მოსწავლე სასურველი ქულების რაოდენობას „აგროვებს“ კომპეტენციის გარკვეული დონის მისაღწევად. ამ საქმიანობის სახეებია: პრეზენტაციებისა და პროექტების შესრულება, კვლევების ჩატარება, პორტფოლიოს წარმოება, საკონფერენციო ნაშრომის შემუშავება, ჟურნალების გამოცემა, წიგნების შექმნა, და ა.შ. ქცევითი ნორმების მოთხოვნებს: დასწრება, აქტიურობა, გაკვეთილზე ქცევის წესების დაცვა და სხვა. ისეთ თვისებებს, რომლებსაც გამომუშავება ესაჭიროება. მაგ: ასეთი შეიძლება იყოს პუნქტუალობა. ეს პარამეტრიც შეიძლება, შევიდეს რეიტინგულ-დაგროვებით სისტემაში და გარკვეული ქულით შეფასდეს.

- მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებისა და შეფასების რეიტინგულ-დაგროვებითი სისტემა მოიცავს დამატებით პარამეტრებს, რაც შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის გამოხმაურება მეგობრების, სამინისტროს, ადმინისტრაციის მხრიდან და ა.შ. (სერთიფიკატები, ოლიმპიადები, მაძლობის გამოცხადება და სხვა). ყველა ის გამოხმაურება, რომელმაც საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, შეგვიძლია, რეიტინგულ მოდელში შევიტანოთ და გარკვეული ქულაც მივანიჭოთ;

- რეიტინგული სისტემა ხარისხიანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის ხელშემწყობი პირობაა, რაც მოიაზრებს უახლესი სასწავლო ტექნოლოგიების საფუძველზე მოსწავლეთა ცოდნის დონის, შემოქმედებითი აზროვნების აქტივაციისა და მოტივაციის ზრდას.

- სასწავლო პროცესში შეფასების მეთოდების ეფექტურობას განსაზღვრავს შემდეგი მახასიათებლები: სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა, მიზნების სტანდარტთან შესაბამისობა, შეფასების სიხშირე/პერიოდულობა, შეფასების შედეგების ანალიზი.
- განმსაზღვრელი შეფასების დახმარებით ვადგენთ მოსწავლის ცოდნის დონეს განსაზღვრულ ეტაპზე, მას აქვს დიაგნოსტიკის, ინფორმაციის მოგროვებისა და შეჯამების ფუნქცია. მისი ყოველდღიური შეფასებისათვის გამოყენება ასევე, საშუალო არითმეტიკულით ნიშნის გამოყვანა და შეჯამებული ქულით მოსწავლის მიღწევების, შედეგების შეფასება, მოსწავლეებში აფერხებს სოციალური უნარ-ჩვევების, თანადგომის, ტოლერანტობის და სხვა ღირებულებების (დამოკიდებულებები) ჩამოყალიბებას, ასეთი სასწავლო გარემო მოსწავლეებში ვერ აღძრავს საკუთარი თავის რწმენას, აქვეითებს თვითეფექტურობას, თვითშეფასებას, მასწავლებლის მიმართ ნდობას, არ ეძლევათ მოსწავლეებს თვითრეალიზების საშუალება.
- განმსაზღვრელი შეფასება ორიენტირებულია მხოლოდ ცოდნის რაოდენობის შეფასებაზე და უგულებელყოფს მოსწავლეთა უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეფასების პროცესს. განმსაზღვრელი შეფასებისას მოსწავლეებში ჩნდება ცუდი ნიშნის მიღების შიში, ისინი შეზღუდულები არიან, მასწავლებლებსა და თანაკლასელებთან თავისუფლად ვერ საუბრობენ სწავლის პროცესში არსებულ პრობლემებზე, რაც განაპირობებს არაჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას, მაღალია კონფლიქტების რისკი (მასწავლებელი-მოსწავლე-მშობელი). იცვლება მოსწავლის პრიორიტეტები, მათთვის ნიშნის მოპოვებაა უპირატესი და არა საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზება. ამ შემთხვევაში ახლის შემეცნების სურვილი დაბალია მიღებული ქულის საჭიროებასთან შედარებით.
- ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განმსაზღვრელი შეფასება არ არის მიმართული მოსწავლის განვითარებაზე, პიროვნებად ფორმირებაზე. იგი ორიენტირებულია წარმატებისა თუ წარუმატებლობის აღრიცხვაზე. ასეთი მიდგომით განმსაზღვრელი შეფასება მაქსიმალურად ხელს უშლის მოსწავლის პიროვნების სრულყოფილად განვითარებას და კარგავს აღმზრდელობით ფუნქციას. ამიტომ

მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასების არსებული ხედვა უნდა შეიცვალოს დემოკრატიული და ჰუმანური პრინციპებით, მოსწავლის მიერ მიღებული ნიშნებისა არა საშუალო არითმეტიკულით, არამედ მათ მიერ მიღწეული შედეგების და შესრულებული სამუშაოს ხარისხით.

- მოსწავლეთა შეფასების სწორად შერჩეული სრტატეგიების, მეთოდების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების მიზანმიმართული დაგეგმვა და გამოყენება (მშობელთან მიმოწერის ელექტრონული დღიურები, ელექტრონული საქაღალდეები და სხვა) ზრდის შეფასების გამჭვირვალობას, ობიექტურობას, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. ეხმარება მასწავლებელს, სწრაფად განსაზღვროს მოსწავლის არსებული დონე, აღმოაჩინოს მისი სუსტი მხარეები და მიიღოს სწრაფი გადაწყვეტილებები სწავლება- სწავლაში ჩავარდნების გამოსასწორებლად.

- ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფციაში, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების დანიშნულებასა და მოსწავლეთა ნიშნის გამოყვანის სისტემას შორის არსებობო მთელი რიგი უზუსტობები. ამიტომ არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემუშავებულია რეკომენდაციები.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბილეიშვილი ი. „პედაგოგიკითეორიისა და ისტორიის საკითხები“, ბათუმი 2011წ.
2. ბიბილეიშვილი ი. „სწავლების ფუნქციები“ ფსიქოლოგია, პედაგოგიკა XII შრომები გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ბათუმი 2008წ. გვ.181
3. ბიბილეიშვილი ი. „სწავლების ფუნქციები“ ფსიქოლოგია, პედაგოგიკა XIV შრომები გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ბათუმი 2009წ. გვ.189
4. ბარამიძე ნ. „შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა“ ბათუმი 1995წ.
5. ბარამიძე ნ. „აქსელერცია და შორეული მოტივაციური ქცევა“ ბათუმი 2008 წ
6. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი. 2007წ.
7. გურგენიძე დ. „პედაგოგიკა“ თბილისი 1986წ.
8. განათლების ფსიქოლოგია. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი თბილისი. 2005წ.
9. ეროვნული სასწავლო გეგმა. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი. 2007წ. 2011-2016 წ <http://mes.gov.ge/index.php?m=102>
10. კომენსკი ი.ა. „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“ ”ცოდნა“, თბილისი 1958წ.
11. კომენსკი ი.ა. „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“ ტომი I, „დიდი დიდაქტიკა“, თავი XVII, XVIII, XIX. თბილისი 1949წ.
12. კითხვისა და წერის მეთოდები „ასოციაცია სკოლა-ოჯახი-სახოგადოება“ ი. კიკვაძე, პ. პაპავა 2006 წ.
13. ლორთქიფანიძე დ. „პედაგოგიკა“, თბილისი 1969წ.
14. ლეფრანსუა გ. „ფსიქოლოგია მასწავლებლისათვის“ მოსკოვი „ალმაპრესი“ 2003წ გვ. 216
15. მალრაძე მ. განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, ქუთაისი 2008წ. გვ.65.
16. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. მასწავლებელთა პროფესიური განათლების ცენტრი. 2008წ. თბილისი.
17. მერედითი კ. კროუფორდი ა. სთილი ჯ. თ მპლი ჩ. კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის. I სახელმძღვანელო „რა არის კრიტიკული აზროვნება“ 1998 წ.

18. მერედითი კ. კროუფორდი ა. სთილი ჯ. თ მპლი ჩ. „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის: II-III-IV სახელმძღვანელო „კითხვისა და წერის მეთოდები" 1998 წ.
19. მერედითი კ. კროუფორდი ა. სთილი ჯ. თ მპლი ჩ. „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის: V სახელმძღვანელო „თანამშრომლობითი სწავლება" 1998 წ.
20. მერედითი კ. კროუფორდი ა. სთილი ჯ. თ მპლი ჩ. „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის: VI სახელმძღვანელო „შეფასება და დაგეგმვა" 1998 წ.
21. მერედითი კ. კროუფორდი ა. სთილი ჯ. თ მპლი ჩ. „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის: VII–VIII სახელმძღვანელო „აკადემიური წერის მეთოდები" 1998 წ.
22. მერედითი კ. კროუფორდი ა. სთილი ჯ. თ მპლი ჩ. „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის: "მასწავლებლის სახელმძღვანელო" 2005 წ.
23. მოსწავლეთა და მასწავლებელთა შეფასების სტანდარტები. “კითხვის საერთაშორისო ასოციაცია”. <http://reading.org>
24. ნიჟარაძე ნ. მაკლეინი ქ. ბოლი ტ. გოგიჩაძე ნ. ლოდია თ. „სასწავლო და პროფესიული გარემო“ მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი, 2008.
25. პაპავა პ. თვალაშვილი პ. მკურნალიძე ლ. მიმინოშვილი ზ. „სკოლების განახლება საქართველოში“. ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“, თბილისი 2005წ
26. ჟურნალი „წიგნიერი“ სტატიები. ანთოლოგია, ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“. თბილისი, 2003წ.
27. ჟურნალი „წიგნიერი“ ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“. თბილისი 2001-2006წ.
28. „როგორ ვასწავლოთ აზროვნება“. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი, 2007. <http://rpdc..org/index.php?m=126>
29. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ" 2004წ.
30. „სასარგებლო რესურსები“ : ნაწილი I, ნაწილი III“. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი, 2007. <http://ganatleba.org/index.php?m=126>
31. ტყემალაძე რ. დალაქიშვილი ნ. თოფაძე ქ. პაჭკორია თ. ბუწაშვილი თ. „სწავლება და შეფასება“ მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი, 2008.

32. უზნაძე დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, საქ. სსრ. მეცნ. აკადემია გამოცემა, 1960წ.
33. უზნაძე დ. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია „ნეკერი“ 1997წ
34. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. 2003წ.
35. ყოლბაია მ. ბავშვის ფსიქოლოგია თბილისი 1998წ.
36. ჩხარტიშვილი. შ. „ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები“. თბილისი. 1980 წ.
37. ჭაბაშვილი. მ . უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი.1989წ
38. ხარლამოვი ი. პედაგოგიკა 2000წ. მოსკოვი 2003წ
39. ჯანაშია ნ. იმედაძე ნ. გორგოძე ს. „განვითარებისა და სწავლის თეორიები“ მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი, 2008.
40. **Б.Ананийев**, “Психология педагогической оценки”,1935г.  
<http://www.detskiysad.ru/ped/hrestomatia26.html>
41. Амонашвили. Ш. «Воспитательная и образовательная функция оценки учения школьников». педагогика. Москва. 1984 г.
42. Виготский. Л, избранные психологические исследования, Москва 1956 г, ст. 439
43. . “Об учебных программах и режиме в начальной и средней школе” 1932г Средняя общеобразовательная школа math.mioo.ru/metod09/.../uplan-66-74.html  
Standards of Authentic Instruction
44. Педагогическая психология И.А. Зимняя МОСКВА »ЛОГОС» 2001г.
45. Педагогия и психология Л.Д. Столяренко С.И. Самыгин Ростов-на-Дону «Феникс»2000г
46. Педагогия для учителя Ги Лефрансуа МОСКВА «ОЛМА-ПРЕСС» 2003 г
47. Словарь терминов
48. Оценки в школе - Форум сайта Няня.ру
49. [http://dugward.ru/library/chatskiy/chatskiy\\_gody\\_iskaniy1.html](http://dugward.ru/library/chatskiy/chatskiy_gody_iskaniy1.html)
50. [www. Historyofpedagogy. ru.](http://www.Historyofpedagogy.ru)
51. LIFE SKILLS MATHEMATICS AMERICANGUIDANCE SERVICE, INC Donald H. Jacobs August V.Treff
52. TEACHING AND LEARNING STRATEGIES FOR THE THINKING CLASSROOM

53. ALLAN CRAWFORD, E, WERDY SAUL; SAMUEL MATHEWS , JAMES MAKINSTER.  
A Publication of: the Reading and Writing for Critical Thinking project 2005. www. rwct. org
54. [Microsoft Word <documents/Math%20Differentiation%20Brief.doc>](#) | [Наносно-глинистый PDF <documents/Math%20Differentiation%20Brief.pdf>](#)
55. Strategies for Reading& Wrating in Midlle and Higt school classroom
56. <http://www.criticalthinkinginternational.org>
57. Dewey,j. (1916/1944). Democracy and education. New York: Macmillan.
58. Eggen, P. D. (2007). Educational psychology: Windows on classrooms (7th ed.). Upper Saddle River, NJ: Pearson.
59. Gardner, H. (2006). Multiple intelligences: New horizons (Rev. ed.). New York: Basic Books.
60. Goleman, D. (1995). Emotional intelligence. New York: Batman Books.
61. Graham, P.A. (2005). Schooling America. How the public schools meet the nation's changing needs. Oxford University Press.
62. Hoy, A. W. (2007). Educational psychology (10th ed.). Boston, MA: Allyn & Bacon.
63. Kramer, Rita. (1976). Maria montessori. New York: G.P. Putman's Sons.
64. Lillard, A., & Else-Quest. (2008). Evaluating Montessori education.
65. Retrieved June 30, 2008 from <http://www.sciencemag.org>
66. Montessori, M. (2002). The montessori method (5th ed.). Mineola, New York: Dover Publications. Inc.
67. Myers, D. G. (2007). psychology (8th ed.). New York: Worth.
68. National Association for the Education of Young Children. (1966). Montessori in perspective. Tom Pitersi „school portfolio“ [осго I](#)  
[.Rules and regulations 2011/2012- European School Strasbourg](#)
69. [Coalition of Essential Schools.](#)
70. [The Black Plague - Classroom Simulation Why Should Assessment Be Based on a Vision of Learning?](#)
71. [Assessment, Evaluation, and Curriculum Redesign\).](#)
72. [Fairland Public School\) Cairo English School](#)



## დანართი №1

ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი მე-4

შეფასების კომპონენტი: კითხვა

კ	1	2	3
წიგნის, ტექსტის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა	ვერ ამოიცნობს წიგნის ძირითად მახასიათებლებს (ყდა, ავტორი, ილუსტრაცია და ა. შ.) და არ შეუძლია დამოუკიდებლად მისი მოდელის შექმნა	საუბრობს წიგნის ზოგიერთ ძირითად მახასიათებელზე (ყდა, ავტორი, ილუსტრაცია და ა. შ.) და იშვიათად შეუძლია დამოუკიდებლად მისი მოდელის შექმნა	ყოველთვის შეუძლია ისაუბროს წიგნის ძირითად მახასიათებლებზე (ყდა, ავტორი, ილუსტრაცია და ა. შ.) და შექმნას მისი მოდელი
	უჭირს ასო-ბგერების, მარცვლების, სიტყვების, წინადადებების და აბზაცების ამოცნობა და მათი დანიშნულების განსაზღვრა	ზოგჯერ ამოიცნობს ასო-ბგერებს, მარცვლებს, სიტყვებს, წინადადებებს, აბზაცებს, მაგრამ არ იცის მათი დანიშნულება	ყოველთვის ამოიცნობს ასო-ბგერებს, მარცვლებს, სიტყვებს, წინადადებებს, აბზაცებს და განსაზღვრავს მათ დანიშნულებას
ფონეტიკური ცოდნა	უჭირს ტექსტის ხმამაღლა და გარკვევით წაკითხვა, სასვენი ნიშნების ამოცნობა, ვერ იცავს სათანადო ინტონაციას	ზოგჯერ ხმამაღლა და გარკვევით კითხულობს ტექსტს და ამოიცნობს სასვენი ნიშნებს, იცავს სათანადო ინტონაციას	ხმამაღლა და გარკვევით კითხულობს ტექსტს, ამოიცნობს სასვენი ნიშნებს, იცავს სათანადო ინტონაციას
გამართულად კითხვა	უჭირს გაბმულად კითხვა, უშვებს შეცდომებს	ზოგჯერ კითხულობს გაბმულად და გამომეტყველებით, უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს	ყოველთვის კითხულობს გაბმულად, გამომეტყველებით და უშვებდომოდ
	კითხულობს ძალიან ნელა	ზოგჯერ კითხულობს სათანადო სიჩქარით	კითხულობს სათანადო სიჩქარით

შეგნებულ კითხვა	უჭირს ტექსტიდან უცხო სიტყვების, ფრაზების მნიშვნელობის ამოცნობა, გაგება და საკუთარი სიტყვებით გადმოცემა	ზოგჯერ ტექსტიდან ამოიცნობს უცხო სიტყვებს, ფრაზებს და განმარტავს საკუთარი სიტყვებით	ყოველთვის ამოიცნობს უცხო სიტყვებს, ფრაზებს და საკუთარი სიტყვებით განმარტავს
	უჭირს ტექსტის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა, შესაბამისი ილუსტრაციების შექმნა. არ სვამს შეკითხვებს	ტექსტის შინაარსს საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს, ქმნის ილუსტრაციებს, მაგრამ იშვიათად სვამს ლოგიკურ შეკითხვებს	ტექსტის შინაარსს ყოველთვის საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს, ქმნის შესაბამის ილუსტრაციებს და სვამს ლოგიკურ შეკითხვებს
	უჭირს მასწავლებლის ინსტრუქციების შესრულება და კითხვის სტრატეგიების შესაბამისად გამოყენება	ზოგჯერ ეფექტურად ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს და იყენებს კითხვის შესაბამის სტრატეგიებს	ყოველთვის ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს და იყენებს კითხვის სტრატეგიებს

შეფასების კომპონენტი: წერა

კრიტერიუმი	1	2	3
წერის კულტურა	ვერ წერს სუფთად და ლამაზად	ზოგჯერ წერს სუფთად და ლამაზად	ყოველთვის წერს სუფთად და ლამაზად
	უჭირს გრამატიკული ნორმების დაცვა (ხშირად ტოვებს ასო-ბგერებს, ვერ იცავს სასვენ ნიშნებს, ზმნის დროს, რიცხვს და ა. შ.)	ზოგჯერ იცავს გრამატიკულ ნორმებს (არ ტოვებს ასო-ბგერებს, მაგრამ ვერ იცავს სასვენ ნიშნებს, ზმნის დროს, რიცხვს და ა. შ.)	ყოველთვის წერს გრამატიკული ნორმების დაცვით (არ ტოვებს ასო-ბგერებს, იცავს სასვენ ნიშნებს, ზმნის დროს, რიცხვს და ა. შ.)

ნაწერის სტრუქტურა	უჭირს ნაწერში აზრის თანმიმდებრულად გადმოცემა	ზოგჯერ ნაწერში აზრს თანმიმდევრულად გადმოსცემს	ნაწერში აზრს ყოველთვის თანმიმდევრულად გადმოსცემს
	წერის დროს უჭირს ნაცნობი ლექსიკის გამოყენება	წერის დროს ზოგჯერ იყენებს ნაცნობ ლექსიკას	წერის დროს ყოველთვის იყენებს ნაცნობ ლექსიკას
	ნაწერი იშვიათად პასუხობს სათაურს	ნაწერი ზოგჯერ პასუხობს სათაურს	ნაწერი ყოველთვის პასუხობს სათაურს

შეფასების კომპონენტი: მეტყველება

კრიტერიუმი	1	2	3
მეტყველების კულტურა	უჭირს სურათების, ილუსტრაციების აღწერა და ფაქტების თანმიმდევრულად გადმოცემა	ზოგჯერ აღწერს სურათებს, ილუსტრაციებს და თანმიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებს	ოველთვის აღწერს სურათებს, ილუსტრაციებს და თანმიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებს
	უჭირს პერსონაჟების დახასიათება და მათი საქციელის, ემოციური მდგომარეობის შეფასება (კეთილი, ბოროტი, გულუხვი, მოწყენილი, მხიარული და ა. შ.)	ზოგჯერ ახასიათებს პერსონაჟებს, აფასებს მათ საქციელს და ემოციურ მდგომარეობას (კეთილი, ბოროტი, გულუხვი, მოწყენილი, მხიარული და ა. შ.)	ყოველთვის ახასიათებს პერსონაჟებს, აფასებს მათ საქციელს და ემოციურ მდგომარეობას (კეთილი, ბოროტი, გულუხვი, მოწყენილი, მხიარული და ა. შ.)
	უჭირს წაკითხული მონაკვეთის დასრულება საკუთარი ფანტაზიით	ზოგჯერ შეუძლია წაკითხული მონაკვეთის საკუთარი ფანტაზიით დასრულება	ყოველთვის შეუძლია წაკითხული მონაკვეთის დასრულება საკუთარი ფანტაზიით
მოსმენის კულტურა და თანამშრომლობა	ყურადღებით არ უსმენს თხრობას და უჭირს დასმულ შეკითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა	ზოგჯერ ყურადღებით უსმენს თხრობას და დასმულ შეკითხვებზე ადეკვატურად პასუხობს	ყოველთვის ყურადღებით უსმენს თხრობას და დასმულ შეკითხვებზე ადეკვატურ პასუხებს იძლევა

	არ ეხმარება ჯგუფის წევრებს საკუთარი აზრის გადმოცემაში და არ ისმენს სხვების მოსაზრებებს	ზოგჯერ ეხმარება ჯგუფის წევრებს საკუთარი აზრის გადმოცემაში და იშვიათად იზიარებს სხვების მოსაზრებებს	ყოველთვის ეხმარება ჯგუფის წევრებს საკუთარი აზრის გადმოცემაში და პატივს სცემს სხვების მოსაზრებებს
--	---	--	---

## მათემატიკა

შეფასების კომპონენტი: მსჯელობა/მეტყველება

კრიტერიუმი	1	2	3
რიცხვები და მოქმედებები	უჭირს არითმეტიკული მოქმედებების შესრულება და ზეპირად ანგარიში (მიმატება, გამოკლება)	ხშირად სწორად ასრულებს არითმეტიკულ მოქმედებებს, ანგარიშობს ზეპირად (მიმატება, გამოკლება)	ყოველთვის სწორად ასრულებს არითმეტიკულ მოქმედებებს, ანგარიშობს ზეპირად (მიმატება, გამოკლება)
	უჭირს რიცხვებს და რიცხვით სახელებს შორის დამოკიდებულებების დაკავშირება და მათზე მსჯელობა	ხშირად აკავშირებს რიცხვებს და რიცხვით სახელებს შორის დამოკიდებულებებს და მათზე მსჯელობს	ყოველთვის შეუძლია რიცხვებს და რიცხვით სახელებს შორის დამოკიდებულებების დაკავშირება და მათზე მსჯელობა
გეომეტრია და სივრცითი აღქმა	უჭირს ფიგურების აღწერა, შედარება, მსგავსება- განსხვავებებზე მსჯელობა და კატეგორიზება	ხშირად აღწერს ფიგურებს, ადარებს, მსჯელობს მსგავსება- განსხვავებებზე (ზომებზე, ფორმებზე და ა. შ.) და კატეგორიზებას უკეთებს მათ	ყოველთვის აღწერს ფიგურებს, ადარებს, მსჯელობს მსგავსება- განსხვავებებზე (ზომებზე, ფორმებზე და ა. შ.) და კატეგორიზებას უკეთებს მათ
	უჭირს გეომეტრიული ფიგურების აგება და მათგან მოდელების შექმნა	ხშირად აგებს გეომეტრიულ ფიგურებს და მათგან ქმნის მოდელებს	ყოველთვის შეუძლია გეომეტრიული ფიგურების აგება და მათგან მოდელების შექმნა

მსჯელობა	იცის ზოგიერთი არითმეტიკული წესი, ტერმინი და კანონი, მაგრამ უჭირს მათი ადეკვატურად გამოყენება მსჯელობის დროს	იცის არითმეტიკული წესები, ტერმინები, კანონები და ხშირად ადეკვატურად იყენებს მათ მსჯელობის დროს	ყოველთვის იცის არითმეტიკული წესები, ტერმინები, კანონები და ადეკვატურად იყენებს მათ მსჯელობის დროს
	უჭირს გამართულად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად საუბარი	ხშირად საუბრობს გამართულად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად	ყოველთვის საუბრობს გამართულად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად

შეფასების კომპონენტი: საშინაო დავალება/წერა

კრიტერიუმი	1	2	3
კანონზომიერება და ალგებრა	უჭირს ამოცანის შინაარსის აღქმა და მისი ამოხსნა	აღიქვამს ამოცანის შინაარსს, ზოგჯერ უჭირს მოცემული და საძიებელი მონაცემების სწორად განსაზღვრა და ამოცანების ამოხსნა	ყოველთვის აღიქვამს ამოცანის შინაარსს, განსაზღვრავს მოცემულ და საძიებელ მონაცემებს და ხსნის ამოცანებს
	უჭირს ნასწავლი წესების გამოყენება წერითი დავალებების შესრულების დროს	ხშირად სწორად იყენებს ნასწავლ წესებს წერითი დავალებების შესრულების დროს	ყოველთვის სწორად იყენებს ნასწავლ წესებს წერითი დავალებების შესრულების დროს
ორგანიზებულობა	უჭირს წერითი დავალებების სუფთად, თანმიმდევრულად შესრულება, ხშირად უშვებს შეცდომებს	ხშირად წერით დავალებებს ასრულებს სუფთად და თანმიმდევრულად; ზოგჯერ უშვებს შეცდომებს	წერით დავალებებს ყოველთვის ასრულებს სუფთად, თანმიმდევრულად და მათემატიკური შეცდომების გარეშე
	იშვიათად ასრულებს საშინაო დავალებებს	ხშირად ასრულებს საშინაო დავალებებს	ყოველთვის ასრულებს საშინაო დავალებებს
მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა	უჭირს მონაცემთა შეგროვება, მოწესრიგება და მათი ინტერპრეტაცია	ხშირად აგროვებს მონაცემებს, აწესრიგებს, მაგრამ ზოგჯერ უჭირს მათი ინტერპრეტაცია	ყოველთვის აგროვებს მონაცემებს, აწესრიგებს მათ და უკეთებს ინტერპრეტაციას

**ბუნება**

შეფასებს კომპონენტი: მსჯელობა/მეტყველება

კრიტერიუმი	1	2	3
გარემოზე დაკვირვება, მარტივი პროცესების აღწერა და მსჯელობა	უჭირს სურათების, მოვლენების აღწერა გარეგნული ნიშნებისა და თვისებების მიხედვით	ხშირად აღწერს სურათებს, მოვლენებს გარეგნული ნიშნებისა და თვისებების მიხედვით	ყოველთვის აღწერს სურათებს, მოვლენებს გარეგნული ნიშნებისა და თვისებების მიხედვით
	აკვირდება მოვლენებს, მაგრამ უჭირს მათზე ლოგიკურად და თანმიმდევრულად მსჯელობა	აკვირდება მოვლენებს და ხშირად ლოგიკურად, თანმიმდევრულად მსჯელობს მათზე	აკვირდება მოვლენებს და ყოველთვის ლოგიკურად, თანმიმდევრულად მსჯელობს მათზე
	არ სვამს შეკითხვებს ტექსტიდან ან სურათიდან გამომდინარე და დასმულ შეკითხვებზე უჭირს ადეკვატური პასუხების გაცემა	ხშირად სვამს ლოგიკურ შეკითხვებს და დასმულ შეკითხვებზე იძლევა ადეკვატურ პასუხებს	ტექსტიდან და სურათიდან გამომდინარე ყოველთვის სვამს ლოგიკურ შეკითხვებს და დასმულ შეკითხვებზე იძლევა ადეკვატურ პასუხებს
	უჭირს ნაცნობი გარემოს, მარშრუტის აღწერა და მათ თავისებურებებზე მსჯელობა; უჭირს სივრცეში ორიენტირება	აღწერს ნაცნობ გარემოს, მარშრუტს, ხშირად მსჯელობს მის თვისებურებებზე; ხშირად ადეკვატურად ორიენტირებს სივრცეში	აღწერს ნაცნობ გარემოს, მარშრუტს, ყოველთვის მსჯელობს მის თვისებურებებზე; ადეკვატურად ორიენტირებს სივრცეში
	უჭირს ინფორმაციის კატეგორიზება	ხშირად შეუძლია ინფორმაციის კატეგორიზება	ყოველთვის შეუძლია ინფორმაციის კატეგორიზება
	ორგანიზებული და თანამშრომლობა	ვერ ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქტაჟებს	ზოგჯერ ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქტაჟებს

	არ ეხმარება ჯგუფის წევრებს საკუთარი აზრის გამოხატვაში და არ ისმენს სხვების მოსაზრებებს	ზოგჯერ ეხმარება ჯგუფის წევრებს საკუთარი აზრის გამოხატვაში და იშვიათად იზიარებს სხვების მოსაზრებებს	ყოველთვის ეხმარება ჯგუფის წევრებს საკუთარი აზრის გამოხატვაში და პატივს სცემს სხვების მოსაზრებებს
--	--	--	--

შეფასების კომპონენტი: კითხვა

კრიტერიუმი	1	2	3
ფონეტიკური ცოდნა	უჭირს ასო-ბგერების, მარცვლების, სიტყვების, წინადადებების და აბზაცების ამოცნობა და მათი დანიშნულების განსაზღვრა	ზოგჯერ ამოიცნობს ასო-ბგერებს, მარცვლებს, სიტყვებს, წინადადებებს და აბზაცებს, მაგრამ არ იცის მათი დანიშნულება	ყოველთვის ამოიცნობს ასო-ბგერებს, მარცვლებს, სიტყვებს, წინადადებებს, აბზაცებს და განსაზღვრავს მათ დანიშნულებას
	უჭირს ტექსტის ხმამაღლა და გარკვევით წაკითხვა, სიტყვების სწორად გამოთქმა, სასვენი ნიშნების ამოცნობა, ვერ იცავს სათანადო ინტონაციას	ზოგჯერ ხმამაღლა და გარკვევით კითხულობს ტექსტს, სწორად გამოთქვამს სიტყვებს და ამოიცნობს სასვენ ნიშნებს, იცავს სათანადო ინტონაციას	ხმამაღლა და გარკვევით კითხულობს ტექსტს, ყოველთვის სწორად გამოთქვამს სიტყვებს, ამოიცნობს სასვენ ნიშნებს, იცავს სათანადო ინტონაციას
გამართულად კითხვა	უჭირს გაბმულად კითხვა, უშვებს შეცდომებს	ზოგჯერ კითხულობს გაბმულად და გამომეტყველებით, უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს	ყოველთვის კითხულობს გაბმულად, გამომეტყველებით და უშვებს შეცდომებს
	კითხულობს ძალიან ნელა	ზოგჯერ კითხულობს სათანადო სიჩქარით	კითხულობს სათანადო სიჩქარით
შეგნებული კითხვა	უჭირს ტექსტიდან უცხო სიტყვების, ფრაზების მნიშვნელობის ამოცნობა, გაგება და საკუთარი სიტყვებით გადმოცემა	ზოგჯერ ტექსტიდან ამოიცნობს უცხო სიტყვებს, ფრაზებს და განმარტავს საკუთარი სიტყვებით	ყოველთვის ამოიცნობს უცხო სიტყვებს, ფრაზებს და საკუთარი სიტყვებით განმარტავს

	უჭირს მასწავლებლის ინსტრუქციების შესრულება და კითხვის სტრატეგიების შესაბამისად გამოყენება	ზოგჯერ ეფექტურად ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს და იყენებს კითხვის შესაბამის სტრატეგიებს	ყოველთვის ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს და იყენებს კითხვის სტრატეგიებს
--	---	--	---

## ხელოვნება

შეფასების კომპონენტი: მსჯელობა/მეტყველება

კრიტერიუმი	1	2	3
და უნარი მოტორული შემოქმედებითი აზროვნება	ნაშრომის შესაქმნელად ვერ იყენებს მრავალფეროვან მასალას	ნაშრომის შესაქმნელად ხშირად იყენებს სხვადასხვა მასალას	ნაშრომის შესაქმნელად ყოველთვის სხვადასხვა მასალას იყენებს
	უჭირს გეომეტრიული თუ სხვა ფორმებისაგან აპლიკაციების შექმნა	ხშირად ქმნის აპლიკაციებს გეომეტრიული თუ სხვა ფორმებისაგან	ყოველთვის შეუძლია გეომეტრიული თუ სხვა ფორმებისაგან აპლიკაციების შექმნა
	უჭირს საკუთარი ემოციების გამოხატვა და ხელოვნების ნიმუშზე საუბარი	ხშირად გამოხატავს საკუთარ ემოციებს და საუბრობს ხელოვნების ნიმუშზე	ყოველთვის შეუძლია საკუთარი ემოციების გამოხატვა და ხელოვნების ნიმუშზე საუბარი
და კულტურა მოსმენის თანამშრომლობა	ყურადღებით არ უსმენს თხრობას და უჭირს დასმულ შეკითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა	ზოგჯერ ყურადღებით უსმენს თხრობას და დასმულ შეკითხვებზე ადეკვატურად პასუხობს	ყოველთვის ყურადღებით უსმენს თხრობას და დასმულ შეკითხვებზე ადეკვატურ პასუხებს იძლევა
	არ ეხმარება ჯგუფის წევრებს საკუთარი აზრის გადმოცემაში და არ ისმენს სხვების მოსაზრებებს	ზოგჯერ ეხმარება ჯგუფის წევრებს საკუთარი აზრის გადმოცემაში და იშვიათად იზიარებს სხვების მოსაზრებებს	ყოველთვის ეხმარება ჯგუფის წევრებს საკუთარი აზრის გადმოცემაში და პატივს სცემს სხვების მოსაზრებებს



	უჭირს ჯგუფის ნამუშევრის ეფექტურად წარდგენა კლასის წინაშე	ხშირად ეფექტურად წარადგენს ჯგუფის ნამუშევარს კლასის წინაშე	ჯგუფის ნამუშევარს ყოველთვის ეფექტურად წარადგენს კლასის წინაშე
--	--	---	--

### ექსპერიმენტის აღწერა

#### ექსპერიმენტის პირველი წელი

ექსპერიმენტის დაწყებამდე ჩატარდა წინასწარი კვლევა, რომლის მიზანი იყო დაგვედგინა:

- რას სწავლობენ მოსწავლეები და რამდენად ნაყოფიერია სწავლა;
- რას და როგორ ასწავლიან მასწავლებლები, როგორია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი შემეცნებითი აქტიურობა;
- რა კომპონენტებით ფასდებიან მოსწავლეები, რამდენად სანდო, ვალიდური და ობიექტურია შეფასების სისტემა, არის თუ არა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთან შესაბამისობაში;

აღნიშნული მიზნის ირგვლივ კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი (იხ. დანართი „კვლევის ანგარიში“):

*თუ პედაგოგები ტრენინგზე მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში ნერგავენ, რატომ ფიქრობენ მოსწავლეები, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესს სახალისოდ და საინტერესოდ ვერ წარმართავენ? სწავლება-სწავლის შესახებ რატომაა ასეთი მკვეთრი განსხვავება მოსწავლეთა და მასწავლებელთა პროცენტულ მონაცემებს შორის? თუ მასწავლებლები მოსწავლეთა საჭიროებებს იკვლევენ, მაშინ რატომაა ასეთი შედეგები ფსიქოლოგის „ინტერესთა სფეროს კვლევის შედეგებში“? ან მოსწავლეებს რატომ აქვთ ასეთი განცდა საკუთარი სკოლის მიმართ?*

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე დღეისათვის მიმდინარე საგაკვეთილო პროცესები, შესაძლოა, ასე აღწეროთ: პედაგოგი გაკვეთილზე ძირითად დროს უთმობს მასალის ახსნას და გაკვეთილის დასასრულს მიმდინარეობს სავარჯიშოების ამოხსნა (ტრადიციული). მოსწავლეები ტექსტებზე მუშაობას (თუ არ ჩავთვლით დაწყებითის პედაგოგებს) ნაკლებ დროს უთმობენ, მსჯელობა ძირითადად ფრონტალური შეკითხვებით მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში მცირე ჯგუფებში მუშაობას (პედაგოგთა 81%, მოსწავლეთა 42,8%), კვლევით საქმიანობებსა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ყურადღება არ ექცევა. მასწავლებლები არ იკვლევენ მოსწავლეთა საჭიროებებს და არ აქვთ მჭიდრო კავშირი სკოლის ფსიქოლოგთან. სწორედ ამიტომაც, რომ მოსწავლეებისათვის სკოლაში სწავლა არ არის საინტერესო. შესაბამისად, 32%-ის აზრით, გაკვეთილებიც აქტიურად არ მიმდინარეობს. სკოლა „დამღვლია“. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე პუნქტების მიხედვით პროცენტული მონაცემები პარალელურ კლასებს შორის მკვეთრად განსხვავებულია. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი იყოს ასაკობრივი თავისებურება და მეორე – მასწავლებელთა განსხვავებული პროფესიონალიზმი, რაზედაც მოსწავლეებიც საუბრობენ. საბაზო კლასებში, სადაც სასკოლო საგნებსა და საგნობრივ წრეებში მონაწილეობის სურვილი კლებულობს, მატულობს ექსპედიციებში მონაწილეობის მოტივაცია. მასწავლებლები რეალურად რომ იცნობდნენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, მაშინ შეძლებდნენ ამ პრობლემის მოგვარებას და ექსპედიციებს გამოიყენებდნენ სასკოლო საგნების უკეთ შესწავლისა და შემეცნებითი უნარების განსავითარებლად. ამის გამო კლებულობს სწავლის მოტივაცია და მათი შემეცნებითი აქტიურობაც დაბალია.

პედაგოგთა უმრავლესობა ესწრება სხვადასხვა ტრენინგს, მაგრამ მასწავლებელთა მოცემული პროცენტული მონაცემების მიუხედავად, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა უჭირთ. ამის მიზეზია ის, რომ მასწავლებლების უმრავლესობას არ ყოფნის არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება აქტიური სწავლება/სწავლის თანამედროვე მიდგომებში. მეორე – ტრენინგზე

ცოდნის სიღრმისეულად გაცნობიერება არ მიმდინარეობს, რის გამოც პედაგოგი ვერ ახერხებს საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვნად ორგანიზებას. რასაც მოწმობს მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები და აკადემიური მიღწევები. სემინარებზე ასწავლიან მხოლოდ სწავლისა და სწავლების სტრატეგიებს, მაგრამ მოსწავლეთა შეფასების სისტემის შემუშავების მექანიზმებისა და მეთოდების შესწავლა არ მიმდინარეობს. ამიტომ მოსწავლეები მასწავლებლებისაგან სახალისო და საინტერესო გაკვეთილების ნაცვლად იღებენ არაეფექტურ გაკვეთილებს.

მასწავლებლების უმრავლესობა საერთოდ არ იცნობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ შეფასების სისტემას. მათ არ აქვთ გაცნობიერებული მოსწავლის მაქსიმალურ თვითრეალიზებას, საჭიროებების კვლევას, ბავშვების მიღწევების გაუმჯობესებაში შეფასების სისტემასა და აქტიურ სწავლებას შორის ურთიერთკავშირის მნიშვნელობა. ისინი ძირითადად მათ ტრადიციულად აფასებენ, შესაბამისად, მოსწავლეები მათ არაობიექტურობაში სდებენ ბრალს.

მოსწავლეები ითხოვენ ღონისძიებებს, შეჯიბრებს, ექსპედიციებს, პროექტებს და სხვა. იკვეთება, რომ მასწავლებლები ვერ უქმნიან მოსწავლეებს ისეთ პირობებს, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზებას. ამის უპირველესი მიზეზი კი ისაა, რომ პედაგოგები სკოლაში არც საგაკვეთილო პროცესის, არც სკოლის დონეზე საგნის სწავლების კვლევით საქმიანობებს არ წარმართავენ.

როგორ ასრულებენ მასწავლებლები სახელმწიფო სტანდარტს? რის საფუძველზე არჩევენ კომპონენტებსა და კრიტერიუმებს? როგორ აფასებენ საკუთარ მიღწევებს და მოსწავლის მდგომარეობას? იყენებენ თუ არა კვლევის მექანიზმებს? შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციას?

სკოლაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეიძლება ასე აღვწეროთ: მასწავლებლები ყოველდღიურად აფასებენ მოსწავლეებს (ანუ განმსაზღვრელი შეფასების ტიპით), სემესტრის/წლის ბოლოს გამოჰყავთ საშუალო არითმეტიკული. დაწყებით კლასებში კი უნიშნო სწავლებაა. თუმცა მოსწავლეებს

სურთ, რომ მასწავლებლები მათ აფასებდნენ არა ქულებით, არამედ, შესრულებული საქმიანობებით, დავალებების ხარისხისა და გაკვეთილზე მოსწავლეთა ქმედებების(დისკუსია, მსჯელობა, პრეზენტაცია და სხვა) მიხედვით ადგენდნენ რეიტინგს და წარჩინებულებს აჯილდოებდნენ სხვადასხვა ფორმით. სკოლის პედაგოგთა უმრავლესობას არ აქვს შემუშავებული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემა. სავარაუდოა, რომ მათი უმრავლესობა შეფასების მეთოდებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ ფლობს. მასწავლებლები არ აწარმოებენ მოსწავლეთა განვითარებაზე დაკვირვებას (დაკვირვების დღიურები, საქაღალდე და რუბრიკა), აქედან გამომდინარე, მათი შეფასების კომენტარები, კომპონენტები, კრიტერიუმები არაა სანდო და ვალიდური. სკოლაში არ ხდება სასწავლო წლის მონაცემების სათანადო დამუშავება და მისი გამოყენება სკოლის წარმატების დონის დასადგენად. ყველასათვის არაა ცნობილი წარმატებული მოსწავლის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ფასდებიან და იღებენ ფულად ჯილდოს (სტეპენდია). მათი წახალისების ფორმების მნიშვნელობა ბუნდოვანი და არასაჯაროა.

#### **სკოლაში არსებული მდგომარეობა ესქპერიმენტის დაწყებისას:**

- პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა, მაგრამ არასისტემურია. სემინარზე მიღებული ცოდნა სასწავლო პროცესში არ ინერგება, რადგან მასწავლებლების უმრავლესობას სახელმწიფო მოთხოვნები/დაკვეთა არა აქვს გაცნობიერებული;
- მოსწავლეებს არ ეძლევათ თვითრეალიზების საშუალება, რადგან სასწავლო პროცესში არ მიმდინარეობს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. მასწავლებლები არ აწარმოებენ მოსწავლეთა საჭიროებების კვლევას, და მის შედეგებს არ ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. გაკვეთილები ძირითადად ტრადიციულად მიმდინარეობს.
- სკოლაში არ არსებობს მოსწავლეთა შეფასებისა და წახალისების ეფექტური სისტემა. მასწავლებლებს არ აქვთ გააზრებული შეფასების სისტემის

დანიშნულება, არ იციან, რა კავშირშია იგი მოსწავლის სწავლის მოტივაციასთან. მასწავლებლები არ ფლობენ მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემას და ამის გამო ეფექტურად ვერ გეგმავენ მათი განვითარების გზას. შესაბამისად, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობა დაბალია. ძირითადად სწავლა არის ძალდატანებითი აქტი და არა შემოქმედებითი პროცესი, რომელიცხელს შეუწყობდა მათი შესაძლებლობების სრულ რეალიზებას.

- მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობები არასახარბიელოა, ერთმანეთთან აქვთ მეგობრული დამოკიდებულებები და არა საქმიანი. მოსწავლეების უმრავლესობა დადებითად აფასებს საკუთარ ურთიერთობებს ადმინისტრაციის წევრებთან მიმართებაში.

სკოლის სასტარტო მდგმარეობის შემდეგ შემუშავდა ექსპერიმენტის სტრატეგიული გეგმა და დაიგეგმა სკოლის შემდეგი საქმიანობები:

მიზანი:

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ზეგავლენის დადგენა მოსწავლეთა შემეცნებით აქტიურობაზე;
  - განისაზღვროს, რა ზეგავლენას ახდენს შეფასება მოზარდის პიროვნული თვისებების ფორმირებაში და გააჩნია თუ არა მას აღმზრდელობითი ფუნქცია;
1. მასწავლებლებმა გააანალიზონ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის არსი და გაერკვნენ საკუთარ როლსა და ფუნქციებში;
  2. შემუშავდეს და დაინერგოს პროფესიული განვითარების სისტემა;
  3. დაინერგოს მისიისა და სტრატეგიის შესაბამისი სწავლებისა და სწავლის ეფექტური მიდგომები;
  4. ამოქმედდეს მოსწავლეთა შეფასების ეფექტური სისტემა და დაინერგოს სწავლების ყველა საფეხურზე;

5. მოხდეს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება;
6. ყურადღება გამახვილდეს ურთიერთთანამშრომლობაზე (როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორისაც);
7. ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეთა საჭიროებების კვლევაზე, მათ ჩართვაზე კვლევით, საპროექტო და სხვა შემეცნებით (კლუბები, წრეები, სპექტაკლები, ექსპედიციები) საქმიანობებში.

**მოსამზადებელი ეტაპი:**

*მასწავლებლებმა გააანალიზონ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის არსი და გაერკვნენ საკუთარ როლსა და ფუნქციებში;*

მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები და სემინარები, გავაცანით საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, სკოლის მისია და გამოვკვეთეთ ძირითადი პრიორიტეტები, ამის საფუძველზე შევიმუშავეთ სკოლის სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპები, მასწავლებლის შიდა სტანდარტი და ეთიკის კოდექსი. შემუშავდა მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმები;

*შემუშავდეს და დაინერგოს პროფესიული განვითარების სისტემა;*

დადგინდა მასწავლებელთა საჭიროებები და შემუშავდა სატრენინგო პროგრამა შემდეგ თემებზე: სწავლებისა და სწავლის ეფექტური მიდგომები და მეთოდები; წერის, კითხვის და მეტყველების განვითარების ეფექტური სტრატეგიები; სწავლის მოტივაცია და მასზე მოქმედი ფაქტორები; სასწავლო პროცესის დაგეგმვა ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად; მოსწავლეთა შეფასების ეფექტური სისტემა და მისი დანერგვა;

*დაინერგოს მისიისა და სტრატეგიის შესაბამისი სწავლებისა და სწავლის ეფექტური მიდგომები;*

მასწავლებლებმა დაიწყეს პროგრამების შემუშავება ესგ-ს და სკოლის მისიის მოთხოვნების შესაბამისად, როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე. ატარებენ აქტიური სწავლისა და კრიტიკული აზროვნების პროგრამის მიხედვით გაკვეთილებს. ყველა მასწავლებელს არ გამოსდის საგაკვეთილო პროცესში სამი ფაზის დაცვა. პედაგოგთა ნაწილში შეიცვალა სწავლისადმი დამოკიდებულება, დაიწყო მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა.

***ამოქმედდეს მოსწავლეთა შეფასების ეფექტური სისტემა და დაინერგოს სწავლების ყველა საფეხურზე;***

მასწავლებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური კონსულტაციები და შეხვედრები. გამოიკვეთა ის ძირითადი საქმიანობები, რომელიც მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად კვლევის საფუძველზე დადგინდა. შეირჩა საქმიანობების შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები; შემუშავდა შეფასების რუბრიკები ყველა საგანში და დაიბეჭდა ყველა მოსწავლისათვის.

შემუშავდა ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისი, შეფასებასთან დაკავშირებული სასკოლო დოკუმენტაცია: შეფასების ტიპები, შეფასების პრინციპები, შეფასების პერიოდულობა და გამჭვირვალობა (იხ, დანართი სასკოლო სასწავლო გეგმა, თავი – მოსწავლეთა შეფასება).

X-XII კლასების მოსწავლეებისათვის – სამი საუკეთესო მოსწავლე კლასში ჯილდოვდება (სტეპენდია, ხარისხების მიხედვით).

***მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება;***

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორ კვირაში ერთხელ „მშობელთან მიმოწერის დღიურის საფუძველზე“. ფასდებიან მოსწავლეები არსებული კრიტერიუმების საფუძველზე, ტარდება სასკოლო ტესტირება სემესტრში ერთხელ და მასწავლებლები წერენ ანგარიშს წელიწადში სამჯერ. მუშავდება ინფორმაცია და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები მდგომარეობის გამოსასწორებლად;

*ყურადღება გამახვილდეს ურთიერთთანამშრომლობაზე (როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორისაც);*

სკოლაში შეიქმნა საგნობრივი კათედრები, და დაიწყო ერთობლივი საქმიანობების დაგეგმვა და განხორციელება, შემუშავდა კათედრების დებულებები, სადაც გამოიკვეთა კათედრის მიზნები. ამ მიზნებს შორისაა ურთიერთთანამშრომლობა, მოსწავლეთა ინტერესების კვლევა და შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები;

*ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეთა ჩართვაზე კვლევით, საპროექტო და სხვა შემეცნებით (კლუბები, წრეები, სპექტაკლები, ექსპედიციები) საქმიანობებში;* მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შეირჩა როგორც საკლასო, ისე დამოუკიდებელი საქმიანობები: პროექტები, ფილმების გადაღება, წიგნების გამოშვება, სპექტაკლები და სხვა.

### **წლის შედეგების შეჯამება**

გაიზარდა თუ არა მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობა?

განმავითარებელ შეფასებას აქვს თუ აღმზრდელობითი ფუნქცია? კონკრეტულად რა ზეგავლენა მოახდინა მოსწავლეებზე?

შეიცვალა სასწავლო პროცესი, სწავლება-სწავლა გახდა მოსწავლეზე ორიენტირებული, თითქმის ყველა საგანში. შეფასების სისტემაში არ არიან ჩართული არც მოსწავლეები და არც მათი მშობლები. მართალია, მათ მიეწოდებათ ინფორმაცია, მაგრამ არ იცნობენ შეფასების პრინციპებს, კრიტერიუმებს. შესაბამისად, არ მოქმედებს არც შიდა და არც გარე სტიმულები. მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება, ჩაერიონ შეფასების კრიტერიუმების შერჩევასა და საკუთარი განვითარების პროცესში. თუმცა შერჩეული კრიტერიუმები გამჭვირვალეა და მშობლები ორ კვირაში ერთხელ ყველა საგნის მიხედვით იღებენ ინფორმაციას შვილის განვითარების შესახებ რუბრიკების მეშვეობით. ასევე კომენტარებს, რომელშიც სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებია დასახული. მშობლებს ეძლევათ რეკომენდაციები დამოუკიდებელი



მუშაობისათვის. არ არის გათავისებული მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები.


ტარდება შემაჯამებელი ტესტირებები და სემესტრის ბოლოს შემაჯამებელი სასკოლო გამოცდები ყველა ძირითადი საგნის მიხედვით. გამოცდებში მონაწილეობს ყველა მოსწავლე.

მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, ცუდი შედეგების შემთხვევაში გადააბარონ გამოცდები. შემაჯამებელსა და მიმდინარე შეფასების შედეგებს შორის თანაფარდობაა 20% : 80%-თან; შეფასება ნაწილობრივ ასრულებს განვითარების ფუნქციას. არ აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს (იხ. ცხრილი №1 )

ცხრილი №1

კრიტერიუმები	არსებული მდგომარეობა I წელი
მიზანი/შედეგები	ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები
სამართლიანობა	არ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები
სანდოობა	კრიტერიუმები განზოგადების საშუალებას იძლევა
ვალიდური	კრიტერიუმები მიზნის მიღწევის საშუალებას იძლევა
ობიექტური	მასწავლებლის სუბიექტური ზეგავლენა მინიმუმამდეა შემცირებული (მხოლოდ რუბრიკის გამოყენებით, შემაჯამებელ ტესტებს ადგენენ პედაგოგები)
გამჭვირვალობა	ნაწილობრივ გამჭვირვალე, რადგან არსებობს კრიტერიუმები, რომელსაც იცნობს ყველა.
ცოდნის ტრანსფერი	გათვალისწინებულია ისეთი დავალებები, რომლებიც ნასწავლის პრაქტიკულ გამოყენებას მოითხოვს არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ საგანში, არამედ სხვა საგნებთან კავშირიცაა გათვალისწინებული.
შეფასება მრავალმხრივია და იძლევა არჩევანის	შეფასება არ არის მრავალმხრივი და არ იძლევა არჩევანის საშუალებას

საშუალებას	
მოტივაცია	დაბალია
ადვილად შესრულებადი	ძირითადი საქმიანობა სრულდება საკლასო ოთახში, სკოლაში დღის მეორე ნახევარში, ამიტომ ეს შეფასებები ობიექტურობას უწყობს ხელს, უფროსების ჩარევა ნაკლებია.
შეფასების ინფორმაციულობა	შეფასების შედეგების განზოგადება მიმდინარეობს მხოლოდ სემესტრის ბოლოს და არა ყოველი თემის ბოლოს.



დიაგრამა №1 V-VI-IX-X კლასებში მოსწავლეთა მიღწევები

აკადემიური მოსწრება: წარმოდგენილია სამივე საფეხური: დაწყებითი (IV–VI კლასი) 122 მოსწავლე, საბაზო-საშუალო - IX - X (სულ 42 მოსწავლე). აკადემიური

მოსწრების მხრივ ძალიან დაბალია მოსწავლეთა რაოდენობა კატეგორიაში, 0-5%-მდე მერყეობს, B კატეგორია - 19-30%- მდე, C კატეგორიაშია 20-31%-მდე, D კატეგორიაში მოხვდა 22-39%-მდე, E კატეგორიაშია მოსწავლეების 12-22%-მდე, ხოლო Fx კატეგორიას 1-4%-მდე მოსწავლეები შეადგენენ, შეფასებით - „ძალიან ცუდი“.

მოსწავლეთა ასაკობრივ ზრდასთან ერთად, იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა დაბალ კატეგორიაში. სულ წარმატებულ მოსწავლეთა (7-10 ქულა სახელწიფო შეფასების სისტემით) რაოდენობაა V კლასში - 57%, დანარჩენი 43% საჭიროებს გაუმჯობესებას.

VI კლასი - 58% დაბალ კატეგორიაში – 42%

IX კლასში 30% (5% მოსწავლეების 8 ქულა და ზევით, დანარჩენი მოსწავლეების 25% კი – 7-დან 8 ქულამდე) და 70% საშუალო და დაბალ კატეგორიაში ორჯერ მეტი მოსწავლეებია, ვიდრე „კარგი“ მოსწავლეების კატეგორიაში და საერთოდ I ხარისხის წარმატებული მოსწავლე არ არსებობს.

უმიზეზო გაცდენების რაოდენობა მაღალია;

წრებზე მოსწავლეები მშობლების ან მასწავლებელთა იძულებით ესწრებიან;

ტარდება მხოლოდ მათემატიკისა და ინგლისურის წრე;

### ექსპერიმენტის მეორე წელი

#### ჩატარებული სამუშაოები

*მასწავლებლებმა გააანალიზონ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის არსი და გაერკვნენ საკუთარ როლსა და ფუნქციებში;*

მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები და სემინარები, გავაცანით საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები, ზოგიერთი კლასისათვის შემოვიდა ახალი სტანდარტები, ამის საფუძველზე შევიტანეთ ცვლილებები სკოლის სასწავლო გეგმაში.

*შემუშავდეს და დაინერგოს პროფესიული განვითარების სისტემა;*

წინა სასწავლო წლის შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე დადგინდა მასწავლებელთა საჭიროებები და შემუშავდა სატრენინგო პროგრამა, შეირჩა

თემები: ერთობლივად სწავლის ეფექტური მეთოდები და სტრატეგიები; სწავლის მოტივაცია და მასზე მოქმედი ფაქტორები; გაკვეთილის დაგეგმვა ესგ-ს სტანდარტების შესაბამისად; მასწავლებლები ესწრებიან გაკვეთილზე ერთმანეთს, უცვლიან გაკვეთილის გეგმებს და შეფასების შესახებ ინფორმაციას.

***დაინერგოს მისიისა და სტრატეგიის შესაბამისი სწავლებისა და სწავლის ეფექტური მიდგომები;***

მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ გაკვეთილებს ესგ-ს და სკოლის მისიის მოთხოვნების შესაბამისად როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე. გაკვეთილებს ატარებენ აქტიური სწავლისა და კრიტიკული აზროვნების პროგრამის მიხედვით. პედაგოგთა უმრავლესობა იყენებს გაკვეთილის წარმართვის სამფაზიან მოდელს, ასევე მასწავლებლები გაეცნენ ინოვაციის დანერგვის ეტაპებს, რომლებსაც იყენებენ ახალი სასწავლო სტრატეგიების დასანერგად. შემუშავდა მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

***ამოქმედდეს მოსწავლეთა შეფასების ეფექტური სისტემა და დაინერგოს სწავლების ყველა საფეხურზე;***

მასწავლებლებს უტარდებათ ინდივიდუალური კონსულტაციები და შეხვედრები. მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ძირითადი საქმიანობები. შეირჩა საქმიანობების შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები; შემუშავდა შეფასების რუბრიკები ყველა საგანში და „მშობელთან მიმოწერის დღიური“ დაიბეჭდა ყველა მოსწავლისათვის.

ესგ-ს ცვლილებების მიხედვით შესწორდა შეფასებასთან დაკავშირებული სასკოლო დოკუმენტაცია. შეფასების გამჭვირვალობისათვის ჩატარდა ბავშვებთან და მშობლებთან შეხვედრები, გაეცნენ შეფასების კრიტერიუმებს, ხარისხობრივი მაჩვენებლების რაოდენობრივში გადაყვანის წესებს, შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისი შეფასება.

შეფასების სისტემაში არიან ჩართული მშობლები, მათ მიეწოდებათ ინფორმაცია, გაეცნენ შეფასების პრინციპებს, კრიტერიუმებს. შესაბამისად, ამუშავდა გარე

სტიმულები. მოსწავლეებს აქვთ საშუალება, ჩაერიონ შეფასების კრიტერიუმების შერჩევასა და საკუთარი განვითარების გეგმის შემუშავებაში, მშობლებს ეძლევათ რეკომენდაციები დამოუკიდებელი მუშაობისათვის. მოსწავლეები, რომელთა რეიტინგი ყველა საგნის მიხედვით 93,0 გადააჭარბებს გამოცდიდან იხსნებიან. მაგრამ I ხარისხის წარმატებულ მოსწავლეთა რიცხვი ისევ აითვლება 91,0-დან. თუმცა ზოგიერთი მასწავლებელი ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს მაინც ვერ ასრულებს სრულფასოვნად.

ცხრილი № 2


კრიტერიუმები	არსებული მდგომარეობა II წელი
მიზანი/შედეგები	ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები სტანდარტთან შესაბამისობაშია
სამართლიანობა	გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები (შეფასების პროცესში და პროგრამებში)
სანდოობა	კრიტერიუმები განზოგადების საშუალებას იძლევა
ვალიდური	კრიტერიუმები მიზნის მიღწევის საშუალებას იძლევა
ობიექტური	მასწავლებლის სუბიექტური ზეგავლენა მინიმუმამდეა შემცირებული (მხოლოდ რუბრიკის გამოყენებით, შემაჯამებელ ტესტებს ადგენენ პედაგოგები)
გამჭვირვალობა	შეფასება გამჭვირვალეა
ცოდნის ტრანსფერი	გათვალისწინებულია ისეთი დავალებები, რომლებიც ნასწავლის პრაქტიკულ გამოყენებას მოითხოვს არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ საგანში, არამედ სხვა საგნებთან კავშირიცაა გათვალისწინებული.
შეფასება	იძლევა არჩევანის საშუალებას. მასწავლებლები

<p>მრავალმხრივია და იძლევა არჩევანის საშუალებას</p>	<p>მოსწავლეებთან ერთად არჩევენ შესაფასებელ თემებს, დავალებებს, საქმიანობებს და კრიტერიუმებს(სასწავლო ფილმები, პრეზენტაციები, წიგნების გამოცემა, სპექტაკლები, შეჯიბრები, პროექტები, გამოფენები და სხვა) გათვალისწინებულია ყველა ინტელექტის განვითარება.</p>
<p>მოტივაცია</p>	<p>მოსწავლეები არჩევენ დავალებებს, მათთვის საინტერესო დავალებები ზრდის მოტივაციას და მოსწავლეთა შემეცნებით აქტიურობას.</p>
<p>ადვილად შესრულებადი</p>	<p>ძირითადი საქმიანობა სრულდება საკლასო ოთახში, სკოლაში დღის მეორე ნახევარში, ამიტომ ეს შეფასებები ობიექტურობას უწყობს ხელს, უფროსების ჩარევა ნაკლებია. შესასრულებელი დავალება ადვილია, მოსწავლისათვის მოსაბეზრებელი არ ხდება.</p>
<p>შეფასების ინფორმაციულობა</p>	<p>შეფასების შედეგების განზოგადება მიმდინარეობს ყოველი თემის შემდეგ. ტესტირების შედეგების განზოგადებისათვის პროგრამაში გამოიყო დრო და მიღებულ შედეგებს მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლეებთან ერთად. სემესტრის ბოლოს მასწავლებლის შედეგები განიხილება კათედრებზე.</p>

***მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება;***

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორ კვირაში ერთხელ „მშობელთან მიმოწერის დღიურის საფუძველზე“. მოსწავლეები ფასდებიან არსებული კრიტერიუმების შესაბამისად, ტარდება სასკოლო ტესტირებები სემესტრში ერთხელ და მასწავლებლები წერენ ანგარიშებს წელიწადში სამჯერ. მუშავდება ინფორმაცია და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები

მდგომარეობის გამოსასწორებლად; შედეგების დამუშავებისას გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც მოსწავლეთა მობილობასთან არის დაკავშირებული. შემოსული მოსწავლეები გადიან ტესტირებას (იმავე ტესტებით ფასდებიან, რომელიც შედგენილია სკოლის მოსწავლეებისათვის და შეესაბამება სახელმწიფო მოთხოვნებს). გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლეები შემოდიან საკმაოდ მაღალი ქულებით (7-10), მაგრამ ქულები არ შეესაბამება მოსწავლეთა რეალურ მდგომარეობას, მათი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები სტანდარტის შესაბამისად ჩამორჩება სკოლის მოსწავლეების დონეს (გადასყვანი კოეფიციენტი მერყეობს 1,2-1,4-მდე შუალედში. დამოკიდებულია სკოლაზე)



დიაგრამა №2 VI-VII-XI კლასებში მოსწავლეთა მიღწევები

### შედეგები (ხარისხობრივი მაჩვენებლები):

- VI კლასი - I ხარისხის წარმატებული მოსწავლეები 19-% (10); II ხარისხის წარმატებული 19 % (9) მოსწავლე; III ხარისხის წარმატებული 33% (8); კარგია – 18 % (7); 11% (5-6) - საჭიროებს გაუმჯობესებას;
- VII კლასი - I ხარისხის წარმატებული (10) 21% მოსწავლე; II ხარისხის წარმატებული 34% (9); III ხარისხის წარმატებული - 21% (8); კარგია 17% (7); 5% (5-6) საჭიროებს გაუმჯობესებას; 2% - ძალიან სუსტი;
- XI კლასი - I ხარისხის წარმატებული 39%(10) მოსწავლე; II ხარისხის წარმატებული - 6% (9); III ხარისხის წარმატებული - 16,5% (8); „კარგია“ 16,5% (7); 22% (5-6) “ საჭიროებს გაუმჯობესებას“ ;
- შემცირდა უმიზეზო გაცდენები და დაგვიანებები 8%-10%-დან; 3%-2%-მდე;
- გაიზარდა წრეებზე დამსწრე მოსწავლეთა რაოდენობა.

### თვისებრივი მაჩვენებლები:

- საგნობრივი წრეები ტარდება მოსწავლეთა მოთხოვნით. სწავლისადმი ჩამოყალიბდა პოზიტიური დამოკიდებულება;
- მოსწავლეები უფრო მიზანმიმართულნი გახდნენ;
- დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს, არჩევენ თემებს, გეგმავენ პროექტებს, აკეთებენ პრეზენტაციებს სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით;
- მოსწავლეებში განვითარდა შემოქმედებითი უნარები: იღებენ სასწავლო ფილმებს, ამდიდრებენ საკუთარი „გამოცემებით“ (ხელნაწერი წიგნებით) სკოლის ბიბლიოთეკას;
- ამაღლდა დაბალი შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მოტივაცია; ჩამოყალიბდა სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულება. მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს; ჩართულნი არიან საგაკვეთილო პროცესში.



*ყურადღება გამახვილდეს ურთიერთთანამშრომლობაზე (როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორისაც);*

სკოლაში შეიქმნა საგნობრივი კათედრები და დაიწყო ერთობლივი საქმიანობების დაგეგმვა და განხორციელება, შემუშავდა კათედრების დებულებები, სადაც გამოიკვეთა კათედრის მიზნები. ამ მიზნებს შორისაა ურთიერთთანამშრომლობა და მოსწავლეთა ინტერესების კვლევა და შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება. მასწავლებლები აწყობენ შეხვედრებს მოსწავლეთა არსებული პრობლემების დასადგენად. იკრიბება კლასის ყველა საგნის მასწავლებელი და თითოეულ მოსწავლესთან დაკავშირებით ცვლიან ინფორმაციას, აფასებენ მოსწავლეთა საქმიანობებს, განიხილავენ პრობლემებს, ადგენენ ეფექტურ სტრატეგიას. ასევე ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები;

*ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეთა ჩართვაზე კვლევით, საპროექტო და სხვა შემეცნებით (კლუბები, წრეები, სპექტაკლები, ექსპედიციები) საქმიანობებში;*

გაიზარდა მოსწავლეთა აქტიურობა როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე დამოუკიდებელი დავალებებისა და ერთობლივი პროექტების შემუშავებისას. მოსწავლეთა ინიციატივები იზრდება. მოსწავლეები ჩართულნი არიან პროექტების (ჯგუფური და ინდივიდუალური) შემუშავებაში, წერენ ფილმების სცენარებს და იღებენ ფილმებს, წერენ და გამოსცემენ წიგნებს, დგამენ სპექტაკლებს, აწყობენ გამოფენებს და სხვა.

## ექსპერიმენტის მესამე წელი

**ჩატარებული სამუშაოები**

*შემუშავდეს და დაინერგოს პროფესიული განვითარების სისტემა;*

პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა. შეიქმნა მასწავლებლთა მონაცემთა ბაზა (არაელექტრონული), მიმდინარეობს მასწავლებლების საქმიანობაზე დაკვირვება (გაკვეთილებზე დასწრება, რის საფუძველზეც ივსება

დაკვირვების ფურცლები, მიმდინარეობს მასწავლებელთა შეფასება საქალაქების, გაკვეთილის გეგმებისა და სხვა საქმიანობების მიხედვით), გამოვლენილი ხარვეზების მიხედვით დგება მასწავლებელთა საჭიროებები და დგება მათი სატრენინგო პროგრამა. კათედრებზე განიხილება ყველა ძირითადი პრობლემა და მასწავლებლებისათვის გაიცემა რეკომენდაციები სემინარზე მიღებული ცოდნის სასწავლო პროცესში დასანერგად. მასწავლებლების აქტიური მონაწილეობით შედგა სკოლის ყველა ძირითადი დოკუმენტი, ამიტომ მათთვის ადმინისტრაციის მოთხოვნები/დაკვეთა კარგადაა ცნობილი და გააზრებული; მუდმივად უტარდებათ კონსულტაციები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. სკოლის 40 მასწავლებელმა ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდა პროფესიულ უნარებში, აქედან 12 მასწავლებელმა მოიპოვა მასწავლებლის სერტიფიკატი; 10 მასწავლებელი (გახდა სამინისტროსა და სხვა პროვაიდერი ორგანიზაციის მწვრთნელი) მონაწილეობდა მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგებში.

***დაინერგოს მისიისა და სტრატეგიის შესაბამისი სწავლებისა და სწავლის ეფექტური მიდგომები;***

მოსწავლეებს ეძლევათ თვითრეალიზების საშუალება, სკოლაში შექმნილია ყველა პირობა მოსწავლეთა შესაძლებლობების სრულად გამოვლენის მიზნით. სასწავლო პროცესში მიმდინარეობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების კვლევა. განსაკუთრებული შესაძლებლობებისა და სხვადასხვა საჭიროებების ბავშვებისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები. მოსწავლეების დიდ ნაწილში ამაღლდა სწავლის მოტივაცია, იკლო უმიზეზო გაცდენებმა და დაგვიანებებმა. გაკვეთილები ძირითადად მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებით. გაკვეთილებზე მოსწავლეები ერთვებიან დისკუსიებსა და კამათში, თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს, აკეთებენ პრეზენტაციებს, გამოცემენ წიგნებს, ჩართული არიან ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტების შემუშავებაში.

***ამოქმედდეს მოსწავლეთა შეფასების ეფექტური სისტემა და დაინერგოს სწავლების ყველა საფეხურზე;***

სკოლაში არსებობს მოსწავლეთა შეფასებისა და წახალისების სისტემა. შემუშავდა დაკვირვების დღიურები, დაიწყო „მშობელთან მიმოწერის ელექტრონული დღიურის“ შემუშავება, ზოგიერთი საკითხი დასახვეწია. მასწავლებლები კარგად არ ფლობენ მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ შეფასების სისტემას, რის გამოც ხშირად მოსდით შეცდომები: შევსების დროს, ბავშვის განვითარების გზის დაგეგმვისას. ამიტომ ეს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციაზე მოქმედებს.

ცხრილი № 3


კრიტერიუმები	არსებული მდგომარეობა III წელი
მიზანი/შედეგები	ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები სტანდარტთან შესაბამისობაშია
სამართლიანობა	გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები (შეფასების პროცესში, ასევე პროგრამებში) შეიქმნა პროგრამები დონეების მიხედვით.
სანდოობა	კრიტერიუმები განზოგადების საშუალებას იძლევა
ვალიდური	კრიტერიუმები მიზნის მიღწევის საშუალებას იძლევა
ობიექტური	მასწავლებლის სუბიექტური ზეგავლენა მინიმუმამდეა შემცირებული (შემაჯამებელი ტესტების შედეგაში მონაწილეობას არ იღებენ, მოსწავლეების გვარები კოდირებულია და ნაშრომის გასწორების შემდეგ იხსნება კოდები, რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციის ხელშია)
გამჭვირვალობა	შეფასება ნაწილობრივ გამჭვირვალეა
ცოდნის ტრანსფერი	გათვალისწინებულია ისეთი დავალებები, რომლებიც ნასწავლის პრაქტიკულ გამოყენებას მოითხოვს არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ საგანში, არამედ სხვა საგნებთან კავშირიცაა გათვალისწინებული.

შეფასება მრავალმხრივია და იძლევა არჩევანის საშუალებას	იძლევა არჩევანის საშუალებას
მოტივაცია	დაბალია
ადვილად შესრულებადი	ძირითადი საქმიანობა სრულდება საკლასო ოთახში, ეძლევათ ჯგუფური დავალებები, დამოუკიდებელი სამუშაოები.
შეფასების ინფორმაციულობა	შეფასების შედეგების განზოგადება მიმდინარეობს ყოველი თემის შემდეგ, ტესტირების შედეგების განზოგადებისათვის გამოიყო საათი პროგრამაში, შეფასების შედეგების განზოგადება მიმდინარეობს კათედრის ყოველკვირეულ შეხვედრებზე და სემესტრის ბოლოს.

მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობები გამოსწორდა. მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ ეფექტური კომუნიკაცია და საქმიანი ურთიერთობები, ისინი იკრიბებიან კათედრებზე ორ კვირაში ერთხელ, კათედრაზე არსებული პრობლემების გადასაწყვეტად. ხვდებიან მშობლებს ინდივიდუალურად მოსწავლეთა პრობლემების გადასაჭრელად, რამაც მშობელთა დიდ ნაწილში სკოლის საქმიანობის მიმართ ინტერესი და ნდობა გაზარდა. განსაკუთრებული ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან სკოლის გამოცდებს (გამოცდებზე დაგვიანება, გაცდენა იშვიათი გამონაკლისია). გამოცდების წარმართვის, ჩატარების ვადები, სტუქტურა და სხვა ჯერ კიდევ დასახვეწია.

**აკადემიური მოსწრება:** ექსპერიმენტის მესამე წლის ბოლოს გაიზარდა მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობა. მაღალია სასწავლო პროცესში ჩართულობა. მოსწავლეთა ყველა ასაკობრივ კატეგორიაში სტაბილურად იზრდება აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი. VII კლასი - I ხარისხის წარმატებული (10) 30% მოსწავლე; II ხარისხის

წარმატებული 19% (9); III ხარისხის წარმატებული 25% (8); კარგია - 18%(7); 6% (5-6) - საჭიროებს გაუმჯობესებას. VIII კლასი - I ხარისხის წარმატებული (10) 18,6% მოსწავლე; II ხარისხის წარმატებული 20,3% (9); III ხარისხის წარმატებული 32,3% (8); კარგია - 18,6% (7); 10,2% (5-6) - საჭიროებს გაუმჯობესებას. XII კლასი - I ხარისხის წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა (10) 9,5% - ია, II ხარისხის წარმატებული 14,3% (9), III ხარისხის წარმატებული - 9,5% (8), კარგია 66,7% (7), 0% (5-6) საჭიროებს გაუმჯობესებას. XII კლასის სკოლის გამოსაშვები გამოცდების შედეგები (ს.გ.გ.შ) - I ხარისხის წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა (10) 57,2% - ია, II ხარისხის წარმატებული 33,3% (9), III ხარისხის წარმატებული - 9,5% (8), კარგია 0% (7), 0% (5-6) საჭიროებს გაუმჯობესებას.



დიაგრამა №3 VII- VIII -XII კლასებში მოსწავლეთა მიღწევები

**დასკვნები:** აკადემიური ზრდის მაჩვენებელი სწრაფად იზრდება V-VI კლასებში, რადგან მოსწავლეები ადვილად რეაგირებენ სტიმულებზე, ასევე მშობელთა ჩართულობაც უფრო მაღალია. სიახლეების მიღება: გაცილებით ადვილად იღებენ ახალს ვიდრე მაღალი კლასის მოსწავლეები, მათში კონკრეტული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება უფრო ადვილია, არ აქვთ ჩამოყალიბებული სტერეოტიპები. მაღალ საფეხურზე მოსწავლეებს გააჩნიათ საკუთარი დამოკიდებულება სწავლასა და შეფასებასთან დაკავშირებით. პროცესი ნელა მიმდინარეობს, რადგან სწავლისა და შეფასების მიმართ გარკვეული სტერეოტიპები აქვთ ჩამოყალიბებული, ამიტომ ძნელდება გარეგანი სტიმულების შერჩევა და მათი ქცევის კორექცია უფრო ძნელია, თუმცა შესაძლებელი. ძალიან მნიშვნელოვანია მათი მოთხოვნების გათვალისწინება, შეფასების გამჭვირვალობა. ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ძალიან დიდ როლს თამაშობს სამართლიანობის მომენტი, რაც მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებას გულისხმობს. ასევე ობიექტურობა. ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის სუბიექტური ზეგავლენა მოტივაციაზე, რასაც მოწმობს ჩატარებული ექსპერიმენტი, ანუ სწორად შერჩეული და შემუშავებული შეფასების სისტემა. ძალიან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა შეფასებაზე და მათ განვითარებაზე ასევე შეფასების ინფორმაციულობა, როგორც მახასიათებელი. პირველი წლის შედეგები დაბალია, რადგან მასწავლებლები მხოლოდ აფასებდნენ მოსწავლეებს, მაგრამ ამ ინფორმაციას არ იყენებდნენ ოპერატიულად. მხოლოდ სემესტრის ბოლოს აანაზღაურებდნენ და ელემენტარულად მხოლოდ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, მაგრამ მოსწავლეთა ჩავარდნების დროული კორექცია არ ხდებოდა. ინტერესთა კვლევა იშვიათად, მხოლოდ ზოგიერთი პედაგოგის მიერ იყო გამოყენებული, შესაბამისად, შედეგიც იყო ძალზე დაბალი. მეორე წელს, როგორც კი დაიწყო მოსწავლეთა შეხვედრები თემების მიხედვით, მათი თვითშეფასების განვითარება, მასწავლებლები მათთან ერთად განიხილავდნენ არსებულ პრობლემებს და ჩავარდნებს თემის ბოლოს აღმოფხვრიდნენ. მათ ეძლეოდათ საშუალება

კონკრეტული პრობლემა შემდეგ თემაში გაეთვალისწინებინათ, რაც მოსწავლეთა დამატებითი გაკვეთილების საშუალებით ხორციელდებოდა.

სტერეოტიპის ნგრევას შეფასება მხოლოდ „მოყოლაში“, ძალიან დიდი დრო მიაქვს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ბოლომდე ვერ აღმოიფხვრა და ძალიან გაძნელდა მათთვის შეფასების ძირითადი პრინციპის გაგება, რადგან ძალიან ბევრი პედაგოგი და მშობელი თავად ვერ ერკვევა ამ პრინციპების მნიშვნელობაში და არ აქვს სურვილი რაიმე შეცვალოს, თითქმის ყველა სკოლაში კრიტერიუმები არის გამოკრული საკლასო ოთახებში, მაგრამ მასწავლებლები მაინც ერთგანზომილებიან შეფასებას იყენებენ. ისინი რაშიც ადრე წერდნენ „სამიანს“, იმაში წერენ „ექვსიანს“, თუმცა, რომ სთხოვოთ დაგიხასიათონ მოსწავლე, აუცილებლად ერთი კრიტერიუმით შეგიფასებთ: „იცოდა, გაკვეთილი კარგად მომიყვა“, აქ მნიშვნელოვანია არა ნიშანი არამედ შეფასების სისტემისადმი მიდგომა და იმის განსაზღვრა, კონკრეტულად რას ვაფასებთ. მხოლოდ მოყოლას? სხვისი აზრის „კაჭკაჭივით“ დაზეპირებას, თუ დამოუკიდებლობას მეტყველებაში? წერის, მეტყველების, მოსმენის, კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს/შინაარსის გაგებასა და იმ ღირებულებებს, რომლითაც ჩვენი მოსწავლეა აღჭურვილი. სტერეოტიპების რღვევებზე ძალიან დიდი დრო იხარჯება ადმინისტრაციისა და შემოქმედი პედაგოგების მხრიდან, მაგრამ „შემსრულებელ“ პედაგოგებს ყოველთვის ურჩევნიათ, იმუშავონ ერთი განზომილებით, იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა „მოხსნილია“, ასე ფიქრობენ და საკმაოდ ადვილი შესაძლებელია, „ძველი ნიშნის კოეფიციენტზე გამრავლება“.





## დანართი №2

ცხრილი №13

ვარიანტი 2 (შეფასების კვირის დაგეგმვის შედარებით უფრო დეტალური და ფართომასშტაბური გეგმა)

№	კვირის დღე	თემა	სტრატეგია	კრიტერიუმები	შეფასების ინსტრუმენტი
1	ორშაბათი	თავების კითხვა პოემიდან „განდეგილი“	<ul style="list-style-type: none"> <li>• ორი კვირის განმავლობაში შეფასების კრიტერიუმების განხილვა;</li> <li>• „გამოხმაურება დღიურებში“</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარ მოსაზრებას თანმიმდევრულად გამოხატავს</li> <li>• წაკითხულის შესახებ წერილობით გადმოსცემს საკუთარ განცდებსა და ემოციებს</li> </ul>	ჩანაწერები გამოხმაურების დღიურებში; მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები
2	სამშაბათი	განდეგილი თავი	<ul style="list-style-type: none"> <li>• დისკუსია „ლიტერატურულ წრეში“;</li> <li>• საშინაო დავალება „დამოუკიდებელი კითხვა“</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წაკითხულის შესახებ ზეპირად გადმოსცემს საკუთარ განცდებსა და ემოციებს</li> <li>• მოსაზრების/პოზიციის გასამყარებლად ტექსტიდან მოჰყავს არგუმენტები და ფაქტები;</li> </ul>	მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები დაკვირვების დღიურები

3	ოთხშაბათი	განდეგილი თავი	<ul style="list-style-type: none"> <li>• დამიტოვეთ სათქმელი;</li> <li>• საშინაო დავალება დამოუკიდებელი კითხვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარ მოსაზრებას წერილობით თანმიმდევრულად გამოხატავს;</li> <li>• ინფორმაციის დამუშავება</li> </ul>	მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები თვითშეფასება
4	ხუთშაბათი	განდეგილი თავი	<ul style="list-style-type: none"> <li>• დისკუსია „ლიტერატურული წრე“</li> <li>• (4-5 კაციან ჯგუფებში პრეზენტაციის მომზადება;</li> <li>• ჯგუფის თვალსაზრისის პრეზენტაცია;</li> <li>• პრეზენტაციის გადაღება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წერილობით საკუთარ მოსაზრებებს თანმიმდევრულად გამოხატავს;</li> <li>• ინფორმაციის დამუშავება</li> </ul>	მოსწავლეთა წერის შეფასების რუბრიკები ჯგუფური თვითშეფასება
5	პარასკევი	განდეგილი თავი	<ul style="list-style-type: none"> <li>• შემაჯამებელი მოკლე დისკუსიის და თვითშეფასების დაწერა.</li> <li>• დღიურის ერთი ჩანაწერის შერჩევა;</li> <li>• ინდივიდუალური თვითშეფასების დაწერა;</li> <li>• გადაღებული პრეზენტაციის თვითშეფასება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით</li> </ul>	დისკუსია	მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები ჯგუფური თვითშეფასება